

K 237.382  
3

ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
სამსახური

მ ა ნ ა ნ ა    ს ა ნ ა ძ ე

„ქართლის ცხოვრება“ და  
სამართაგელის ისტორიის  
უძველესი პერიოდი  
(ქართლოსიდან ვირიანამდე)



მანანა სანაძე

ქართული  
ენათმეცნიერება

„ქართლის ცხოვრება“ და  
საქართველოს ისტორიის  
უძველესი პერიოდი  
(ქართლონიდან მირიანამდე)



13.23.29

გამომცემლობა „საქართველოს შაცნე“

თბილისი 2001

9(979.22)(001) + 9(979.22)



რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
აკადემიკოსი მარიაშ ლორთქიფანიძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი თამაზ ბურაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
მარინე ჩხარტიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ვია ანჩაბაძე

K 234.322

ISBN 99928-28-33-1





წინამდებარე წიგნში ძველი ქართული მატრიანეების: „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ინფორმაციის შეძლებისადრე უნდა აღვნიშნავთ, რომ ეს მატრიანეები წარმოადგენს ქართული მატრიანეების უძველეს ნაშთს და ბერძნულ-რომაულ ნარატიულ წყაროებთან, აგრეთვე არამეულ-ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლებისა თუ ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალის მონაცემების გათვალისწინებით რეკონსტრუირებულია ქართლის ისტორიის უძველესი პერიოდი ანუ წარმართობის ხანა, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ ეპოქას ქართლოსიდან მირიანამდე.

ნაშრომში სრულიად ახლებურადაა წარმონედილი საქართველოს ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა ქარველი ერის გენეზისი, ქართლის პირველი მეფის ფარნაგაზის მოღვაწეობის პერიოდი, ტერმინ „ფარნაგაზას“, როგორც რელიგიური წოდების კავშირი მანდიანობასთან და აპურამაზდასთან, ქართლის წარმართ მეფეთა ქრონოლოგია, ფარსმან II ქველის მოღვაწეობის ეპოქა, ამაზასპის მეფობის პერიოდი. აგრეთვე დაწვრილებითაა განხილული მირიანის მამის რევისა და, შესაბამისად, საკუთრივ მირიანის წარმომავლობის საკითხი და სხვ.

გამოკვლეულია და განხილულია „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის შემადგენლობა და წარმომავლობა, „ქართლის ცხოვრების“ პირველი შემდგენელი მემატრიანის მოღვაწეობის დრო და მის მიერ შედგენილი ისტორიული თხზულების თავდაპირველი მოცულობა.

წიგნი განკუთვნილია უპირველეს ყოვლისა საქართველოს, კავკასიისა და მანკობელი აღმოსავლეთის უძველესი პერიოდის მკვლევართათვის, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ის საინტერესო იქნება საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვისაც.

ნაშრომი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში.

## გუძღვნი ჩემი მშობლების ნელი და ვლადიმერ სანაძეების ნათელ ხსოვნას

უდიდესი მადლიერების ვრძნობით აღვნიშნავ, რომ ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა ჩემი მეუღლისა და შვილების, ახლობლების, მეგობრებისა, და კოლეგების აქტიური მხარდაჭერის გარეშე.

დიდი მორალური, მეცნიერული, ტექნიკური თუ ფინანსური დახმარებისათვის მადლობას ვუხდით: ბ-ნ როინ მეტრეველს, ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს, ბ-ნ თამაზ ბერაძეს, ქ-ნ შნია ანდრონიკაშვილს, ქ-ნ თეო ჩხეიძეს, ბ-ნ იულონ ვაგოშვილს, ბ-ნ გურამ ბედოშვილს, ბ-ნ ვოჩა ჯაფარიძეს, ქ-ნ ვიუელი ალასანიას, ქ-ნ მარინე მეფარიშვილს, ქ-ნ მაია ბადრიშვილს, ბ-ნ მესუთ ბოზქირს, ბ-ნ გურამ სანაძეს, ბ-ნ ვლადიმერ სანაძეს, ბ-ნ სოსო გოგილიძეს, ბ-ნ ვია შერვაშიძეს, ბ-ნ ვიორგი ბაგრატიონს, ბ-ნ ლევან ფოფხაძეს, ბ-ნ ლევან ზერეკიძეს, ბ-ნ ვია ლასნიშვილს, ბ-ნ ვია ქუშბურიძეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ქავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ბ-ნ ლევან ბერძენიშვილისა და ქართველოლოგიის განყოფილების გულისხმიერი კოლექტივის თანადგომა წიგნზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

წარსული ამოუცნობი სიღრმის ორმოა, ვკვებ უკეთესაა მას უძირო ორმო ვუწოდოთ?

...უნდა ვაღიაროთ, რომ სიტყვა „ბირველიწყაროს“, განსაკუთრებით შიამბეჭდავი ბირველი ნაწილი არც თუ ისე ზუსტად არის შერჩეული, ვინაიდან ეს დაზიანებული ფირფიტები ხომ მხოლოდ ასლებია, რომლებიც ჩვენს ურამდე სულ რაღაც კვასასი წლის წინ აშურბანიბალის... ბრძანებით დაუშვადლებათ სწავლულ მონებს დედანი ეს იყო მიუღი ათასი წლით უფრო ხნეირა... ამის ვაპო მათი წაკითხვა და გაგება აშურბანიბალის ვადამწერთათვის დაახლოებით ისევე იოლი, უფრო სწორად ისევე რთული იყო, როგორც ჩვენთვის კარლის დიდის ებოქის ზელნაწერის ვარსება. ამ საველ-გუჯარის ვაუმართავი, დიდი ხნის წინ მოძველებული ასოთა მოყვანადობა, რა თქმა უნდა, ძველი ვასარწევი იყო იმკამადვე. ამიტომ ვადაქრით ძველია იმის მტკიცება, რომ მასში დაცული აზრი ზედმეწეებით ზუსტად იქნა ვადმოცემული.

თუმცა ესეც არ ყოფილა დედანი, უფრო სწორად ნამდ-ვილი დედანი... ისიც ხომ ღმერთმა უწყის რა სიძველის ვუჯ-რიდან ვადმოწერათ. ამ უკანასკნელისთვის შეგვეძლეობდა ვაქწოდებინა დედანი, ისიც რომ თავის მხრივ აქრელებული არ ყოფილიყო ვაღაც ვადამწერის ხელით შესრულებული შენიშვნებითა და ვანმარტებებით, რაც ტექსტის უკეთ ვაგების სურვილით იყო ნაკარნახევი, სინამდვილეში ეს, როგორც ჩანს, ბირეით, ძველი ზელნაწერის სიბრძნის დამახინჯებული ვანახ-ლებას ემსახურებოდა. ეს ვაქვე შეგვეძლო უსასრულოდ ვაგ-ვევრძელებინა, იმედი რომ არ ვაქონდეს იმისა, რომ ჩვენი მსპერელისათვის უკვე ისედაც ნათელია, თუ რას ვვუღის-ხნობთ, როცა უძირო ორმოზე ვსაუბრობთ.

ტომას მანი, იოსები და ძმანი მისნი

## კველი ქართული მატინაეპის შესავლის ამთოლოლოგიური ასაქმტბი

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებს „ქართლის ცხოვრებას“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქართულ ისტორიოგრაფიაში უნიკალური ადგილი უკავია. მართალია, ქართული ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და დოკუმენტური ძეგლები ზოგჯერ უფრო ზუსტ და კონკრეტულ ცოდნას გვაძლევს საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, მაგრამ მათი მონაცემები ამ წყაროთა ტიპოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე თუნდაც მხოლოდ ინფორმაციული თვალსაზრისით, ვერ შეედრება ცოდნის იმ მოცულობას, რასაც ეს ორი ძეგლი, განსაკუთრებით კი „ქართლის ცხოვრება“ გვთავაზობს საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გარდა კონკრეტული ისტორიული ინფორმაციისა, რასაც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს და რასაც ჩვენ პირობითად ამ ძეგლის მატერიალურ მხარედ მოვიანზრებთ (ფაქტები, მოვლენები), არანაკლებ დირებულია მისი სულიერი ასპექტი ანუ მსოფლაღქმა, ყოველივე ის, რაც „ქართლის ცხოვრებას“ შუასაუკუნეებრივი, ჩვეულებრივი ქრონიკა-მატიანეებისგან განასხვავებს და მას ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების, მისი ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის ისტორიის მწყობრ სისტემად წარმოაჩენს.

„ქართლის ცხოვრების“ სულიერი ასპექტის კვლევისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს ძეგლში გადმოცემული ცალკეული ფაქტების სიზუსტეს. თუმცა ქვემოთ დავინახავთ, რომ მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური, თუ სხვა სახის აღწევებისდა მიუხედავად, „ქართლის ცხოვრების“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი — ვგულისხმობთ „მატიანე ქართლისამდელ“ ნაწილს — ნდობას იმსახურებს. როგორც ცნობილია, ადამიანებსა და საზოგადოებაზე გავლენას ახდენს არა ის, თუ ზუსტად რა და როგორ იყო წარსულში, ანუ არა საერთოდ რაღაც ზოგადი აღქმა ქვეშარიტი ყოფიერებისა, არამედ ის, თუ როგორ ახწავლეს მას ეს წარსული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარი აღქმა ყოფიერებისა ანუ თვითყოფიერება. ამ თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრება“, რომელიც, ერთის მხრივ, წარმოადგენდა ქართველი



ხალხის სულიერი განვითარებისა და სიმწიფის ნაყოფს, მეორე მხრივ უდიდეს ზეგავლენას ახდენდა შუასაუკუნეების ქართველი კაცის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, მის მიერ სამყაროში საკუთარი თავისა და მშობლიური ქვეყნის ადგილის გააზრებასა და დამკვიდრებაზე.

ქართველი ერის ცხოვრებაში „ქართლის ცხოვრების“ ასეთი დიდი მნიშვნელობის და გამო იყო, რომ ეს ისტორიული თხზულება ყოველთვის წარმოადგენდა ქართული მოაზროვნე საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს. მის გამრავლება-გადაწერაზე საგანგებოდ ზრუნავდა სამეფო ხალხი, ეკლესია თუ საერო ფეოდალები. ამ მიმართულებით სამეფო წელისუფლების საგანგებოდ ზრუნვის საუკუთესო მაგალითია ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი სპეციალური „სწავლულ კაცთა“ კომისიის საქმიანობაც, რომლის მიზანი „ქართლის ცხოვრების“ იმჟამად შემორჩენილი ნუსხების მოძიება, ტექსტის საბოლოო მეცნიერული გამართვა და ნაკლული ისტორიული პერიოდის (XIV-XVII სს) შევსება იყო.

ცნობილია, რომ ისტორიული ინფორმაცია არაფრისგან არ იქმნება. ყოველგვარ ინფორმაციას თავისი ემოციურ-აზროვნებითი და შესხიერებით-ისტორიული პლასტი აქვს. საჭიროა მხოლოდ უძველეს წყაროთა „ფენა-ფენა“ შესწავლა: ცალკეული ისტორიული მოვლენის გათავისუფლება შემდგომი დანაშრევისაგან. ასეთი მიდგომის შემთხვევაში ხშირად გარკვეული ისტორიული ინფორმაცია სინამდვილეში სრულიად სხვადასხვა ეპოქებში მომხდარი მსგავსი ფაქტების გვიანდელ გაერთიანებად წარმოჩნდება. ხანდახან კი ერთი მოვლენის ცალკეული ეპიზოდები შეიძლება დაშლილად და საუკუნეებში გაბნეულად იყოს მოცემული. ერთ ბიროვნებას, მეფეს, მხედართმთავარს შეიძლება მიეწეროს მისი ეპოქიდან დაშორებული მოვლენები, გამონათქვამები და სხვ. ერთი ბიროვნების სახელს, ჩაენაცვლოს მეორის სახელი, ერთ ტოპონიმს, ტომის, თუ ხალხის სახელწოდებას - მეორე; ერთმა ხალხმა შეიძლება თავისი თვითსახელწოდება დაპყრობილი ან დამპყრობი ხალხის თვითსახელწოდებით შეცვალოს. ასეთი სპეციფიურია და ხშირად პარადოქსულიც კი საზოგადოების ისტორიული შესხიერება. ყოველივე ეს კი, რა თქმა უნდა, აისახება იმ წერილობით წყაროებში, რომელსაც ესა თუ ის ხალხი გვიტოვებს.

მატიანეთა ასეთი „ფენა-ფენა“ შესწავლა შეიძლება ითქვას, მეთოდოლოგიური საფუძველია ქართული, სომხური, თუ სხვა

\* ჩვენს ხელთ არსებული ხუთი უძველესი, ვახტანგ მეექვსემდელი ნუსხიდან ორი ანა დედოფლისა და მარიამ დედოფლის ბრძანებითაა გადაწერილი.





ხალხების წინაანტიკური, ანტიკური თუ ადრე შუასაუკუნეების ისტორიასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესასწავლად.

ისტორიკოსები ზოგჯერ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ბერიოდის ამსახველ ცნობებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ ძველ სომხურ ანალოგიურ მატრიანეთა მონაცემებს, რადგან ეს მატრიანეები ქართულ მატრიანეებთან შედარებით ბევრად უფრო ადრეულ ხანაში შედგენილად ითვლება: სინამდვილეში, სომხურ მატრიანეებში დაცული ინფორმაცია თვისობრივად არაფრით განსხვავდება „ქართლის ცხოვრებასა“ თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ინფორმაციისაგან. ძველი სომხური მატრიანეები შეიცავენ იმდენ გვიანდელ ფენებს, თუ დანაშრეგებს, რომ, ფაქტობრივად, დღესაც საბოლოოდ არაა გარკვეული და მეცნიერთა შორის სადაოა, თუ რომელ საუკუნეში შეიქმნა „სომხური გეოგრაფია“, მოსე ხორენაცის, მოსე კალანკატუჯცის, თუ სხვა ძველ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებები.

ქართული მატრიანეების დათარიღებისას მსხვედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს, რომ ჩვეულებრივ, იმ შორეულ ეპოქაში ქართული ქრონიკები არ იქმნებოდა ერთიელ და სამუდამოდ. ისინი დროდადრო განიცდიდნენ რედაქტირებასა და შევსებას ცალკეული გადაამწერის თუ მომდევნო ქრონოგრაფის ხელში. ამდენად, მათი დაკავშირება გარკვეულ საუკუნესთან ან ამა თუ იმ კონკრეტულ ავტორთან, ფრიად გამძლეებულია. ჩვენი აზრით, ნაკლებად მნიშვნელოვანია ის, თუ რომელ საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ჯუანშერი ან ლეონტი მროველი ან კიდევ „ქართლის ცხოვრების“ რომელი მონაკვეთი ეკუთვნის მათ, მთავარია, რომელ საუკუნეებს განეკუთვნებიან ის ქრონიკები და, შესაბამისად, ის ინფორმაცია, რომლითაც ისინი სარგებლობენ. თვით მათი მოღვაწეობის დროის დადგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ტექსტში არსებული ანაქრონიზმებით, გვიანდელი პლასტებით და ჩანართებით, არამედ იმით, თუ რა ბერიოდს ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ამა თუ იმ თხზულების ბირთვი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე მუშაობისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

1. ქრონოლოგიურ საყრდენად არ უნდა გავიხადოთ ის მსოფლიო ისტორიული მოვლენები, რომლებთანაც „ქართლის ცხოვრება“ ცდილობს დააკავშიროს საქართველოს ისტორიის ამბები, ვინაიდან, ასეთი დაკავშირება, როგორც უკვე აღნიშნულია ჩვენს ისტორიო-გრაფიაში, უმრავლეს შემთხვევაში, მცდარია (121, 58).



2. თხზულებაში ქრონოლოგიურ საყრდენად ყოველთვის გამოდგება ისტორიულ ბირთა ტექსტში მოცემული ნათესაობის წარმოდგენა. გ. მელიქიშვილი თვლის, რომ „ქართლის ცხოვრების“ მითითებები დინასტიურ თუ ნათესაურ კავშირებზე ამ მატრიანის ერთ-ერთ ყველაზე სანდო საყრდენად უნდა იქნას მიჩნეული (121, 58), რაშიც ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილში ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები „მამა“, „მამის ძმისწული“, „მამის დისწული“, „დისწული“, „ძმისწული“, „ძმა“, „დედა“, „დედის დისწული“, „შვილი“ იხმარება როგორც კონკრეტული, ისე ფართო მნიშვნელობით, როდესაც „მამა“ ზოგადად წინაპარს - გვარის მამამთავარს, ხოლო „ძმისწული“ და „დისწული“ ნათესაობის გვერდით შტოებს აღნიშნავს. ორი თუ რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის უფალობა „ძმობა“ ან „შვილობა“ პირველ რიგში სისხლით ნათესაობის წარმომადგენლებს კი არა, ამ ერთეულთა თანაბარ ან ერთის მეორეზე დამოკიდებულ სტატუსსზე მიუთითებს. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ადგილი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან“: *„უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელ ყველა ვახტანგს მამის ძმის წულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა“* (145, 151). ამგვარად, მირიანი ვახტანგის მამის ძმისწულია იმიტომ, რომ მათი „მამები“ ანუ წინაპრები ბაკური და რევი ძმები იყვნენ; ასევე, „ქართლის ცხოვრების“ შესავალ გეოგრაფიულ ნაწილში რვა „ძმის“ სახით წარმოდგენილია ავტორის პერიოდში კავკასიაში არსებული მეტ-ნაკლებად თანაბარი სტატუსის მქონე პოლიტიკური ერთეულები, ხოლო „შვილები“ კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ პოლიტიკურ ერთეულებს ან ქვეყნის შიგნით ცალკეულ ადმინისტრაციულ-საგამგებლო ტერიტორიებს გამოხატავენ.

არ უნდა დაგვაიწიფდეს, რომ გარკვეულ პერიოდში (ჩვენი აზრით, ქართლში ფარნავაზიანთა მეფობის მთელ სივრცეზე) ქართლის სამეფო ტახტი ძირითადად გადადიოდა არა მამიდან შვილზე, არამედ სამეფო ოჯახში უფროს წევრზე (150, 000; 129, 81; 178, 222). მომდევნო ხანის მემატრიანეს კი ადრეულ ქრონიკებში ერთმანეთის შემდეგ ჩამოწერილი მეფეები თავის დროის შესაბამისად ყოველთვის მამა-შვილები ჰგონია; გარდა ამისა, ქვეყნის დაშლის ან სამეფოს გაყოფის შემთხვევებს, რასაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა საგარეო თუ საშინაო ფაქტორების შედეგად, მემატრიანე გულუბრყვილოდ „მამა“ მეფის მიერ „შვილებზე“ ქვეყნის ნებაყოფლობითი განაწილების სურათის სახით წარმოგვიდგენს. ასეთი „ძმე-



ბი“ ყოველთვის როდი არიან სინამდვილეში ძმები - ისინი სწორედ ფარნავაზიანთა დინასტიის გვერდით შტოებს წარმოადგენენ.

ამგვარად, ნათესაური კავშირების შესახებ საუბრისას აუცილებლად განსახილველია ყოველი ცალკეული შემთხვევა, რათა კონკრეტული მამა, ძმისწული და დისწული უბრალოდ გვერდითი შტოს (ქალის ან მამაკაცის ხაზით) წარმომადგენლებში არ ავრიოთ და პირიქით.

3. ძველ ქართულ მატრიანებში შეიმჩნევა ერთი ტენდენცია: ცალკეული გამოჩენილი პირების, მეფეებისა და სარდლებისაგან შექმნან ისტორიული სიმბოლოები. მათ მიეწერებათ სხვადასხვა, ზოგჯერ განსხვავებული ეპოქის ამბებიც კი. ამის საილუსტრაციოდ ბირველ რიგში აღექსანდრე მაკედონელი გამოდგება, რომლის ვითომდა ქართლში შემოსვლაში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გაერთიანებულია ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში სამხრეთიდან ქართლზე განსორციელებული რამდენიმე შემოსევა. ასეთივე პიროვნება-სიმბოლოა პერაკლე კეისარი, რომელსაც საკუთრივ მისი ქართლში ლაშქრობების ვარდა (627-628), VII ს-ის II ნახევარში მმართველ ბიზანტიელ იმპერატორთა ნამოქმედარიც მიეწერება (ნ. 7-9); ერისმთავარი არჩილი, რომელსაც, როგორც ვნახავთ, მემატრიანე ნაწილობრივ მეფე არჩილ II-სთან (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) აიგივებს ხოლო მეფე არჩილის ძმის შირის (მირდატი) სიძეს, ქართლის ერისმთავარ ჯუანშერ I-ს (დაახლ. 586-591 წწ.) VIII ს-ში ერისმთავარი არჩილის ხანაში მოღვაწედ წარმოგვიჩენს (იხილეთ აქვე თავი VII); ასევე შურვან ყრუ, რომლის პიროვნებაში გაერთიანდა VII-VIII სს-ში არაბთა სთვადახსება სარდლების გამანადგურებელი ლაშქრობები საქართველოში.

4. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მემატრიანე, რომელიც სწორად ძველ ქრონიკებს იყენებს თავისი თხზულების წყაროდ, წერის დროს ხანდახან უნებლიედ კუმშავს ეპოქას. ამის კარგი მაგალითია ფარსმან III-ის (II ს-ის 20-იან - 60-იანი წწ.) მეფობის შემდეგ ამაზასპის მის ძედ და მომდევნო მეფედ მიჩნევა, რის შედეგადაც ამოვარდა ქსეფარნუგი და ამაზასპის მამა ფარსმანი (იხილ. ქვემოთ); აგრეთვე, მემატრიანის მიერ სტეფანოზ II-ის და სტეფანოზ III-ის ერთ პიროვნებად გააზრება (140). ასე იკუმშება ეპოქა.

5. პირიქით შემთხვევასთანაც გვაქვს საქმე, როდესაც მეფეთა ერთიდაიგივე რიგი ორჯერაა მოცემული მაგ. მეფე ამაზასპის შემდეგ ჩამოთვლილია მეფეები: რევი, ვაჩე, ბაკური, მირდატი და ასფაგური, რომელთა შემდგომ მოცემული მეფეთა რიგი: რევი,

მირიანი, ბაკური, მირდატი და ვარაზ-ბაკური ბირველი ჩამოსწორებული ვალის შექანიკური გამეორებაა (იხ. აქვე გვ. 135-147).

6. შემატიანეები, თუ რედაქტორები, მათი მუშაობის მეთოდის მიხედვით, შეიძლება სამად გავყოთ. ბირველნი ცდილობენ სიტყვა-სიტყვით გაიშეორონ მათ წყაროში მოცემული ინფორმაცია და თავს უფლებას არ აძლევენ რაიმე შეცვალონ არსებულ ტექსტში; მეორენი ცდილობენ შეავსონ არსებული ინფორმაცია პარალელური ქრონიკებით ან თავიანთი ცოდნით (ამის ტიპური მაგალითია ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრებაში“ სიუჟეტი კვართის შესახებ, სადაც შემატიანე კვართთან მიმართებაში ორ, სხვადასხვა ქრონიკიდან აღებული განსხვავებულ ინფორმაციას ახამებს ისე, რომ ამ ფაქტთან კავშირში მოხსენიებული არცერთი მეფის სახელს არ კარგავს (იხ. ქვემოთ). შემატიანეთა შესამე კატეგორია საკუთარი ცოდნის შესაბამისად ცვლის ძველი მატრიანის იმ ინფორმაციას, რომელიც, მათი აზრით, ან დამახინჯებულია, ან საერთოდ მცდარია. ამის ტიპური მაგალითია ჩვენს მიერ ქვემოთ განხილული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა „ქალდეველთაგან დევნილ ჰონთა“ შესახებ.

7. „ქართლის ცხოვრებაში“ ირანული სამყარო (შეფუთა სახელები წარმოდგენილია როგორც ძველი, ისე ახალი ირანული ენებისის ფორმებით (15, 149). რაც ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის, ანუ ამჟამად ბირობითად „შეფუთა ცხოვრებისა“ და „ვანტანგ ვორგასლის ცხოვრების“ სახელით ცნობილი თხზულებების XI ს-ით დათარიღებისათვის. ასეთ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრონიკებმა, სანამ ისინი მოხვდებოდნენ „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲში“, ხოლო შემდგომ თვით ამ კრებულებმა გაიარეს მრავალი რედაქტორ-გადამწერის ხელში. ზოგი მათგანი, ტექსტის თავისი დროისათვის უფრო გასაგებად გადაქცევის მიზნით ცვლიდა ძველ ტოპონიმებს, ეთნიკურ და ბირთა სახელებს მის ეპოქაში უფრო გავრცელებული ფორმებით, რიგ შემთხვევაში შემატიანე ან გვიანდელი რედაქტორი ძველ ტოპონიმსაც ტოვებს და მას ახალი სახელწოდებით განმარტავს, მაგრამ ამგვარად იქცევა ის ძირითადად გეოგრაფიულ სახელებთან მიმართებაში. რაც შეეხება ბირთა და ეთნიკურ სახელებს, ის უბრალოდ ცვლის მისთვის უცნობ ნაღონთა სახელებს იმავე ტერიტორიაზე მის პერიოდში მცხოვრები ნაღონის (სახელ)-წოდებით, ძველ მიდიურ-ირანული სამყაროსა და ეპოსის მომქმედ პერსონაჟთა სახელებს კი ირანული ენის ცვლილების საფუძველზე მიღებული იმავე სახელების მის პერიოდში გავრცელებული ფონეტიკური შესატყვისობებით. ასე მივიღეთ სკვითების, კიმირიელე-



ბის, აღანუბისა და ჰუნების ნაცვლად „ხაზარები“ და „ოვსები“, ხაზარების ნაცვლად ბაქანიკები, თურქთა ნაცვლად ყივჩაღები, ქალღაპრების ნაცვლად ასურელები და ა. შ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრებას“ გააჩნია ყველა ის ღირსება და ნაკლი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია შუასაუკუნეებრივი, განსაკუთრებით, ადრეშუასაუკუნეებრივი ისტორიოგრაფიისათვის.

მიუხედავად ამისა, „ქართლის ცხოვრებისადმი“ დამოკიდებულება დიდხანს იყო გაუმართლებლად პიბერკრიტიკული, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე არქაულ, „მატიანე ქართლისამდელ“ ნაწილს. საერთოდ, „ქართლის ცხოვრებასთან“ დამოკიდებულების მიხედვით ისტორიოგრაფიაში შეიძლება სამი ეტაპი გამოვყოთ: 1. რომელსაც ჩვენ პირობითად ნდობის ხანას ვუწოდებთ, 2. უნდობლობის პერიოდი, უფრო ზუსტად პიბერკრიტიკული ხანა და 3. ამჟამინდელი ეტაპი, რომელსაც ჩვენ ნდობის აღდგენის ხანას ვუწოდებთ.

პირველი პერიოდი უდაოდ ვახუშტი ბაგრატიონით იწყება. თავის „აღწერაჲ სამეფოსა საქართველოსაში“ ავტორი მთლიანად ეყრდნობა „ქართლის ცხოვრებას“ და გარკვეული კრიტიკისდა მიუხედავად, ძირითადად ეს ეხება ქრონოლოგიას, მის ხანდობაში ექვსი არ შეაქვს (30, 4-5). ვახუშტის დამოკიდებულებას „ქართლის ცხოვრებისადმი“ იზიარებს და აგრძელებს თეიმურაზ ბაგრატიონი (31)

XIX საუკუნის როგორც ევროპელი, ისე ქართველი ისტორიკოსების უდიდესი ნაწილი ნდობით მოუკიდა (თუმცა არა უკრიტიკოდ) „ქართლის ცხოვრების“ „მატიანე ქართლისამდელი“ ნაწილის ცნობებს. ამ პლედარის ევროპელი ისტორიკოსების დამოკიდებულებას „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილისადმი მშვენივრად ასახავს დიდი ფრანგი ორიენტალისტის ვივიენ სენ-მარტენის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ისტორიის ამსახველი ინფორმაცია არა ნაკლებ ავტორიტეტსა და ნდობას იმსახურებს, ვიდრე ჰეროდოტეს და ტიტუს ლივიუსის თხზულებებში დაცული ვადმოცემები“ (248, 53-54).

„ქართლის ცხოვრების“ უძველეს, „მატიანე ქართლისამდელ“ ნაწილს ხანდო წყაროდ მიიჩნევდა დ. ბაქრაძე. მასვე აქვს გამოთქმული საინტერესო თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრების“ როგორც საისტორიო კრებულის სტრუქტურის შესახებ: „მოძეტე-ბული ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“ შირიანის მეფის დროდამ ითქმის თავ-თავის დროს იწერებოდა, ამას ადგილ-ადგილ



„ქართლის ცხოვრებაზე“ გვიჩვენებს. ზოგიერთთა ექვი შეპქონდათ შეპქეთ კიდეც „ქართლის ცხოვრებაზე“ იმ გარემოებათა გამოცა, რომ „ქართლის ცხოვრება“ არ იხსენიებს, რომელი მოთხრობა როდის და ვისგან არისო შედგენილი (აქ იგულისხმება კ. პატკანოვი, რომლის თვალსაზრისსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ მ. ს). ეს მართალია, მაგრამ უმთავრესი ამისა მიზეზი, რომლის განხილვაში არავინ შესულა, იმით აიხსნება, რომ „ქართლის ცხოვრება“ შეადგენდა სხვადასხვა ვრცელთა კერძო ხრონიკათაგან შემოკლებით გამოწერს საზოგადო საკითხავ წიგნს... მხოლოდ ორი სამი შემთხვევა ვიცით, როდესაც „ქართლის ცხოვრება“ მთიხსენიებს ავტორებს“. აქ დ. ბაქრაძე ჩამოთვლის ჯუანშერ ჯუანშერიანს, ლეონტი მროველს, იოანე დეკანოზს, სუმბატ დავითის ძეს და აღნიშნავს: „რა ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებაში“ ანუ მროველს, ანუ ჯუანშერს, ანუ იოანე დეკანოზს - არ ვიცით. არ ვიცოდით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგან იმაზე მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი ძველის აკადემიის ვარიანტში, მაგრამ, როდესაც მარიამ დედოფლის ვარიანტი გამოვხსნივეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ქრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში .... და სხვა დედნებში კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული“ (39, 55). „ქართლის ცხოვრებისადმი“ როგორც ისტორიული მატრიანისადმი ნდობის მიუხედავად დ. ბაქრაძე სულაც არ ღებულობს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს უკრიტიკოდ. მაგ. „ნიწოს ცხოვრებაში“ რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის სპარსელებთან ბრძოლის ფაქტს როცა ენება, ის აღნიშნავს: „ოქმულება სპარსთა მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუეა: ჯვრის ძალით სძლია კონსტანტინემ თავის მტერს 312 წ., მაგრამ ის იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფე“ (39, 142).

ასევე ნდობით ეკიდება „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს XIX ს-ის II ნახევრის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი სულხან ბარათოვი (ბარათაშვილი), რომელიც ადარებს რა საქართველოსა და კავკასიის ისტორიის უძველეს ხანასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების“, ძველ აღმოსავლურ წყაროთა თუ ანტიკურ მწერალთა მონაცემებს, მრავალ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს (192).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარი ბროსეს დამსახურება „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული კვლევის საქმეში. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე მ. ბროსემ შექმნა საკუთარი ნუსხა, რომელიც შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ მის წელთ არსებული ნუსხების ინფორმაციული თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულ და გაჯერებულ ვარიანტს. სამწუხაროდ,



ბროსეს ხელთ არ შექონდა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის  
 რედაქციამდელი, მათ შორის მარიაამისეული და ანასეული ნუსხები.  
 მიუხედავად ამისა, მან დამაჯერებლად წარმოაჩინა „ქართლის  
 ცხოვრების“ როგორც მატიანის არსებობა ვახტანგ VI-ის წინა ხანაში.  
 აჩვენა, რომ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენდა  
 ძველი ტექსტის მხოლოდ შევსებულ და რედაქტირებულ ვარიანტს.  
 მ. ბროსემ თარგმნა „ქართლის ცხოვრება“ ფრანგულ ენაზე, რითაც  
 ქართული ისტორიოგრაფიისა და საერთოდ ქართული კულტურის ეს  
 უმნიშვნელოვანესი ძეგლი ევროპელი მეცნიერებისთვის ხელმისაწ-  
 ვდომი გახადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის კომენტარები,  
 რომლებიც მ. ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული და პარა-  
 ლელური ქართული ტექსტის გამოცემას დაურთო. კომენტარებში  
 მშვენივრად ჩანს საქართველოს ისტორიის საკითხების გააზრებისას  
 „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციისადმი მიხედილი მიდგომა კერ-  
 ძოდ, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების დასავლური (ბერძნულ-  
 რომაული და ბიზანტიური), თუ აღმოსავლური (სომხური, არაბული,  
 სპარსულ-თურქული) წყაროების ცნობებით შეჯერება-შევისება. ამავე  
 დროს მკვლევარი ყოველთვის როდი ანიჭებს უპირატესობას საკვლევ  
 ეპოქასთან ქრონოლოგიურად უფრო ახლოს მდგომ უცხოურ წყაროს  
 მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ვითომდა „ქართლის ცხოვრების“ ინფორ-  
 მაცია არათანადროულია - გვიანდელია. მაგ. პროკოპი კესარიელის  
 მიერ იბერიის მეფედ სახელდებულ გურგენს, იმისდა მიუხედავად,  
 რომ პროკოპი აღნიშნული მოვლენების თანამედროვეა. მ. ბროსე  
 სულაც არ მიიჩნევს ქართლის მეფედ და „ქართლის ცხოვრების“  
 მეფეთა რიგს უფრო სწორად თვლის (54, 71).

„ქართლის ცხოვრების“ როგორც წყაროს მიმართ დამოკიდე-  
 ბულების საკითხში ჰიპოკრიტიკულ, უნდობლობით-უარყოფელ  
 ხანას სათავე დაუდო XIX ს-ის მეორე ნახევრის ცნობილმა სომეხმა  
 მკვლევარმა კ. ბატკანოვმა. მეცნიერმა „ქართლის ცხოვრება“  
 ვახტანგ VI-ის პერიოდში შექმნილ ძეგლად მიიჩნია, რომლის ბირთვი  
 ვითომდა შეადგინა XIII ს-ის „ქართლის ცხოვრების“ სომხურმა თარგ-  
 მანმა. თვით ეს სომხური თარგმანი მეცნიერს ქართულიდან თარგ-  
 მნილად მიაჩნია, კერძოდ, იმ მატიანიდან, რომელიც, მისი აზრით,  
 დაუწერია XI ს. „უვიც ბერს“. ესეც არაფერი, XI ს. ავტორსაც  
 შეეძლო, ადრეულ ქრონიკებზე დაყრდნობით ან მათი შექანიკური  
 გადაბმით, სრულიად რეალური ისტორიული პერსპექტივის აღდგენა,  
 მაგრამ კ. ბატკანოვმა ყურადღების ღირსი ვერაფერი შენიშნა  
 ქართული მატიანის ამ უძველესი ინფორმაციის შემცველ ნაწილში  
 და ის არა მარტო XI ს. გაუნათლებელი სომეხი ბერის დაწერილად,



არამედ ყოველგვარ რეალურ წყაროებს მოკლებულად და, მხოლოდ ამ ბერის ფანტაზიის ნაყოფად გამოაცხადა: „Все известия в первой части Хроники изложены так неопределенно и в таких общих выражениях, что читатель не замечает в них ни одного намека на современные автору факты" (228, 213, 239-243) და ა. შ. სრულიად სხვანაირად ეპყრობა კ. პატკანოვი ძველ სომხურ წყაროებს. როდესაც ის სენ-მარტენს ანონიმური სომხური „გეოგრაფიის“ X ს-ით დათარიღების გამო აკრიტიკებს (თვითონ ტექსტს VII ს-ად მიიჩნევს), აღნიშნავს: „Текст, подвергнутый Сен-Мартеном столь строгой критике, действительно полон ошибок, искажений и вставок.. Что касается последних, то каждый переписчик мог делать объяснения и толкования нужные по его мнению для его современников. Таких вставок и искажений, сделанных в средние века не избегло и географическое творение Птоломея. Их было даже так много, что многие ученые одно время считали невозможным восстановить первоначальный текст. Если по этим вставкам судить об оригинальном тексте, то можно весьма древнюю книгу разжаловать в новую, и автора его назвать самозванцем и обманщиком" (227, 5).

ამ ფონზე სამწუხაროა, რომ კ. პატკანოვი, რომელიც XIX ს. II ნახევრის უდაოდ ნიჭიერი ისტორიკოსია, ასეთ არაობიექტურობას იჩენს „ქართლის ცხოვრების“ მიმართ, თუმიცა ისტორიკოსს, როგორც ზემოთ ვნახეთ, როდესაც საკითხი სომხური ისტორიული წყაროს (ამ შემთხვევაში გეოგრაფიული თხზულების) დათარიღების საკითხს ეხება, მშვენივრად ესმის ძველ შუასაუკუნოვან ტექსტებთან მუშაობის მთელი სირთულე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილისადმი („მატიანე ქართლისამდელი“ ნაწილი) მომდინარეობს ივ. ჯავახიშვილისაგან. ივ. ჯავახიშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის შეფასება კატეგორიულად უარყოფითია: „წყაროები, რომელიც ლეონტი მროველს მოხსენიებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას არიან მოკლებული. ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის ანლა თითქმის სრულებით გამოუდევარია“ (180, 187).

მიუხედავად ასეთი თვალსაზრისისა, ივ. ჯავახიშვილმა დიდი მუშაობა გასწია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის მიმართულებით. ის შეეცადა გამოეყო მატიანეში დამოუკიდებელი თხზულებები და განესაზღვრა მათი შექმნის დრო ( XI ს.). რა თქმა უნდა, „ქართლის ცხოვრების“ მისეული დაყოფა პირობითია, მაგრამ ის ამკამად





საკოველოთოდ გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. პირველად ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია „ქართლის ცხოვრების“ შექმნის დ. ბაქრაძისეული გააზრება. ჩვენი შეხედულებები „ქართლის ცხოვრების“ აღნაგობისა და შედგენის შესახებ ქვემოთ უფრო დავწვრილებით გვექნება განხილული. „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის ისტორიული ინფორმაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისდა მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილი მას ძვირფას წყაროდ მიიჩნევდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით: „დიდი მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულებას საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის. იქ ამისათვის ძვირფასი ცნობები მოიპოვება, საქართველოს სხვადასხვა თემისა და სამთავროს საზღვრებისათვის. ლეონტი მროველს, უეჭველია, რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონდა. ეს იმითი შტეიცდება, რომ ზოგან საზღვრების აღნიშვნის დროს, მას ისეთი საგეოგრაფიო სახელი აქვს ხოლმე მოხსენიებული, რომელიც მის დროს აღარ არსებობდა და მკითხველისათვის გაუგებარი იყო, ამიტომ იგი იძულებული იყო იქვე ამ სახელების განმარტება დაერო“ (180, 187).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი წარმატების შემდეგ, დიდი ქართველი ისტორიკოსი მზად იყო გადაესხინჯა თავისი დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილისადმი. ამას მოწმობს მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი „ქალაქ მცხეთის ისტორიისათვის“, რომელიც ამკარად ხდის მის გაზრდილ ნდობას აღნიშნული მატეიანისადმი (177, 453-460).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ისტორიკოსთა უმეტესობამ მნიშვნელოვანწილად გაიზიარა ივ. ჯავახიშვილის პიბერკრიტიკული დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილისადმი, ზოგიერთი ისტორიკოსი მაინც მეტი ნდობით ეკიდებოდა ამ საისტორიო ძეგლს. ამ ისტორიკოსთა შორის უპირველეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ პ. ინგოროყვა. მკვლევარმა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების ანალიზისას ბევრი საინტერესო მასალა წარმოაჩინა, რამაც საშუალება მისცა მას ლეონტი მროველი VIII ს-ის ისტორიკოსად მიეჩნია (87, 93-152).

ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვსვამთ საკითხს ლეონტი მროველის მოღვაწეობის ეპოქის დაზუსტების შესახებ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამის ვარკვევა უმთავრეს ამოცანად არ მიგვაჩნია. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილს, უფრო ზუსტად,



თსულების ნაწილს სტეფანოს I-ის ერისმთავრობის ხანის ჩათვლით თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული შესავლით, ის ჩვენ უცილობლად VII-VIII სს-ის მიჯნაზე (არა უგვიანეს VIII ს-ის I ნახევრისა) შექმნილად მიგვაჩნია (138, 100-112). თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შემატანეს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხელთ პქონდა ბევრად უფრო ადრეული ხანის ქრონიკები.

ცხადია, VII-VIII ს-ის შემატანის მიერ შექმნილი თსულება ჩვენამდე ბირვანდელი სახით არ მოსულა: ის შემდგომ საუკუნეებში - IX, X, XI - განიცდიდა შევსება-გადაკეთება-რედაქტირებას. აი, ასეთი პერმანენტული შევსება-რედაქტირების პროცესს არ ითვალისწინებენ „ქართლის ცხოვრებისადმი“ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების გამწიარებლები, რასაც, როგორც ვნახეთ, სრულიად მართებულად ითვალისწინებს კ. პატკანოვი, როდესაც ის ძველ სომხურ წყაროებზე მსჯელობს.

„ქართლის ცხოვრების“ შევსება-რედაქტირების პროცესი არც შემდგომ საუკუნეებში შეჩერებულა. მაგ. სუმატ დავითის ძის თსულებას „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა უმრავლესობა, დაშლილად და „მატიანე ქართლისაში“ გაბნეულად შეიცავს. როგორც დ. ბაქრაძემ აღნიშნა, „ქართლის ცხოვრების“ მარიაპისეულ ნუსხას ჩვენამდე რომ არ მოედწია, მაშინ ჩვენ სუმატ დავითის ძეზე როგორც ავტორზე და მის თსულებასზე როგორც ერთიან ქრონიკაზე წარმოდგენა არ გვექნებოდა. თუმცა, „მატიანე ქართლისაჲსთან“ შერწყმული მისი ინფორმაცია შთაბრძნავლობისთვის დაკარგული არ იქნებოდა.

ამ მაგალითიდან კარგად ჩანს შეახაუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნება და მისი პრიორიტეტები. შეახაუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიისთვის მთავარი იყო ამა თუ იმ ქრონიკაში მოცემული ისტორიული ინფორმაციის შენარჩუნება. ამ ქრონიკათა ავტორების თუ მათი თსულების შესახებ ცნობების შემონახვას ბევრად ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამიტომაც შეეწირა ცალკეულ ქრონიკათა გადაბმას ამ საისტორიო თსულებათა სათაურები და ცნობები მათ ავტორთა შესახებ, რომლებიც ამ ნაწარმოებთა თავში, ან ბოლოში იყო მოცემული. ამ მხრივ რამდენიმე გამონაკლისი მთლიან სურათს ვერ ცვლის.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტებზე მუშაობის მეთოდი არც XI ს-ის შემდგომ, მთელი შეახაუკუნეების სივრძეზე არ შეცვლილა. ამ მხრივ არც ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით „სწავლულ კაცთა“ მიერ შესრულებული სამუშაო გამოირჩევა. უფრო მეტიც, ისეთი დიდი მეცნიერიც კი, როგორიც იყო ვახუშტი ბაგრატიონი,

საქართველოს  
 ეროვნული ბიბლიოთეკა  
 თბილისი  
 2017 წელი  
 ბიბლიოთეკის



რომელმაც, უდაოდ, ახალი ერა შექმნა საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის კვლევის საქმეში, ბოლომდე მაინც ვერ გათავისუფლდა შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი აზროვნებისაგან. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ტოპონიმების ეტიმოლოგიის საკითხში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით პრინციპი ისტორიული თხზულების იმ ქვეყნის თუ რეგიონის გეოგრაფიული აღწერით დაწყებისა, რომლის ისტორიის გადმოცემაც ავტორს აქვს განზრახული, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციიდან, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობს. ვახუშტი ბაგრატიონი სწორად საყვედურობს ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას ქრონოლოგიის უგულებელყოფას და თავად ცდილობს ამ ხარვეზის შევსებას. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ამ ხარვეზს კარგად ამჩნევდნენ ჩვენი წინაბრძენნიც. საქართველოს ისტორიის ფაქტების მსოფლიო ისტორიის მოვლენებთან მისადაგება, რაც საკმაოდ ხშირია „ქართლის ცხოვრებაში“, შემატანიეთა მიერ სწორედ ამ ხარვეზის შევსების მიზნით კეთდებოდა. ასეთი ქრონოლოგიური გამართვა საქართველოს ისტორიაში განიცადა ჯერ „ქართლის ცხოვრების“ შექმნისას - VII-VIII სს., ხოლო შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ შექმნებ-რედაქტორის ხელში - XI ს., რის შედეგადაც მივიღეთ საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ორი განსხვავებული გაანზრება: 1. რომელიც ძველი და ახალი ერების მიჯნის ქართლის მეფედ არმაზელს მიიჩნევს (დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“) და 2. რომელიც უკვე იმავე ძველი და ახალი ერების მიჯნაზე მეფედ ადურკს/არდოკს გვთავაზობს ( იხ. ქვემოთ).

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მოპოვებულ ბერძნულ-არამეულ ეპიგრაფიკულ წარწერებში მოხსენიებულ ქართლის მეფეთა სახელებმა დაადასტურეს „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებულ ქართლის უძველეს მეფეთა რეალურობა და მეცნიერები „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციისადმი მეტი ნდობით განაწიეს. არმაზში აღმოჩენილ არამეულ წარწერათა საფუძველზე, გამოჩენილმა ქართველმა სემიტოლოგმა გ. წერეთელმა აღნიშნა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ინფორმაციისადმი გაბატონებული სუბერკრიტიკული დამოკიდებულების უსაფუძვლობა (163, 47). როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში „ქართლის ცხოვრებისადმი“ თვით ამ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების ფუძემდებელი ივ. ჯავახიშვილი სიციცხლის ბოლოს იმავე არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე აშკარად იწყებს „ქართლის ცხოვრების“ ამ უძველესი ნაწილისადმი თავისი

დამოკიდებულების გადააზრებას, რაც, სამწუხაროდ, მას აღარ მოეწონებოდა.

„ქართლის ცხოვრებისადმი“ დამოკიდებულებაში ნდობის აღდგენა და, შესაბამისად, მისი შესწავლის ახალი ერა, შეიძლება ითქვას, გ. მელიქიშვილის შრომებით იწყება. ის პირველია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რომელიც თამამად იყენებს ქართულ მატრიანეთა მონაცემებს საქართველოსა და ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის კვლევა-რეკონსტრუქციისას. „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ინფორმაციის წარმომავლობის კვლევის მიმართულებით დიდი მუშაობა გასწია გ. მამულიამ.

„ქართლის ცხოვრებისადმი“ ნდობის აღდგენის საქმეში მნიშვნელოვანია ვ. გილიაძის წვლილი. მან, როგორც ცნობილია, დიდი შრომა გასწია როგორც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობისა და მისი ეპოქის, ისე საკუთრივ აღნიშნული ისტორიული თხზულების ახლებურად გააზრების მიმართულებით.

ნდობის პოზიციიდან განიხილავს „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციას მ. ლორთქიფანიძე, რომელიც თავის შრომებში საგანგებო ყურადღებას უთმობს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მატრიანეში დაცულ ცნობებს, აგრეთვე ს. ალექსიძე, ვ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი და სხვ.

ამჟამად „ქართლის ცხოვრების“ უძველესი „მატიანე ქართლისამდელი“ ნაწილისადმი უნდობლობა, შეიძლება ითქვას, ძირითადად დაძლეულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში. ასეთი განწყობილების საუკეთესო ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს ვ. კოვალევსკაიას სიტყვები, რომლითაც მკვლევარი „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილისადმი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს: „Нашей рабочей гипотезой будет полное доверие источнику, а методом анализа - доказательство с помощью всей суммы источников: что сведения, которыми располагал Леонти Мровели ....позволили ему нарисовать целостную и непротиворечивую картину взаимоотношений закавказских племен со скифами, сарматами, северокавказскими горцами, Мидией и Ахеменидским Ираном.

Рассмотрение указанного отрывка во всей его полноте и последовательности на фоне всех событий, известных в настоящее время по ассиро-вавилонским, библейским и античным свидетельствам, позволяют внести необходимые хронологические вехи в повествовании Леонтия Мровели“ (205, 64).



„ქართლის ცხოვრებისადმი“ დამოკიდებულების შეცვლა კვალდაკვალ უცხოურ ისტორიოგრაფიაში გაცხოველდა ინტერესი ამ საისტორიო კრებულისადმი. 70-იან-80-იან წლებში ქართველმა ისტორიკოსებმა ბევრი გააკეთეს „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ნაწილების რუსულად თარგმნის თვალსაზრისით (218; 223; 209; 199). 1985 წ. „ქართლის ცხოვრება“ ითარგმნა გერმანულად (242). 1996 წ. გამოვიდა მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული ტომსონის ინგლისური თარგმანი (249). უკანასკნელი ხანის უცხოელ ავტორთაგან, რომლებმაც მნიშვნელოვანი შრომა უძღვნეს ქართულ საისტორიო წყაროებში და მათ შორის „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ინფორმაციის კვლევას, უნდა დავასახელოთ სტეფან რეპი (247)

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მიუხედავად „ქართლის ცხოვრებისადმი“ ქართული ისტორიოგრაფიის გარკვეულ პერიოდში გაბატონებული ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულებისა, იმ პერიოდშიც და შემდგომაც ჩატარებულია უზარმაზარი მოცულობის სამუშაო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის თუ ამ ძეგლთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების კვლევის მიმართულებით. როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრების“ ბირველი გამოცემა ეკუთვნის მ. ბროსეს (55). მანვე თარგმნა აღნიშნული ძეგლი ფრანგულად (240). „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დადგენის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგამდელი ნუსხების აღმოჩენასა და გამოცემას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო მარიამ დედოფლისეული ნუსხის გამოცემა, რომელიც 1906 წ. განახორციელა ე. თაყაიშვილმა (85), „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა 1942 წ. „ქართლის ცხოვრების“ XII ს-ის შუა წლებით დათარიღებული ძველი სომხური თარგმანი, სომხური ტექსტით, ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ი. აბულაძემ 1953 წ. (147). „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამოცემაში ეპოქალური მოვლენა იყო „ქართლის ცხოვრების“ ორ ტომად გამოცემა, რომელიც ყველა ძირითად ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილმა განახორციელა 1955 და 1959 წწ-ში (145; 146). ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაც ამ გამოცემას

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი სომხურად ბირველად 1884 წ. გამოქვეყნდა ვენეციაში (258), თუმცა მისი ფრანგული თარგმანი მ. ბროსემ ჯერ კიდევ 1851 წ. გამოსცა (241\*). ამ ბოლო ხანებში „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი „ქართლის ცხოვრების“ ქართულ ტექსტთან ერთად ინგლისურად თარგმნა და გამოსცა რ. ტომსონმა (249)



თანამედროვე ხანასთან აშორებს, ფაქტია, მეცნიერებმა არა ერთ-ერთად დიადგინეს და დააზუსტეს ტექსტში. მნიშვნელოვანი შესწორებები შეტანილ იქნა პუნქტუაციაში, რაც რიგ შემთხვევებში საგრძნობლად ცვლის ტექსტის შინაარსს. ყოველივე ამან განაპირობა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ახალი გამოცემის საქიროება. „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემა განაზოცულებს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა 1996 წ. (148). ეს გამოცემა, ტექსტის გაგების თვალსაზრისით, შეიცავს მთელ რიგ მნიშვნელოვან და პრინციპულ შესწორებებს. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწავლის საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია ლექსიკონის I და II ტომების გამოცემა (148\*)

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი იყო ბირველი, ვინც შეეცადა „ქართლის ცხოვრებაში“ ცალკეული თხზულებების გამოყოფას, მათი შექმნის დროისა და მათ ავტორთა მოღვაწეობის ხანის დადგენას. შემდგომ ამ საკითხს არაერთი ქართველი ისტორიკოსი თუ ფილოლოგი შეუხო: ნ. ბურძენიშვილი (46; 47), ს. ჯანაშია (174), ნ. ჯანაშია (184), პ. ინგოროყვა (87; 89; 92), კ. კეკელიძე (100; 101; 102; 103; 104), ს. კაკაბაძე (93; 94; 95; 96; 97; 98), ს. ყაუხჩიშვილი (145; 146), გ. მელიქიშვილი (121; 122; 118), მ. ლორთქიფანიძე (109; 110; 218), გ. შამუღია (111; 112; 115; 116), გ. წულგაია (199), ა. ბოგვერაძე (49; 50), ზ. ალექსიძე (11; 12), ნ. შოშიაშვილი (155; 238; 148), შ. ბადრიძემ (33; 34), დ. მუსხელიშვილი (127), ედ. სოშტარია-ბროსე (172; 173; 174; 175; 176), ი. ანთელავა (16; 148), გ. ანჩაბაძე (17), ალ. აბდალაძე (6; 7), მ. ჩხარტიშვილი (157; 158; 159), ა. ბოცვაძე (52) ...

„ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორულ წყაროებს სპეციალური ნაშრომი უძღვნა გ. ახვლედიანიშა (27). „ქართლის ცხოვრების“ უძველესი, „მატიანე ქართლისამდელი“ ნაწილი მონოგრაფიულად შეისწავლა გ. არაჩაშიამ. „ქართლის ცხოვრებისადმი“ მიძღვნილ თავის სტატიებსა და სადოქტორო დისერტაციაში მკვლევარმა არაერთი საინტერესო თვალსაზრისი გამოთქვა თხზულების ტექსტის რიგი ადგილების თუ მასში მოცემული ინფორმაციის სწორად გააზრების მიმართულებით. დისერტაციაშივე ძირითადად სრულადაა ასახული „ქართლის ცხოვრების“ ირვგლივ არსებული ქართული და რუსულენოვანი ისტორიოგრაფიაც (18; 19; 20; 21; 22). „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის, „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ურთიერთმიმართებისა და ამ ისტორიული თხზულებების შექმნის დროისა და ავტორთა ვინაობის კვლევას საინტერესო შრომები მიუძღვნა ე. აბაშიძემ (4; 5). ამ მხრივ გარკვეული წვლილი ჩვენს მივიძღვის (134; 135; 136; 138).

„ქართლის ცხოვრებისადმი“ ისტორიკოსთა ასეთი ყურადღების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ თხზულებაში შემონახული ისტორიული ცნობების სტრუქტურული ანალიზის მიმართულებით, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. სტრუქტურულ ანალიზში ჩვენ ვგულისხმობთ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის სრულ დაშლას კონკრეტული ისტორიული ინფორმაციის შემცველ ელემენტებად და თითოეული მათგანის წარმომავლობის, მატრიანეში მათი მოთავსების დროისა და სანდოობა-არასანდოობის დადგენას. ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ გ. მელიქიშვილის სიტყვები: „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენილობის, მისი ცალკეული ნაწილებისა და ქრონოლოგიური ფენების გამოყოფის, ამ თხზულებათა ავტორობისა და დათარიღების საკითხები მეტად რთულია და საბოლოო ჯამში თვით ტექსტის გულდასმით შესწავლის, მისი ისტორიულ-ლიტერატურული, ენობრივი და სტილისტური ანალიზის გზით უნდა გადაწყდეს. ამ მხრივ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ძალზე ცოტა რამ არის გაკეთებული და გადაწყვეტი სიტყვის თქმა მომავალ კვლევა-ძიებას მართებს“ (118, 50). წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგების წარმომჩენას ისახავს მიზნად.

წიგნის შესავალ ნაწილში ჩვენი მიზანი არ იყო „ქართლის ცხოვრების“ როგორც ისტორიული წყაროს ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიის ზედმიწევნითი განხილვა, რაც თვალსაზრისების მრავალფეროვნებისა და საკითხის ირგვლივ არსებულ გამოკვლევათა სიმრავლის გამო თავისთავად ცალკე შრომის საგანი შეიძლება გახდეს. ჩვენ მხოლოდ ვაჩვენეთ „ქართლის ცხოვრების“ როგორც ისტორიული წყაროსადმი დამოკიდებულებისა და მიდგომის ცვალებადობა ისტორიულ ქრილში და გავაშუქეთ ამ მიმართულებით ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები.

ქვემოთ, შესაბამის თავებში, შევეცდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲსას“ (ვგულისხმობთ მის ისტორიულ ქრონიკას) და „ქართლის ცხოვრებაში“ (ვგულისხმობთ მის არქაულ, „მატიანე ქართლისამდელ“ ნაწილს) დაცული ცალკეული ისტორიული ინფორმაციისა თუ ინფორმაციათა ბლოკის ყოველმხრივ შესწავლა-განხილვას, აგრეთვე, სხვა ქართულ თუ არაქართულ წყაროებთან შებინძირებით ამ ინფორმაციის წარმომავლობის, სანდოობისა და ინფორმაციაში დაცული ისტორიული ფაქტის თუ ფაქტების ქრონოლოგიური კუთვნილების დადგენას; ქრონოლოგიური თუ სხვა სახის აღრევების შემთხვევაში შეძლებისდაგვარად, ამ აღრევათა მიზეზების წარმომჩენას და ისტორიული მოვლენების სწორი მსვლელობის

აღდგენას. ნაშრომში ჩვენ ვიკვლევთ და გამოვეყოფთ წყაროებს (ქრონიკები, „ცხოვრებები“), რომლებსაც ეყრდნობა „ქართლის ცხოვრება“ თავის უძველეს, „მატიანე ქართლისამდელ“ ნაწილში. აღნიშნული საკითხების კვალდაკვალ გადმოვცემთ ჩვენს თვალსაზრისს „ქართლის ცხოვრების“ როგორც მატიანის შედგენის ეპოქის, მისი შევსება-გაგრძელების ხანისა და ავტორთა თუ შემსვებრედაქტორთა მოღვაწეობის დროის შესახებ. ნაშრომში განხილულია „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ძირითადად მოიცავენ ქართლის ისტორიის წარმართულ, წინაქრისტიანულ ხანას, ანუ პერიოდს, რომელსაც პირობითად შევიძლება ვუწოდოთ ეპოქა „ქართლოსიდან ძირიანამდე“.

## თავი I

### ქართული ხალხისა და ქართული სახელმწიფოს გენეზისის საკითხი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდელი ქართლის ისტორიის ამსახველი ინფორმაცია ანუ ისტორიული მოვლენები, რომლებსაც აღმოსავლეთ ანატოლიის, საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ტერიტორიაზე ელინისტური ეპოქის დადგომამდე ჰქონდა ადგილი, შემდეგ ჩამონათვალში თავსდება: თარგამოსიანთა, ანუ რვა ძმის (იგულისხმება თავ-თავისი ხალხით) მოსვლა და განსახლება აღმოსავლეთ ანატოლიისა და კავკასიაში (როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით) და მათი ბრძოლა მათი განსახლების სამხრეთით მდებარე მძლავრ წინააზიურ სახელმწიფოებთან, კერძოდ, ასურულ თუ მიდიურ სამყაროსთან (ნებროთი); ქართლოსისა და მისი შვილების სამხრეთ კავკასიაში დაშვებები; კავკასიის ჩრდილოეთის ველებიდან „ხაზართა“ შემოსევების დასაწყისი; თავდაპირველად თარგამოსიანთა მიერ მათი უპუგდება, შემდგომ კი „ხაზართა“ მიერ სამხრეთ კავკასიის





დალაშქვრა და დახარკვა; ირანელთა ვაძლიერება, მათ „ხაზართა“ განდევნა და ქართლში გაბატონება (ერისთავი არდაში), არმაზის ციხის მოწოდება და სხვა; ირანელებთან ბრძოლაში ნრდილოკავკასიური ძალის გამოყენება („ერაზანენ ოესთა“, „გარდმოიყვანეს ოესნი“) და ირანელთა განდევნა; შემდეგ ისევ სპარსთა ბატონობის აღდგენა: ქეკაბოსი, ფარაბოროტი, ქაინოსრო; ამავე დროს ქართლში სპარსთაგან დევნილ „თურქთა“ მოსვლა; უფრო მოგვიანებით ნაბუქოდონოსორისაგან დევნილ „ურიათა“ მოსვლა; ინფორმაცია აქ მცხოვრები მოსახლეობის სიველეურის შესახებ („და იმერეს სჯულდი უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა“); ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ჩუენი წინაპრების ენობრივ-ეთნიკური სიჭრელის შესახებ („ირანებოდა ქართლსა შინა ექესი ენა“); სომხური ენის პირველადობისა და ქართულის შემდეგ წარმოქმნის შესახებ; კვლავ ირანელთა მიერ ქართლის დაპყრობის („აღმოვიდა ძე სპარსთა შეფისა ვასტაშაბისა“) შესახებ.

უბიწველეს ყოვლისა / განვიხილოთ ინფორმაცია, რომელიც მოგვითხრობს „ხაზართა“ ლაშქრობებზე, „თურქთა“ და „ებრაელთა“ ქართლში მოსვლასა და იმ „უხსოვარ დროში“ სპარსთა“ მიერ სამხრეთ კავკასიის, მათ შორის ქართველთა წინაპრების დამორჩილებასზე.

დიდი ხანია შენიშნულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალ, ფარნაგაზის მეფობის წინარე ხანის ამსახველ, ნაწილში კავკასიის გადმოსასვლელებით (დარიალი, დარუბანდი) („ხაზართა“ ლაშქრობების აღწერისას შემატიანე მის დროს (VII-VIII სს.) კავკასიის ნრდილოეთით გაბატონებული ხალხის სახელის „ხაზარის“ ქვეშ გულისხმობს სკვითებს და კიმირიელებს, რომელთა მოშობარე ტომების შემოსევებს ადგილი ჰქონდა ძვ. წ. VIII-VI სს-ში“ (39, 45; 192, 10-11; 205, 62). ამ შემოსევების რეალურობა, აზიასა და სამხრეთ კავკასიაში სკვითურ-კიმერიული ტომების განსახლება და აქ მათი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების არსებობა დასტურდება როგორც ძველი ასურულ-ბაბილონური, ურარტული წყაროებით (202) და ძველ ბერძენ ავტორთა ცნობებით (188), ისე ბოლო ხანების არქეოლოგიური გათხრების მონაცემებითაც (205; 206; 239; 28; 29).

ირანული სამყარო „ქართლის ცხოვრების“ ამ უძველესი ისტორიის ამსახველ მონაკვეთში ჯერ ფიგურირებს მიდიის სამეფოსა

ქართლის ცხოვრების ბირველ შემდგენელ შემატიანეს ჩუენ ვათარილებთ VII-VIII სს-ის მიჯნით, არა უგვიანეს VIII ს. I ნახევრისა. უფრო დაწვრილებით ამ საკითხს განვიხილავთ წიგნის ბოლო თავში.



და მისი შეფუძების (ქეკაბოსი, ფარაბოროტი-ფრაატი, ქაისოსრო, ყიაღლასარი) სახით, შემდგომ კი აქემენიდური ირანის გამგებლის (სპარსეთ-რვალი ძე ვასტაშაბისა, იგივე დაროს I ვასტაშაბის ძე) სახით (205, 62).

მოელა ეს ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჩვენ აზრით, არ არის მონვედრილი ზეპირსიტყვიერების გზით. ამაზე მიუთითებს თუნდაც „ქართლის ცხოვრების“ მიერ ირანის ისტორიის ამბებთან დაკავშირებით წყაროდ „სპარსთა ცხოვრების“ დასახელება. ამგვარად, „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნული საკითხების თხრობისას, წიგნიერ ინფორმაციას ეყრდნობა, რომლის ჩაწერა-დაფიქსირება მოხდა ირანულ სამყაროში (აქემენიდური ირანი, პართია, სასანური ირანი), ხოლო ჩვენ წინაპართა ცნობიერებაში მან ადგილი დაიმკვიდრა ძველი ქართული მწერლობის მიერ ავესტას (26, 1-4), ხატაი ნამაკის თუ სხვა დღემდე ვერ მოღწეული არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტების გაცნობა-ათვისების შედეგობით (90, 96; 91, 576; 115, 268; 116, 251-256; 62, 8-9; 182; 27, 22-29) .

\* არსებობს თვალსაზრისი, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ირანული ებოსის გმირები შემოვიდნენ ზეპირსიტყვიერების გზით, ანუ ინფორმაციის წყარო იყო „საერთ ტრადიცია, ხალხში დაცული ამბები ძველი დროისა, ის ამბები, რომელიც ერთიანად გაურცხვლებული იქნებოდა როგორც სპარსელებში, ისე ქართველებშიც“ (170, 1-2). ამავე თვალსაზრისის იზიარებენ ნ. შარი („ვეფხისტყაოსანი“, ვაზ., „თეატრი“, 1890, №12), მოსე ჯანაშვილი, ვ. მილეური და სხვა მკვლევარები ( 182; 221, დამატ. 86; 10, 149

\*\* ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ დეონტი პროველისათვის წყაროს უშუალოდ ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ წარმოადგენს (101, 18-19; 61, 344). რაც არ დასტურდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია მ. ანდრონიკაშვილის თვალსაზრისი. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ „ქართლის ცხოვრების“ არქაულ ნაწილში ირანული სამყარო - ბირთა სახელები - წარმოდგენილია როგორც საშუალო სპარსული და უძველესი პართული ფორმებით, ისე (მეტწილ შემოსხვევაში) არაბული და ახალი სპარსული ფორმებით და დააკენის, რომ „დეონტი პროველი რამდენიმე წყაროთი სარგებლობდა. მას გამოყენებული აქვს როგორც საშუალო სპარსული Xatāy nāmāk-ის არაბული ან ახალ სპარსული თარგმანი, ისე ირანული ნაციონალური ებოსის საქართველოში გაურცხვლებული თქმულებანი ზეპირსიტყვიერების სახით (15, 148-149). ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, დავემატებთ მხოლოდ, რომ წყარო „ქართლის ცხოვრებისთვის“ ყველა შემოსხვევაში წიგნიერია, ანუ „ქართლის ცხოვრება“ შეიცავს ირანული ისტორიული ებოსის როგორც



ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღესაც სკეპტიკურად „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში დაცულ ცნობას იმის შესახებ, რომ: „წიგნი ესე „ქართველთა ცხოვრებისა“ ვიდრე ვანტანავისამდე აღიწერებოდა უამითი-უამად“. რაც, ჩვენი აზრით, ნიშნავს იმას, რომ არსებობდა სხვადასხვა პერიოდების ამსახველი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქრონიკები, რომელთაც „ქართლის ცხოვრების“ ბირველმა შემდგენელმა-შემატანემ თავი მოუყარა და თავისი ცოდნის შესაბამისად განალაგა-გადააბა. ახლა, როდესაც არქეოლოგიამ საქართველოში დღის სინათლეზე წარმოაჩინა I-IV სს-ის ბერძნულად და არამეულად შესრულებული წარწერები, სრულიად აშკარა ვახდა, რომ ძველი და ახალი ერების მიჯნაზე, თუ უფრო ადრე არა, ჩვენი წინაპრები წიგნიერ ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ფაქტია, რომ დამწერლობას მარტო ებიტაფიებისათვის არ იყენებენ და არც ჩვენი წინაპრები იქნებოდნენ ამ მხრივ გამოჩენილი. ასე, რომ ჯერ კიდევ არამეულ-ბერძნული დამწერლობის გამოყენების ხანაში მოხდებოდა კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოფანჯი მოვლენების, მეფეთა ხანალების, მათ მიერ წარმოებული მშენებლობების, თავზარდამცემი შემოსევების, ძლევაშოსილი ომებისა და სხვ. წერილობითი დაფიქსირება. ქართული დამწერლობის შექმნას ამ არამეულ-ბერძნული ქრონიკების გადმოქართულება მოჰყვა. ასეთი გადმოქართულებული ქრონიკების გამოყენების კვალი აშკარად ამჩნევია როგორც „ქართლის ცხოვრებას“, ისე „მოქცევაჲ ქართლისას“. ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ, სათანადო ადგილას გვექნება საუბარი.

სამხრეთ კავკასიაში კიმიურიელებისა და სკვითების („ხაზარების“) შემოსევის, მათი აქ ხანგრძლივი ბინადრობისა და ჩვენი წინაპრების ირანულ სამყაროსთან (მიდია, აქემენიდური ირანი) ურთიერთობის შესახებ ცნობებთან ერთად „ქართლის ცხოვრება“ შეიცავს ინფორმაციას აღუქსანდრე მაკედონელის ლაშქრობების წინარე ხანაში „თურქთა“ და „ებრაელთა“ ქართლში მოსვლის შესახებ.

„ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს: „ხოლო მასგე უამსა მოვიდეს თურქნი ოტებულნი მისგე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღვა გურჯანისა, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას ხახლი ოცდარვა და ეზრანენ მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეწკენა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა

არქაულ, ისე ახალ სპარსულ წიგნიერ ვარიაციებს: შემატანეს სხვადასხვა ებოქებში შესრულებული ირანული ებოსის ვარიაციები აქვს ხელთ და ვერ ამჩნევს რა მათ იგოვობას, ერთიმეორის შემდეგ, გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ათავსებს მათ (იხ. აგრეთვე ქვემოთ თავი VII).



ქართველთა. ინებს დაძვეობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა სპარსთა და შემწეობისათვის დაიძვეობრნეს თურქნი იგი გამოს-  
ხმულნი და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი  
მათგანნი მოვიდეს და ბოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით  
კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა და მოითხოვეს ადგილი  
იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი,  
მოხლუდეს მტკიცედ და ეწოდა მას ადგილსა სარკინე...

და გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი, მაშინ ნაბუქოდონო-  
სორ მეფემან წარმოსტყენა იერუსალეში და მუნით ოტებულნი ური-  
ანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან  
ქუეყანა სარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა,  
რომელსა ჰქვიან ზანაფი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ სარკითა  
აწ ჰქვიან სერკ სარკისა მისთვის“ (145, 13-14).

ვითომდა აღექსანდრე მაკედონელის პირველი შემოსვლის  
აღწერის შემდეგ კი „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს: „რამედ მას  
ჟამსა ვერ უძლო (აღექსანდრემ), რამეთუ ბოვნა ცხენი მაგარნი  
და ქალაქნი ძლიერნი. კუალად გამოვიდეს სსუანი ნათესავნი  
ქალდეველნი და დაეშენნეს იგინიცა ქართლს“ (145, 17).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აღექსანდრე მაკედონელის იმავე  
პირველი შემოსვლის აღწერის შემდეგ მოგვითხრობს: „მაშინ  
მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი  
ჰონნი და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ სარკითა და  
დასხდეს, იგინი ზანაფს და ეპყრა იგი, რომელ სარკითა აქუნდა,  
ჰქვიან მას სერკი“ (125, 80).

თავდაპირველად ისტორიკოსებმა ქალდეველები ასურელებ-  
თან გააიგივეს ისევე, როგორც თავის დროზე „ქართლის ცხოვრების“  
მემატიანემ და ამიტომ „ნინოს ცხოვრების“ ტექსტში დასახელებული  
„ქალდეველთა ღმერთი ითრუჯანის“ ძებნა ბაბილონელთა ბანთონში  
დაიწყო. ნ. მარმა ის ბაბილონურ ღვთაებას ასტარტას დაუკავშირა  
(214, 28). ასევე ასტარტას უკავშირებს ამ ღვთაებას მ. წერეთელი  
(165, 77-78). ივ. ჯავახიშვილმა თავის ქართულ წარმართულ ბანთონ-  
ში „ითრუჯანი“ საერთოდ არ განიხილა, ვინაიდან ის ქალდეურ  
ღვთაებად მიიჩნია: „ითრუშენა“-სა ანუ „ითრუჯანის“ ღვთაებაზე აქ  
არაფერს ვამბობთ ... იგი „ქალდეველთა ღვთაებად“ იწოდება, მაშა-  
სადაჲ ის ქართულ წარმართულ ბანთონს არ ეკუთვნის“ (178, 102-  
103).

კ. კეკელიძემ პირველმა სრულიად დამაჯერებლად აჩვენა,  
რომ ძველ ქართულ ტექსტებში „ქალდეველნი“ სპარსთა მნიშვნე-  
ლობით იხმარება (104, 266-270). ქალდეველთა ღვთაება „ითრუჯანი“



კი სხვა არაფერია თუ არა დამახინჯებული ფორმა სპარსული ატროშანის: „საწყალობელ იქნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ქეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი“ (86, 12).

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოხსენიებულ „ჰონის“-თან დაკავშირებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში იმოფიოთვე წარმოიქმნა აწრთა სხვადასხვაობა. ამ თხზულების აღმომჩენი და მისი პირველი გამომცემელი ექვთიმე თაყაიშვილი მიიჩნევდა, რომ აქ საქმე უნდა გექონოდა „ჰურიანის“ ქარაგმის „ჰონის“ არასწორ გახსნასთან - ჰონი (84, 1).

ამ თვალსაზრისს იზიარებდა ნ. ჯანაშიაც. ამგვარად, ექვთაყაიშვილისა და ნ. ჯანაშიას თვალსაზრისით, „მოქცევაჲს“ ავტორმა „ჰონი“ „ჰურიანის“ ნაცვლად იხმარა. ნ. ჯანაშია თვლიდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა „მოქცევაჲს“ ეს შეცდომა გაასწორა და „ჰურიანი“ აღადგინა (184, 137-138).

საბირნიბირთ მოსაზრება გამოთქვა გ. მელიქიშვილმა. მისი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა გაიაზრა რა ქალდეველები ბაბილონელებად (და არა სპარსელებად, როგორც ამას ძველი ტექსტი გულისხმობდა). „მოქცევაჲს“ „ჰონი“ შეცდომად მიიხნია და ის ბაბილონთან და ნაბუქოდონოხორთან მიმართებაში მისთვის უფრო მისაღები „ჰურიანი“ შეცვალა (219, 37). ამ მოსაზრებას დამატებითი საბუთიანობა შესძინა გ. არახამიამ (19, 185).

ამგვარად, როგორც „მოქცევაჲში“, „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ ვგაქვს იდენტური ინფორმაცია, რომელიც ქალდეველთაგან-სპარსთაგან გამოდევნილ „ჰონებს“ ანუ „ჰუნებს“ ეხება. ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში მიდიის მეფემ ყიალსარმა მართლაც გამოდევნა სკვითური ტომები მიდიისა და ბაბილონის საზღვრებიდან. ამ ფაქტმა ასახვა პპოვა ძველი მსოფლიოს წერილობით წყაროებში, მათ შორის პეროდოტესთან (201, 290-292; 205). „მოქცევაჲს“ „ჰონიც“ მიდიის მეფის მიერ გამოდევნილ სკვითებს უნდა გულისხმობდეს.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ინფორმაცია „მოქცევაჲში“ არა უკვიანეს IV-V სს-ების ქრონიკიდანაა უცვლელად გადმოტანილი, თორემ უფრო გვიანი რედაქციის შემთხვევაში გვექნებოდა შეცვლილი ვარიანტი: სპარსნი და ხაზარნი ან სპარსნი და თურქნი. სიუჟეტის ასეთი ვარიაცია - სპარსნი და თურქნი - შემოგვინახა „ქართლის ცხოვრებაში“.

„ქართლის ცხოვრების“ შემატანე ვერ ვაერკვა აღნიშნული ინფორმაციაში (ისევე, როგორც წესით ვინახეთ, კარგა ხანს ვერ გაარკვია ეს საკითხი ანაღმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ) და ქალდეველები ბაბილონელებად გაიაზრა, „ჰონი“ კი, ექვთაყაიშვილის არ იყოს, „ჰურიანის“ ქარაგმის არასწორ გახსნად მიიხნია.



ამგვარად, მიდიის მეფე ყიალსარისაგან („ქართლის ცხოვრების“<sup>ქართლის ცხოვრების</sup> ქაიხოსრო) გამოდევნილი ჰუნების-სკვითების ნაცვლად ასურელებს<sup>სკვითების</sup> მიერ გამოდევნილი ჰურიები მიიღო. აღნიშნული ადგილი ტიპიური მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმოიქმნება შუახაუკუნეების ქრონიკაში ერთი ინფორმაციის საფუძველზე მეორე.

ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II (ძვ. წ. 605-562) მიჯიის მეფე ყიალსარის თანადროული იყო და, როგორც ჩანს, თავის მხრივ, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბაბილონისა და მიდიის საზღვრებიდან სკვითების გამოდევნაში. ამიტომაც ფიგურირებს ის ამ ინფორმაციაში. შეადარეთ ამას ძველ ბერძნულ მწერლობაში არსებული ცნობა იბერების ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებისა და ბონტოს ზღვის აღმოსავლეთით მათი დასახლების შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას ჩვენ ქვემოთ კიდევ დაუბრუნდებით. ახლა კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემატანიანისთვის როგორც ბიბლიის მცოდნე, განათლებული კაცისთვის ბუნებრივი იყო „ჰონნის“ „ჰურიებად“ გააზრება. ვინაიდან ებრაელთა მიმართ ნაბუქოდონოსორის მხრივ მსგავსი მოქმედება (მათი დატყვევება-გადასახლება) მისთვის ცნობილი იყო, „ჰონთა“ ანუ სკვითთა განდევნის შესახებ კი მან არაფერი იცოდა.

აღნიშნულ ინფორმაციაზე „ქართლის ცხოვრების“ ბირველი, შექმნილი შემატანიანის მუშაობის შეთოდს თუ თვალს გაგადევნებთ, მიგვჩვენებთ, რომ მას ხელთ ჰქონდა ორი პარალელური ქრონიკა. სხვადასხვა ეპოქებში და, შესაბამისად, სხვადასხვა ტერმინოლოგიით დაწერილი. ორივეში ერთსადამიჯვე ადგილას ერთიდაიგივე ინფორმაცია იყო მოცემული - მიდიელებისაგან გამოდევნილი სკვითების ქართლში მოსვლისა და აქ დასახლების შესახებ. ერთგან ნახმარი იყო „ქალდეველები და ჰონნი“, მეორეგან კი „სპარსნი და თურქნი“. შემატანიემ ერთი ქრონიკის „ქალდეველები“ და „ჰონნი“ ასურელებად და ებრაელებად გაიაზრა, შესაბამისად, ყიალსარის (ქაიხოსროს) მიდიაში მეფობის დროს სკვითების გამოძევების ამბავი მეორე ქრონიკიდან ჩაამატა, სპარსელებისაგან გამოსხმული თურქების ხანით. როდესაც „ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი“ ახალი ტერმინოლოგიით სპარსთაგან გამოსხმულ თურქებად იქცნენ, შეიქმნა ამ ამბის ფალაურ ლეგენდათა ციკლოთან დაკავშირების ცოცხება. ამიტომ ინფორმაცია შეიმოსა „აფრასიაბის გამოქვაბულის“ ლეგენდისათვის დამახასიათებელი მომენტებით: რკინისაგან გაკეთებული მიწისქვეშა სასახლე - „ქართლის ცხოვრებაში“ ხარკინე, „კლდეში გამოკვეთილი ღრმა ადგილი“ და სხვა (112, 247-249).



რაც შეეხება „თურქთა“ ქართლში მოსვლის მარშრუტს, „გამოვლეს ვზა გურგენისა და ამოყვენ მტკუარს“, ეს უკვე ამ მოთხრობის ფორმირების პროცესში ერთ-ერთი ქრონოგრაფის წარმოდგენაა, თუ რა გზით შეიძლებოდა მის დროს (IV-VII სს.) მოსულიყვნენ ქართლში სპარსთაგან დევნილი თურქები, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, სწორედ შუა აზიიდან უნდა წამოსულიყვნენ, გურგენის (კასპიის) ზღვა გადმოელახათ და მტკვარს ამოჰყოლოდნენ. ამგვარად, ერთიდაიგივე ინფორმაცია გაორმაგდა. ოღონდ, ერთ შემთხვევაში გადაკეთდა და ებრაელების ქართლში მოსვლის ამბად იქცა, მეორე შემთხვევაში კი უცვლელი დარჩა (მხოლოდ მარშრუტი შეიცვალა). ამიტომაც მოსდევს ეს ორი ინფორმაცია ქართლის ცხოვრებაში ერთმანეთს. ანუ შემატანე მიჰყვება ძირითადად ერთ ქრონიკას და ინფორმაციას. თუ, მისი აზრით, რაღაც ინფორმაცია ბირველ ქრონიკაში არ არის, მაშინ ამ დანაკლისს ავსებს მეორედან. უფრო მეტიც, „ხაზართა“ ქართლზე თავდასხმების ამსახველი ორი ბარაღელური ქრონიკის გარდა მას აშკარად ხელთ ჰქონდა „მოქცევაჲს“ ქრონიკის ერთ-ერთი წყარო, რომელიც ჩვენ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის ამსახველი მოთხრობის სახით წარმოგვიდგენია. აქაც მას შეხვდა სიუჟეტი „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონთა“ შესახებ. ვინაიდან ქართლის ისტორიის ალექსანდრე მაკედონელამდელი პერიოდის ამსახველი ორი ქრონიკის გაერთიანების დროს ერთ შემთხვევაში „ქალდეველები“ და „ჰონნი“ ასურელებით და ურიებით შეცვალა და ეს „იმ უამად“ მოსული ურიები დაასახლა ზანავს, ამის შემდეგ კი სკვითების გამოძევების სიუჟეტი სპარსელებისაგან გამოძევებული თურქების სახით მოგვითხრო (ჩაამატა მეორე ქრონიკიდან), ამიტომ ახლა „ალექსანდრე მაკედონელის“ ქართლში შემოსევის ამსახველ ამ მოთხრობაში არსებული ცნობა „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებზე“, როგორც ჩანს, უბრალოდ ქალდეველების (ასურელების) მოსვლად მიიჩნია და ამ ინფორმაციასთან ჰონთა, ანუ მისი გაგებით, ურიათა, მოსვლის დაკავშირება უკვე ძველი მემატიანის (ალექსანდრე მაკედონელის მოთხრობის შემდგენელის) აღრევად ჩათვალა. საბოლოოდ, მან

\* ვარირებას და მოდიფიცირებას აღნიშნული მოთხრობა განიცდიდა მთელი შუასაუკუნეების სივრცეზე. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მართებული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ქართლში „თურქთა“, იგივე „ჰონთა“ მოსვლის მოთხრობა ვარიაციების სახით ვკვძლევს ვასუშტი ბავრატონის (30, 53), იოანე ბავრატონის (32) და სტეფანოს ორბელიანის (128, 25) თხზულებებში (10, 20).



არცერთი ინფორმაცია არ დაკარგა: „ალექსანდრე მაკედონელი“ შემოსვლამდე ქართლში მოსულან ჯერ ურიები, შემდგომ კი თურქები. „ალექსანდრეს“ მოსვლის შემდეგ კი ქალდეველები. როგორც ვხედავთ, ყოველივე ეს ერთი ინფორმაციის - მიდიის მეფის ყიადსარისა და ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ გამოძეგვებულ სკვითების ქართლში მოსვლის სამი ვარიანტია.

შემატიანეთა ხელში ცვლილებას განიცდის არა მარტო ცალკეული ინფორმაცია, არამედ გაზრდა-განვრცობას ექვემდებარება ცალკეული მოთხრობაც. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ბირობითად „გამოსვლა საზართას“ სახელწოდების ქვეშ გაერთიანებულ მოთხრობათა ციკლთან, რომელიც ქართლის ისტორიის არქაულ, ფარნავაზამდელ ანუ მეფობამდელ ხანას ეხება. თუ ჩვენ „ქართლის ცხოვრებაში“ წინადადებას, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით: „აღაშენა ადარბადაგანს სახლი სალოცავი სჯულისა მათისა და წავიდა“, უშუალოდ გადავბამთ ტექსტს, რომელიც იწყება სიტყვებით: „და გამოხდეს ამას შინა უამინ მრავალნი, მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან..“, ვნახავთ, რომ ვარდება სიუჟეტი თურქთა მოსვლის შესახებ, რომელიც ჩვენ მერვე ბარალელური ქრონიკიდან ჩამატებული გვეკონია. რატომ? იმიტომ, რომ ერთ მოთხრობაში არ შეიძლება ორჯერ ზედიზედ განმეორებულიყო იგივეობრივი ინფორმაცია. „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ნაწილის დამწერმა შემატიანემ არ იცოდა, ჩვენ კი ვიცით, რომ აქ „ებრაელების“ მოსვლა და „თურქთა“ მოსვლა ერთიდაიგივე ამბის - სკვითების მოსვლის ვარიანტებია. „თურქთა“ მოსვლის ჩამატების საქმროება მაშინ შეიქმნა, როდესაც ბირველ ქრონიკაში გაქრა ინფორმაცია „ჰონთა“ მოსვლის შესახებ და ის „ჰურიათა“ მოსვლად გადაკეთდა. „თურქთა“ მოსვლის ამბავი რომ უფრო გვიანი ჩანამატია, ამას მოწმობს „ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილას ქართლში გავრცელებულ ენათა ჩამონათვალიც: „და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, საზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“ (145, 16). ეს ენათა ჩამონათვალი ვაკეთებულა ერთ-ერთ ქრონიკაში იმ შემატიანის მიერ, ვინც ტექსტში „ქალდეველები“ და „ჰონები“ ებრაელებით და ასურელებით შეცვალა. შემდგომ შემატიანეს ეს გადაკეთება უკვე დახვდა. როცა მან ბირველი ქრონიკის მთელი ინფორმაცია ჩაიკითხა, ნახა, რომ ტექსტს აკლდა ინფორმაცია სპარსთაგან დევნილ „თურქთა“ (მისი ებრაის ტერმინოლოგიით) ანუ „ქალდეველთაგან“ დევნილ „ჰონთა“ შესახებ, რაც კიდევ ჩაუმატა ზუსტად შესაბამის ადგილას. ენათა ჩამონათვალში კი თურქულის ჩამატება ან გამორჩა, ან თავს ამის უფლება არ მისცა: „თურქთა“ მოსვლის





შესახებ მას ინფორმაცია ეძლეოდა მეორე ქრონიკაში. იოლაღ ჩააშატა და შეაგსო ნაკლული ადგილი. თურქული ენაზე საუბრის შესახებ კი მას ინფორმაცია არსად ჰქონდა. ამიტომაც ენათა ჩამონათვალი უცვლელად დატოვა. ამკარაა, რომ ინფორმაცია ქართლში გავრცელებული ენების შესახებ ძალიან ძველია. თანდათანობით ამ ინფორმაციამ განიცადა ტერმინოლოგიური მოდერნიზება. ამას იწვევდა შეცვლილი ეთნო-ბოლიტიკური გარემო და, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოგვიანო ხანის შემატანე-

სწორედ ასე იხსნება ეს ფაქტი და არა იმით, რომ ვითომ აქ სომხურის ნაცვლად თურქული უნდა ყოფილიყო და შემდეგ მოხდა თურქულის სომხურით ჩანაცვლება (II, 79-84). ეს ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ მთელ კონცეფციას. რომლის მიხედვით სომხური იყო ქართლის „მამის“ და უფროსი „ძმის“ ენა და, შესაბამისად, ამავე ენაზე, შემატანის აზრით, თავდაპირველად საუბრობდნენ „ქართველებიც“: „აქამოდის ქართლისაანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხილი, ოდეს შემოკრებს ესე ურიცხენი ნათესაენი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესაეთაგან შექმნა ენა ქართული“ (145, 16). ზ. აღუქხიძე თვლის, რომ ქართულმა, „ქართლის ცხოვრების“ თვალსაზრისით, დაიკავა სომხურის ადგილი. ამიტომ სომხურის ნაცვლად ენათა ჩამონათვალში თავდაპირველად თურქული უნდა ყოფილიყო მოხსენიებული, ვინაიდან ეს ერთად-ერთი ხალხია, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლში მოდის და ხალხდება, მაგრამ მათი ენა ენათა ჩამონათვალში არ ფიგურირებს ( II, 79-84).

საქმე ისაა, რომ ქართულს, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ამკარად ჩანს, არ დაუკავებია კონკრეტულად სომხურის ადგილი. ის „ქართლის ცხოვრების“ კონცეფციით ჩამოთვლილი ენების, მათ შორის, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვინმართთ, „პროტო ქართულის“, აღრევის შედეგად გაჩენილი ახალი ენაა. შემატანე კი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად „ქართლისაანთა ენა სომხური იყო“. მაგრამ „ქართულს“, უფრო სწორედ, „პროტო ქართულს“ ენათა ჩამონათვალში მასაც ათავსებს. დაძაჯერებლად არ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ დღევანდელი პროტოქოლოგია ვითომდაც იცოდა საზარულის და თურქულის იგივეობა (II, 25). ნუ მოვთხოვთ შუა საუკუნეების შემატანეს მეტისმეტ სიღრმეს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ისინი ზშირად ვერ არჩევენ სხვადასხვა კარაიციებში მოცემული ინფორმაციის იგივეობას, ჩვენ კი მათ სხვადასხვა ხალხების ენობრივი ნათესაობის ცოდნას ვთხოვთ. XI ს-ის ისტორიკოსი საზარებს უკვე აღარ იცნობს, უფრო მეტიც, მათ ნათესაეად მას კავკასიაში ოსები მიაჩნია. ასე, რომ, რა თქმა უნდა, მან თურქული იმიტომ არ გამოტოვა, რომ ის საზარულის მონათესაეე ენად მიიჩნია.



რედაქტორთა მიერ მათ ხელთ არსებულ ქრონიკებში დაცულ ძველ ქრონიკებში  
ეთნო-სახელთა არასწორი იდენტიფიცირება.

ახლა ვნახოთ, თუ როდის მოვიდნენ სინამდვილეში ქართლში  
ებრაელები და რას მოგვითხრობს ამ მოვლენის შესახებ „ქართლის  
ცხოვრება“ (ცხადია, იმ ინფორმაციის გარდა, რაც ზემოთ განვიხი-  
ლეთ) და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

„მოქცევაჲს“ მიხედვით: „მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას  
ბრატმან და ამათა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“  
(125, 82). „ქართლის ცხოვრება“ ამავე ფაქტს შემდგენაირად ვფიქვანა:  
„ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა ერთსა  
ბარტომ და მეორესა ქართამ... და მოკუდა ადერკი და მეფობდეს  
შემდგომად მისსა ძენი მისნი. ხოლო ამათსა მეფობასა ვესპასიანოს  
პრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალეში და მუნი ოტებულნი  
ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძველთავე ურიათა თანა“ (145,  
44).

„ქართლის ცხოვრების“ კონცეფცია გახაზვებია: ვინაიდან  
მემატიანემ ნაბუქოდონოსორის დროს ებრაელები ერთხელ უკვე  
მოიყვანა, ახლა ქართამის და ბარტომის დროს ისინი პირველად-  
მოსულებს შეუერთა (19, 197). მანვე დაუკავშირა ებრაელთა მოსვლა  
ვესპასიანეს მიერ იუდეველთა ამბოხის ჩაქრობასა და რომაელთა  
მიერ ებრაელთა დარბევას. სინამდვილეში, „მოქცევაჲში“ ეს  
მოვლენა სულაც არაა დაკავშირებული ვესპასიანეს ხანასთან. აქ  
მხოლოდ ქართლში ბრატმანის (ბარტომისა) და ქარძამის (ქართამის)  
მეფობაში ებრაელების მოსვლაზეა საუბარი. მაშ რატომ დაუკა-  
ვშიარა „ქართლის ცხოვრების“ მემატიანემ ეს ამბავი  
ვესპასიანეს ხანას? მას, როგორც ჩანს, რაღაც ინფორმაცია ჰქონდა  
იმის შესახებ, რომ ქართლში ებრაელთა მოსვლა გამოწვეული იყო  
მათ ქვეყანაზე რომაელთა მძლავრობით. მემატიანის წინაშე დადგა  
ებრაელთა მოსვლის დათარიღების საკითხი, რაც ქართლის მეფეთა  
ბარტამისა და ქართამის ზეობის ხანის დადგენას უკავშირდებოდა.  
„ქართლის ცხოვრების“ მემატიანემ (ეს შეიძლება ყოფილიყო  
როგორც VIII ს. I ნახევრის შემქმნელ-შემდგენელი, ისე XI ს. შემგებ-  
გამგრძელებელი) ფარსმანისა და კაოსის შემდეგ კი არმაზელის და  
არზოკის (არსოკის) მეფობაში წარმოებულ ქართველ-სომეხთა ომი,  
რომელსაც, ჩვენი აზრით, ადგილი ჰქონდა სომეხთა მეფის არტაშეს  
II (ძვ. წ. 34-21) დროს, მოსე ხორენელზე თუ მის წყაროზე  
დაყრდნობით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დაუკავშირა რომის კეისრის  
დომიციანეს მმართველობის ხანას. შესაბამისად, შეცვალა ქრონი-  
ლოგიაც: არმაზელი დომიციანეს თანამედროვედ აქცია, ხოლო



ადერკი ძველი და ახალი ერების მიჯნაზე ჩაიყვანა. აქედანაა, ქართამისა და ბრატმანის (ბარტომის) მეფობა ვესპასიანეს გამოუვიდა. ამიტომაც, ებრაელთა მოსვლის შესახებ ინფორმაცია ვესპასიანეს მიერ მათ დარბევას დაუკავშირა. ჩვენი ქრონოლოგიით, ქართამი და ბრატმანი ადერკ/არდოკის შემდგომ ძვ. წ. 50-იან წლებში მეფობდნენ (იხ. ქვემოთ). ხოლო ვესპასიანეს ხანასთან ფარსმანისა და კოსის მეფობის დაკავშირება მუშატიანის აშკარა შეცდომაა. შესაბამისად, არც ვესპასიანეს მიერ იუდეველთა აჯანყების ჩაქრობას შეიძლება ებრაელთა ქართლში მოსვლა დაუკავშიროთ. ჩვენი ქრონოლოგიით ებრაელთა ქართლში მოსვლა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილი ჰქონდა ფარსმანის და კოსის ხანაში, უნდა მომხდარიყო ძვ. წ. 50-იანი წლების დასაწყისში ძვ. წ. 53 წ. იუდეაზე რომაელთა გაბატონების შემდეგ. ჩვენს ამ თვალსაზრისს ეხმიანება არქეოლოგიური მონაცემებიც, რომელთა მიხედვით, ქართლში ნაპოვნი ებრაელთა ბირველი სამარხები განისაზღვრება ახ. წ. I ს-ის დასაწყისით (56; 57; 243, 39-59). საფიქრებელია, ძვ. წ. 50-იან წლებში ასეთ შორეულ გზას დამდგარი და ქართლში გადმოსახლებული ებრაული თემების შემადგენლობა ასაკობრივი თვალსაზრისით შედარებით ახალგაზრდული იქნებოდა. შესაბამისად, ბირველი მასიური სამარხები ებრაელებისა ქართლში სწორედ ძველი და ახალი ერების მიჯნაზე გაჩნდებოდა.

განვიხილოთ „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევათ ქართლისაჲში“ დაცული ინფორმაცია ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ, როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ სქემა ქართველთა წარმოშობის შესახებ ასეთია: აღმოსავლეთ ანატოლიისა და კავკასიის მოსახლეობას, რომელიც მატეანეში რვა ძმის - რვა ერთეულის - სომეხთა, ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა სახითაა წარმოდგენილი, ერთი ჰყავდათ წინაპარი (მამა) თარგამოსი, ძე თარშისა, ძმისწული იაფეტიცა ძისა ნოესი: „წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით და დაემკვიდრა ორთა მათ მითათა შუა კაცთშეუვალთა, არარატსა და მასისსა .... ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსი და სამხრით ზღუა ორეთისა და ჩრდილოთ შთა კავკასია“ (145, 4); „ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსასა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ და უმკვიდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად [ხაზარეთისა მ. ს.], რომელი შესდის ზღუასა



დარუბანდისასა ..... მისცა ლეკანს ზღვითვან დარუბანდისათ მდინარემდე ლომქევისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად, და მისცა კავკასის ლომქევის მდინართვან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა დასავლით“ (145, 5-6).

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანე, ფაქტია, აქ იყენებს ბიბლიურ სქემას. უფრო სწორად, ის ცდილობს კავკასიის ხალხებს ბიბლიური წინაპარი მოუძებნოს და ხალხთა წარმოშობის ქრისტიანული თეორია მიუსადავოს კავკასიის ხალხთა წარმოშობის შესახებ მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ამავ დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „ძმობა“ „ქართლის ცხოვრებაში“ ყოველთვის არ ნიშნავს მხოლოდ სისხლით ნათესაობას. როდესაც ქვეყნებზე და ხალხებზეა საუბარი, „ძმები“ მეტნაკლებად თანაბარ სტატუსში მყოფი პოლიტიკური ერთეულებია, შვილები კი ვასალური ერთეულები. ამ შემთხვევაშიც სისხლით ნათესაობაზე უფრო მეტად სწორედ ეს თანაბრობაა აღსანიშნავი. თუ ჩვენ ბიბლიურ სქემას უკუვაგდებთ, რომელსაც ხარკს უხდის ჩვენი მემატიანე, დაგვჩნება შემდეგი ინფორმაცია: რვა ერთეული ხალხი, რომელთა შორის ქართველთა წინაპარიც გაიანზრება, მოდის და იკავებს ჯერ აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიას შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით - გურგენის, ანუ კასპიის ზღვა, დასავლეთით - შავი ზღვა, ხოლო სამხრეთით ორუთის, ანუ ხმელთაშუა ზღვა (138, 102), ხოლო შემდეგ მათი ნაწილი (ორი ერთეული) გადადის და იქერს ჩრდილოეთ კავკასიას, აღმოსავლეთით მდ. დიდი ხაზარეთიდან (მდ. ვოლგა) მოყოლებული, დასავლეთით კავკასიონის შავ ზღვასთან შეერთებამდე. თუ მარშრუტსაც თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ აქ აშკარად ხალხთა დიდი მასის მოძრაობაა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადმოცემული. ეს ტალღა კავკასიონის ჩრდილოეთითაც კი გადადის და ერთი ნაწილი იქ მკვიდრდება. სამწუხაროდ, ქართული ისტორიოგრაფია გარკვეულ პერიოდში „ქართლის ცხოვრებისადმი“ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების გამო ამ ცნობას იგნორირებას უკეთებდა და მასში ბიბლიური სქემის მეტს ვერაფერს ხედავდა (180, 176-188; 185, 23).<sup>8</sup>

<sup>8</sup> ისტორიკოსები ცდილობდნენ ახსნა მოეძებნათ „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული შესავლის ცალკეული დეტალებისთვის, როგორცაა ქართლისის თარგამოსის მქდ გამოცხადება, თარგამოსის შვილებში პოსისათვის და ქართულ ენასთან შედარებით სომხური ენისათვის უმირატესობის მინიჭება; კავკასიაში მისახლე ძირითადი ხალხების მონათესავე ხალხებად გამოცხადება. ზოგი

სამაგიეროდ, ქართველთა გენეზისის საკითხის ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში იმთავითვე აღმოჩნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ქართველთა წარმოშობის შესახებ, მეცნიერთა თვალსაზრისით, ბევრად უფრო ხანტურესო და ხანდო ინფორმაციას შეიცავდა (180, 66, 85-90; 184, 24 და შემდ.). აღწერს რა ვითომდა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობას, ქრონიკა მოგვითხრობს, რომ: „თანა ჰყვანდა ალექსანდრე მეფეჲ აზოა, ძე არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისაჲ და წარვიდა. ხოლო ესე აზოა წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათინ

ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილში პოსის უფროსობასა და სომხური ენის უბრაატესობას ლეონტი მროველის სომხური წარმომავლობის დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევს (228), ზოგაც მას „არმენოვილიობაში“ ხდებს ბრალს ( 6 ); სხვები კი იზიარებენ რა დიდი ხნის მანძილზე გაბატონებულ მოსაზრებას „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის („მეფეთა ცხოვრება“) XI-ში შექმნის შესახებ, თვლიან, რომ ლეონტი მროველი კავკასიის ხალხების ერთობის იდეის წამოყენებით აღმაავალი ქართული ფეოდალური მონარქიის იდეოლოგიურ „დაკვეთას“ ასრულებდა (47, 26; 46, 11; 133; 14, 5-6).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად აღნიშნულ ადგილს ტექსტში რაღაც უნდა აკლდეს (89, 514-516). ჩვენი აზრით, აქ არ შეიძლება ტექსტს რაშე აკლდეს. ამკარაა, რომ თუ ათი სახლი მამა-მამუქეთაა, ანუ მოკიდებულნი, დანათესავებული სახლებია, რვა სახლი საკუთარი ყოფილა. ამას კი სპეციალური აღნიშვნა არ სქიარდებოდა. გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ „მოქცევაჲში“ აღნიშნული ციფრები - რვა და ათი ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვარირება (219, 280) და ამის მაგალითად მოჰყავს არსენ ბერის რედაქციით შედგენილ წმინდა ნინოს ცხოვრებაში დასახელებული რიცხვები 1000 და 10: „წარვიდა არიან ქართლად მამისა თქისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბით და მოქალაქე ... და კუვლად ათი სახლი მთავართავან პალატისათა“ (21, 47); დაახლოებით ამავე პერიოდში (XI-XII სს.) შექმნილ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მეტაფორასულ რედაქციაში კი ვკითხულობთ: „წარვიდა არიან ქართლად მამისა თქისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბით და მოქალაქე ... და კუვლად ათი სახლი მთავართავან პალატისათა“. (161, 80). ბ. ინგოროყვა სწორედ აღნიშნული რედაქციების წესმომოყვანილ ადგილებს უფრო სწორად მიიჩნევდა და რიცხვსაც - 1000 - წყაროში თავდაბრუნვლად არსებულ რიცხვად თვლიდა. მისი აზრით, „რვამ“ „ათასი“ შეცვალა იმ უბრალო შეცდომის გამო, რომ რიცხვითი გამოსახულება „ათასი“ - ჩ, ასომთავრულში აერათ - მ-ში, რომელიც „რვას“ აღნიშნავდა (89, 514-516). ამავე თვალსაზრისს იზიარებს გ. ქავთარიაც, რომელიც თვლის, რომ, თუ 10 სახლი იყო მთავართა, მამის მდაბითთა ბევრად მეტი იქნებოდა (144, 39).



სახლნი მამა-მძუძეთანი .... და ესე იყო ბირველი მუფე მცხეთაჲ შინა აწოა, ძე არიან ქართლისა მეფისაჲ და მოკვდა და შემდგომად მისა დადგა ფარნაგაზ“ (125, 80).

თუ დაუუკვირდებით, არაფერს ბრინციძულად ახალს ეს ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებასთან“ შედარებით არ იძლევა. აქაც აწოს მოჰყავს რვა სახლი (რვა ერთეული) ქართველთა. ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრების“ მინეღვიითაც, ქართლოსის შვილები და შვილიშვილები ჯამში რვაანი არიან (ხუთი შვილი: გაჩიოსი, გარდაბოსი, კანოსი, კუნოსი, მცხეთოსი და სამი შვილიშვილი უფლოსი, ოძრნოსი და ჯავახოსი). მათთან ანუ ქართველებთან ერთად მოდიან კიდევ მათი მოკიდებულნი - მამამძუძეთა 10 სახლი. მამამძუძე არაა სისხლით მონათესავე ოჯახი, შესაბამისად, თუ აწოს რვა სახლი ქართველებია, დანარჩენი 10 სხვა მონათესავე-მოკიდებული სახლებია, ასე ვთქვათ, „ქართლის ცხოვრების“ „ძმები“, ხოლო

საქმე ისაა, რომ XI-XII სს-ის მეტაფრასული რედაქციები იმ პერიოდის ავტორთა აზროვნების ნაყოფია. ამ ეპოქის ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ აწოს მიერ მოყვანილი სახლები უკვე მთავრებად და მდაბილებად დაყო და, ამგვარად, თავისი დროის სოციალური რეალობა ვადაიტანა აწოს პერიოდზე. იმ უძველეს ხანაში კი, როდესაც ამ გადმოსახლებას შქონდა ადგილი (ძვ. წ. VI ს. დახაწყისი, ის. ქვემოთ), სახლი, ანუ გვაროვნული თემი, რა თქმა უნდა, არ იყოფოდა მდაბი-მოქალაქეებად და ბალატებიდან გამოსულ მთავრებად. გვაროვნული წყობილების ხანაში მყოფი ტომების გადაადგილებისას სისხლით მონათესავე ტომებისა და გვარების გვერდით ყოველთვის მოძრაობდნენ „დანათესავებული“, „მოკიდებული“ ტომები ანუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტერმინოლოგიით „მამამძუძეთა სახლები“. ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით მსოფლიოში სხვადასხვა ადგილებში, სადაც მამა და არმენი მოძრაობენ საკუთარი სახლებით (შვილები, შვილიშვილები) და მოკიდებული სახლებით (ბძეები). თავდაპირველად ამ ორი რიცხვიდან, რა თქმა უნდა, უფრო სწორია „რვა“. ეს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დასტურდება „თარგამოსიანთა“ რვა სახლით - რვა მამა: „ქართლოსის“ რვა სახლით: ხუთი შვილი, სამი შვილიშვილი და „თურქთა“ მოსვლის სიუჟეტით - 28 სახლი. ვარდა ამისა ასომთავრული ს ადგილი წარმოსადგენა რუსურად წერის დროს ს-დ დაწერათ, მაგრამ არა ბირქით. ასევე რუსური დაწერილობის შემთხვევაში ს შეიძლება ისე „გაფუქდეს“, რომ - „ს“-დ - 1000-ად წაიკითხო, მაგრამ - „ს“-ე უერ ვადაიქცევა ს-დ.

ამჟამად დადგენილია, რომ „მამამძუძეთა“ ინსტიტუტი ბირველყოფილი თემური წყობილების დონეზე მყოფ ხალხებში სტადიური ჩასაითის სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს (95, 69-78).



მოსე ხორენელითან „სიძეებია“. ამგვარად, როგორც ვხედავთ, აზო და ქართლოსი ერთი და იგივე თქმულების ვარიაციებია: თუ აზო შოდის საკუთარი რვა სახლით და ათი მამამძუძის სახლით, ქართლოსი საკუთარი რვა სახლის გარდა (შვილები, შვილიშვილები), ერთ-ერთია რვა ძმას“ შორის. ქართლოსის—შემთხვევაში ქართველთა ეპონიმის სახელი „ქართლოსი“ ქართველთა თვითსახელწოდებიდანაა გაკეთებული იმიტომ, რომ „აზოს“ სახელი დაკარგულია. ეს იმითაც აიხსნება, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემატანიემ აზო ბერძნულ-მაკედონურ სამყაროს დაუკავშირა - იაზონად (აზონი) გააიზრა და ალექსანდრეს სარდლად აქცია. შესაბამისად, ბერძნული გაფორმება მიიღო მისი მამის სახელმაც იარედ+ოს (ბერძნული სუფიქსი). აზოზე თქმულების უფრო ადრეულ პლასტში იარედი „ოს“ სუფიქსის გარეშე აშკარად ირანულ სამყაროს ეკუთნოდა. „ქართლის ცხოვრება“ იარედის შესახებ შემდეგ ინფორმაციას ვგაძლევს: „ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქვეყანა სამსა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, და მასვე ზუდა წილად ქართლი, რომელსაც სახლად ერქუა იარედ... მიერთგან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთს. და მოკლეს ორთა ძმათა იარედ, ძმა მათი. მაშინ პოვეს უამი მარჯუე ქართლოსიანთა და ეზრახნეს ოვსთა, გარდმოიყვანეს ოვსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე ... და მოკლეს იგი და რომელ პოვეს სპარსნი, ყოველნი მოსწყვიტეს ოვსთა და ქართველთა“ (145, 13-14).

„ქართლის ცხოვრების“ ავტორმა „ქართველთა“ მოსვლა სამხრეთიდან დანარჩენ შვიდ „ძმასთან“ ერთად, როგორც ვნახეთ, ქართლოსს დაუკავშირა. ამიტომ აზო ქართველთა მოსვლის სიუჟეტურიდან ამოვარდა, ის მოსულ სასტიკ მტრად იქცა და თანდათან მისი სახელის იაზონთან გაიგივების გამო ირანული სამყაროდან (არიან ქართლი, მამა იარედი) ბერძნულ სამყაროს დაუკავშირდა, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში დანიშნულ „პატრიკად“ იქცა. თუმცა, როგორც ამას მოსე ხორენელიდან და ბერძნული წყაროებიდან ვგებულობთ, ალექსანდრე მაკედონლის ხანაში სომხეთში (მოსე ხორენელის მიხედვით ქართლში - 171, 107) და, როგორც ჩანს, ქართლშიც გამგებლად დანიშნული იყო არა აზო, არამედ მინდარტი // მითრანე (23, 170; 198, 331; 192, 20-21; 219, 277 და შემდგ.; 111, 226-229).

ს. ჯანაშიამ ბერძენთა მიერ აზოს კულტის გაცნობა, მისი ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირება და იაზონად გააზრება აქემენიდურ ეპოქას დაუკავშირა (185, 75). ჩვენი აზრით, ეს მოხდა უფრო მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობების შედეგად დაიწყო ელინისტური ხანა. ალექსანდრე

მაკედონელის მოლაშქრეები გაეცნენ წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიას და ადგილობრივ თქმულებებს და მათ პერსონაჟებს ბერძნული ანალოგიები მოუწახეს. ასე მოხდა ბერძნული მითების პერსონაჟების აღმოსავლურ და კავკასიურ სამყაროსთან შერწყმა. ამ პროცესს კარგად ასახავს სტრაბონის ერთი ცნობა. სომეხთა ისტორიის გადმოცემისას იგი აღნიშნავს: „ძველი ისტორია ამ ხალხის ასეთია: არმენოსმა არმენიონიდან, თესალიის ქალაქიდან .... ილაშქრა იაზონთან ერთად არმენიაში. ამის მოსახელე არის არმენიო, ამბობენ ისინი ვინც იყვნენ კირსილე ფარსალიელთან და მიდიოს ღარისკელთან ერთად. ამ ვაჟკაცებმა კი ალექსანდრესთან ერთად ილაშქრეს“ (150, 193).

როგორც უხედავთ, ინფორმაცია მოდის ალექსანდრე მაკედონელის თანამოლაშქრეებისაგან. სწორედ მათ წამოიყვანეს არმენიონი თესალიიდან. რატომ? იმიტომ, რომ სომეხთში, იბერიასა და ალბანეთში მათ დახვდათ აზოს კულტი, აზოს თაყვანისცემა. სტრაბონის მიხედვით: „იაზონის მოსახსენებლად იაზონის ტაძრებია ფრიად პატივცემული ბარბაროსთაგან; კასპიის კარებს ზემოთ, მარცხნივ დიდი მთაც არის იაზონად წოდებული“ (150, 184); „...ორივე ლაშქრობის ძეგლები მოიბოვება: ფრიქსუსას მიუთითებენ კოლხიდიხა და იბერიის საზღვარზე, ხოლო იაზონისას - ბევრვან: არმენიის, მიდიისა და მიდამო ქვეყნების ადგილებში“ (150, 71); „...მითები მოვგითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიაში“ (150, 124); „...იაზონის და მისი მახლობლების შესახებ ფიქრობენ, რომ მათ უშორესი ლაშქრობა შეასრულეს კავკასიის სანაებბამდე“ (150, 140), „... ამბობენ, რომ, როდესაც იაზონი არმენოს თესალიელთან ერთად კოლხებში მოვიდა, მან მოაღწია კასპიის ზღვამდე, იბერიაცა და ალბანიაც გადაიარა და დიდი ნაწილი არმენიისა და მიდიისა, როგორც მოწმობს ამას იაზონისა და სხვათა მიმართ განკუთვნილი მრავალი ძეგლი“ (150, 135); „...ამბობენ, რომ მთებიდან, ჩამოსული არმენიის არაქსი ძველად ფართოდ იშლებოდა და ქვემოთ მდებარე დაბლობებს წალუკავდა ხოლმე, იაზონმა კი .... კალაპოტი გასჭრა, რომლითაც ახლა მოშხუის წყალი და ჩადის კასპიის ზღვაში“ (150, 134).

ტაციტუსმა კი შემოგვინახა უნიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ იბერები და ალბანელები თავის წარმოშობას იაზონს უკავშირებენ (142, 57, შენიშვ. 131-132).

ბერძნებმა აქციეს რა აზო იაზონად, მასთან ერთად მცირე აზიაში, სამხრეთ კავკასიასა და მიდიაში მოლაშქრე სომეხთა მამა-მთაფარი არმენიც თესალიელად მიიჩნიეს (იაზონის ანალოგიით).





შესაბამისად, არგონავტების მიით დაემატა წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში იაზონის უკვე მეორედ ლაშქრობის ციკლი. ამ ლაშქრობის ობიექტი კი ვახდა ის ტერიტორია, რომელიც მათ ადგილობრივ თქმულებებში აზოსთან დაკავშირებით ეძლეოდათ. ასე იქცა ბერძნულ მითოლოგიაში სამხრეთ კავკასიის ხალხების ლეგენდარული წინაპარი აზო, ბერძენ-თესალიელი იაზონად.

VI-VIII სს-ის განათლებული ქართველები კარგად იცნობდნენ ბერძნულ მწერლობას. თანამედროვე ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მსგავსად, მათაც ადგილობრივი ლეგენდარული აზო-აზოი იაზონად გაიანერეს (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ფორმა ამ სახელისა, რომელიც აშკარად გვიანი გადაკეთების კვალს ატარებს - აზონი) და მისი მოსვლა და მმართველობა ალექსანდრე მაკედონელს დაუკავშირეს. აზოს მამის სახელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულ ყაიდაზე იარედიდან იარედოსად იქცა. ასე დასრულდა ქართულ სინამდვილეში შერწყმა ადგილობრივი ეთნარქი აზოს თქმულებისა ბერძნული მითოლოგიის ლეგენდარულ გმირთან იაზონთან, ანუ აზოს გაბერძნელება.

მას შემდეგ, რაც „ქართლის ცხოვრების“ შემქმნელმა შემატიანემ აზო გააიაზონა და ბერძენად აქცია, ქართველთა ეთნარქისათვის ახალი სახელი უნდა მოენახა და ის ქართველთა თვითსახელწოდებიდან გამოიყვანა - ქართლოსი, მაგრამ საკუთრივ მოთხრობა „ქართველთა“ სხვა ხალხებთან ერთად სამხრეთიდან გადმოსახლებისა დარჩა, რამაც უკვე „ქართლის ცხოვრებაში“ ბიბლიური გაფორმება მიიღო. როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, სომხებსა და ქართველებში თქმულება მათი საერთო მოსვლის შესახებ ელინისტურ ეპოქამდეც

არსებობს მოსაზრება, რომ აზო სახელი იაზონის დამახინჯებაა (192., 20; 39, 78-79). ეს თვალსაზრისი სრულიად გაუმართლებელია. სტრაბონისა და ტაციტუსის თხზულებებიდან მოტანილი ადგილების თვალის გადავლება კი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში ძველ ბერძნებს „იაზონის“ კულტი ადგილზე დახვდათ (185, 75). მართლაც, რა ხსოვნა და თაყვანისცემა უნდა პქონოდათ აქემენიდურ ეპოქაში აღბანელებსა და იბერებს უხსოვარ დროში კოლხეთის სანაპიროსთან მოსული იაზონისა, რატომ უნდა აეგოთ მისთვის ტაძრები, ჩაეთვალოთ ის თავიანთ შამამთავრად და ა. შ. მით უფრო, რომ ეს ხალხები აშკარად წარმოადგენდნენ აღმოსავლური სამყაროს ნაწილს (ასურეთი, მადია, აქემენიდური ირანი) და შესაბამისად, წინაელინისტურ ხანაში მათ მიერ ბერძნული მითოლოგიისა და კულტურის ასეთი მძლავრი შეთვისება ძველი წარმოსადგენია.

არსებობდა და აღექვსანდრეს ლაშქრობების ხანიდან ის ბერძნულ მწერლობაში აისახა არმენის და იაზონის კავკასიასა და მიდამოებში ერთად ლაშქრობების სახით. აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია „ქართველთა“ და „სომეხთა“ თავიანთ ახალ სამშობლოში ერთად მოსვლის შესახებ ხალხის მეხსიერებაში გადმოცემის დონეზე ადრე შეასაუკუნეებშიც ცოცხლობდა. ამას მოწმობს ძველ არაბულ მწერლობაში დაცული ანალოგიური ცნობა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამავე ინფორმაციის ვარიაციაა ბერძნულ მწერლობაში გავრცელებული თვალსაზრისი იბერების (ანუ ქართველების) ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებისა და პონტოს ზღვისხანრეთში გადმოსახლების შესახებ.

სომხურმა წყაროებმაც სომეხთა მოსვლის შესახებ შემოგვინახეს თქმულება, რომელიც სომეხ ავტორთა ხელში მათი კონცეფციისდა მიხედვით განცდილი ძლიერი ცვლილებისა და ქრისტიანიზაციის მიუხედავად (ბიბლიურ სქემასთან მისადაგება) აშკარად ეხმიანება „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს.

მოსე ხორენელის მიხედვით, ჰაიკი, რომელიც ასევე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოძრაობს, ებრძვის ტიტან ბელს, ამ ქვეყანაზე პირველ მეფეს (ეს ბრძოლა „ქართლის ცხოვრებაში“ ნებროთის წინააღმდეგ ბრძოლის სახითაა წარმოდგენილი). ვინ გამოჰყავს ჰაიკს ამ ბრძოლაში? „იხილა რა ჰაიკმა ძლიერად შეჭურვილი ტიტანი და კაცნი გამორჩეულნი მის მარჯვნივ და მარცხნივ, არამანიაკი მისი ორი ძმით (მათი სახელები, როგორც ავტორის შემდგომი თხრობიდან ირკვევა, სორო და მანაგაზია) დააყენა მარჯვნივ, კადმოსი და ორი სხვა თავისი ვაჟთაგანი - მარცხნივ ...თვითონ დაიკავა წინა ხაზი, სოლო დანარჩენი ლაშქარი უკან დაიყენა“ (171, 71). ამგვარად, ჰაიკი თქმულების მოსე ხორენელთან დაცულ ვარიანტში აგრეთვე რვა ერთეულით ებრძვის ბელს. ახლა ჰაიკის გარდა რა ვიცით ჩვენ დანარჩენი შვიდი ერთეულის შესახებ?

მოსე ხორენელთან კადმოსი ჰაიკის შვილიშვილად და არამანიაკის ძედაა გამოყვანილი, მაგრამ, როგორც ეს თავის დროზე კ. პატკანოვმა მშვენივრად აჩვენა, მთელი შინაგანი სტრუქტურა ჰაიკის შესახებ თქმულებისა ამას ეწინააღმდეგება და კადმოსი უფრო ჰაიკის შვილი ჩანს, ვიდრე შვილიშვილი (229, 86-117). ამ მოსაზრებას იზიარებს ი. მანანდიანიც (213, 150). ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტიც

\* ზემოთ ინფორმაცია მოგვაწოდა გ. ჯაფარიძემ.

მოსე ხორენელის თხზულებისა ამას მოწმობს: „კადმოსი და ორი სხვა თავის ვაჟთაგანი“. ამგვარად, ჰაიკის შვილებად გვევლინებიან არამანიაკი, კადმოსი, ხორი და მანავაზი. დასახელებულია აგრეთვე მანავაზის ძე ბაზა, მაგრამ წყარო არაფერს გვეუბნება „ორ სხვა ვაჟთაგანის სახელზე“. ეს სახელები სომხურმა ხალხურმა მესხიერებაში არ შემოინახა, თუმცა აშკარაა, რომ ბელთან ბრძოლაში მონაწილეობდა მ სახლი (ერთი ჰაოსი, ექვსი მისი შვილი და შვილიშვილი ბაზა, ან ხუთი შვილი და ორი შვილიშვილი - კადმოსი და ბაზა).

მოსე ხორენელი თავის წყაროს საკმაოდ თვითნებურად ექცევა და საკუთარი კონცეფციისა და შეხედულებებისამებრ ცვლის. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო რეალური სურათი შემოგვინახა იმ ანონიმურმა თხზულებამ, რომელიც სებულის თხზულებას თავში ერთვის: „ჰაიკმა მოუწოდა თავისთან არამანიაკს და კადმოსს, მის ძეს და ძეთა მათთა და ასულისწულთა შვიდისა თვისისა ასულისათა (ჩვენის აზრით, ქალიშვილებთან მიმართებაში თავდაპირველად ტექსტში უნდა ყოფილიყო მათი ქმრები - სიძეები და არა ვაჟები), კაცთა გოლიათთა, თუმცა შედარებით მცირერიცხოვანთა და გაეშურა ბელის წინააღმდეგ“ (231, 13). უფრო ქვემოთ კი არმენთან დაკავშირებით წყარო გვამცნობს: „როცა მოკვდა ჰაიკი, არმენმა თან წაიყვანა თავისი ვაჟები და ასულები მათი ქმრებით და თავისი შვიდი და მათი ქმრებით ვაჟებითა და ქალებით“ (231, 14). ამგვარად, აშკარაა, რომ შვიდ სიძესთან მიმართებაში ჰაიკი ცალკე „სახლი“ იყო ისევე, როგორც არმენი. სულ კი ორივე შემთხვევაში რვა-რვა „სახლი“ გამოდის.

მოსე ხორენელთან და სებუოსთან შემონახულ სომეხ ეთნარქებზე დაკვირვებამ, მათი დამკვიდრების ადგილების, მოძრაობის მარშრუტის, მოღვაწეობის არეალის განსაზღვრამ კ. პატკანოვი მიიყვანა სრულიად სამართლიან დასკვნამდე, რომ არამენიაკი არ უნდა ყოფილიყო ჰაიკის შვილი. ჰაიკი ერთი ხალხის ებონიმი იყო (პატკანოვი მათაც სომხურენოვან ტომებად მიიჩნევს, თუმცა ჩვენი აზრით, ისინი ხურიტულ-ურარტული ენის მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ), რომელსაც ძირითადად ვანის ტბის ირგვლივ უნდა ეცხოვრა, ხოლო არმენი კი იმ ხალხისა, რომელიც უფრო ჩრდილოეთით არაქსის მიდამოებში დასახლდა (ჩვენი აზრით, ეს ხალხი იყო ინდოევროპული ენის მატარებელი). თავდაპირველად დამოუკიდებელ ციკლებს ქმნიდნენ თქმულებები ჰაიკსა და არმენზე. ამ ხალხების შერწყმის შედეგად სამხრეთელთა თვითსახელწოდება - ჰაიკი - ჩრდილოეთელებზეც გავრცელდა და არმენი ჰაიკის ძედ იქცა. მისი სახელი კი, შესაბამისად, ჩაჯდა კადმოსსა და ჰაიკს შორის (229, 89);

202, 150). სომეხთა წარმოშობის შესახებ სომხურ (მოსე ხორენელი, სებოესი) და ბერძნულ წყაროთა მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩვენ მივედით დასკვნამდე რომ ჰაიკის მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, სინამდვილეში არამანიაკის მოძრაობაა, იმიტომაც იწყება ეს მოძრაობა არამანიაკის გაჩენით. შემდგომში ამ ორი ხალხის შერწყმის შედეგად იმიტომ, რომ ადგილობრივი მამამთავრის სახელს დაუკავშირდა მოსული ხალხის თვითსახელწოდებაც, გადმოცემის ახალ ვარიანტში, მოძრაობას ბაბილონიდან იწყებს ჰაიკი, ხოლო აგრძელებს არშენი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ ბერძნულ მწერლობაში ბევრს მოგვითხრობენ არშენზე, იაზონთან (აზო მ. ს.) ერთად მის ლაშქრობაზე მიდიის წინააღმდეგ, კავკასიონის კალთებამდე და კავკასიონის იქითაც კი, მაგრამ არსად ჩანს ჰაიკი.

ნ. ხაზარაძე განიხილავს რა სომხურ წყაროებში დაცულ ცნობებს სომეხთა გადმოსახლების შესახებ, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ძველი სომხური საისტორიო ტრადიცია სომეხთა წარმომავლობას თოგორმას (გამერი//კიმირელი) სახლს უკავშირებს. ნ. ხაზარაძე საგანგებოდ ჩერდება ჰაიკისა და არშენის მოძრაობის მარშრუტზე, იმ ისტორიულ პერსონაჟებზე, ვისთანაც უხდებოდათ ურთიერთობა სომხეთის პირველ მეფეებს, სომხეთის პირველი მეფის პარუირის მამის, სკაიორდის სახელის ეტიმოლოგიაზე, კერძოდ, სკაიორდის გენეტიკურ კავშირზე სკვითურ სამყაროსთან - „სკაიორდი“ სომხურად ნიშნავს საკის შვილს („სკვითის“ შვილს) და სსვ. და სომხების მოსვლას სკვითების გადმოსახლებას უკავშირებს. „ყოველ შემთხვევაში - ამბობს მკვლევარი - ასეა წარმოდგენილი ეს საკითხი თვით სომხურ ისტორიულ წყაროებში“. ამ სომხურ-სკვითური ტომების მოსვლას კი სომხეთის ზეგანზე ნ. ხაზარაძე დაახლ. ძვ. წ. VII-VI სს-ით ათარიღებს (166, 181-194. იქვე იხილეთ საკითხის ისტორიოგრაფიაც).

„ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაის“ მონაცემებთან შედარების თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა ჰაიკის და არშენის ჩრდილოეთისაკენ მსვლელობის ერთი ფაქტი.

მოსეს მიხედვით ჰაიკი პირველად მკვიდრდება ჰარკში: „თვითონ (ჰაიკი)... დანარჩენი ამალით გაემართა ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მოვიდა და დაემკვიდრა ზეგანზე, რომელსაც დაარქვა ჰარქი, რამდენადაც აქ დასახლდნენ მამანი თარგამოსის სახლის მოდემისა. გააშენა მან აგრეთვე ერთი სოფელი და თავისი სახელისაგან უწოდა ჰაიკაშენი“ (171, 70).



ასეთი სახელწოდების ქალაქი სხვაგან სომხურ წყაროებში არ არსებობს (171, 249). რაც შეეხება პარქად წოდებულ ადგილს, რომელსაც მოსე ხორენელი სომხური ენის ნიადაგზე უძებნის ეტიმოლოგიას და ის „მამათა დასახლებად“ მიაჩნია, სამეცნიერო ლიტერატურაში პარქის გავართანაა გაიგივებული - ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით (171, 249, შენ. 38), ასეთი გაიგივება, როგორც ჩანს, საწყისს მოსე ხორენელიდანვე იღებს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო არის ის, რომ პარკში მკვიდრდება არმენის (არამანიაკის) ძმა მანავაზი.

ამავე ამბავთან დაკავშირებით სებუოსთან ვკითხულობთ: „შემდგომ ჰაიკი ... გაეშურა უფრო შორს ჩრდილოეთისაკენ, მოვიდა და დაემკვიდრა ძალალ ზეგანზე და ამ ველმა მიიღო სახელი პარქი. მამათა სახლის მიხედვით. ხოლო ქვეყანამ კი მიიღო სახელი ჰაიკი ანუ ჰაიკის ხალხი“. შემდგომ ჰაიკი, სებუოსის გადმოცემით, მიდის იქიდან (პარქიდან) უკან და მკვიდრდება არარატის მიწაზე. სიკვდილისას ყველაფერს უტოვებს თავის შვილიშვილს კადმოსს (სინამდვილეში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ის მისი შვილი უნდა ყოფილიყო თქმულების თავდაპირველ ვარიანტში). არმენს კი უბრძანებს უკან ჩრდილოეთით მობრუნებას, თავისი თავდაპირველი დასახლების ადგილას“ (ანუ პარქში მ. ს.). უფრო ქვემოთ არმენთან (არამენიაკი) დაკავშირებით კი შემატყობანე აღნიშნავს: „როცა გარდაიცვალა ჰაიკი, არმენმა წაიყვანა თავისი ვაჟები და ასულები თავიანთი ქმრებით და თავისი შვიდი და მათი ქმრებით .... გაეპართა და დაესახლა ისევ პირველ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდა პარქი“ (231, 14).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მთელი ამ მსვლელობის მოთავედ სწორედ არმენს მივიჩნევთ. ჩვენის აზრით, სწორედ ის მოდის (ან მისი „ძმა“ მანავაზი) პარქში. მოსეს და სებუოსს კი ჰაიკისთვის უპირატესობის მინიჭების გამო, ჯერ ჰაიკი მოჰყავთ პარკში და შემდგომ არმენს ვითომდა მამის ბრძანებით აბრუნებენ ჩრდილოეთისაკენ და მოჰყავთ პარქში. ასეთი შენაცვლებსათვის საფუძველიც არსებობდა - ისინი რომ ტობონიში „პარქის“ ეტიმოლოგიას ჰაიკის სახელში სედავდნენ.

სომხური წყაროების ტობონიში „პარქ“-ი ქართულ წყაროებში ფიგურირებს „ხერკ“ ფორმით. „მოქცევაჲ ქართლისა“ მოვითხრობს: „მამის მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქვეყანა ხარკითა და დახხდეს ივინი ზანაგს და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, პრქვიან მას ხერკი“ (125, 81). როგორც ვხედავთ ქართველი

მემატიანე ხერკის ეტიმოლოგიას თავისებურ ახსნას უძებნის. ამ შემთხვევაში უფრო სწორი სომხური წყარო უნდა იყოს. შეადარ. „მამათა სახლი“ მსცეთა//მცხეთას ( იხ. ქვემოთ).

თუ ჩვენ ამ ინფორმაციას ზემოთ მოყვანილ სომხურ წყაროებში დაცულ ინფორმაციას შევადარებთ, მიუხედავად, რომ ძველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ უფრო კარგად შემოგვინახა უძველესი გადმოცემის ცალკეული დეტალები. ამგვარად, აქ საუბარია ხალხთა დიდ გადმოსახლებაზე - „ქალდეველთაგან გამოსხშულნი ჰონნი“, რომელიც ძველმა სომხურმა ისტორიოგრაფიამ ბაბილონიდან წამოსულ ჰაიკად გაიაზრა. სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, საქმე გვქონდა „ჰონითა“, ანუ სკვითთა თვრამეტი, თუ ოცდარვა „სახლის“ (შეადარ. 28 სახლი სპარსთაგან დევნილ თურქთა), აქედან რვა „ძირითადი“ სახლისა და ათი თუ ოცი მოწყობილი, მონათესავე სახლების (ათი სახლი მამამძუმეთა) გაოდევნასთან მიდიისა და ასურეთის საზღვრებიდან. ამ გადმოსახლებას მეთაურობდნენ არმენი (არამაინაკი) და აზო (ბერძენთა მიერ იაზონად გააზრებული) და სხვა ექვსი „ძმა“ თავთავიანთი „სახლების“ მეთაურები. რომ სწორედ ქართულმა ვერსიამ შემოგვინახა ყველაზე ძველი და სიმართლესთან ახლო მდგომი ინფორმაცია, ამას შემდეგი გარემოებაც მოწმობს: სომხური ავტორებიც გვამცნობენ, რომ გარდა საკუთრივ სახელი ჰარქ-ისა ფიგურირებდა კიდევ სოფელი, დასახლება, რომელიც თავისი დამაარსებლის სახელს ატარებდა. ვინაიდან დამაარსებლად მათ ჰაიკი გაიაზრეს, შესაბამისად, ამ დასახლებას ჰაიკაშენი დაარქვეს (თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ამ სახელით არცერთ სხვა სომხურ წყაროში არ მოიხსენიება). ვინ იყო მაინც ამ დასახლების დამაარსებელი, რომელიც სომხური ვერსიით, საბოლოოდ წილად წვდა არმენის ძმას მანავაზს.

მოსე ხორენელთან დაცულია ერთი ფრიად საინტერესო ცნობა, რომ: „იბეტოსთუ, მეროდი, სირათი, თაკლადი არიან იგივე იაფეტი, გომერი, თირასი, თარგომი“ (171, 69). ამ სახელებზე დაკვირვებამ კ. პატკანოვი მიიყვანა სამართლიან დასკვნამდე, რომ ეს ვარიაციები სახელების მარჯვნიდან და მარცხნიდან წაკითხვის არუვის შედეგია, რაც თავისთავად არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტების თარგმანიდან მომდინარეობს (229, 89).

სირათის და თირასის შემთხვევაში ეს სრულიად გამჭვირვალეა. რაც შეეხება გომერ-მეროდს, აქ ჯერ მარცვლებია მოტრიალებული, ანუ მეროდი მიღებულია გომერიდან ჯერ ბოლო „მერ“ მარცვლის მარცხნიდან მარჯვნივ წაკითხვით, ხოლო შემდეგ „დო“ მარცვლის მარჯვნიდან მარცხნივ წაკითხვით, ოღონდ „დ“ და „გ“



ფონემები შენაცვლებულია. რაც შეეხება თავკლად//თორფომში//  
 თბას, აქ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ისინი ფონემები  
 ვარიანტებია, „რ“//„ლ“ ფონემების გადაჯდომით მიღებული. იყო  
 „თარგამ“//„თაღკამ“, სადაც „რ“//„ლ“ ფონემების გადაჯდომით მივი-  
 დეთ „თაკლამ“. ამ უკანასკნელში ბოლო „მ“ ფონება შეცვალა „დ“-მ.

შემოთ მოყვანილი მაგალითების გათვალისწინებით, განსაკუ-  
 თრებით საინტერესოა სახელ მანავაზის ეტიმოლოგია. ქართული  
 წყარო ვეუწნება, რომ ზერკში დასახლებული ხალხი ფლობდა  
 ზანავს, ხოლო სომხური წყაროს მიხედვით ჰარქში მკვიდრდება  
 მანავაზნი. შემოთ აღნიშნული, მარჯვნიდან წაკითხვის პრინციპით კი  
 მანავაზნი იგივე ზავან-ამ ზავან-ად-ია. ეს სახელი ზავან-ის ფორ-  
 მით, ანუ „ამ“ თუ „ად“ ბოლოსართის გარეშე, გვხვდება კიდევაც  
 მოსე ხორენელისეულ სომეხ მამამთავართა ჩამონათვალში, რომელაც  
 ბირველ მამამთავრს მოსდევს (უფრო ზუსტად მამამთავარს, თუ  
 ჰაიკს არ შევიყვანთ სათვალავში. ის კი არაა სათვალავში შესაყვანი  
 ვინაიდან, როგორც შემოთ უკვე აღვნიშნეთ, მთელი ეს მსვლელობა  
 და გადმოსახლება არმენის და არა ჰაიკის მეთაურობით ხდება). ჩვენი  
 აზრით, სწორედ ეს სიაა უფრო ზუსტი, იმიტომ, რომ ის  
 თავისუფალია ხალხური ზეპირსიტყვიერების აღრევებისაგან, მოსეს  
 კომენტარებისა და ეტიმოლოგიებისაგან და არის ერთიანი ნუსხა,  
 რომელიც, მემპტიანემ უცვლელად გადმოიტანა თავისი წყაროდან.  
 ეს სია უადრესად საინტერესოა მით უფრო, რომ სწორედ 28 სახელს  
 შეიცავს.

ამგვარად, მიდიის მეფისაგან (ყოფილსარისაგან) გამოდევნილი  
 ინდოევროპული-სკვითური ტომები მოდიან ასურეთისა და მიდიის  
 საზღვრებიდან („ქალდეველთაგან დევნილნი პონნი“) ჩრდილოეთით.  
 ამ გადასახლებაში მონაწილეობს 28 სახლი (ეს ციფრი პეროდოტეს  
 შეცდომით სკვითთა მიდიაზე ბატონობის 28 წლად მიაჩნია). მათი  
 წინამძღოლები უნდა ყოფილიყვნენ არა, იგივე არამანიაკი/არმენი და  
 აზო. უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე ბუნქტი, სადაც ერთ-ერთი  
 ასეთი ტომი (სახლი) აზოს მეთაურობით დასახლდა იყო ზავანი//  
 ზავანამ(ად)ი. ეს სახელი ეძლეოდა თავის წყაროში „ქართლის ცხოვ-  
 რების“ შემდგენელ-მემპტიანეს და ის მან ზანავად წაკითხა-გაიაზ-  
 რა, ქართლში მის ზანაში გავრცელებულ ტოპონიმ ზანავთან ამ  
 სახელწოდების მსგავსების გამო. ვინაიდან ჩვენ გვაქვს მოსე  
 ხორენელის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზერკში დასახლებულმა  
 წინამძღოლმა თავის დასახლებას სახელწოდება საკუთარი სახელის  
 მიხედვით უწოდა, მნელი არაა გამოვიცნოთ ზავანის ეტიმოლოგია,  
 რაც, ჩვენის აზრით, აზა-ვანი, აზოს სახლი უნდა იყოს (არამეულ





დამწერლობაში, როგორც ცნობილია ხმოვნები არ იხმარებოდა ამიტომ ქართული და სომხური დამწერლობით შესრულებულ უძველეს ნუსხებში, რომლებიც ფაქტია, არამეულიდან ითარგმნებოდნენ, გახმოვანება ხაკმაოდ თვითნებურია).

ახლა ისევ დავუბრუნდეთ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლოსის მიერ დაკავებულ ტერიტორიას. ქართლოსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოდის სამხრეთიდან დანარჩენ შვიდ „მასთან“ ერთად. ქართლში დამკვიდრებისას ის შემდეგ ტერიტორიას იკავებს: ყველაზე ჩრდილოეთი პუნქტი ქართლის მთაა, რომელზედაც ესაფლავება კიდევ. გარდა ცინე-ქალაქ ქართლოსა, მისივე აშენებულად მიიჩნევა შემატიანე მტვერის ცინე ხუნანს და ორბის ცინეს - სამშვილდეს. ცინეთა ჩამონათვალი „ქართლელთა“ თავდაპირველი დასახლების ადგილად სამხრეთ ტერიტორიას მიუთითებს. ამგვარად, ხალხი, რომელსაც მოუძღოდა იარედის ძე აზო და რომელმაც თავის გამაგრებულ ქალაქს ჰარქ/ხერკი უწოდა, სკვითურ-ინდოევროპული ენის მატარებელი უნდა ყოფილიყო.

ფაქტია, სკვითური ტომების ქართლში მოხვლა უმტკივნეულო სულაც არ იქნებოდა. „მოქცევაჲ ქართლისას“ გამონათქვამი: „მოვიდნენ ნათესაგნი მბრძოლნი“ იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ მოხუცს თავისი საბრძოლო თვისებების დემონსტრირება დასჭირდა. „ხერკის ქვეყანა“ სტრატეგიული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ტერიტორიაა რეგიონში და მისი ფლობა მაშინაც და უფრო ვგვიანაც ირგვლივ მსარეებზე სამხედრო-პოლიტიკურ ბატონობას მოახსავებდა. ცხადია, არცერთი მამასახლისი ხერკს მოხუც ხალხს ნებით არ დაუთმობდა.

ახლა შევეხეთ „ალექსანდრე მაკედონელს“, რომელთან ერთადაც ვითომდა მოვიდა აზო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ელინისტური ხანის დასაწყისში სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის გაცნობისას ბერძნებმა აქ აითვისეს თქმულებები არმენზე და აზოზე. აზო იაზონად გაიაზრეს და, შესაბამისად, მასთან წყვილში მოლაშქრე არმენთან ერთად თესალიელად აქციეს. ახლა ჯერი ქართულ მწერლობაზე მიდგა და მანაც უკვე ბერძნულ ყაიდაზე მოქცეული აზონი მისთვის ნაკლებად ცნობილი არმენის ნაცვლად, ბერძნული სამყაროსათვის ყველაზე ცნობილ ბიროვნებას ალექსანდრე მაკედონელს დაუკავშირა. მით უფრო, რომ ბერძნთა მიერ სამხრეთ კავკასიის დაუფლებისთვის ანალოგიურ ბრძოლებს ალექსანდრე მაკედონელის, თუ უშუალოდ მის მომდევნო ხანაში მართლაც ჰქონდა ადგილი. საინტერესო და ყურადსაღებია ის, რომ „ალექსანდრე მაკედონელი“ ქართლში ორჯერ შემოდის. ბირველად





მან ვერ აიღო ციხეები და უკუიქცა, ხოლო მეორედ „თანა ჰელქსანდრე ალექსანდრეს მეფესა აზოი ძე არიან-ქართლისა მეფისა“. „დალევსა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მანვილი, ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ათორმეტ თუე“. თუ ჩვენ ამ მოთხრობას სომხურ წყაროთა მონაცემებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ჰარქში //ხერკში ჰაიკი და არამანიაკი (არმენი) ორ-ორჯერ მოდიან. სომხური წყაროს მიხედვით მოვიდა ვითომ ჯერ ჰაიკი (ჩვენ ზემოთ ვახვეწეთ, რომ ეს უნდა ყოფილი არა ჰაიკი, არამედ არამანიაკი), ხოლო შემდგომ არამანიაკი; ან ჯერ მოდის ჰაიკი და უკან ბრუნდება, შემდეგ მოდის ხელმეორედ ჰარქში სადაც კვდება, ხოლო არამანიაკი, უტოვებს რა ჰარქს თავის ძმა მანაგაზს (ზავან-ამ//ზავან-ადეს), თვითონ მიდის. იგივე ორჯერ მოსვლასთან გვაქვს საქმე აზოს შემთხვევაშიც: აზო ვითომ ჯერ შემოჰყვება „ალექსანდრე მაკედონელს“, შემდეგ ბრუნდება თავის ქვეყანაში და მოჰყავს „ქართველები“.

ამგვარად, ჩვენ ალექსანდრეს პერსონაჟი გვიან ჩამატებულიად გვესახება აზოს გაბერძენების შედეგად.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ხანისათვის, აზოს (იაზონის) სახელზე სამხრეთ კავკასიაში ტაძრებს აშენებდნენ. მას თავყანს ცემდნენ იბერები და ალბანელები მას თავიანთ ეთნარქად გაიარებდნენ. ამგვარად, ის, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა ალექსანდრეს თანამედროვე და ფარნავაზის მოწინააღმდეგე.

ძვ. წ. VII ს-ის ბოლოს და VI ს-ის დასაწყისში მიდიის მეფე ყიალსარმა დიდი დარტყმა მიაყენა სკვითებს. მან დაამარცხა და დაიმორჩილა ურარტუც (201, 317), ამან გამოიწვია სკვითური ტომების (28 „სახლი“) აყრა და ჩრდილოეთით გადასაცვლება.

მათი ნაწილი სახლდება ვანის ტბის, ნაწილი არაგაწის მიდამოებში, ერთი ნაწილი კი აზოს მეთაურობით მოდის მტკვრამდე და აარსებს სახელმწიფოს, რომლის ცენტრი ხდება ხერკი. აზო თავის კონტროლს უმორჩილებს არაგვის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას - ოთხ ციხე-ქალაქს - კახს, ურბნისს, სარკინეს და ომრხეს, აგრეთვე იმ მოსახლეობას, რომელიც სახლობდა „მდინარესა ზედა მტკუარსა მოხუევით, ოთხ ქალაქად“ და რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მცხეთის მამასახლისი, ხოლო „მოქცევაის მიხედვით“ „ბუნ-თურქთა“ უფალი განაგებდა.

სკვითების ბატონობა ქართლში საკმაოდ დიდხანს, ჩვენი აზრით, საუკუნე-საუკუნე ნახევარი გაგრძელდა, სანამ ისინი აქედან არ გააძევეს აქემენიდებმა. სწორედ აქემენიდები იყო ის ძალა, რომელმაც „ჰონთა დასცა მანვილი“. აქემენიდი შაჰი იყო აგრეთვე



ის „შეფე ყოვლისა ქვეყნისაჲ“, რომელმაც „დასცნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, ხოლო სარკინესა ქალაქსა ებროძელა ათორმეტ თუე“ (125, 81).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გარკვეულ ხანამდე „ქართლისიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრავდიდეს; ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტყვეს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“ (145, 16).

ერთიანი სკვითურ//პროტო-სომხური, წინააზიურ-ინდოევროპული მასის აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში მოხვლისა და დამკვიდრების შესახებ ყოველივე ზემოთქმული აშკარას ხდის „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის ამ ინფორმაციის შინაარსს. სერკში დამკვიდრებული აზო და მისი ხალხი საუბრობდა ინდოევროპულ (სკვითურ//პროტოსომხურ) ენაზე. ამ ერთიან სკვითურ-ინდოევროპულ ენას გულისხმობს, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრება“ ბირველადი „სომხური“ ენის ქვეშ. ცხადია, გვიანდელი მემატიანე თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს მის ხელთ არსებულ უძველეს ინფორმაციას. სომხეთის ტერიტორიაზე, რომელმაც

ამ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევარი შეეხო. შესაბამისად, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ა. ბარამძე თვლის, რომ ლეონტიძესულ „სომხურ ენაში“ ურარტუელი ენა იგულისხმება (35, 46-54; 29). მკვლევარი „დაბადების“ ტექსტების ანალიზზე დაყრდნობით ცდილობს დაასაბუთოს, რომ, ვინაიდან ბიბლიის ქართველი მთარგმნელი „არარატის“ და „არარატის ქვეყნის“ გადმოქართულებისას ტერმინ „სომხის“ იყენებს, „არარატი“ და „ურარტუ“ კი იდენტური ცნებებია (ერთი ბიბლიური, მეორე ასურული). შესაბამისად, ქართულ შეასაუკუნებრივ აზროვნებაში „სომხითა“ ძველ ისტორიასთან მიმართებაში „ურარტუს“ აღსანიშნავად იმარებოდა (35, 56-58). ეს, თავისთავად, ძალიან სწორი დაკვირვებაა, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ მემატიანეს ამ „სომხური“ ენის გავრცელების არეალად ხელაღ არ მაჩნია მხოლოდ არარატი, ანუ ურარტუ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართულ-სომხური წყაროების მონაცემებით, არარატი, სწორია, ცენტრი ხდება „თოღორმას/თარგამოსის სახლის“, მაგრამ ამ ხალხის განსახლების საზღვრები მაგ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კავკასიონიდან ხმელთაშუა ზღვამდე - ორეთის ზღვა და კილიკიის ტავროსამდე - ორეთის მთა (138, 100) აღწევს, ასეთ საზღვრებში კი ურარტუ არასოდეს ყოფილა. არავითარი ინფორმაცია არ გავგაანია ურარტუელი ენის ასეთი გავრცობისა.

უფრო დამჯერებლად გვეჩვენება „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობის კვრივლიასეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით, ვინაიდან თარგამოსის ბირველი დასახლების ადგილი არარატის მთა იყო და ეს ტრადიციული



მიიღო მომხდურთა ძირითადი მასა, ადგილობრივმა პურიქვეყნებმა განიცადეს სრული ინდოევროპიზაცია, ძლიერი ინდოევროპული ნაკადი შემოვიდა ქართველურ ენებში. მიუხედავად ამისა, სკვითურ-ინდოევროპული ენა ვერ მოერია ადგილობრივ ენას. მოსულთა ასიმილაციის შედეგად გაიმარჯვა ადგილობრივმა ენამ. ამ პროცესს განსაკუთრებით ხელი შეუწყო ფარნავაზის ხანაში (ძვ. წ. IV-III სს. მიჯნა) ქართლის სამეფოს წარმოქმნამ. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მის ეპოქას მიაწერს მემატთანე ქართული ენის გავრცელებას სამეფოს მთელ ტერიტორიაზე: „ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“ (145, 26). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, უკვე ქართველიზირებული სკვითური წარმოშობის გვარები, რომელმაც, იმავეითვე ქართლის მოსახლეობის გაბატონებული ზედა ფენა შეადგინა და თვით ფარნავაზიანთა სახლის წევრებიც ახ. წ. III-IV საუკუნეებამდე ანუ ქრისტიანობის მიღებამდე ხელოვნურად ინარჩუნებდნენ ძველ ენას, როგორც სარწმუნოებრივ ენას. ეს უნდა იყოს ქართლში I-III სს-ში გამოვლენილი არაქვეყნიური წარწერების ენა, რომელიც განსხვავდება სასახური ხანის ირანულისაგან და მეცნიერთა აზრით, ერთ-ერთ ძველ, არქაულ, დღემდე უცნობ ირანულ ენას შეიძლება წარმოადგენდეს (235, 55; 164, 49-50).

დასასრულს განვიხილოთ „არიან-ქართლის“ საკითხი, რომლის შესახებ არაერთ ისტორიკოსს აქვს გამოთქმული მოსაზრება.

თავდაპირველად „მოქცევაჲ ქართლისას“ ქრონიკის აღმოჩენის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოიშვა თვალსაზრისი, რომ „არიანი“ (ამ ფორმას ენიჭებოდა უპირატესობა არიანთან შედარებით) არის აზოს მამის სახელი (84, LXXXVII; 83, XXXIII; 181, 25-26; 234, 16; 132, 521).

მემკვიდრეობის წესის თანახმად ერვო მის უფროს ვაჟს პაოსს. პაოსის მოდგმა კი სომხურად საუბრობს, შესაბამისად, მთელი თარგამოსის ოჯახი. მათ შორის ქართლისიც, სომხურად საუბრობდა. ამგვარად „სომხური ენით მოდიან ქართველები ახალ საბინადრო ადგილზე - ქართლში. აქ ჩნდება ერთგვარი აღრევის შედეგად ქართული ენა და ქართველები საკუთარ ენაზე საუბარს იწყებენ (71, 105). საქმე ისაა, რომ ქართველი მემატთანე არაფერს არ იგონებს. სომხური წყაროების ბარალელურად ის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სინამდვილეში, ერთი ამბის, ერთი მითხრობის თავისებურ ინტერპრეტაციას გვაძლევს. ეს მითხრობა კი ინდოევროპულ-სკვითური მოსახლეობის („თოვორმას სახლის“) - ქალდეველთაგან დევნილ ჰინთა“ ანუ „სპარსთაგან დევნილ თურქთა“, იგივე ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულ იბერთა კავკასიაში გადმოსახლებაზე მოვითხრობდა.



ს. ჯანაშიამ თავის ნაშრომში „უძველესი ეროვნული ცნობები ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ“ დაასაბუთა ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობა და აჩვენა, რომ „არიანი“ (მან სწორედ ამ ფორმას მიანიჭა უპირატესობა) არის სახელწოდება არა აზოს შამის, არამედ იმ ქვეყნისა, საიდანაც აზომ „ქართველები“ მოიყვანა. ს. ჯანაშია შექცადა დაედგინა, თუ კონკრეტულად რომელი ქვეყანა შეიძლება ყოფილიყო არიან ქართლი: „ქართლის მოქცევის“ თხრობის არიან ქართლი წარმოადგენს მოგონებას შარი ქვეყნის როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრებლის შესახებ. რეალურად, აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც შიტანი, ისე ურარტუც-ვანის ტბის მიდამოები, რადგანაც ... შარი ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც“ (185, 70).

გ. მელიქიშვილმა „არიან ქართლი“ ირანის ქართლად მიიჩნია და პეროდოტიკოსთან მოხსენიებული აქემენიდური ირანის XIX სატრაპიაში შემაჯავლი ისტორიული ქართლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილად გაიაზრა (219, 278-279).

ამგვარად, გ. მელიქიშვილმა ს. ჯანაშიას თვალსაზრისი შარის ქვეყნიდან ქართველთა მოსვლის შესახებ სერ-ქართლიდან, ანუ სამხრეთ-დასავლური ქართული ტომებიდან სახელმწიფოებრივი ცენტრის ჩრდილოეთით გადმონაცვლების თვალსაზრისით შეცვალა.

ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მოსაზრება საყოველთაოდაა გაზიარებული. ნ. ხაზარაძე „არიან ქართლს“ „მოსხიკედ“ გაიაზრებს. გ. შამუღია თავის სპეციალურ წერილში „არიან ქართლის საკითხისათვის“ აღნიშნავს: „არიან ქართლი“ იგივე სამხრეთ-ქართული სახემწიფოებრივი ერთეულია, რომლის „მეფე“ ფარსმანი აქემენიდური ირანის იმპერიის მიწურულს თავის „სამეფოსთან“ ერთად აქემენიანთა სახელმწიფოს სომხეთის სატრაპის - იარვანდის ვახალი იყო“ (111, 224).

საქმე ისაა, რომ ქართლში ორმეფობის ხანის ფარსმანი და კაოსი მას ამ შრომაში აქემენიდური ებოქის ბოლოში გადააჰყავს და ქართველთა და სომეხთა ომს ჯაგახეთისათვის ალექსანდრე მაკედონელის ახლო ხანებში ათავსებს (113, 293). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში გ. შამუღიამ გადაათარიღა აღნიშნული ისტორიული მოვლენები: ქართლის სამეფოს გაყოფა არტაშეს I (189-161 წწ.) მეფობის ხანას მიაკუთვნა; უფრო მოგვიანებით კი მან ფარსმანისა და კაოსის მეფობაში დაწყებულ ქართველთა და სომეხთა ომი უკვე მარკვარტზე დაყრდნობით (246, 654) ტიგრან II-ის ხანას დაუკავშირა (117, 160-161).



ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ფარსმანი//ფარნაბაზი და აკეოსი ძვ. წ. 40-30-იან წლებში მეფობდნენ და მათი მეფობის ხანას არაფერი აქვს საერთო არც ტიგრან II-ის, არც ერვანდიანების და, მით უფრო, ალექსანდრე მაკედონელის პერიოდთან.

„ქართლის ცხოვრების“, „მოქცევაჲსა“ და სომხურ-ბერძნული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ზემოთ ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად აშკარა ხდება, რომ ყველაზე ახლოს სიმართლესთან იყო ს. ჯანაშია. მან სწორად დაიჭირა აზოზე მოთხრობის არსი: „ქართველთა“ და „სომეხთა“ ერთიანი გადმოსახლება არშენისა და აზოს მეთაურობით. თუქცა ვერ დაუკავშირა ეს ინფორმაცია „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებს“ ანუ ყიადსარისაგან გამოძეგებულ სკვითებს.

ჩვენი აზრით, „არიან-ქართლში“, „ქართლი“ უფრო გვიანი ჩამატებაა არიანის განსამარტებლად. VII-VIII სს-ის ქართველი ისტორიკოსისათვის, მართლაცდა, რა უნდა რქმეოდა ქვეყანას, საიდანაც „ქართველები“ წამოსულან. თუ არა ქართლი? ამიტომ მან წყაროში არსებული ქვეყნის სახელწოდებას - „არიანი“ მიუმატა ქართლი. სინამდვილეში, როგორც ეს ჯერ კიდევ ჰეროდოტეს აქვს აღნიშნული, „არია“ მიდიის უძველესი სახელწოდებაა (188, 164). საერთოდ, ინდოელების, სპარსელების, მიდიელების, სკვითებისა და ალანების საერთო თვითსახელწოდება თავდაპირველად იყო არია (201, 147). ასურეთისა და მიდიის საზღვრებზე შედარებით ხანმოკლე ისტორიულ მონაკვეთში არსებულ სკვითურ სახელმწიფოს სწორედ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შემონახული სახელი „არიანი“ უნდა რქმეოდა. ამ სკვითური ქვეყნის - არიანის - მეფის იარედის ძე უნდა იყოს აზო, რომელმაც ძვ. წ. VI ს-ის I მეოთხედში „ქართველები“ თავიანთ ახალ სამშობლოში სამხრეთ კავკასიაში მოიყვანა. აზოს რვა სახლი და „მამამძუქეთა“ (მოკიდებული, დანათესავებული სახლები) ათი თუ ოცი სახლი (იგივე ოცდარვა სახლი თურქთა) უმცირესობაში აღმოჩნდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოხდა მოსულთა ასიმილირება დამხვდური ეთნოსის მიერ.

\* არიან-ქართლს ირანულ სამყაროს უკავშირებს აგრეთვე მ. ჯანაშვილი, ოღონდ ის მას შუა აზიაში არსებულ ერთ-ერთ ირანულ მხარედ - არიად მიიჩნევს. აზოს მამა იარედოს კი ირანული ებოსის აფრიდუნ-ფრიდონის ძე იარედ-იარეჯთან აიგივებს (183, 53).



გარკვეულ პერიოდში ქართლის მოსახლეობა დუალისტურ უნდა ყოფილიყო: ერთი მხრივ მოსული სკვითურ-ინდოევროპული მოსახლეობა, რომელმაც, უნდა ვიფიქროთ, როგორც დამპყრობელმა არისტოკრატიული ზედა ფენა შეადგინა და, რომელმაც ასურულ-ბაბილონურ-მიდიური სამყაროდან თან მოიტანა თავისი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც განსხვავებული ენისა და რელიგიური წარმოდგენების მატარებელი იყო.

თუ ამ ძველი გადმოცემის მონათხრობს ვირწმუნებთ, უნდა ვალიაოთ, რომ ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში ასურეთისა და მიდიის საზღვრებიდან კავკასიაში გადმოსახლებულ „სკვითურ“ ტომებს ანუ „თოგორმას სახლს“ უშუალო გენეტიკურ-ენობრივი კავშირი არ უნდა ჰქონოდა დღევანდელ ოსებთან (ალანებთან). წინააღმდეგ შემთხვევაში სომხური და ოსური ენები ახლო-ნათესაური ენები იქნებოდნენ.

## თავი II

### ქართლის სამეფოს წარმოშობა უძველესი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით

„მოქცევაჲს“ მიხედვით როგორც ზემოთ ვნახეთ, როდესაც „ალექსანდრე მაკედონელი“ შემოვიდა ქართლში, მას აქ დახვდნენ ბუნ-თურქები, მცხოვრებნი ოთხ ქალაქად. მან აიღო ქართლის ციხესიმაგრეები და ქვეყნის მმართველად დატოვა თავისი სარდალი აზო, რომელიც ვახდა კიდეც ქართლის პირველი მეფე (125, 82).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ალექსანდრეს“ ლაშქრის შემოსვლის დროს ქართლში უკვე სახელმწიფოებრიობა არსებობდა და მას მცხეთის მამასახლისი სამარა განაგებდა, რომელიც „მაკედონელთან“ ბრძოლაში დაიღუბა. ქვეყნის დამორჩილების შემდეგ „ალექსანდრემ“ აქ გამგებლად დანიშნა თავისი სარდალი აზონი. სამარას ძმისწული ფარნავაზი ჩაუდგა სათავეში უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას. აზონზე გამარჯვების შემდეგ ფარნავაზი ვახდა ქართლის პირველი მეფე (145, 17-26).



ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აზოს ალექსანდრე მაკედონელისა და ფარნავაზის ეპოქისგან ორსაუკუნე ნახევარი აშორებს. საკუთრივ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქასა და ფარნავაზის გამეფებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ ვაიაზრებს „ქართლის ცხოვრება“ ქართლის სამეფოს წარმოქმნის პროცესს და როგორ გვეხმის ჩვენ ამ თვალსაზრისით წყაროს მონაცემები. უძველესი ქართული საისტორიო წყაროები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ის ბოლიტიკური ვითარება, რომელიც ყივანაღვისაგან დევნილ აზოსა და „ქართულ სახლებს“ („ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილ ტყვე იბურებს“, „ქალდეელთაგან დევნილ ჰონებს“ ანუ „სპარსთაგან დევნილ თურქებს“, იგივე „ქართლოსს და მის შვილებს“) ქართლში დასვდა.

ქართლის სამეფოს წარმოქმნას წინ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მცხეთის მამასახლისობის ხანა უსწრებდა, რომელიც უკვე სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო. ისევე, როგორც სხვაგან ასეთი სახელმწიფოებრივი გაერთიანების ჩამოყალიბება ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა, რაც თავისებური ფორმით აისახა „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილში.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლის სამეფო, რომელიც მუმატიანეს ქართლოსის წილის სახითა აქვს წარმოდგენილი, ხუთი ურთიერთ მომიჯნავე ქვეყნის — ზევის გაერთიანების შედეგად შეიქმნა, რომელთა სახელწოდებები ქართლოსის შვილების სახელების სახითაა მოცემული: მცხეთოსი, კახოსი, კუნოსი, გარდაბოსი, განიოსი (145, 6-9).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლოსის უფროსი ვაჟი მცხეთოსი იყო, რაც მისი და, უფრო ზუსტად, მისი წილნკვდრი ქვეყნის უპირატესობას გულისხმობს სხვა შემოთხამოთვლილ ოთხ ქვეყანასთან მიმართებაში. ამით მუმატიანეს, ჩვენი აზრით, უნდა აჩვენოს, რომ ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე (ფარნავაზის ეპოქა) სწორედ „მცხეთოსის წილის“ ირგვლივ მოხდა დანარჩენი ოთხი ქვეყანა-ზევის გაერთიანება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით საკუთრივ მცხეთოსის წილი-ქვეყანა იყო სამი ისტორიული „ზევის//ქვეყნის“: უფლოსის ქვეყნის, ჯავახეთისა და ოძრხის გაერთიანების შედეგი, რომლებიც მუმატიანეს მცხეთოსის შვილების: უფლოსის, ჯავახოსისა და ოძრხოსის წილნკვდრი ქვეყნების სახით აქვს წარმოდგენილი. აქედან უფლოსის წილნკვდრი ქვეყანა იყო ის მთავარი, ძირითადი ტერიტორია — „უფროსი ძმის ქვეყანა“, იგივე „ზენა სოფელი“ — რომლის ირგვლივაც მოხდა, მუმატიანის აზრით, დანარჩენი ორი ქვეყნის — ჯავახეთისა და ოძრხის გაერთიანება.

თუ „ქართლის ცხოვრების“ და „მოქცევაის“ ცნობებს ერთობა-  
 ნეთს შევადარებთ, მივხვდებით, რომ რასაც „ქართლის ცხოვრების“  
 შემათიანე (VII-VIII სს.) მცნეთოსის და მისი შვილების წილად  
 მიიწიეს, სხვა არაფერია, თუ არა მტკვრის მარცხენა სანაპიროს  
 ქართლი ანუ ძველი და ახალი ერების მიჯნაზე სტრაბონისეული  
 იბერია - მცნეთულ მეფეთა მხარე. მაგრამ ამას ზედ ედება XI ს.  
 შემათიანე-რედაქტორის ხანის ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები.  
 მაგ., VII-VIII ს-ის ავტორთან „ზენა სოფელი“ ესაა ქვეყანა არაგვიდან  
 ტასისკარამდე (უფლოსის წილი) და არა „არმაზიდან ფანავრამდე“. ეს  
 უკვე გვიანდელი „შიდა ქართლია“ და არა „ზენა სოფელი“.

„ზენა სოფელს“ ანუ მცნეთულ მეფეს ექვემდებარება ოძრხის  
 ქვეყანა და ჯავახეთი (ამიტომაც უფლოსთან, იგივე ზენა სოფელთან  
 შედარებით ოძრხოსი და ჯავახოსი უმცროსი ძმებია), ოღონდ  
 ჯავახეთი მცნეთულ მეფეთა გამგებლობაშია არა მთლიანად,  
 გვიანდელი ჯავახეთის საერისთავოს გაგებით - ფარვანითგან ვიდრე  
 თავამდე მტკვრისა (როგორც ამას უკვე VII-VIII სს. შემათიანე  
 გაიაზრებს), არამედ წუნდიდან ქვევით ანუ მტკვრის მარცხენა  
 სანაპიროს ჯავახეთი და, შესაძლოა, ქ. წუნდა მარჯვენა სანაპიროზე  
 (43, 78). სწორედ ასე იყოფოდა ჯავახეთი ორმეფობის ხანაში.

მცნეთოსი შემათიანეს ქართლოსის შვილად ჰყავს წარმოღ-  
 ვენილი და ამიტომ მის სამკვიდრო ქალაქად თავდაპირველად მაშის,  
 ქართლოსის მიერ აგებულ ქ. ქართლს, იგივე არმაზს მიიწიეს.  
 მცნეთაში კი იგი ამ ქალაქის ვითომდა მის მიერ აგების შემდეგ  
 გადმოჰყავს. სინამდვილეში მცნეთის სამამასახლისო ქვეყანა მტკვრის  
 მარცხენა სანაპიროს მოიცავდა, ხოლო არმაზი, ერთიანი ქართლის  
 ცენტრი მხოლოდ ფარნავაზის ეპოქაში გახდა. საკუთრივ ქალაქ

\* ა. ბოვერაძე აღნიშნავს, რომ „ზენა სოფლის“ „შიდა ქართლით“  
 შენაცვლება XI ს. რეალითაა. ამას ის „ქართლის ცხოვრების“ უძველესი  
 ნაწილის XI ს. დათარიღებისათვის ერთ-ერთ არგუმენტად იყენებს (50, 38)  
 მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ თავდაპირველ ტექსტში „ზენა სოფელი“ იყო  
 და ის „შიდა ქართლიად“ მხოლოდ XI ს. რედაქტორმა გადააიზრა და  
 შეცვალა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ როდესაც შემათიანე ორმეფობის  
 ხანის ქართლზე საუბრობს, „შინა ქართლს“// „შიდა ქალაქს“// „შიდა  
 ქართლს“ სწორედ არაგვიდან ტასისკარამდე ათავსებს და არა „არმაზიდან  
 ფარვანამდე“ ანუ მას აღრინდელი „ზენა სოფლის“ იდენტურად ხმარობს:  
 „მისცა ქალაქი მცნეთა და ქვეყანა მტკუარსა (აქ, წუნე აზროთ,  
 გამოტოვებულია სიტყვა ჩრდილო) შიდა ქართლი, მუხრანით კერძი ქალაქი  
 და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი“ (145, 43)





მცხეთის მშენებლობა ფარნავაზის ხანის შემდგომ მონეტა (ქვემოთ).

ყოველივე ეს უფრო ნათელი გახდება, თუ „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაცემებს შევუდარებთ „მოქცევაჲს“ შესავალ ნაწილს, სადაც ქართლში „ალექსანდრეს“ ლაშქრობების დროს მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქალაქებია მოხსენიებული: „ინილნა ნათესავნი მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მოხვევით, ოთხ ქალაქად... სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრხე“. რაც შეეხება ამ გაერთიანების დედაქალაქს და ცენტრალურ ციხეს, ეს ან უფლის ციხეა და ან სარკინე. ყოველ შემთხვევაში აქემენიდების მოსვლისთვის, ალექსანდრე მაკედონელი კი სწორედ ირანის შაჰის ჩანაცვლებად გვესახება, ირანელთა ძირითადი ბრძოლა მცხეთის მამასახლისთან სწორედ სარკინესთან იმართება. სწორედ „ციხე დიდი სარკინისა“ პქონდა სპარსელებს (და არა ალექსანდრეს) ალყაშემორტყმული II თვე ექვს გარეშეა, რომ სარკინეს დიდი ციხე ამ ქალაქის აკროპოლისი უნდა იყოს და ის არ შეიძლება შეესაბამებოდეს დღევანდელ ციხე-დიდს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

„მოქცევაჲ ქართლისა“ ამ ბრძოლებთან დაკავშირებით არ იხსენიებს ერთ-ერთ ცენტრალურ დასახლება-ქალაქს - ქართლის მთას და ქალაქ ქართლს. ცხადია, ციხე-ქალაქი ქართლი არც უნდა ყოფილიყო ამ ჩამონათვალში. „ალექსანდრე მაკედონელი“ ანუ ირანის შაჰი, რომელიც აქ „ჰონებს“//„თურქებს“//„ხაზარებს“, სინამდვილეში კი სკვითებს ეომება, ფაქტიურად, მხოლოდ მარცხენა სანაპიროს ებრძვის, მას იმორჩილებს. „მოქცევაჲში“ არმაზი ანუ ციხე-ქალაქი ქართლი უფრო ქვემოთ გვხვდება როგორც ქართლის „მიერე“ მეფის, ფარნავაზის მთავარი რეზიდენცია. სკვითების მოსვლის პერიოდისთვის კი აზო და მისი „სახლები“ სერკს ეუფლებიან და მარცხენა სანაპიროს ქალაქებში მაგრდებიან. რაც აისახა კიდევ აზოს მიერ რეზიდენციად „ძველი მცხეთის“ ანუ, ჩვენი აზრით, სერკის არჩევაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ორსაუკუნენახევარში, რომელიც ამორებს ერთმანეთს აზოს „ქართლში“ მოსვლას ფარნავაზის ეპოქიდან, აქ სკვითურ ტომთა ბატონობა უცვლელი არ დარჩენილა. „ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის გამეფებამდე მოგვითხრობს ქართლში აქემენიდური ირანის ხანგრძლივი ბატონობის შესახებ: ერისთავი არდამი, მისი გარდაცვალების შემდგომ გამოიცვალა კიდევ ოთხი „ერისთავი“. ჩვენი აზრით, სპარსეთის „ერისთავში“ აქემენიდური ირანის სატრაპი ან მისი დანიშნული მოხელე უნდა იგულისხმებოდეს. ამგვარად, დაახლ. ერთი საუკუნე, თუ მეტი არა, ქართლში



აქემენიდთა ბატონობა გრძელდებოდა. ირანელებს ამ მხარეზე თავიანთი პოლიტიკური ბატონობა ძვ. წ. V ს-ის 30-20-ან წლებში უნდა დაემყარებინათ. ამ შემთხვევაში ვასაგები ხდება რატომ არ არიან იბერები დასახელებულნი აქემენიდთა მიერ დამორჩილებულ ქართველურ ტომთა შორის ჰეროდოტეს „ისტორიაში“ - ეს ჰეროდოტეს მიერ თავისი თხზულების დაწერის შემდეგ უნდა მომხდარიყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ირანელთა „ერისთავი“ აგრეთვე ძველ დედაქალაქში, მცხეთაში ანუ ხერკში წის, თუმცა იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართლის//არმაზის ციხე-სიმაგრის მშენებლობას. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისა და აქათ მტკურამდის და წარმოხლუდა ცხვირი არმაზისა ვიდრე მტკურამდე“ (145, 13). ამგვარად, თუ ეს ცნობა სწორია, პირველი მშენებლობა არმაზის ციხისა ძვ. წ. V ს-ის ბოლოს ან IV ს-ის I ნახევარში უნდა განხორციელებულიყო.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ის ძალა, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „მოსრა ყოველი, რაოდენიც ხაზარი ბოგა ქართლისა შინა“ (145, 13), ანუ „მოქცევაჲ ქართლისას“ „ქალდეველთაგან გამოსხმულ“ და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოსულ „ჰონთა“ - სკვითური წარმომავლობის ტომებს - „დასცა მახვილი“ და, შესაძლოა, მათი ერთი ნაწილი აქედან ჩრდილოეთით გააძევა იყო სწორედ აქემენიდური ირანი, და არა აღექსანდრე მაკედონელი, რომელსაც სამხრეთ კავკასია უკვე ირანელთა გამგებლობის ქვეშ დახვდა.

ექვს ვარეშეა, ფარნავაზისა და აზოს ბრძოლებში რამდენიმე ისტორიული მომენტია გაერთიანებული. უპირველეს ყოვლისა, აქ აისახა ძვ. წ. VI ს-ის I მეთოხედში სკვითური ტომების მოსვლა აზოს მეთაურობით და მათთან ადგილობრივი მოსახლეობის, ძირითადად, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ოთხი ქალაქის ერთობის ბრძოლა „ბუნთურქთა“ უფლის („მოქცევაჲს“ მიხედვით), იგივე მცხეთის მამასახ-

\* „მოქცევაჲს“ ტექსტში მოხსენიებულ „ბუნ-თურქთა“ საკითხს არაერთი ისტორიკოსი შეხვია. პირველად ეს ტერმინი ვანმარტა მ. ბროსემ როგორც „პირველყოფილი თურქები“ და ისინი სპარსეთის მეფის ქაიხოსროს მიერ დევნილ თურქებს ანუ, მისი აზრით, „შაჰ-ნაშეს“ თურანელებს დაუკავშირა (240, 33); ნ. მარმა ეს ტერმინი ახსნა როგორც ადგილობრივი, ავტონომური (215, 1-XII); ნ. მარის აზრი გაიზიარა ნ. ჯანაშიამ (184, 134), მ. ანდრონიკაშვილმა (15, 299). ვ. კოვალევსკიამ ეს ტერმინი სკვითურ სამყაროს დაუკავშირა (205, 67). ამ თვალსაზრისს იზიარებს გ. ალასანია (10, 19-25).



ლისის შეთავრობით („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით); ამჟამად მხოლოდ მხოლოდ უფრო გვიანი პლასტი უკვე აქემენიდთა ხანაში ირანელების აქ გამაგრებულ „ჰონებთან“ ბრძოლისა და მათი ნაწილის აქედან ჩრდილოეთით გადარეკვის შესახებ; უფრო მოგვიანებით კი, უკვე საკუთრივ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, სატრაპ მითრანესთან (მითრიდატე) ფარნავაზის ბრძოლისა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ქართული ქვეყნების გაერთიანებისკენ იყო მიმართული. ამ საკითხზე დაწვრილებით ქვემოთ, ფარნავაზის ეპოქაზე თსრობისას გვექნება საუბარი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისა“ და „ქართლის ცხოვრება“ სწავლასაგა ისტორიულ ტრადიციას ეყრდნობა: ამიტომაცაა, რომ „მოქცევაჲს“ მიხედვით აწო კანონიერი მეფეა, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით - დამპყრობელია. „მოქცევაჲ ქართლისაჲმ“ აწოს მეფობით და მის ქართველთა მამამთავრად დასახვით შემოგვინახა მოსული და დროთა განმავლობაში ქართიზირებული მოსახლეობის ისტორიული ტრადიცია. „ქართლის ცხოვრებაში“ უკვე საბირისბირო პროცესია გადმოცემული, როდესაც ფარნავაზი, როგორც მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის ანუ „უფლოსის წილი“ ქვეყნის „ზენა სოფლის“ მმართველი საგვარეულოს წარმომადგენელი (ოღესლაც აქემენიდებთან ბრძოლაში დაღუპული სამარას საგვარეულოდან - სამარას „მისწული“ - ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), კავკასიის ჩრდილოეთით მომთაბარე კიმერიულსკვითური ტომების დახმარებით საბოლოოდ აერთიანებს ქართლს.

„მოქცევაჲს“ მიხედვით საკუთრივ ქალაქ მცხეთის შშენებლობა ქართლის მერვე მეფე ბრატმან I-ის (დაახლ. ძვ. წ. 140-130 წწ.) დროს იწყება (დედაქალაქად კი ის მხოლოდ ქართლის ორად გაყოფის შემდეგ დაახლ. ძვ. წ. I ს-ის 50-იანი წლებიდან ხდება უკვე ბრატმან II-ის დროს, და ასრულებს მტკვრის მარცხენა სანაპიროს ანუ მტკვრის ჩრდილოეთით

---

ჩვენი აზრით, ძველი ქართული წყაროები ამკარად განასხვავებს მოსულ „ჰონებს“ ანუ „თურქებს“, რომლებიც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ სკვითურ-ინდოევროპულ ტომებს-„სახლებს“ წარმოადგენდნენ და ქართლში მოსახლე ბუნ-თურქებს. ამჟამად, ახლადგამოვლენილი ურარტული და ასურული წყაროების ანალიზის შედეგად მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სამხრეთკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძვ. წ. VIII-VII სს. მიჯნაზე არსებობდა კიმირიელთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება (202, 30). შესაძლოა, „ბუნ-თურქებში“ და მათ უფალში სწორედ ეს კიმერიული ან ქართულ-კიმერიული სახელმწიფო გაერთიანება იგულისხმებოდეს.

მდებარე ქართლის ქვეყნის, იგივე მცხეთელ მეფეთა რეზიდენციის (იხ. ქვემოთ) ფუნქციას. იგივე ინფორმაცია ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ შემატანიესაც, ოღონდ მან ეს ინფორმაცია ვაატარა თავისი კონცეფციის პრინციპში. მისი კონცეფციით ხომ ქართლი როგორც პოლიტიკური ერთეული, როგორც სახელმწიფო, „ქართლოსის შვილებს“ გაერთიანებაა. მცხეთოსი კი (მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლი) უფროსი და გამაერთიანებელი მხარეა. შესაბამისად, ქ. მცხეთა მცხეთოსს დაუარსებია. თუ მცხეთოსმა დააარსა, მაშ რაღა გააკეთა ბარტომშა, რომლის დროსაც მის ხელთ არსებული წყაროს მიხედვით, დაუწყიათ მცხეთის მშენებლობა, ე. ი. ბარტომს ეს ქალაქი განუახლებია, გაუმაგრებია. ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია ტობონიმ „მცხეთის“ ეტიმოლოგია. მკვლევარები, ჩვეულებრივ, „მცხეთას“ მესხთა სატომო სახელს უკავშირებენ (216; 217, 50-51; 95, 2-3) და ამ სახელწოდების ასეთი ინტერპრეტაცია შიდა ქართლში მესხთა მიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად განიხილება (219, III). ჩვენ უფრო დამაჯერებლად ტობონიმი „მცხეთის“ გ. ბედომვილისეული ეტიმოლოგია მივგაჩნია, რომელიც „მცხეთის“ თავდაპირველ ფორმად „მსცეთას“ მიიჩნევს (40, 195-196). ეს კი უზრუნველყოფს, „მამათა“ სათათბირო ადგილს - აკროპოლისის ნიშნავს. შეადარეთ მოსე სორენაცისეული „ჰარქ“ ტობონიმის ახსნა, როგორც მამათა ადგილის, მამათა დასახლებისა. „მსცეთა“ მოსული „სკვითების“ ჰარქ/ხერკის ქართული შესატყვისია (ქართველ შემატანიეს რომ ადგილობრივი, განახლსურებული ფორმა ტობონიმისა - ხერკი, თავის წყაროში სწორედ ხარკ/ჰარქ ფორმით ეძლეოდა, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ის სწორედ „ხარკ“ ტობონიმის ეტიმოლოგიას იძლევა: „და რომელი ქვეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის“). ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ აზო და ქართლოსი ერთიდაიგივე ბირია. შესაბამისად, აზოს, იგივე ქართლოსის ხანის მსცეთა/მცხეთა „მოქცევაჲს“ „ძუელი მცხეთა“

არავითარი დაბრკოლება არ არსებობს სკვითურ-სომხური „ჰარქ“ ტერმინის ქართულად „ხერკად“ გადმოსვლისა. მაგალითად, ქართული ქალაქის ხუნანის სახელწოდება, სომხურში ჰნარაკურტის ფორმით გვხვდება. ამ შემთხვევაში „კურტის“ დამატების და კომპოზიტის წარმოქმნის შედეგად შეიკუმშა „უ“ ხმოვანი, რომელიც ჩვეულებრივ იკუმშება სომხურში მსგავს შემთხვევებში. მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ სომხური „ა“-ს ქართულში „ე“-დ გადმოსვლისა.



„ჰონთა“ დასახლების ადგილი სერკი-ზანავი იყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლოსის თავდაპირველი დასახლების ადგილად ქართლის მთა და ქალაქი ქართლია (არმაზი). მაგრამ დედაქალაქად (და, შესაძლოა, ქალაქადაც) არმაზი, სინამდვილეში, მხოლოდ ფარნავაზის ხანიდან ხდება. რაც შეეხება „ქართლოსის“ მუშაობის მიერ ქართლის მთაზე დასახლების ფაქტს, ამ შემთხვევაშიც მუშაობაზე უზუსტობას უშვებს ან, უფრო სწორად, თავისი კონცეფციის შესაბამისად, თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადაც შეერთვის არაგვი მტკვარსა და განვიდა მთასა, მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი“ (145, 8). თუ ჩვენ აღნიშნულ ტექსტს ჩაუვყვირდებით, მივხვდებით რომ, ქართლოსი მისულა არაგვისა და მტკვრის შესართავთან და იქ გასულა მთაზე, ე. ი. მისი თავდაპირველი დაშვებების ადგილი ყოფილა სერკი (საგურამო) და არა არმაზი. მაგრამ მუშაობიანეს სერკში, თავისი წყაროს მიხედვით, ჰონთა (რომლებიც მან „ჰურიებად“ გაიარა) დასახლების ამბავი ეძლეოდა. ამიტომ „ქართლოსი“ ქართლის მთაზე აიყვანა, მით უფრო, რომ სახელიც მისი ქართლიდან აწარმოა. საბოლოოდ მან არცერთი ინფორმაცია არ დაკარგა: ქართლოსი იკავებს მთას, „სადაც შეერთვის არაგვი მტკვარსა“; „ჰურიანი“ (ჰონები) ესახლებიან სერკში (ზანავში); „მოქცევაჲ ქართლისას“ „ქართველთა“ ქართლში მომყვანი აზო კი, უკვე ბერძენ აზონად და ალექსანდრე მაკედონელის „პატრიკად“ ქცეული, ალექსანდრესთან ერთად მოდის და იპყრობს ქართლს. მთელი ეს აღრევა იქიდან მომდინარეობს, რომ მუშაობიანე სწავლასწავა მოვლენებად აღიქვამს „ქალდეველთაგან დევნილ ჰონთა“, მისი გაგებით „ჰურიათა“ ქართლში მოსვლასა და აზოსა და „ქართლოსის“ ქართლში მოსვლა-დამკვიდრების ამბავს.

მცხეთის ქვეყანა, იგივე „ზენა სოფელი“ „მოქცევაჲს“ მიხედვით წარმოვადგება როგორც რამდენიმე ქვეყნის-ხევის გაერთიანება, სადაც ცხოვრობდნენ: „ნათესაჲნი მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მოხვევით, ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრნე და ცინენი მათნი: ცინე დიდი

<sup>1</sup> იგივე დასკვნამდე, უკვე არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, მივიდნენ არქეოლოგებიც: ა. აფაქიძემ „ძუელი მცხეთა“ სერკად მიიჩნია (25, 163); „ძუელი მცხეთის“ პრობლემა სპეციალურად განიხილა ალ. ბოზოჩაძემ. მან გაიზიარა აღნიშნული ლოკალიზაცია (53, 526, აქვე იხილეთ საკითხის ისტორიოგრაფია).

სარკინისა, უფლის ცინე კახისა. ურბნისისა და ოძრნისა“ (125, 81) თითოეულ ამ ქვეყანას, როგორც ვხედავთ, ჰქონდა თავისი ცენტრი „ქალაქი“, „დაბნებითა“ და „უფლის ცინით“ და ჰყავდა თავისი „უფალი“. „მოქცევაჲს“ ქრონიკაში უფლის სამი ცინეა დასახელებული. ქრონიკა „დიდ ცინეს“ უწოდებს მხოლოდ მეოთხე მთავარი ქალაქის - სარკინეს ცინეს. როგორც ჩანს, ის თავისი ზომებით გამოირჩეოდა დანარჩენი სამისაგან.

იმ დროისათვის კი, რა ხანასაც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე ასახავს, „უფლის ცინე“ და „მცხეთა//მსცეთა“ ზოგადი ცნებებიდან უკვე კონკრეტულ გეოგრაფიულ სახელებად არის გადაქცეული, ხოლო სარკინე და არმაზი - ამ მცხეთის უბნებია, თუქცა მემატიანემ იცის, რომ ქართლი, გვიანი არმაზი, ფარნავაზის ხანაში დედაქალაქი იყო.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ოძრნოსს ერგო ტერიტორია „ტახისკარიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ და „ოძრნოს აღაშენა ორნი ცინე-ქალაქნი ოძრნე და თუხარისა“. ამ შემთხვევაში ოძრნოსის წილში სამცხე, აქარა და კლარჯეთია გაერთიანებული მაშინ, როდესაც ფარნავაზის ოძრნის საერისთავო მხოლოდ სამცხეს და აქარას მოიცავდა. „მეექვსე გაგზავნა ოძრნის ერისთავად და მისცა ტახისკართგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აქარა“. ამგვარად, „ქართლის ცხოვრებაში“ ოძრნის ქვეყნის ტერიტორიის საზღვრები მთლიანად ნათელი ვერაა. შესაძლოა, თუხარისის ცინე და მისი ქვეყანა მართლაც შედიოდა მცხეთის საგამგებლო ტერიტორიაში, მაგრამ დანარჩენი კლარჯეთი „ქართლის ცხოვრებისე“ მონაცემით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყოველთვის არმაზის ქვეყნის საგამგებლო იყო.

ჩვენი აზრით, არაა სწორი სახელწოდება „სამცხის“ მესხთა სატომო სახელთან დაკავშირება. ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო სწორია გ. ბედოშვილი, რომლის აზრით, სა-მცხე მომდინარეობს სა-მცხე-თე-დან და ნიშნავს მცხეთის საგამგებლო ქვეყანას (41, 218-221). ეს თვალსაზრისი მშვენივრად ესადაგება თვით „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს. როგორც ვნახეთ, ორმეფობის ხანაში ოძრნის საერისთავო ანუ გვიანდელი სამცხე მცხეთელ მეფეს ემორჩილებოდა, ანუ სამცხეთე იყო.

ჯავახეთის ხევი-ქვეყანა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მოიცავდა ტერიტორიას „ფანავრიტგან ვიდრე თავამდე მტკვრისა“ და შედგებოდა შემდეგი ქვეყნებისაგან: ტერიტორია ფანავრიდან წუნდამდე, რომელსაც სომხური გეოგრაფია ზემო ჯავახეთს უწოდებს, კოლა და არტანი. აქ არსებობდა ორი ცინე-ქალაქი -



წუნდა, ვაერთიანების ცენტრი და არტანის ქალაქი. აქაც, როგორც შემოთ არა ერთხელ აღვნიშნეთ, მემატიანის ხანის (VII-VIII სს. მიჯნა) წუნდის - ჯავახეთის საერისთავოს გააზრებასთან გვაქვს საქმე. მცხეთის საგამგებლო კი იყო მხოლოდ ქვემო ჯავახეთი ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჯავახეთი, რომელსაც, სავარაუდოა, ოძრხის ერისთავი განაგებდა. ქ. წუნდაც უფრო გვიან დაარსებული ჩანს. თავდაპირველად ეს ქვეყანა მხოლოდ კოლა, ერუშეთი და მტკვრის მარცხენა მხარის არტანისგან შედგებოდა და მისი ცენტრი ქალაქი არტანი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიგვითითებს თვით „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები. „ქართლის ცხოვრებაში“ ორ ადგილას ქაჯთა ქალაქი, იგივე ჰური, ქ. არტანს შეესაბამება: „ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური“ (145, 10); აგრეთვე „...ფარნავაზ... მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური...“ (იქვე, 23). მესამე შემთხვევაში კი მემატიანის მიხედვით ქაჯთა ქალაქი უკვე წუნდის სინონიმია: „დაივიწყა მან (იგულისხმება სომეხთა მეფე) კეთილი ქართველთა, ემძღავრა ფარსმანს არმაზელსა და მოუღო საზღუარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე და დასხნა წუნდას შინა კაცნი მხეცნი, ნათესავნი დევთანი და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი ესე ითარგმნების დევთა სახლად“ (იქვე, 44). ამ შემთხვევაში არტანის სომეხთა მიერ მიტაცებაზეა საუბარი, ამიტომ თავდაპირველ ტექსტში წუნდა კი არა ქალაქი არტანი (მტკვრის მარცხენა სანაპიროზე) უნდა ყოფილიყო მოხსენებული. ტექსტის ამ ადგილას ქალაქ არტანის წუნდით შენაცვლება უფრო მოგვიანო ხანის ინტერპოლაცია უნდა იყოს.

ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცხეთოსის წილი ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლის ქვეყანა გარკვეული პერიოდი წარმოადგენდა სამი „ქვეყნის“: უფლოსის წილის (ზენა სოფელი), ჯავახეთის (ე. წ. ქვემო ჯავახეთი, არტანი, კოლა) და ოძრხის (სამცხე, აქარა,) ვაერთიანებას.

სამწუხაროდ, გვიანდელი მემატიანე, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გაერკვა ძველ მათიანეთა მონაცემებში. მან უფრო თავისი ებოქის (VII-VIII სს.) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა მოგვცა, ვიდრე შემოხაზა უძველესი ხანის ქართული „ქვეყნები“. ამიტომ, თუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლი ანუ მცხეთის სამამასახლისო უფრო გვიან კი მცხეთელ მეფეთა ქვეყანა ერთგვარად მაინც იგვეთება მცხეთოსის წილის სახით (მისი ფარგლების აღდგენა,

როგორც ვნახეთ, სახსებით შესაძლებელია „მოქცევაისა“ და „ქართლის ცხოვრების“ შეჯერებით), მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა, მოგვიანებით არმაზელ მეფეთა საგამგებლო, ციხე-ქალაქ არმაზით სათავეში, უკვე ასეთ ერთიან სახეს არ ატარებს და შემატიანის პერიოდის აღმინისტრაციულ დაყოფას იმეორებს. ამ მხარის ეთნარქები გაჩიოსი და გარდაბოსი მცხეთის ქვეყნის - მცხეთოსის უმცროსი ძმები არიან. მათი წილი ქვეყნები კი იდენტურია სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოების. სახელწოდება გაჩიოსი ციხე-ქალაქი გაჩიანიდან მოდის და ტერიტორიულად მის „დაბნებს“ ანუ მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყანას გულისხმობს. ფრიად სარწმუნო ჩანს გ. ბედოშვილისეული ეტიმოლოგია ტერმინისა „გარდაბანი“, რომელიც, მისი აზრით, „გარე დაბანიდან“ უნდა მომდინარეობდეს. რაც ციხე-ქალაქ ხუნანზე დაქვემდებარებულ ტერიტორიას ანუ მის გარედებებს აღნიშნავს. ასეთი ეტიმოლოგია ექმანება „მოქცევაი ქართლისას“ ზემოთ მოყვანილ ცნობას, რომლის მიხედვითაც, როგორც ვნახეთ, ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები, „ხევები“ სახელმწიფოებრიობის წარმოშობის ხანისათვის წარმოადგენდა ერთგვარ პოლიტიკურ გაერთიანებებს თავისი „უფლის ციხეებით“, ცენტრი ქალაქებითა და მათზე დაქვემდებარებული დაბნებით - გარედებებით.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლი ანუ მოგვიანებით არმაზელის წილი ქართლი მოიცავდა ტერიტორიას: „ხუნანიოგან ვიდრე თავამდე მტკვრისა“ და კლარჯეთს. ეს კი იყო გვიანდელი ტაშირი და აშოცი, ანუ ქ. გაჩიანის ქვეყანა, იგივე სამშვილდის საერისთავო; გარდაბანი, იგივე ქ. ხუნანის ქვეყანა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჯაფახეთი ფარაგნიდან ქ. წუნდამდე, სომხური წყაროების „ნახევარი“, იგივე ზემო ჯაფახეთი ანუ, ჩვენი აზრით, საკუთრივ ჯაფახეთი. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს არტაანი და კლარჯეთი ქოროხის ხეობაში. ორმეფობის ხანიდან მოყოლებული მისი ცენტრალური ქალაქი იყო ქართლი (არმაზი). ეს ციხე-ქალაქი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთიანი ქართლის დედაქალაქი იყო ფარნავაზის მეფობიდან მოყოლებული ქართლის გაყოფამდე. მანვე მისცა მთას და მთელ ქვეყანას სახელი ქართლი (187, 325). საკუთრივ სახელწოდება „ქართლი“ მომდინარეობს ინდოევროპული ძირიდან (შეადარეთ: ვრად//ვარდ// ვარტ//ქართ) და გამაგრებულ, მოზღუდულ ადგლს ნიშნავს.

\* ინფორმაცია მიღებულია ზეპირი საუბრიდან.





ქართლის მტკვარზე ორად ვაყოფის შემდეგ, ქ. ქართლის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობის გამო სახელწოდება „ქართლი“ უპირველეს ყოვლისა სამხრეთით მდებარე ქართლის შეესაბამებოდა. ამას უნდა მოწმობდეს „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილი: „... და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანიოვან ვიდრე ზღუამდე სპერისა. შემდგომად ამისა ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსაც აწ ჰქვიან სამშვილდე და კუალად აღაშენა მტკუერის ციხე, რომელსაც აწ ჰქვიან ხუნანი. .... და შემდგომად ამისა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი“ (145, 8).

როგორც ვხედავთ, სრულიად აშკარაა, რომ პირველი მოღვაწეობა ქართლისისა, ქართველთა ეთნარქისა (იგივე აზოსი) და მისი ცოლის, მემატიანეს თვალსაზრისით, განეკუთვნება სწორედ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს არაგვამდე და შემდეგ არაგვის და მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე მხარეს (აშენებს ციხეებს: ორბის, ხუნანის, ქართლის (სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს ციხე-ქალაქი იყო ხერკი და არა არმაზი); მისი ცოლი კი აშენებს რუსთავს. ყველაზე ჩრდილოეთი ბუნქტი, რომელიც ქართლისის (აზოს) ხელთაა არის ქართლის მთა და ქალაქი (უფრო ზუსტად, ხერკი-საგურამო). იმ დროს, როდესაც ქართლისი აშენებს ქ. ქართლს (უფრო სწორად ხერკს), ორბის ციხეს და ხუნანს, მცხეთოსის შვილები უფლოსი, ოძრხოსი და ჯავახოსი აშენებენ ქალაქებს: უფლის ციხეს, კასხს, ურბნისს, ოძრხეს, არტაანს, წუნდას. წუნდის დასახელება ამ ჩამონათვალში, როგორც ზემოთ ვახვევეთ, ჩვენ გვიანდელ ინტერპოლაციად მიგვაჩნია, მემატიანის მიერ თავისი დროის ჯავახეთის საერისთავოსა და მისი ცენტრალური ქალაქის იმ ძველ დროში არსებულად წარმოდგენის შემდეგად. რაც შეეხება „მცხეთის სამამასახლისოს“ დანარჩენ ტერიტორიას, ეს „მოქცევათა ქართლისას“ მიხედვით, იგივე „ბუნთურქთა უფლის“ ქვეყანაა, ანუ ის სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც დახვდა აქ აზოს (ქართლოსს) და მის „ჰონთა“-„ქართველთა“ სახლებს. აქედან აშკარაა, რომ მტკვარი და არაგვი გარკვეული პერიოდი გამოყოფი იყო ამ ორ „ქვეყანას“: „მცხეთის სამამასახლისოსა“ და „ჰონთა“// „ქართველთა“ ქვეყანას შორის. ორმეფობის ხანაში (ძვ. წ 60-ან. წ. 30 წწ., ის. ქვემოთ) „ქართლი“ ეწოდებოდა უპირველეს ყოვლისა არმაზელ მეფეთა ტერიტორიას, რომელიც ძირითადად შეესაბამებოდა ძველ „ჰონთა ქვეყანას“ (არაგვის მარცხენა სანაპიროს გამოკლებით). აი, რას გვეუბნება „ქართლის ცხოვრება“ ორმეფობის



ხანის ქართლის მეფეთა საზღვრების შესახებ. ერთს ერვო: „ყოველმან ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა...; ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკუარსა სამხრით ქართლი, სუენანითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა და კლარჯეთი ყოველი“ ერვო მეორეს (145, 43)

თუ ჩვენ არმაზელის წილს ქართლის ხანის ქართლის საზღვრებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ აქ იგივე ტერიტორიაზე საუბარი - „ყოველი კლარჯეთი“ ხომ სხერის ზღვამდე გადიოდა. შესაბამისად, მემატიანემ „ქართლოსის ქართლში“ ფაქტურად „არმაზელის წილი ქართლი“ ასახა, აზოს (ქართლოსის) ქვეყანა კი იყო მტკვრის სამხრეთით და არაგვის აღმოსავლეთით მდებარე პოლიტიკური გაერთიანება. მართლაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, სკვითური ტომები აზოს მეთაურობით იმორჩილებენ რა მტკვრის მარჯვენა ნაპირის მხარეს, მაგრდებიან არაგვის მარცხენა სანაპიროზე სერკში, ხოლო შემდეგ აერთიანებენ „ქართულ ქვეყნებს“, იმორჩილებენ რა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ოთხი ქალაქის მამასახლისს, რომლის რეზიდენცია შესამლოა იყო დღევანდელ უფლისციხეში.

ერთგვარად განსხვავებულად გაიყო ქართლის ქვეყანა უკან ორმეფობის პერიოდში. ამ შემთხვევაში საზღვარი გადიოდა არა მტკვარსა და არაგვზე, არამედ მხოლოდ მტკვარზე. საკუთრივ ორმეფობამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დაახლ. 70-ში წელი გასტანა, მაგრამ სომეხთა და რომაელთა მძლავრობის შედეგად ან. წ. IV ს-ის მიწურულამდე ქართლი პერიოდულად იხლინებოდა მტკვარზე (მტკვრის სამხრეთის ქართლს ეუფლებოდნენ სომეხები რომაელების მეშვეობით), ამიტომ ქართველთა ცნობიერებაში შემუშავდა მტკვარზე ქართლის ორად გაყოფის ტრადიცია: იმიერად და ამიერად; ზემოთ და ქვემოთ; მტკვრის ჩრდილოთ და სამხრით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართლს ასე იაზრებდნენ, საქართველოს ერთიანობის ხანამდე ანუ X- XI საუკუნეებამდე.

ქართლის ქვეყანა ქართველის ცნობიერებაში უძველეს ხანაში რომ სწორედ მტკვრის დინების გაყოლებით ჩრდილოეთად და სამხრეთად, ამიერად და იმიერად, ზემოთ და ქვემოთ გაიანზრებოდა, ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია „ქართლის ცხოვრების“ უძველესი შრეებიდან და „მოქცევაჲ ქართლისას“ ქრონიკიდან.

„მოქცევაჲს“ ქრონიკაში ვკითხულობთ: „ორნი მეფენი დახსდნენ იმიერ და ამიერ; და მეფობდა ქარამა არმაზს და მცხეთას ბრატმან... და მეფობდა იმიერ ფარსმან და ამიერ კაოზ და ა. შ. „ქართლის ცხოვრებაში“ კი იგივე ამბავთან დაკავშირებით ნათქვამია:



„მუსრანით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკვარსა ჩრდილოეთი,... არმაზით კერძი ქალაქი, მტკვარსა სამხრით ქართლი“ (125, 82; 145, 43).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები. როდესაც შემატიანე ვითომდა „ალექსანდრე მაკედონელი“ მოსვლას აგვიწერს, ის აღნიშნავს: „განუყო ლაშქარი თვისი და ყოველთა ამით ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თვით დადგა მცხეთას და დაუდგინა ლაშქარი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქვემოთ, და თვით დადგა ქსანს ზედა, ადგილსა რომელსა ჰქვია ნასტაკისი“ (145, 18).

ორმეფობის ხანის გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას თუ გავიხსენებთ, აშკარა განდება, რომ აქაც „იმიერ“-ში და „ამიერ“-ში მტკვრის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ქართლი იგულისხმება. „ზემოთ“, რა თქმა უნდა, „ზენა სოფელია“ ანუ იმიერი, „ქვემო“-ში კი პირველი და ერთადერთი ხსენებაა „ქვენა სოფლისა“. აქამდე მხოლოდ „ზენა სოფლის“ ანალოგიით მიაჩნდათ, რომ „ქვენა სოფელიც“ არსებობდა (43, 354; 45, 327), მაგრამ წყაროებში ამ ტოპონიმს ვერ ადასტურებდნენ. ზემოთ მოყვანილი ადგილის საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართლი მტკვარზე იყოფოდა არა მარტო იმიერად და ამიერად, არამედ ზენა და ქვენა//ზემო და ქვემო სოფლებად. ქვემო სოფელი იმ ქრონიკისთვის, რომელსაც თავის ერთ-ერთ წყაროდ იყენებს „ქართლის ცხოვრების“ ბირველი შემატიანე, იყო ამიერი. ამგვარად, „ქვემო სოფელი“ არ უდრის გვიანდელ „ქვემო ქართლს“ ისევე როგორც „ზენა სოფელი“, როგორც ვნახეთ, არ მოიცავს გვიანდელ „შიდა ქართლს“. „ქვემო სოფელი“ ორმეფობის ხანის არმაზელ მეფეთა სამფლობელოა კლარჯეთითურთ. მცხეთელ მეფეთა ქვეყანა, სტრაბონისეული იბერია კი მოიცავდა „ზენა სოფელს“ ოძრხის ქვეყნითურთ. რაც შეეხება ჯავახეთის ანუ გვიანდელ წუნდის საერისთავოს, ორმეფობის დროს ეს ტერიტორია ორად იყოფოდა. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჯავახეთი (საკუთრივ ჯავახეთი) არტაანი და კოლა არმაზელის საგამგებლოში შედიოდა, ხოლო მტკვრის მარცხენა ნაპირის ჯავახეთი და არტაანი მცხეთელ მეფეს ემორჩილებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან სრულიად აშკარაა, რომ სომხური წყაროების გუგარქი იგივე არმაზელ მეფეთა ქართლია.

\* შდრ. დ ბერძნიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1979, გვ. 17.

ასეთი გააზრების შემთხვევაში ჩვენთვის გასაგები ხდება ამ სომხური გეოგრაფიული ტერმინის ეტიმოლოგიაც.

„გუგარქი“ ტერმინის წარმომავლობა მეცნიერთა შორის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. მკვლევართა ნაწილს ტერმინი სკვითური ტომის „გოგ“-ის სახელწოდებიდან გამოჰყავს (219, 224), ზოგს კი გარგართა სატომო სახელიდან. აკ. შანიძე ამ სახელწოდებაში მეგრულ-ქანურ სუფიქს „არ“-ს გამოჰყოფს (237, 369).

ჩვენი აზრით, „გუგარქი“ ქართლის და ქართლის მცხოვრებლის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი იყო სომხურში. მან ეს ფართო მნიშვნელობა, როგორც ჩანს, მთელი ადრე შუახაუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა. ამის დასტურია თუნდაც იოანე დრასხანაკეტელის „სომხეთის ისტორია“, სადაც გუგარქის ზოგადად ქართლის მნიშვნელობით ხმარების არაერთი ფაქტია დადასტურებული. ტერმინი „გუგარქი“ აღნიშნული ფორმით სომხურში გვიანდელია ისევე, როგორც მისგან წარმოებულ „გუჯარ“, „გუჯარეთი“ და „გუშარი“. ეს უკანასკნელი სომხური დამწერლობის ნიადაგზე „გუჯარის“ არასწორი წაკითხვიდან მოდის. როგორც ცნობილია, „ჯ“ და „შ“ ასო-ნიშნების მსგავსება სომხურ ხელნაწერებში ადვილად შეიძლება შეცდომის მიზეზი გამხდარიყო (189, 425). „გუჯარი“ კი „გუგარის“ არაბიზირებული ფორმა უნდა იყოს. ამ ტომონიმის უფრო ადრეული ფორმა შემოგვინახა სტრაბონმა. ესაა „გოგარენა“, რომელიც ჩვენ თავდაპირველი „გორგანის“ ტრანსფორმაციად მიგვაჩნია. „რ“ ფონემის გადაჯდომა - გორგან-გოგარან - საკმაოდ ხშირია და ენობრივ-ფონეტიკური თვალსაზრისით გამართლებულია. შდრ. თუნდაც თოგორმა//თორგომი, აზორკ//არზოკი, არტოშან//ათროშან//ითრუჯან. ასფაგურ//ასფარუგ, ფანავარი//ფარავანი, მუხნარი// მუხრანი და სხვ. ამგვარად, „გოგარან//გუგარქში“ უნდა დაეინახოთ სომხური ტრანსფორმაცია ირანული ძირისა გურგენ//გორგან-ის, რომელიც, როგორც ცნობილია, მოდის ირანული სიტყვიდან „ვირკან“ - მგელი. ამ ირანული ტერმინით კი აღმოსავლურ და ირანულ სამყაროში ქართლის ქვეყანა და ქართლის სამეფო აღინიშნებოდა (162, 92-104). მართალია, „გურგან“ უფრო გვიანდელი, საშუალო სპარსულისთვის დამახასიათებელი ფორმა

\* ამ საკითხისადმი მიძღვნილი ჩვენი სტატია: „ტერმინების „ვრაც“ (ქართველი) და „გუგარქისა“ და „გუგარელის“ შინაარსის განმარტებისათვის იოანე დრასხანაკეტელის „სომხეთის ისტორიაში“ იბუქდება ნ. შოშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში.



უნდა იყოს, მაგრამ ფონეტიკური სახეცვლილებები ენაში სწავდასწავა რევიონებში და დიალექტებში სწავდასწავა დროს ხდება და თან ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს სამწერლობო ენაში დაფიქსირდება. ისიც ცნობილია, რომ მაგ. კახიის ზღვასთან მიმართებაში ძველ ბერძნულ მწერლობაში პარადელურად თანაარსებობს ორივე ფონეტიკური ვარიანტი მისი ძველი სახელწოდებისა – პირკანის ზღვა და გურგენის ზღვა, აქედან გურგენის ზღვა ადრევე გვხვდება. გარდა ამისა, არაა გამორიცხული, რომ ირანულ „ვირკანს“ პროტოსომხები იმთავითვე „გორგანად“ წარმოსთქვამდნენ. იმ ფაქტით, რომ „გუგარქი“ სომხურში სწორედ „ქართლის“ იდენტურ ცნებას წარმოადგენდა, იხსნება ისიც, თუ რატომ არ იხმარება ქართულ წყაროებში ტერმინი „გუგარქი“. ისევე, როგორც ამავე წყაროებში XVII-XVIII სს-მდე არ გვხვდება „იბერია“. ორივე ამ ცნება-ტერმინს ქართულ ენაში „ქართლი“ ენაცვლებოდა და ასეც ითარგმნებოდა. მაგ. პეტრე ქართველი, ილარიონ ქართველი (იბერიელის ნაცვლად); ქართლის პიტიახში - გუგარქის ბღემის// პიტიახშის ნაცვლად. შენიშნულია, რომ „გუგარქი/გოგარენა“ წყაროებში ყოველთვის ერთსადაიმძვე ტერიტორიას არ მოიცავს (44, 22). ჩვენი მოსაზრება „გუგარქისა“ და „ქართლის“ იგივეობის შესახებ ამ ფაქტს ადვილად ხსნის: გუგარქი მოიცავდა იმ ტერიტორიას, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში სომხეთის მიერ ქართლის სამეფოსაგან იყო ჩამოჭრილი. ფაქტია, ეს ძირითადად მტკვრის სამხრეთ მხარეს შეეხებოდა. ამიტომაც განმტკიცდა ის სომხურ ცნობიერებაში მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლის აღსანიშნავად. გოგარენა// გუგარქის ამ მეორე, უფრო ვიწრო მნიშვნელობის დამკვიდრებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ქართლის სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ მისი სამხრეთი ნაწილის, არმაზელ მეფეთა ქართლის სომხეთისადმი დაქვემდებარებამ (იხ. ქვემოთ).

აქვე გვინდა შევხერდეთ ქართლისა და ქართლის სამეფოს აღმნიშვნელ მეორე სომხურ სახელწოდებაზე „ვირქი“, „ვრაც აშხარპ“ (ქართველი, ქართველთა ქვეყანა). ეს სახელწოდება სომხურში შედარებით გვიან გაჩნდა გუგარქის//გოგარენას (გორგან) ანუ ქართლის სამხრეთი ნაწილის სომხების მიერ დაპყრობის შემდეგ რომაული იბერიის ანალოგიით. ქართლის ორად გაყოფისა და მისი ერთი ნაწილის სომხეთის მიერ დაქვემდებარების შემდეგ ქართლის სამეფო დარჩა მხოლოდ მცხეთელ მეფეთა საზღვრებში. ამას უწოდებდნენ რომაელები იბერიას ხოლო მის მეფეებს - იბერიის მეფეებს. მცხეთელ მეფეთა ქართლი კი როგორც ქართულ, ისე სომხურ ცნობიერებაში გაიაზრებოდა როგორც მტკვრის მარცხენა,



წრდილო სანაპიროს ქართლი, ანუ ზენა სოფელი// ზემო ქვეყანა  
 ამგვარად, სომეხთა აზროვნებაში ბერძნულ-რომაული „იბერია“  
 ზუსტად დაემთხვა ქართული ზენა სოფლის სომხურ შესატყვისს -  
 „ივერინ აშხარპინ“ (ზემო ქვეყანა): „ი ვერინ“ (ზემო) → „ვერქ“  
 → „ვირქ“.

როგორც ვნახეთ, აზოს ხანის ქართლი როგორც პოლიტიკური  
 ერთეული წარმოადგენდა „მცხეთის სამამასახლისოსა“ და „ჰონთა“,  
 ანუ „სკვითური“ სახლების მიერ დაკავებული ტერიტორიის  
 გაერთიანებას. როგორ ჩანს, ამავე ფარგლებში ექვემდებარებოდა ის  
 „სპარსეთის ერისთავს“ ანუ აქემენიდური ირანის სატრაპს. ალექ-  
 სანდრე მაკედონელის მიერ აქემენიდური ირანის განადგურებით  
 ისარგებლა მცხეთის სამამასახლისოს ადგილობრივი საგვარეულოს  
 წარმომადგენელმა ფარნავაზმა (აქემენიდების მიერ მოკლული  
 მცხეთის მამასახლისის სამარას საგვარეულოდან მისი გვერდითი  
 შტოს წარმომადგენელმა „ქმის შვილმა“ ამ სიტყვის უფრო  
 არქაული, ფართო გაგებით) და თავი მეფედ გამოაცხადა.

### თავი III

## ალექსანდრე მაკედონელი და ფარნავაზი

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართულ მატეიანებში ალექსანდრე  
 მაკედონელის სახელთანაა დაკავშირებული მის ხანაზე ბევრად  
 უფრო ადრე მომხდარი ამბები. ამავე დროს მკვლევარები არ  
 ცდებიან, როდესაც სწორად მიიჩნევენ ძველ ქართველ ისტორიკოსთა  
 მიერ ქართლის სამეფოს წარმოქმნისა და ფარნავაზიანთა დინასტიის  
 მეფობის დასაწყისის დაკავშირებას ალექსანდრე მაკედონელის  
 ლაშქრობების პერიოდთან. მართლაც, ალექსანდრე მაკედონელის  
 მიერ აქემენიდური ირანის განადგურების შემდეგ შეიქმნა სამხრეთ  
 კავკასიაში ქართლის სამეფოს წარმოქმნისათვის შესაფერისი  
 პირობები.

ძველ ბერძენ ისტორიკოსებთან, მათ შორის დიოდორე სიცი-  
 ლიელთან (76, 108), რომაელ ისტორიკოს რუფუსთან (230, 127-128) და  
 სხვებთან შემონახულია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა

*Handwritten signature*



ისეთი აღწერები, რომელთა გაცნობის შედეგად ისტორიკოსთა თავისუფლად შეიძლება გაუჩნდეს თვალსაზრისი ალექსანდრეს სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობის შესახებ. რომაელი ისტორიკოსი იულიუს სოლინი კი პირდაპირ გვეუბნება, რომ [ალექსანდრე დიდმა] დიამირო აზია, არმენია, იბერია, ალბანია... ვადაიარა ტავროსი და კავკასიონი (208, 123). ფაქტია, ამ შემთხვევაში სოლინი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების ჩვენამდე არმოღწეული ვერსიით ხელმძღვანელობდა.

არსებობს თვალსაზრისი, რომ ანტიკურ მწერლობაში ალექსანდრე მაკედონელის პონტოსპირა კავკასიაში მოხვლის ვერსიის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო სტრაბონმა, რომელიც მისთვის ჩვეული სკეპტიციზმით მიუღმა ალექსანდრეს ინდოეთში ლაშქრობის ფაქტს და ასეთი შორეული ლაშქრობა ალექსანდრეს განდიდების მიზნით შეთხზულად გამოაცხადა. მეცნიერის თვალსაზრისი ამის შესახებ ასეთია: ბერძნულ მწერლობაში მოხდა პონტოსპირა კავკასიონის ინდოეთში გადატანა. შესაბამისად, სტრაბონი მიიჩნევდა, რომ ალექსანდრეს სინამდვილეში უღალაშქროა პონტოს კავკასიაში (150, 139-140).

ქართულში ისტორიოგრაფიამ ადრევე უარყო ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოხვლის ამბის რეალურობა (39, 77; 183, 53, 57-58; 68, 15, 16, 18).

ამჟამად ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ უშუალოდ ალექსანდრე მაკედონელს სამხრეთ კავკასიაში არ უღალაშქროა (193, 668; 79, 17; 113, 152-154; 226, 105). ამკარაა, რომ ის იმყოფებოდა პირკანიაში და სამხრეთიდან მოხდგომია პირკანიის ანუ კასპიის ზღვას.

ისტორიკოსები, უარყოფენ რა ალექსანდრეს ქართლში მოხვლის ფაქტს, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ალექსანდრეს ლაშქრობების ამსახველ წყაროებში კავკასია ინდოეთის ირანისაგან მმიჯნავი მთათა სისტემის აღსანიშნავად იხმარება (დღევანდ. გეოგრაფიული ნომენკლატურით ჰინდი-ქუშანის მთიანეთი). საერთოდ, როგორც ცნობილია, „კავკასია“ ირანული სიტყვიდან „კაპკაპ“ მომდინარეობს, რაც დიდ, მაღალ მთას აღნიშნავს (241, 54; 60. 36; 256, 202 კომენტ. 47). შესაბამისად, ირანულ სამყაროში და აქედან კი ბერძნულ მწერლობაში რამდენიმე კავკასია არსებობდა: თანამედროვე კავკასიონი და ჰინდი-ქუშანის მთიანეთი. კავკასიონის აღსანიშნავად ამ ირანულ სახელს „კაპ კოს“ ფორმით ხმარობს სტრეპტოსი, რაც, ჩვენი აზრით, სტრეპტოსის თავისი თხზულების სომხეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ ნაწილში რაღაც ძველ, ირანულენოვან წყაროზე

დამოკიდებულების მანიშნებელია<sup>6</sup> ისევე, როგორც მასთან და მოსუენიანობასთან კავშირის ზღვასთან მიმართებაში ნახმარი სახელწოდებები „დასავლეთის დიდი ზღვა“ მათი წყაროს ირანულენოვან სამყაროდან მომდინარეობაზე უნდა მიუთითებდეს. ასევე არსებობდა რამდენიმე „კავშირის კარები“, რომელიც, როგორც ცნობილია, ბერძნულ წყაროებში ყოველთვის სულაც არ ნიშნავს დარუბანდს (23, 139-140).

ერთი რამ სრულიად ცხადია, რომ ქართველ მემატიანეს ალექსანდრეს ქართლში მოსვლის ამბავი არც თვითონ შეუთხზავს და არც ზეპირსიტყვიერი გადმოცემის გზით არ შეუთვისებია, ეს მან ზოგიერთ ანტიკურ ავტორთა თხზულებების გაცნობის შედეგად მოგვაწოდა, სადაც საუბარია ალექსანდრეს მიერ კავკასიაში მოსვლის, აქ ქალაქების აღების, ჰირკანიის ზღვის ნაპირას დაბანაკებისა და სხვა მსგავსის შესახებ. თუმცა ქრონოლოგიურად მან ეს ამბები არასწორად დაუკავშირა ქართლში აზოს „სკვითურ“- „ქართული“ სახლებით მოსვლის ხანას. დ. ბაქრაძემ შეისწავლა რა ანტიკურ ავტორთა (რუფუსის და სხვათა) ცნობები ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში და, კერძოდ, ქართლში ლაშქრობის შესახებ, სრულიად სამართლიანად აღნიშნა: „თუ ამგვარი სიცრუე ყოფილა გავრცელებული საქართველოს გარეშე, არ უნდა იყოს გასაკვირველი ისიცა, რომ თვით ჩვენ მათიანეებში შემოუტანიათ იგი, როგორც ისტორიული ფაქტი“ (39, 77).

ქართული ისტორიოგრაფია შეეცადა ისიც დაედგინა, თუ რომელი ანტიკური ავტორის თხზულებით ისარგებლა „ქართლის ცხოვრების“ მემატიანემ. ამ შემთხვევაში ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ალექსანდრე მეგვიბტელი ნიკტანების<sup>7</sup> ძეგაა გამოცხადებული. აღინიშნა, რომ აღნიშნული ფრაზა ალექსანდრეს ეგვიბტური წარმოშობის შესახებ მომდინარეობს ფსევდო კალისტენეს „ალექსანდრიანიდან“ (101, 255; 90, 106; 153, 232; 219, 38; 113, 152-153), ხოლო „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე კი სარგებლობდა აღნიშნული თხზულების I რედაქციით, რომელიც სწორედ ყველაზე მეტ სიანლოვეს იჩენს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან და რომელიც თარიღდება VII-VIII სს-ით (81, 37-45).

<sup>6</sup> სებოსი ორჯერ ხმარობს კავკასიონის მოებთან მიმართებაში „კოვკასს“ და სამჯერ „კაპკოსს“. ერთხელ თხზულების უძველესი ისტორიისადმი მიძღვნილ ნაწილში, ერთხელ ირანის შაჰის წერილის თარგმანში და ერთხელაც თოდორ რშტუნისა და არაბთა ხალიფას მუავიას საუბრის გადმოცემისას (25ნ, 53, 78, 169). აქედან ორი შემთხვევა ირანულ ენოვანი დედნის შედეგია, შესაძლო კი არაბულის.





აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრეს „მეგვიბტელოსი ნიქტანების“ ძეობა „ქართლის ცხოვრებაში“ აშკარად გვიანი (IX-XI ს.) ჩამატებაა. ამის დასტურია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის შესავალი ნაწილი, სადაც ალექსანდრე სულაც არაა „მეგვიბტელის“ ეპითეტით შემკული.

აღნიშნულ თვალსაზრისს ალექსანდრეს „მეგვიბტელოსის“ შესახებ იცნობს მოსე ხორენელიც: „გადმოცემით ნექტანტოსი ეგვიბტელთა უკანასკნელი მეფე იყო, ზოგიერთი მას ალექსანდრეს მამად მიიჩნევს. ამბობენ იმასაც, რომ კროუსოსის ნანა ნექტანტოსისაზე ორასი წლით ადრე იყო, ხოლო ნექტანტოსისა, სომქეთა მეფის არტაშეს პირველის დროსთან შედარებით, ორასზე მეტი წლით უწინარეს“ (171, 112). მიუხედავად ამისა, მოსე ხორენელს დღეს მაინც, ძირითადად, VII ს-ის ავტორად მიიჩნევენ.

საერთოდ, ფსევდო კალისტენეს „ალექსანდრიანი“ მისი შექმნის დღიდან, როგორც ჩანს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოელ მასლობელ აღმოსავლეთში. ფინდოუსთან ალექსანდრე მაკედონელზე წარმოდგენილი თქმულების წყაროდაც ე. ბერტელსი ფსევდო კალისტენეს ამავე რომანს მიიჩნევს „მისი რომელიცაღ ადმოსავლურ რიგზე გადაშუშავებული ხანით“ (195, 25). ისე რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ალექსანდრეს ქართლში მოსვლის „ახალი, გადაშუშავებული“ (ფსევდო კალისტენედან აღებული) ვერსია VIII-XI სს-ის ნებისმიერ შემგებ-რედაქტორს შეუძლო ჩაესვა.

ამგვარად, ალექსანდრე მაკედონელი ქართლში არ მოსულა, მაგრამ მან საკმაოდ ახლოს ჩაუარა ქართლს და სამხრეთ კასპიისპირეთისა და პირკანიის (გურჯანის პროვინცია) გავლით შეიჭრა შუა აზიაში.

მიუხედავად ამისა, ანტიკურ ავტორთა თხზულებების ვაცნობის შედეგად გვიანანტიკურ და ადრემუხახუკუნოვან ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც უკვე ვნახეთ, იმკვიდრებს ადგილს ინფორმაცია ალექსანდრეს ქართლში მოსვლის შესახებ.

მოსე ხორენელი ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ ამ მცდარ ცნობას, შესაძლოა, ქართული ქრონიკებიდან იღებს. ამის ვარაუდის უფლებას გვაძლევს ის, რომ ისტორიკოსი არაფერს მოგვითხრობს ალექსანდრეს საქმიანობაზე საკუთრივ სომქეთში, უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, ალექსანდრემ მითრანე, ბერძნული წყაროების ცნობით, სწორედ სომქეთის სატრაპად დანიშნა. მოსე ხორენელი კი ალექსანდრესთან მიმართებაში მოგვითხრობს მხოლოდ იმას, რაც ჩვენ გვეძლევა „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, ოღონდ აზოს

ნაცვლად ასახელებს მიპრდატს (მიორანეს). შესაბამისად, ის ანროგორც უკვე აღვნიშნეთ, სარგებლობს უფრო ზუსტი და არქაული ქართული ქრონიკით, ვიდრე „ქართლის ცხოვრება“, და „მოქცევაი ქართლისა“, ან კიდევ ქართული ქრონიკები და მოსე ხორენელი ალექსანდრეს ქართლში მოსვლისა და აქ გამგებლის დანიშვნის ამბის თხრობისას ერთიდაიგივე, ჩვენამდე ვერმოღწეულ ბერძნულ წყაროს იყენებენ, ოღონდ უკვე ქართული ქრონიკები მათი თვალსაზრისის შესაბამისად მიორანეს აზოთი ცვლიან, რადგანაც ამ „ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულ და გადმოსახლებულ იბერთა-ქართველთა“ წინამძღოლად მათ ადგილობრივი ტრადიციის მისეგმით აზო ეგულებათ. ასე შეერწყა ერთმანეთს ალექსანდრეს მიერ სომხეთის სატრაპად დამტკიცებული, ბერძნული მწერლობის მიორანე, და „ქართველთა“ ადგილობრივი ეთნარქი აზო.

ალექსანდრეს ქართლში მოსვლის შესახებ მოსე ხორენელი შემდეგნაირად მოგვითხრობს: „ხლო კავკასიონის მთისწინეთში, ჩრდილოეთის ერისთავად (კლემნაკალ) [სომეხთა მეფე ვალარშაკა] დაადგინა დიდი და ძლევაბოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა შიტიანშუბი დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარუპის ნახარარის მიპრდატის, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდემას“ (264, 113-114). როგორც ვხედავთ, აქ ქართული ქრონიკების მსგავსად გაერთიანებულია სამი ინფორმაცია: „ქალდეელთა მიერ (ნაბუქოდონოსორის მიერ) გამოსხმულნი პონნი“ (იგივე იბურები-ქართველები: ბერძნული ტექსტების „იბურებს“ სომ ძველი ქართული მწერლობა „ქართველებად“ თარგმნის!), ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლა და საბოლოოდ ჯერ კიდევ ნაბუქოდონოსორის მიერ ქართლში „ტყვედ მოყვანილ იბერთა“ გამგებლად ალექსანდრეს მიერ დარიოსის სატრაპის მიპრდატის დაყენება (ქართული წყაროებით ალექსანდრე „პატრიკად“-„ერისთავად“

\* მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ ქართულ თარგმანში აღნიშნული ადგილას წერია: „კავკასიონის მთის მოპირდაპირე მხარეს“ (171, 106-107), რაც არასწორია და ქართულად ტექსტის არაადეკვატურ აღქმას იწვევს. აღნიშნული ადგილის ქართულის თვალსაზრისით უფრო ზუსტი თარგმანი ეკუთვნის ზ. ალექსიძეს: „კავკასიის მთის წინ [მდებარე] ჩრდილოეთის მხარეთმპყრობლად აწიხებს...“ (12, 346).

\*\* თ. დუნდუა მოსე ხორენელის ცნობას „ივერიელებზე დარუპის ნახარარის მიპრდატის“ დაყენების შესახებ თვით მოსეს შეთხზულად მიიჩნევს (80, 58), რაც არაა სწორი. მოსემ, როგორც ვნახეთ, ერთმანეთს შეუხამა ქართულ



- მ. ცხ., 18, 20 - აყენებს აზოს, რომელსაც მოპყავს კიდეც (ანუ ქართველები). რაც შეეხება „გუგარქს“ და „გუგარელთა ბიტიანშს“, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსე ხორენელი ამ შემთხვევაში „გუგარქს“ მილიანად ქართლის გავებით გაიზარებს: ესაა კავკასიის მთის წინ მდებარე ქვეყანა, სადაც გუგარელები სახლობენ, რომლებსაც სომეხი ისტორიკოსი ნაბუქიდონოსორის მიერ გადმოსახლებულ „ტყვე“ იბერიელებთან აიგივებს.

მოსე ხორენელი აქ „დარეხის (დარიოსის) ნახარარს“ უწოდებს ალექსანდრეს მიერ დაყენებულ ბიროგნებას, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ „პატრიკად“ და „ერისთავად“ მოიხსენიებს და მის შთამომავლებად მიიჩნევს გუგარქის ანუ ქართლის ბიტიანშთა საგუგარეულოს. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდიდან ფრიად დიდი დროით დაშორებული მემპტიანე არაა ვასაკვირი, ურუკდეს ისტორიულ-გეოგრაფიულ ვითარებასა და ტერმინოლოგიას. ახ. წ. V-VII სს-ში ქართლის სამეფო სომეხისთვის „ვრაც ამჰარნია“, ქართველი კი - „ვრაც“-ი. „გუგარელთა ბიტიანში“ კი ამავე ხანაში უკვე სულ სხვა ინსტიტუტია, ვიდრე ეს მოსე ხორენელს თავის წყაროში ეძლეოდა. მოსე ხორენელის ძველი წყაროს მიხედვით გორგან/გოგარენას ბიტიანში ეს იგივე ქართლის მეფეა, რომელიც სომხური პოზიციიდან „ბიტიანშად“ იწოდებოდა ქართლის შესამე მეფის მირვანის არტაშეს I-ისადმი დაქვემდებარების, უფრო კი ქართლის მეოთხე მეფის ფარნაჯომის მოკვლისა და ქართლში არტაშესიან-ფარნავაზიანთა შტოს დამკვიდრების შემდეგ (შეადარეთ „ქართლის ცხოვრების“ დამოკიდებულება ევრისისა და მისი დინასტიის მიმართ. ის რომ ქართლის პოზიციის, ქართლის სამეფოს პოლიტიკური ხედვის გამომხატველია, შესაბამისად, ევრისის მეფეები, რომლებიც ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში ქართლის სამეფოს მიმართ გარკვეულ ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, უბრალოდ ქართლის ერთ-ერთ „ერისთავებად“ განიხილებიან). მოგვიანებით, ორმეფობის ხანაში დაახლ. ძვ. წ. 60-ახ. წ. 30 წწ. (იხ. ქვემოთ), როდესაც სომეხები უშუალოდ იქვემდებარებენ

წყაროთა ცნობები ალექსანდრეს მიერ მოსულ-გადმოსახლებულ იბერებზე-ქართველებზე აზოს „პატრიკად“ დაყენების შესახებ და ბუნძულ წყაროთა ცნობები ალექსანდრეს მიერ სომეხეთის სატრაპად დარიოსის მოხელის მითრანეს დაყენების თაობაზე. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მოსეს წყაროში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზოს ნაცვლად მითრანე ეძლეოდა და უკვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც იგივე წყაროთა სარგებლობდა, მოხდა უცნობი მითრანეს მისთვის უფრო ცნობილი „ქართველთა“ ქართლში მომყვანი აზოთი შენაცვლება.



არმაზელ მეფეთა ტერიტორიას, ქართლის მეფეთა სომხეთს<sup>1</sup> და მოკიდებულების ხარისხისა და მეტ-ნაკლები სუვერენული უფლებების შესაბამისად სომხები, როგორც ჩანს, განასხვავებდნენ ივერთა, ქართლის ანუ გუგარელთა დიდ და მცირე ბიტიანშს, აქედან დიდი ბიტიანში იყო მცხეთელი მეფე (მეტი სუვერენული უფლებების მქონე), ხოლო მცირე - არმაზელი (საკუთრივ სომხეთის ფარგლებში შეყვანილი და, შესაბამისად, ნაკლები სუვერენული უფლებების მქონე). მოსე ხორენელი ქართლის მეფე მირვან//მირვან II-ს (მირდატს - იხ. ქვემოთ) თავისი ძველი წყაროდან გამომდინარე იბერთა (ქართველთა) დიდ ბიტიანშს უწოდებს (171, III). სხვა საქმეა, რომ ის, როგორც ამას ქვემოთაც ვაჩვენებთ, ერთმანეთში ურევს ახლო ისტორიულ პერიოდებში მოდგაწე ქართლის მეფე მირდატ II-ს იმავე სახელის მქონე ბონტოს მეფე მირდატ//მითრიდატესთან. ყოველივე წყმთოქმულის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია, საიდან მომდინარეობს არმაზის ცნობილ ბილინგვაში სერაფიტას მამის ტიტული „მცირე ბიტიანში“. ახ. წ. II ს-ის ბოლოს ანუ ფარსმან III-ის და ქსეფარნუგის ხანაში არმაზელთა ტერიტორია ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლი უკვე საუკუნეზე მეტი ხანი იყო, რაც ქართლის მეფეებს დაუბრუნდა (იხ. ქვემოთ), ხოლო ქართლის მეფეები კი კიდევ უფრო დიდი ხნის განმავლობაში აღარ წარმოადგენდნენ სომხეთის მეფესთან მიმართებაში „დიდ ბიტიანშებს“, თუმცა ტიტული „მცირე ბიტიანში“ არმაზელ ბიტიანშებს მაინც უწერიათ თავად ქართლის მეფის კარზე.

<sup>1</sup> ორმეფობის ხანაში ქართლის მეფეთა სომხეთის მიმართ დამოკიდებულებაზე და თან მცხეთელისა და არმაზელის დამოკიდებულების სხვადასხვა სტატუსზე მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“: „ხოლო ადურკისითგან ვიდრე ამათ მეფობამდე იყვნეს მორჩილებასა შინა სომხთა მეფისასა და უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწოდნენ სომხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა (145, 44).

<sup>2</sup> საერთოდ, „ბიტიანშის“ როგორც ტერმინის წარმოშობისა და მისი რეალური შინაარსის, ქართლის მეფეთა სამოხელეო აბარატში მათი ადგილის, ეთნიკური კუთვნილებისა თუ სხვ. შესახებ არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული (89, 302 და შემდეგ; 96, 20; 186 266-267; 59, 49-74; 51, 56-58). ვ. პენინგი ამ ტერმინს ქართლში ჯერ კიდევ აქემენიდურ ხანაში შემოსულად მიიჩნევს (244), პერცფელდი კი მას არმაკიდულ პართიაში წარმოქმნილად, პართლიდან სომხეთში გავრცელებულად და სომხურიდან კი უკვე საშუალო ირანულში შესულად თვლის (245, 115). ამ ტერმინს რომ მხარის, ქვეყნის მმართველის მნიშვნელობა ჰქონდა, ამას ყველა მკვლევარი იზიარებს. ვ. წერეთლის თვალსაზრისით, ეს ტერმინი ირანულ-სომხური

საერთოდ, მოხე ზორენელთან გუგარქთან და მის რიულ ფარგლებთან დაკავშირებით (გუშარის და მისი წილი) აშკარად ჩანს სხვადასხვა ებოქის წყაროთა დანაშრეუკი: გუშარის (თვით „გუშარი“, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, „გუჯარიდან“ შეცდომით მიღებული ფორმაა, „გუჯარი“, „გუჯარული“ კი მხოლოდ არაბობის გავლენით შეიძლება წარმოქმნილიყო) და მისი ნაშირის ერთიან წილში აშკარად იკვეთება ორშეფობის ხანის (დაახლ. ძვ. წ. 60-ახ. წ. 25 წწ. ამ საკითხთან დაკავშირებით ის. ქვემოთ) გუგარქის ანუ ქართლის საბიტიანშო, იგივე ქართული წყაროების „არმაზელ მეფეთა“ ქართლი; გუშარის ნაშირის წილი კი, რა თქმა უნდა, უკვე V-VII სს-ის სამშვილდის საერისთავოა (149, 53).

რაც შეეხება „ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელებს“, ბირველად მეგასთენესთან დამოწმებული და ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ეს თვალსაზრისი (82, 56-70), რომელსაც მოხე ზორენელი ევსევი კესარიელის თხზულებიდან ეცნობა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბაბილონისა და მიდიის საზღვრებიდან

წარმოშობისაა, ის შედგება ორი სიტყვისაგან pal (სომხრად „პეტ“) თავი, და Šarh (ašharh) ქვეყანა და შეესაბამება ქართულ ერისთავს. სომხურში მისი შესატყვისებია: „კოლმაკალ“, „გავარაკალ“, „გავარაპეტ“, „ეუსაკალქ“. (133, 36-42). ამ თვალსაზრისს აწიარებს ვ. აბაევიც, ოღონდ ის ფიქრობს, რომ სიტყვა ირანულად არ არსებობდა. ის ირანული ელემენტებისაგან შეიქმნა უკვე სომხურში ადგილობრივი ტერმინების - „კოლმაკალ“, „გავარაპეტ“ თარგმნის მიწით (1, 823). ჩვენ საკუთრივ ტერმინის წარმომავლობა ნაკლებად გვაინტერესებს. შესაძლოა, ის მართლაც სომხურ სამყაროში წარმოიქმნა და შინაარსობრივად შეესაბამებოდა ქართულ „ერისთავს“. ვაყისხენოთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ ევრისის მეფეებს ქართლის პოზიციიდან და გარკვეული ისტორიული პერიოდის რეალობიდან გამოშდინარე ქართლის მეფის ერისთავად მოიხსენიებს. რაც შეეხება მის რეალურ შინაარს, სწორად მიგვანჩნია ნ. ადონცის თვალსაზრისი: «Бдешхи - своего рода маленькие цари: владеющие территорией царств, прежде самостоятельных, но со времени Тиграна Великого прибивавших гегемонии армянских царей» (189, 283). ქართლი ბირველად ექვემდებარება სომხეთის არტაშეს I-ის ხანაში, როდესაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მირვან-მირდატ I სცნობს სომხეთის უზენაესობას. ამის შემდეგ ქართლის მეფეები სომხეთთან მიმართებაში ატარებენ იბერთა, იგივე გუგარელთა დიდი ბიტიანშის ტიტულს. ქართლის ორად ვაყოფის შემდეგ (ძვ. წ. I ს. 60 წლ-იდან - ახ. წ. I ს. დაახლ. 30 წ-მდე) გაჩნდა ორი ქართლის მეფე ანუ სომხური პოზიციიდან გუგარქის ორი ბიტისში დიდი - მცხეთელი მეფე და მცირე - არმაზელი მეფე.

სვეტიცხოვლის გამოდგენის და მათი კავკასიაში მოსვლის კიდევ ერთი ვარიანტი.

ამგვარად, ბერძნული წყაროების მიხედვით სომხეთში (19მ, 331; 23, 170), ხოლო მოსე ხორენელის მიხედვით კი ქართლში ალექსანდრე მაკედონელის მიერ „სატრაპად“ („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „პატრიკად-ერისთავად“) დაყენებული პიროვნება, რომელმაც აქ აქემენიდური მმართველობა ბერძნულ-მაკედონურით შეცვალა, იყო წარმოშობით ირანელი, დარიოს III-ის სატრაპოციდელი მითრანე (მიპრდატი - მოსე ხორენელთან). სწორედ მას ებრძვის ფარნავაზი, რომელიც წარმოადგენს მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლის ანუ „ზენა სოფლის“ (უფლოსის წილი ქართლი) საგვარეულოს. ის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დაახლოებით ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნაზე აქემენიდებთან ბრძოლაში დაღუპული ოთხი „ქალაქის“ ერთობის უფლის (მცხეთის მამახანლისი) -სამარას „ძმის შვილია“. თვით სამარაც უფრო ადრე (აზოს მოსვლამდე) ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში შემოქნილი და ძვ. წ. VII ს-ში ცენტრალურ კავკასიაში ხახელმწიფოებრივი გაერთიანებების წარმოქმნილი კიმერიული ტომებისა და სახლების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ამ საგვარეულოს ინდოევროპულ-ირანულ სამყაროსთან სიახლოვეზე შეტყეველებს თვით სამარას, ფარნავაზისა და ამ დინასტიის უკლებლივ ყველა წარმომადგენლის საკუთარი სახელები და ის არქაულ-მანდეანური კულტურა, რომელიც ნასანური ანუ „მოდერნიზებული მანდეანობის“ პარარელიულად ეძღვებათ არქეოლოგებს ქართლის არქეოლოგიური კვლევისას (5მ, 27). ამ კონტექსტში ანგარიშგასაწევაა „მოქცევაჲ ქართლისას“ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, აშკარაა, რომ აზოს მოსვლის დროს (რომელიც ვითომ ალექსანდრე მაკედონელს შემოჰყვა), მტკვრის მარცხენა სანაპიროს ოთხი ქალაქის

მოსე ხორენელს, როგორც ვხედავთ, ქართლის შეფეხების, იგივე იბერთა, გუგარულთა ბღეშების საგვარეულო, სწორედ ამ მითრანედან გამოიყავს, რაც თავისთავად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არ ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციას (ეგულისხმობთ პირველ ნებროთიან შეფეხს, საურმაგის სიძეს მირვანს, ის. ქვემოთ), მაგრამ სომეხი ისტორიკოსი ერთმანეთში ურევს და ერთმანეთთან აიგივებს რამდენიმე ისტორიულ პიროვნებას, კერძოდ, საურმაგის სიძესა და ქართლის შესამე შეფე მირვან-მირდატ I-ს (შესაძლოა, მისი სახელის ფორმაც მიზრი, მიპრდატი იყო ისევე, როგორც ფარნავაზის ვაჟის მირვანის შემთხვევაში. ამაზე ქვემოთ იხილეთ უფრო დაწვრილებით) ფარნავაზის ვაჟს, ქართლის მერვე შეფე მირვან-მირიან//მირდატ II-სა და პონტოს შეფეს მითრიდატე VI-ს.



გამგებელს ეწოდება „ბუნ თურქთა“ და არ ქართველთა პრინციპული როგორც ეს უკვე „ქართლის ცხოვრების“ შემატანიეს ჰგონია. ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ განვიხილოთ ის ყოფი- კულტურული გარემო, რომელიც ქართული წყაროების მიხედვით ვითომდა „აღუქსანდრეს“ ქართლში მოხვლის ხანისთვის აქ სუფუკდა. რა არის ის ადათ-ჩვევები, რომელიც ძვ. წ. VI-IV სს-ში სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებს ახასიათებდათ, რომელთა ახლო ვა- ცნობამ ელინისტური ეპოქის დასაწყისში ბერძნების ვაკვირება გამოიწვია და მათ მიერ გააზრებულ იქნა როგორც განსაკუთრებული „სიველური“ (როგორც ჩანს, ძველმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ სწორედ ბერძნული მწერლობიდან შეითვისა ცნობა აღუქსანდრე მაკედონელის ხანამდე ქართლში მცხოვრები მოსახლეობის „სიველურის“ შესახებ). „ქართლის ცხოვრება“ ასე აგვიწერს ამ ზნე- ჩვეულებებს: „...ბოგნა ყოველნი ქართველნი უბოროტესნი ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ქამდეს, მკუდარსა შესქამდეს, ვითარცა მხეცნი და ბირუტყენი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს.“ (145, 17). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით: „ყოველსა ხორციელსა ქამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შესქამდეს“. (125, 81). იგივე ჩვევები გარკვეულ პერიოდში გავრცელებული ყოფილა სომხეთშიც. მოსე ხორენელის ცნობით: „ჩრდილოელთა მსგავსად ჩვენშიც ქამდენ ლეშსა და მისთანებს. არტაშესის ხანაში ყოველივე ეს მოწესრიგდა“ (171, 147). ქართულ წყაროებში დაცული ცნობა „ქართველთა“ „ველური“ ზნე-ჩვეულებების შესახებ სპეცია- ლურად განიხილა ვ. დონდუამ. ის მთელ რიგ საინტერესო თვალ- საზრისებს გვთავაზობს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ზემოაღ- ნიშნული ცნობის წარმომავლობის, ლეონტი მროველის მიერ ტერმინების „ქართველთა“ და „ქართლოსიანთა“ განსხვავებული შინაარსით ხმარების და სხვ. შესახებ (79, 15-30). მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს საკითხი, თუ კონკ- რეტულად ქართლის მოსახლეობის რომელ ჯგუფს მიიხსენებს ქართველი შემატანიე ამ ველური ჩვევების მატარებლად. ამჟამად შევეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ რა ხასიათისაა თვით ეს ადათ- წესები. აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების“, „მოქცევაჲ ქართლისას“ და სომეხი ისტორიკოსის ცნობები ერთი გარკვეული ინფორმაციის ვარიაციებია. ეს ინფორმაცია კი შეიცავდა აღწერას ადათ-ჩვევებისა, რომელიც შემდეგი მთავარი ელემენტებისაგან შე- დგება: 1. ცოლ-ქმრობისთვის და სიძვისას ანუ ქალსა და მამაკაცს შორის სახიფარულო ურთიერთობისას ანგარიში არ ეწეოდა ახლო



ნათესაობას; 2. მკვდრებს არ მარნავდნენ ანუ სამარეს არ თხრიდნენ; 3. ყოველსა სულიერსა ქამდნენ, მკვდარსაც ქამდნენ. მკვდრის ქამა, რა თქმა უნდა, გვიანდელ მწერალ-გადამწერთა დამახინჯებაა, მაგრამ ეს დამახინჯებული აღწერა გარკვეული ადათ-ჩვეულებისა შემორჩა თავისი უჩვეულობისა და ოდიოზურობის გამო. სინამდვილეში, თუ ჩვენ ზემოთ ჩამოთვლილ ზნე-ჩვეულებებს დავეკვირდებით, ვნახავთ, რომ საქმე გვაქვს ძვირფას ეთნოგრაფიულ მასალასთან, რომელიც არქაულ-მაზდეანურ ადათ-წესებს აგვიწერს. როგორც ცნობილია, მაზდეანურ სამყაროში ცოლ-ქმრობა ახლო ნათესავეებს (და-ძმას, მამა-შვილის) შორის ჩვეულებრივი რამ იყო. მაგალითისთვის მეორე სახანიანი შაჰის შაბურ I-ის დასახელებაც კმარა - მას ხომ ცოლად ჰყავდა საკუთარი ქალიშვილი ატურანახიტი (211, 101); მაზდეანები მკვდრებს არ მარნავენ. მაზდეანობის ადრეულ, არქაულ პლასტებში ცნობილია მკვდრების ზეებზე დაკიდება, ცხოველთა საჯიჯგნად დაგდება და სხვ. მსგავსი. ყოველივე ეს სულის სხეულიდან სწრაფი გამოთავისუფლებისთვის კეთდებოდა. ამგვარად, ის, რასაც ანტიკური მწერლები და მათგან ნასაზრდოები ადრე შუასაუკუნოვანი ქართულ-სომხური წყაროები აგვიწერენ და რაც მათ თავიანთი ცივილიზაციის გადასახედიდან საშინელ სიველურედ მიაჩნიათ, სხვა არაფერია, თუ არა მაზდეანური ცივილიზაცია. კიმერიული ტომების აქ სახლობის უტყუარ მაგალითად გამოდგება ტომონიმიკაც. გეოგრაფიული სახელი თრიალეთი თრელთა სატომო სახელიდან მომდინარეობის. ამ ტომს ვ. შელიქიშვილი სკვითურ ტომად თვლის. ამჟამად მეცნიერთათვის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მტკვარზე კიმერიული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი დავას არ იწვევს (202, 30; 167, 87-96). თრელებიც კიმერიულ ტომებად არიან მიჩნეულნი (202, 132). რა თქმა უნდა, ელინისტური ხანის დადგომისთვის ქართლში სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან მოსულ-ჩამოსახლებული სკვითურ-კიმერიული სახლები და ტომები დიდი ხნის გათქვეფილშერწყმული იყვნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნელოზურად წდებოდა გაბატონებული ფენის შიგნით არქაული, ირანულ-სკვითური ენის, როგორც სარწმუნოებრივი ენის შენარჩუნება.

ქართლის პირველი მეფე რომ ფარნავაზი იყო, ამაზე დღეს არავინ დაობს. ფარნავაზი როგორც მეფე მოხსენებულია მოსე ხორენელთან სომეხ ძველ მეფეთა ჩამონათვალში, გარდა ამისა ფავსტოს ბუზანდი იხსენიებს ქართლში ფარნავაზიანებს (233, 162), სებუოსი ასახელებს არტაშეს I-ის გვირგვინის დამდგმელად ბავარატ





ფარნავაზიანს<sup>6</sup> (256, 54) და სხვ. (120, 48-60). სომხურ წყაროებში სახელის ფორმა ფარნავაზი, გვიანდელია და ქართული მომდინარეობს. ასეთი გვიანდელი ფორმა ამ სახელისა დასტურდება არმაზის ბილინგვაში. ტაციტუსმა შემოგვიანა ამ სახელის უფრო არქაული ფორმა - ფარნაბაზა. ფარნაბაზა ირანული სიტყვაა და ირანული ენის ნიადაგზე იხსნება. თ. ჩხეიძეს მოჰყავს ამ სახელწოდების შექმნევი ახსნა: „ბედნიერი ხელის მქონე“ (160, 47). „ბაზა“ ნიშნავს ხელს, „ფარნა“ კი ბრწყინვალეს. ამდენად, „ფარნაბაზა“ სიტყვასიტყვით ქართულად „ბრწყინვალე ხელს“ აღნიშნავს. „ხელი“ ძალაუფლების, ხელისუფლების სიმბოლოა. შეადარეთ ქართული სიტყვა „ხელისუფალი“ და მისგან წარმოებული „ხელისუფლება“. ბრწყინვალეობა კი სიმწიფეს განაბირობებს, მისგანაა დეტერმინირებული (მზის ბრწყინვალეობიდან მომდინარეობს ნაყოფთა სიმწიფე). ამგვარად, „ფარნაბაზას“ ზუსტ ქართულ შესატყვისად, ქართულ თარგმანად ჩვენ ქართული სიტყვა „ხელ-მწიფე“ გვესახება.

შესაბამისად, ჩვენი აზრით, „ფარნაბაზა“ ქართლის ისტორიის არქაულ ეტაპზე (ძვ. წ. VI-I სს.) არ წარმოადგენდა კონკრეტულ სახელს (ის ასეთად იქცა ბევრად უფრო გვიან ისევე, როგორც „ბაკური“ ირანულ. ღვთის შვილი, ძე ღმრთისა. „ქენბაკურ“ სომხ. ჩინეთის მბრძანებელი და სხვ. მსგავსი - 15, 145) და იმ ქართულ-სკვითურ-კიმერიულ სამყაროში ხელმწიფის, მეფის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო. ფარნაბაზათა საგვარეულო კი იყო სამეფო „სახლი“, ანუ ის საგვარეულო, რომელსაც ქართლში მეფობა ეხერა. იგივე სტრაბონისეული „ბირველი გენოსი“. ამავე დროს „ხელ-ნათლობა“, „ხელმწიფობა“ უმაღლესი ღმრთის, ქვეყნის მეუფის აპურამაზდას ატრიბუტებია. ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

„ქართლის ცხოვრება“ აღუქსანდრე მაკედონელის მანლიობელ აღმოსავლეთში, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში (კონკრეტულად ქართლში) ლაშქრობების ფონზე, მოგვითხრობს, თუ როგორ გახდა ახალგაზრდა, მშვიდდოსანი ქაბუკი - ფარნაბაზა ანუ ხელმწიფე-მეფე. დიდი ხანია შენიშნულია, რომ „ფარნავაზის ცხოვრება“ ზემონისიტყვიერ ვადმოცემებს ეყრდნობა (27, 34-41, აქვე იხ. საკითხის ისტორიოგრაფია). უდაოა, ქართლში არსებობდა თქმულებათა ციკლი ქართლის ბირველ მეფეზე, მის საქმიანობაზე და გმირულ ბრძოლებზე (37, 72-93; 38), რამაც ადრევე, ჯერ კიდევ ბართულ-

<sup>6</sup> სებეოსთან ტექსტში მოხსენებულია ბაგარატ ფარაზეანი, რაც, როგორც ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, ფარნავაზიანის დამახინჯებაა (120, 48-60).

სასანურ ეპოქაში მიიღო წიგნიერი გაფორმება (ხ. ალექსიძე თსულებს შუქმნის ხანად ახ. წ. II ს. მიიჩნევს - 12, 157). ვარდა ამისა „ქართლის ცხოვრების“ შემატანეს ხელთ ჰქონდა ფარნავაზთან სახლის საოჯახო-სამეფო ქრონიკა, რომელსაც ჩვენ ბირობითად „არმაზულ ქრონიკას“ ვუწოდებთ (იხ. ქვემოთ). შემატანემ შეაწავა ქრონიკის მონაცემები „ფარნავაზის ცხოვრების“ თქმულებისმიერ ვარიანტს, რითაც ქართლის ბირველი მეფის ცხოვრების ამსახველი მოთხრობა უფრო მომწიდეგლად აქცია. ხალხური თქმულებების ენა ყოველთვის გარკვეული სიმბოლოებით ოპერირებს. მაგ. ცნობილია, რომ მშვილდოსანი, მონადირე ეთნარქები და ბელადები ძირითადად მომთაბარე-მესაქონლე ტომებზე მიგვითითებენ. ვარდა მონადირეობა-მშვილდოსნობისა, ყურადღება უნდა მიექცეს ფარნავაზის ვითომდა ადრეულ ბავშვობაში კავკასიონის მთებში შეხიზვნისა და შემდგომ ქაბუკობაში უკვე კავკასიონიდან ქართლში დაბრუნების ფაქტს. მოთხრობის მიხედვით მისი ცოლი დურძუკია და მისი ძირითადი დასაყრდენიც მთის მოსახლეობაა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ელინისტური ხანის დასაწყისისთვის (ძვ. წ. IV ს-ის 30-იანი წლები) შიდა ქართლში, უფრო სწორად „ზენა სოფელში“ (უფლოსის წილი ქართლი), გარკვეულ ეთნო-დემოგრაფიულ ძვრებს უნდა ჰქონოდა ადგილი. ჩვენს აზრით, ამ პერიოდში კავკასიონის მთებიდან ბარში კვლავ სდება ჩამოწოლა იმ სკვითურ-კიმერიული „ხალხებისა“, რომლებიც აქემენიდურმა ირანმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნაწილობრივ აქედან გააძევა ქართლში თავისი ბატონობის დამყარების პერიოდში (დაახლ. ძვ. წ. V ს-ის მიწურული).

ამ ფაქტზე, რომ ქართლის ბირველი ფარნაბაზა, ანუ ხელმწიფე მართლაც „ზენა სოფლის“ მამასახლისის სამარას საგვარეულოდან იყო, მეტყველებს შემდეგი გარემოება: „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს: „ამანვე ფარნავაზ შექმნა კერძი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს საბარსულად არმაზი ერქუა“ (145, 25). მართლაც, „სამარა“ მარჯვნიდან მარცხნივ ანუ არამეული წესით წაკითხვის შემთხვევაში, არამასია. არმაზის წარმომავლობასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში არა ერთი თვალსაზრისია გამოთქმული. თავდაბირველად მისი კავშირი ირანულ მახლიანობასა და აპურამაზდასთან მეცნიერებში კამათს არ იწვევდა (263, 191; 214, 4-5). ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნული თვალსაზრისი არ უარყო, მაგრამ შესაძლებლად მიიჩნია ვარაუდის დაშვება, რომ: „იქნებ აქ ქალდაურ მეფეთა შორის მიღებულ სახელ „არამე“-ს ნაშთთან გვექონდეს საქმე“ (178, 109). არმაზის შესხურ-ხეთური



მთვარის ღვთაება არმა-საგან წარმომავლობის თვალსაზრისით  
 გამოთქვა ა. ბოლტუნოვამ (196, 236-240). ამჟამად ეს იდენტურობა  
 რება საყოველთაოდ და გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში  
 (219, 112, 229, 287; 220, 420-421; 25, 178). ზემოთ მოყვანილი მსჯელობა  
 აშკარას ხდის, რომ ქართლში ფარნავაზის მიერ აღმართულ არმასის  
 კერძს არფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო წყურ ღვთაებასთან. ის  
 არამასების (სამარა) საგვარეულო კერპია. მათი საგვარეულოს  
 ღვთაებრივი წარმომობის სიმბოლო. მეორე მხრივ, თვით ამ  
 საგვარეულოს სახელი არამასი//არმაზი, აპურამაზდადან მომდინა-  
 რეობს (15, 23, 26, 431). უფრო ზუსტად, არმასების საგვარეულოს  
 საკუთარი თავი, როგორც ჩანს, აპურამაზდადან გამოჰყავდა. ამასვე  
 უნდა უკავშირდებოდეს მათი ხელ-ბრწყინვალეობა, ანუ ხელ-მწიფობა  
 - ფარნაბაზობა. ამ ქრილში გასაგები ხდება „ქართლის ცხოვრების“  
 მემატთანის სიტყვები, რომ „ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქვა“.   
 ამით მემატთანეს სურს აღნიშნოს, რომ ის, რასაც ჩვენ „ქართულად“  
 ფარნავაზს ვუწოდებთ სპარსულად არმაზი-აპურამაზდააო. ამ  
 შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს არქაულ მაზდიანურ რწმენა-  
 წარმოდგენებთან, რაც ცალკე კვლევის საგანია და ამჟამად ჩვენი  
 ინტერესების სფეროს სცილდება. ჩვენი თვალსაზრისის განსამტკი-  
 ცებლად მოგვყავს არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტი, რომელიც  
 ამ ბოლო ხანებში შემოთავაზებული კ. წერეთლისეული შე-  
 სწორებების გათვალისწინებით შემდგენიარად უღერს: „ქე ვარ  
 სერაფიტა ასული ზევაზ მცირისა, ფარსმან მეფის პიტახშისა.  
 მუულლე იოდმანგანისა, რომელიც იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე  
 გაკეთებულ საგმრო საქმეებს, და არის ეზოსმოდვარი ქსეფარნუგ  
 მეფისა, ქე აგრიბასი, ეზოსმოდვრისა ფარსმან მეფისა, რომელმაც  
 სძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა ვერ დაასრულა. და ასე  
 სერაფიტი იყო კეთილი და ლამაზი, რომლის მსგავსი არავინ იყო  
 სილაპაზით და გარდაიცვალა 21 წლისა“ (164, 48). ისმის კითხვა:  
 ვინაა ეს ფარნავაზი, რომელიც მოიხსენიება ზემოთ მოყვანილ წა-  
 რწერაში? ამ სახელწოდებით საქართველოს ისტორიაში ცნობილია  
 ორი მეფე: 1. ქართლის სამეფოს დამაარსებელი და ძვ.წ. IV-III სს-ში  
 მოღვაწე და 2. ძვ. წ. 35 წ. ამბებთა დაკავშირებით დიონ კასიუსთან  
 მოხსენიებული. ეს უკანასკნელი, სრულიად გამორიცხულია, რომ  
 იგულისხმებოდეს, ვინაიდან, როგორც ქვემოთ ვნახავთ ის იყო  
 მხოლოდ „ნახევარი ქართლის“ მეფე (სომხური და ქართული  
 წყაროებით ის ცნობილია ფარსმანის სახელით), კაოსის (აკეოსი)  
 მეწყვილე, რომელიც სომხებთან ბრძოლაში დამარცხდა, ტერიტორიის  
 ნაწილი დაკარგა და ასე შემდეგ (იხ. ქვემოთ). მაგრამ



საინტერესო ისაა, რომ აქ სრულიად გამორიცხულია ფარნავაზ I-ის მოხსენიებაც და არა მარტო 5 საუკუნით დაშორებულობის გამო, რაც, რა თქმა უნდა, ერთგვარ უხერხულობას მაინც ქმნის. არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წარწერაში ფარნავაზი „მეფის“ - „mlk“ ტიტულის გარეშეა მოხსენიებული იმ დროს, როდესაც ორივე მეფე: ფარსმანიც და ქსეფარნუგიც მეფის ტიტულით მოიხსენებიან. ამ შეუსაბამობას მშვენივრად ხედავს თვით კ. წერეთელი. ამიტომ მკვლევარი აღნიშნავს: „ისმის კითხვა, ხომ არ იგულისხმება ჩვენს წარწერაში არა მეფე ფარნავაზი ძვ. წ. III ს-ისა, არამედ წარწერის თანადროული ქართლის მმართველის სპასპეტი ფარნავაზი? მაშინ მოიხსნება ის სირთულეც, რასაც ქმნის ფარნავაზის (πρωΰ-ის) მოხსენიება მისი ტიტულის („mlk“-„მეფე“) გარეშე“ (164. შნ). დავა-ნებით თავი იმას, რომ თავისთავად ჯერ კიდევ საკვლევია რამდენად სწორია „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაცია ფარსმან ქველის სპასპეტის ფარნავაზობის შესახებ; გარდა ამისა, ფარსმან ქველი I საუკუნის მოღვაწეა - მითრიდატე იბერიელის ძე და 75 წ. მცხეთის წარწერაში მოხსენიებული მითრიდატე იბერიელის მამა (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ), შესაბამისად, იმავე ეპოქას მიეკუთვნება მისი სპასპეტიც, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებით ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებს ერთი მხრივ, ფარსმანის მეორე ცოლს ამაზნახუძისა („ქართლის ცხოვრების“ ლადანა) და მცირეწლოვან მითრიდატეს და, მეორე მხრივ, ლადამ//რადამის ძესა და მის მომხრეებს შორის ტანტისთვის გამართულ ბრძოლაში (იხ. ქვემოთ). მაგრამ ესეც რომ არ იყოს, წარწერაში მეფის დამსახურების შედარება „ვიღაც“ სპასპეტის ღვაწლთან ხომ მკრეხელობაა! საკითხი ბევრად უფრო გამართიდება, თუ აღნიშნულ ტექსტში „ფარნავაზის“ ნაცვლად მის ქართულ შესატყვისს ვიხმართ: „ძე ავრიპასი, ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა, რომელმაც სძლია მძლეველნი, რაც მანათობელმა ხელმა (ბრწყინვალე ხელმა) ვერ დაასრულა“. ჩვენის აზრით, ძნელი მისახვედრი არაა, რომ აქ აპურამაზდა და ბნელ ძალებთან მისი მუდმივი ბრძოლა იგულისხმება. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ

\* ჩვენ ეს გვიანი ხანის (VII-VIII სს.) შემატინის აღრევად და ფარსმანის რელიგიური სახელის „ფარნავაზის“ მის მიერ შეცდომით სპასპეტის სახელად გააზრებად მიგვანჩნია. მსგავსი აღრევები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მრავლადაა „ქართლის ცხოვრებაში“ ისევე, როგორც აღრე შუა-საუკუნეების სხვა ხალხების, მაგ. სომხების ანალოგიურ შატანეებსა თუ ქრონიკებში.



„ქართლის ცხოვრების“ სიტყვები, რომ „ფარნავაზი“ სპარსულად იწოდებოდა, ირანულ სარწმუნოებაში არმაზს (ანუ აპურამაზდას) ნიშნავს.

ამგვარად, ფარნაბაზა/ფარნავაზი იმ ძველ ქართულ-კიმერიულ-სკვითურ სამყაროში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთოდ მეფის, ხელმწიფის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო. თვით ხელმწიფე-მეფე კი იდენტიფიცირდებოდა აპურამაზდასთან. სხვაგვარად, ფარნაბაზა აპურამაზდას (ურმიზდი/ორმიზდი/არმაზდი) სინონიმურ ცნებად გაიანზრებოდა. რაც შეეხება ქართლის პირველ ფარნაბაზას - მეფეს, მას თავისი რელიგიური სახელწოდების გარდა ბერძნული წყაროების მიხედვით „საერო“ სახელი ფარსმანი უნდა რქმეოდა. არიანე თავის „აღლექსანდრეს ანაბაზის“ში<sup>1</sup> მოგვითხრობს, რომ ინდოეთში ლაშქრობის წინ, შუა აზიაში დგომის დროს (დაახლ. 329-27 წწ.), „აღლექსანდრესთან მოვიდა ფარსმანესიც, ხორაზმელითა მეფე 1500 მხედრით. ფარსმანესმა თქვა, რომ ის ცხოვრობს კოლხთა მოდგმისა და ამაზონი ქალების მეზობლად და, თუ აღლექსანდრეს სურს თავს დაესხას კოლხებსა და დაიპორონილოს ექვსინის პონტომდე რომ ვრცელდებიან ის ტომები, ის ჰპირდება, რომ იქნება მისი მეგზური და მოუშნადებს ლაშქრისათვის პროვიანტს. ... (აღლექსანდრემ) ფარსმანესი შეაქო და მასთან შეგობრობა და მოკავშირეობა დაამყარა, მაგრამ უთხრა, რომ ახლა არა აქვს დრო პონტოზე გალაშქრებისა ... ხოლო აზიას რომ დაიპყრობს, დაბრუნდება ელადაში, იქიდან კი პელესპონტისა და პროპონტიდის გავლით შეიჭრება პონტოს შიგნით და მოიხმარს მთელ თავის ძაღას, როგორც საზღვაოს, ასევე სახმელეთოს. იმ დროისთვის სთხოვა ფარსმანს შეესრულებინა თავისი დაპირება, რომლებიც ახლა აღუთქვა“ (23, 178; 179, 147). ამგვარად, არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფარსმანი კოლხეთის მეზობელი ქვეყნის

<sup>1</sup> ამ კუთხით გასაგები ხდება, რომ აზოსაც ფარნაბაზა უნდა რქმეოდა. გავისხენოთ, რომ ქართლსი, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, იგივე აზოა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ერთპიროვნულად მმართველობს, ხოლო მისი ძის მცხეთოსის ვარდაცვალების შემდეგ, ქვეყანა იშლება. ეს აზო-ქართლოსი „მოქცევაჲს“ მიხედვით იყო ქართლის პირველი ხელ-მწიფე ანუ ფარნაბაზა. იმიტომაც არის ფარნავაზი სომხურ წყაროებში ნაბუქოდონოსორის ხანის მოღვაწე. რაც შეეხება მის სომხეთის მეფედ გამოცხადებას, ესეც იქიდან მომდინარეობს, რომ ის წყარო, საიდანაც როგორც მოსე ხორენელი, ისე სებეოსი იწერენ სომხთა უძველეს ისტორიას, იგივეა რომლითაც სარგებლობენ ქართული მატიაჩეებიც, ხოლო ამ წყაროს ტექსტი კი აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში სკვითური სახლების მოხვლასა და განსახლებაზე მოგვითხრობდა.

მუფეა და არა ხორეზმის, რამ გამოიწვია ეს აღრევა, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, არიანეს წყაროში ხორასნის მეფის მოსვლის ამბავიც იყო მოთხრობილი და სიუჟეტის ამოვარდნის შედეგად, „ხორასნის მეფე“ და იბერიელი ფარსმანი ერთმანეთს გადაება. საინტერესოა, რომ მთელი ეს მოთხრობა ფარსმანის შესახებ ჩართულია დასავლეთის სკვითების დელეგაციის მოსვლასა და მათთან საუბრის თხრობაში და, რომ არა ფარსმანის „ხორაშქელთა მეფედ“ მოხსენიება, ის „დასავლეთის სკვითების“ მთლიანი დელეგაციის ერთ-ერთ წარმომადგენლად შეიძლება გაგვეაზრებინა. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ 328-27 წწ-ში, ალექსანდრეს ინდოეთში შექრის წინ ქართლში ფარნაბაზა ანუ ხელმწიფე-მეფეა ფარსმანი. ის აშკარად ახალგაზრდაა (ძნელი წარმოსადგენია, მსცოვან ადამიანს გადაეწყვიტა ალექსანდრესთან შესახვედრად შუა აზიაში იმ ხანისთვის საკმაოდ სახიფათო და შორეული მოგზაურობა), ამასთანავე ენერგიით სავსე და კოლხეთის დამორჩილებაზე ოცნებობს. ყოველივე ეს მშვენივრად ესადაგება თვით „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობს. „ფარნავაზის ცხოვრებაში“, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული კოლხეთზე-ეგრისზე. ეგრისის მმართველი (მეფე) ქუჯი აღიარებს ფარნავაზის უფლებებს ეგრისზე, ფარნავაზი მას შიათხოვებს თავის დას და ქუჯი ხდება მასზე დამოკიდებული ვასალი - „ერისთავი“. რა თქმა უნდა, თანამედროვე ისტორიკოსმა არ შეიძლება სინამდვილედ მიიჩნიოს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის გულუბრყვილო თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ქუჯი თავისი ნებით ცნობს ფარნავაზის ბირველობას და მას უდრტივინველად გადასცემს თავისი სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ნაწილს. ფაქტია, ფარნაბაზა (ხელმწიფე) ფარსმანს, თუმცა იშვამად ალექსანდრესაგან დახმარება ვერ მიუღია,

არიანესთან დაცული აღნიშნული ცნობის გარდა, რომელიც სრულიად უდაოს ხდის ქართლის ბირველი ფარნაბაზას სახელს, ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ფარნავაზიანთა დინასტიაში ვაგრცვლებული იყო სწორედ სახელი ფარსმანი და არა ფარნავაზი (ფარნაბაზა), რასაც აქამდე არც მქონდა რაიმე ახსნა მოიქმნილი. რაც შეეხება ძვ. წ. 35 წლის ამბებთან დაკავშირებით დიონ კასიუსთან მოხსენიებულ ქართლის მეფე ფარნაბაზას, ამ შემთხვევაშიც, ჩვენი აზრით, ქართლის მეფეთა რელიგიური სახელი-წოდება ხელ-მწიფე/ფარნაბაზა რომაელთა მიერ საკუთარ სახელად იქნა გაკებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე მეფე ქართულ წყაროებში „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ისევე როგორც მოსე ხორენელთან ფარსმანის სახელით მოიხსენიება ის. ქვემოთ.



მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი ხანუკვარი ოცნება მანქანების სრულდება და ეგრისი დაუმორჩილებია. რაც შეეხება ფარნავაზის აზოსთან ბრძოლას, ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ეპოქებში მომხდარი ამბების გაერთიანებაა: იგულისხმება უპირველეს ყოვლისა მცხეთის მამასახლისის ბრძოლა აზოსთან და მის „სკვითურ-ქართულ“ ხანლებთან; შემდგომ, აქემენიდური ირანის მიერ წარმოებული ბრძოლა ქართლის დამორჩილებისთვის (სამარას დაღუპვა) და ბოლოს საკუთრივ ფარსმან-ფარნავაზის ეპოქაში ამ უკანასკნელის ბრძოლა ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაახლ. 331 წ. სომხეთის სატრაპად დანიშნულ მითრანესთან, რომელსაც თუნდაც როგორც სომხეთის სატრაპს აქემენიდური ეპოქის ტრადიციიდან გამომდინარე ქართლის დამორჩილების პრეტენზია ექნებოდა.

საბოლოოდ, ქართულ-ბერძნულ-სომხურ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვჩინოთ ფარსმან-ფარნავაზის (ფარნაბაზას) ცხოვრების ძირითადი ეტაპები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფარსმან-ფარნავაზი ალექსანდრეს შუა აზიაში ამ უკანასკნელის ინდოეთში დაშქრობის წინ ეახლა, დაახლ. 328-27 წწ. ეს ამბავი ერთგვარად შეცვლილი სახით ასახულია „ქართლის ცხოვრებაში“, როდესაც ფარნავაზის მიერ ასურასტანის შეფესთან, ანუ სელევკიდების კარზე მოციქულის ვაგზაგნის ამბავია მოთხრობილი. „ქართლის ცხოვრების“ ეს ინფორმაციული ცვლილება, შესაძლოა, შემატანის კონცეფციიდან გამომდინარეობდეს: მისი თვალსაზრისით სომ ფარნავაზი ვითომდა ალექსანდრეს ქართლში მოსვლის ხანისთვის ჩვილი ყრმა იყო, შესაბამისად, მეფედ ვახდომის შემდეგ (ოცდაშვიდი წლისა ხდება მეფედ) მას ურთიერთობა აქვს არა ალექსანდრესთან, არამედ ასურასტანის მეფესთან: „ამან ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე შეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარმოსცა გვირგვინი და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდინ ფარნავაზს.“ (145, 23). ჩვენი აზრით, ფარსმან-ფარნავაზი თავის მეფედ გამოცხადებისთანავე საკუთარი მეფობისათვის ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად მიემგზავრება ალექსანდრესთან. ეს ფაქტიურად, ერთადერთი ვაზა იყო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ 331 წ. სომხეთის სატრაპად დანიშნა მითრანე. ალექსანდრეს მიერ ფარსმანის „მოკავშირედ“ და „მეგობრად“ აღიარებით ეს უკანასკნელი ფაქტიურად ლეგიტიმურს ხდის ალექსანდრეს მიერ სომხეთის სატრაპად დანიშნულ მითრანესთან ბრძოლას. მაგრამ თავდაპირველად ფარნავაზი იმორჩილებს კოლხეთს (ეგრისს). ეს, ჩვენი ვარაუდით, 320-იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო ანუ

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ (323 წ.) მანამდე, საეჭვოა, ფარსმან-ფარნავაზს ალექსანდრესთან მიღწეული შეთანხმება დაერღვია, რაც, როგორც ვნახეთ, კოლხეთზე საერთო ლაშქრობაში მდგომარეობდა. ეგრისის დამორჩილების შემდეგ ის სკვითურ-კიმერიული, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჩრდილო კავკასიური ტომების მოშველიებით ბრძოლას იწყებს მითრანეს წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ფარსმანი იმარჯვებს. ამის შემდეგ მას სამხრეთ კავკასიაში მეტოქე აღარ ჰყავს.

ახლა სპეციალურად გვინდა შევხვთ ფარნავაზის ვაჟისა და ტახტის მემკვიდრის საურმაგის ქორწინების საკითხს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით საურმაგი ცოლად ირთავს სპარსელ ქალს, რომელიც არის „ბარდაველი ერისთავის“ ასული და „ნებროთიანთა“ საგვარეულოს წარმომადგენელი. იმავე „ნებროთიანთა“ საგვარეულოდან წარმოსდგება ამ სპარსელი ქალის ახლო ნათესავი, საურმაგის სიძე ქართლის შესამე მეფე მირვანი. ამ პიროვნებას, ჩვენი აზრით, უფრო საგარაუდოა, მირიანი, მირდატი რქმეოდა. მოსე ხორენელის მიხედვით კი „იბერთა დიდი ბიტიანში მიპრდატი“ ალექსანდრეს მიერ ქართლის გამგებლად დანიშნული მითრანეს ჩამომავალია. ეს მითრანე მოსე ხორენელისვე ინფორმაციით, როგორც ზემოთ ვნახეთ, აქემენიდური ირანის უკანასკნელი შაჰის დარიოს III-ის ნახარაყოფილია (ქართული შესატყვისი ამ სომხური სიტყვისა არის ერისთავი). სხვა საქმეა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსე ხორენელი ერთმანეთში ურევს იბერიის მეფეს მირდატ I („ქართლის ცხოვრების“ საურმაგის სიძე მირვანი) და მირდატ II-ს (ფარნავაზის ვაჟს მირვან/მირვანს) ამ უკანასკნელს კი აიგივებს მირდატ-მითრიდატე პონტოელთან. იბერთა და გუგარელთა ბიტიანშები მოსე ხორენელთან ქართლის მეფეების მნიშვნელობით რომ იხმარება, ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. მითრანესთან დაკავშირებითაც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბერძნული წყაროებით ის ალექსანდრეს მიერ სომხეთის სატრაპად იყო დანიშნული. იმავე ბერძნული წყაროებიდან ვივებით, რომ მიდიის სატრაპად ალექსანდრემ დანიშნა ატროპატე (226. 104-109).<sup>4</sup> ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მიდიის სატრაპია ორად გაიყო, ატროპატეს დარჩა ამ სატრაპიის სწორედ ქართლისკენ მოქცეული

<sup>4</sup> ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფარნავაზის ვაჟის სახელთან დაკავშირებით ჩვენ უბერატყვობას ვანიჭებთ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცულ ფორმას მირვანს ანუ მირს-მირდატს. აქედან გამომდინარე, მისი ბაბის სახელიც უფრო მირდატი გვგონია, ვიდრე ქართულ წყაროებში შემონახული მირვანი.





ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ე. წ. მცირე მიდია, რომელიც შემდგომ ატრობატკეს სახელის მიხედვით ატრობატაკანი (ადარბადავანი) ეწოდა. ახლა ისევ დაუბრუნდეთ საურმაგის სიძისა და ქართლის შესამე მეფის მირვან-მირდატ I-ის წარმოშობის საკითხს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობა საურმაგის ცოლის „ბარდაველის ერისთავის ასულობის შესახებ“, რა თქმა უნდა, სასანური ეპოქის შემატიანის თვალთახედვით, თორემ ძვ. წ. IV-III სს-ში არც ბარდავი არსებობდა და არც ბარდაველი ერისთავი. მიუხედავად ამისა, ეს ინფორმაცია ანგარიშგასაწევია: ის, ვისაც შემატიანე თავისი დროის ანალოგიით „ბარდავის ერისთავს“ უწოდებს, ატრობატკე ან მისი უახლოესი შემკვიდრე მცირე მიდიის - ატრობატაკანის გამგებელი უნდა იყოს. მოხე ხორენელიც რომ მითრანეს დარიოსის „ნახარარად“ ანუ ერისთავად მოიხსენიებს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობაში უდაოა ის, რომ მირვანი (მირდატ I) და, შესაბამისად, მისი დედის დაც „ნებროთიანია“. ეს კი მიუთითებს მათ კავშირზე აქემენიდურ დინასტიასთან. ამგვარად, ქართლის შესამე მეფე, საურმაგის სიძე მირვანი (მირდატი) მოხე ხორენელის ცნობით მითრანეს საგვარეულოდან წარმოსდგება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი ატრობატკეს ასულის წულაია, რაც „ქართლის ცხოვრებისთვის“ ნიშნავს ზოგადად ატრობატკეს შემკვიდრეობას ქალის ნაწით. თავისთავად, ეს წყაროები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება: ატრობატკეს შემკვიდრე ქალის ნაწით საგნებით შესაძლებელია ამავე დროს სომხეთის სატრაპ მითრანეს შთამომავალიც ყოფილიყო. ქართლის მეფეთა საგვარეულოში ფრიად ხშირად განმეორებადი სახელი მირდატ-მითრიდატეც თითქოს მოხე ხორენელის ინფორმაციის სიმართლეზე უნდა შეტყვევებდეს. საერთოდ, ქართლის სამეფოსა და ატრობატაკანის გამგებელია შორის უკვე ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ არსებული შესაძლო ბრძოლების შესახებ თვალსაზრისის გამოთქვამს ა. ნოვოსელცოვი (226, 107-109). საურმაგის დაქორწინებაც ამ საგვარეულოდან გამოსულ ქალზე, საგარაუდოა, ამ ბრძოლების დასრულებისა და დასაწყების შედეგი იყო. დამაფიქრებელია შემდეგი თვალსაზრისიც: შესაძლოა, „ქართლის ცხოვრების“ შემატიანე აღნიშნული ამბების თხრობისას ისეთი ბერძნული წყაროთი ხელმძღვანელობდა, სადაც მითრანე და ატრობატკე შენაცვლებულია

„ქართლის ცხოვრება“ ბართულ არშაკიდთა დინასტიას მოიხსენიებს ან აუღალანაინებდად, ან არშაკუნაინებდად, სასანიანებს კი ხოსროიანებდად. მირვანი და მისი შტო კი ნებროთიანია, ე. ი. აქემენიდურია.

ყვენ, ანუ მითრანე გამოცხადებული იყო მიდიის სატრაპად, ხოლო ატროპატე სომხეთისა. ასეთ შემთხვევაში ქართველი მემატიანე, შესაძლებელია, „ბარდავის ერისთავის“ ქვეშ სწორედ მითრანეს გულისხმობდეს.

ფარნავაზი-ფარსმანი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ოცდაშვიდი წლის გამეფებულა და სამოცდახუთი წელი უმეფია. შუა აზიაში აღექსანდრე მაკედონელთან ჩასვლის მომენტისთვის ფარნავაზი-ფარსმანი, ჩვენი აზრით ახალი გამეფებული უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, ის დაახლ. 265-263 წწ-ში უნდა გარდაცვლილიყო. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნულ ინფორმაციაში. მემატიანე ყოველთვის როდი იძლევა ქართლის უძველეს მეფეთა ზეობის წლებს და მათი გამეფების ასაკს. მაგ. ფარნავაზის შემდგომი მეფეების: საურმაგის, მირვანის, ფარნაჯომის, არშაკის ზეობის წლებს ის არ აკონკრეტებს. საურმაგის შესახებ აღნიშნავს: „მეფობდა საურაგ ბედნიერად მრავალთა წელთა“. სამაგიეროდ, მეფე არტავაზე თნრობისას აღნიშნავს, რომ ის „ორ წელ ოდენ მეფობდა“. ამგვარად, როგორც ჩანს, ქართლის მეფეთა მეფობის ხანგრძლივობის კონკრეტულ ციფრს ის იძლევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ასეთი ინფორმაცია თავის წყაროში მოუბოვება.

ფარსმან-ფარნავაზის შემდგომ მიხი ვაჟის საურმაგის მეფობას დაახლ. ძვ. წ. 265/3-240-იან წწ-ით განვსაზღვრავთ. ძვ. წ. 240/230-იან წლებში კი ქართლის მეფე ხდება საურმაგის სიძე-ქართული წყაროების მირვანი, მოსე ხორენელის მირდატი ანუ მირდატ I. შესაბამისად, თუ ქართლის მესამე მეფის მირვან (მირდატის) წარმოშობის შესახებ ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი სწორია, ქართლის ტახტზე ადის მითრანიდების დინასტია, ატროპატეზა, თუ მითრანეს შთამომავალი (შესაძლოა, ორივესი). წარმოშობით ირანელები და დარიოსის სატრაპყოფილები მითრანე და ატროპატე არაა გამოირიცხული, აქემენიდების რომელიღაც განშტოების წარმოადგენლები, ანუ, „ქართლის ცხოვრების“ ტერმინოლოგიით „ნებროთიანები“ ყოფილიყვნენ. ფარნავაზიანთა ამ შტოს ქვეშეთ ყველგან ნებროთიან-ფარნავაზიანთა ან ფარნავაზიანთა ძირითადი შტოს სახელით მოვიხსენიებთ.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ისტორიის ამსახველი ნაწილი წარმოადგენს, როგორც ვნახეთ, რამდენიმე



გაფორმებული მოთხრობის კრებულს. ამ მოთხრობებს შეემატა ეცნობა ქართული ქრონიკების მეშვეობით, მაგრამ ცალკეულ პასაჟებს განავრცობს თავისი პერიოდისთვის პოპულარული და მისთვის ხელმისაწვდომი ბერძენთა, სპარსთა და სომეხთა „ცხოვრებებიდან“. მას ხელთ ააქვს რამდენიმე ასეთი კრებული-ქრონიკა, შესაბამისად, ერთიდაიგივე ინფორმაცია ეძლევა ვარიაციებში (მაგ. მუმატიანეს ირანელ მეფეთა სახელები ეძლევა როგორც არქაული, ისე ირანული ენის განვითარების კვალდაკვალ უფრო მოდერნიზირებული და სახეცვლილი ფორმით; იგივე ითქმის ეთნიკური სახელებისა და სახელმწიფოთა მიმართ). მუმატიანის მუშაობის უმთავრესი პრინციპი იყო ქართველი მკითხველისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება, უფრო ზუსტად, ინფორმაციის მაქსიმალურად შენარჩუნება. ვინაიდან რიგ შემთხვევაში მან ვერ შეამჩნია, რომ სწავლასკვა პარალელურ ქრონიკებში, პირთა თუ ეთნიკურ ჯგუფთა შეცვლილი ან მოდერნიზებული სახელებით ფაქტიურად, ერთიდაიგივე ინფორმაცია იყო ასახული, ამიტომ ეს სწავლასკვა ვარიაციებში გადმოცემული ინფორმაცია თავისი შეხედულებისამებრ გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ერთი მეორის მიყოლებით განალაგა და, შესაბამისად, გააორმაგა, რიგ შემთხვევაში გაასამაგა კიდევ.

ფარსმან-ფარნავაზის მეფობიდან მოყოლებული კი როგორც „ქართლის ცხოვრების“, ისე „მოქცევაჲს“ მუმატიანეს ხელთ ჰქონდათ

<sup>90</sup> ეს მოთხრობებია: „ნაზართა ქართლში ლაშქრობები“, აწის მეთაურობით „ქართველთა“, იგივე „ქართლის ცხოვრების“ ქართლოსის ქართლში მოხვლა (ამ მოთხრობის ვარიაციებია, როგორც ზემოთ ვხანეთ, „ჰონთა“, „ჰურიათა“, „თურქთა“ და ნაბუქოდონორის მიერ ტყვე იბერიელთა ქართლში დასახლების ამბავი), ირანელთა მიერ ქართლის დამორჩილების, აქ ირანელთა ერისთავის მმართველობის და ადვილობრივი მოსახლეობის კავკასიის მთიელებთან ერთად ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია და ბოლოს ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში ლაშქრობის ამბავი.

<sup>91</sup> ქართლში მეფობამდელი ხანის ისტორიის ამსახველი ქრონიკები, ჩვენს აზრით, წარმოადგენდა საუკუნეების განმავლობაში ბერძნული, არამეული მწერლობიდან ამოკრეფილ ინფორმაციულ კრებულებს. შესაძლოა ისინი მოიცავდნენ ქართლის მოსახლეობაში გავრცელებული ზეპირსიტყვიერი გადმოცემების ჩანაწერებსაც, რომელთა წერილობითი ფიქსირება მოხდა ჯერ კიდევ არამეული და ბერძნული დამწერლობის მეშვეობით. ამ ქრონიკების ნაწილი, შესაძლოა, შეკვცილ-შემქიდროვებული სახით უკვე ქართულად ითარგმნა საკუთრივ ქართული დამწერლობის წარმოქმნის შემდეგ (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ).

ჩვენს მიერ ზემოთ ბირობითად „არმაზულ ქრონიკად“ წოდებულ მატეიანე, რომელიც ფარნავაზიანთა საგვარეულო ქრონიკას წარმოადგენდა და უაღრესად სანდო ცნობებს შეიცავდა მეფეთა რივის, მათი ზეობის წლების, მეუღლეთა წარმომავლობის, ნათესაური კავშირების და გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ქართლში ქართლის მეფეთა მიერ წარმოებული აღმშენებლობითი მოღვაწეობისა თუ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ (ამა თუ ამ მეფის მიერ წარმოებული მნიშვნელოვანი ბრძოლები და ამ ბრძოლების ადგილები, მტერთა თუ მოკავშირეთა ეთნიკურ-სახელმწიფოებრივი კუთვნილება და სხვ. მსგავსი). ქრონიკა მოდიოდა ფარსმან III-ის გამეფების ხანამდე (დაახლ. ახ. წ. 120-125 წწ.) ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

## თავი IV

### ქართლის წარმართ მეფეთა ქრონოლოგია (საურმაგიდან ფარსმან ქველამდე)

„ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისას“ მონაცემების შეჯერება უცხოურ: სომხურ, ბერძნულ-რომაულ ნარატიულ წყაროთა თუ ეპიგრაფიკულ წარწერათა მონაცემებთან საშუალებას გვაძლევს, დავაზუსტოთ ქართლის წარმართ მეფეთა ქრონოლოგია და გენეალოგია. განვიხილოთ ძველი ქართლის სამეფოს ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ორმეფობის პერიოდი და ავსხნათ მისი წარმოშობის მიზეზები, გამოვავლინოთ „ქართლის ცხოვრების“ ამ უძველესი ნაწილის წყაროების საკითხი და სხვა.

ქართლის სამეფოში ორმეფობის წარმოქმნის ფაქტის ახსნას ქართველი ისტორიკოსები ჯერ კიდევ ადრე შუახუკუნებში ცდილობდნენ - „ქართლის ცხოვრების“ შემატეიანის მოთხრობა, რომელიც ქართლის მეფის ადურკის მიერ თავისი ორი შვილისთვის სამეფოს გაყოფის ამბავს გადმოგვცემს, ქართლში ორმეფობის როგორც მოვლენის ახსნის ყველაზე ადრეულ ცდად უნდა მივიჩნიოთ.



წიგნი

აღნიშნულ საკითხს სპეციალურად შეეხო ს. ისტორიკოსმა ორმეფობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სტრაბონის ცნობას, სადაც ბერძენი ისტორიკოსი იბერიის სახელმწიფო წყობილების აღწერისას „მეფის შემდგომ მეორე პირის“ ინსტიტუტს წარმოაჩენს, და მივიდა დასკვნამდე, რომ ქართლის ისტორიაში ორმეფობას კი არ ჰქონია ადგილი, არამედ ქართული წყაროები მეფეთა სიის ბარალელურად გვაწვდიან მეფის შემდეგ „მეორე პირთა“ - არმაზციხეში მჯდომ ბიტიანშთა სიას (69, 66-68). ამ თვალსაზრისს იზიარებს აგრეთვე ვ. მელიქიშვილი (219, 58-59). თ. დუნდუა აღნიშნავს, რომ „ორმეფობა შეიძლება, განიმართოს როგორც კორპორაციული ზავი. კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმე უნდა გვექონდეს შიდაკორპორაციულ ქიშხთან - სასახლის გადატრიალებებთან სეფეწულების მონაწილეობით, რაც გამოწვეული იყო სამეფო დომენის ფლობის კონსტიტუციურად დაუსვეწავი კოლექტიური წესით“ (80, 175-176).

როგორც წესით ვაჩვენეთ, „გუგარქი“ სომხურში ქართლის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი და „გორგანის“ ტრახლორმაცის შედეგად მიღებული ფორმაა. შესაბამისად, არმაზელ მეფეებს სომხეთის მძღავრობით ქართლის სამეფოსათვის ჩამოქრდილი გუგარქის ანუ სომხეთის ქართლის მეფეებად-ბდეშნებად მივიჩნევთ. ამ საკითხთან მიმართებაში ხავსებით უიზიარებთ დ. აბაშიძის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს მტკვრის მარჯვენა მხარის ანუ „არმაზელი მეფეების“ სომხური წყაროების „გუგარქის ბდეშნებთან“ იგივეობის შესახებ (პ, 141-144). თუქა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაგ. მოსე ხორენელთან ორმეფობის წინარე ხანასთან მიმართებაში „გუგარელთა ბიტიანში“ და „ბეჟთა ბიტიანში“ იგივეობრივი ცნებებია. ისინი საერთოდ ქართლის მეფეს აღნიშნავენ და, შესაბამისად, ქართლის სამეფოს (ორ სამეფოდ გათიშვამდე) სომხეთზე დამოკიდებულების ხანის სომხურ წყაროთა მონაცემებს ასახავენ.

ამგვარად, არმაზელ მეფეთა წილი ქართლი ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლი ესაა იგივე სომხური წყაროების გუგარქი, სტრაბონისეული „გოგარენა“ (გორგანი) ანუ სომხეთის მიერ დაპყრობილი ქართლი.

გუგარქის საზღვრები და მისი შემადგენელი მხარეები მოცემულია მოსე ხორენელთან და სომხურ გეოგრაფიაში. მოსე ხორენელის მიხედვით: „შარას ნაშიერს გუშარს ერგო მთინის მთა ანუ კანგარქი, ნახევარი ჯავახეთი, კოლბი, წოფი და ძორი მნარაკერტის ცისე-სიმაგრემდე. აშოცის უფლად და ტაშირის

სეპუჰად ვალარშაკმა ჰაიკიანი გუშარის შთამომავალი განაწესა“ (171, 172, 173, 174, 175, 176).

როგორც ვხედავთ, მოსე ხორენელთან გუშარის და მისი ნაშეურის ტერიტორიად მიჩნეულია ქართული წყაროების გარდაბნის (კოლბი, წოფი, ძორი, ჰნარაკერტამდე) და გაჩიანის იგივე სამშვილდის (აშოცი, ტაშირი) საერისთავოები; გარდა ამისა, ნახევარი ჯავახეთი.

დაწვრილებით განსაზღვრავს გუგარქის ფარგლებს ანონიშური სომხური გეოგრაფია, რომლის მიხედვით გუგარქის გაგარებაა: კოლბოფორი, ძოროფორი, წოფოფორი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარქი, ზემო ჯავახეთი, არტაანი და კლარჯეთი (227, 52; 257, 109-110).

სომხური გეოგრაფიის ამ მონაცემებს თუ შევადარებთ „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციას, ვნახავთ, რომ ოძრნის ერისთავი მცხეთელ მეფეს ემორჩილებოდა ანუ სამცხეთე იყო, კლარჯეთის ერისთავი კი - არმაზელს (145, 47-48). ამგვარად, მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ანუ არმაზელ მეფეთა საგამგებლოს და გუგარქის ტერიტორიული იგივეობა ამ თვალსაზრისითაც საგვსებით აშკარაა.

სტრაბონიც გოგარუნას (გუგარქის) ჩრდილოეთ საზღვარს მტკვარზე დებს და, შესაბამისად, მისი ხანისთვის იბერიასა და სომხეთს შორის საზღვარს ამ მდინარეზე გაიანგრებს. გოგარუნე ბერძენი გეოგრაფოსის მიხედვით სომხეთა მიერ ქართველებისთვის წართმეული ტერიტორიაა (150, 120). სტრაბონთანვე დგინდება ქართლის (იბერიის), სომხეთის და ეგრისის (კოლხეთის) ტერიტორიული გამიჯვნის კიდევ ერთი დეტალი: სტრაბონის მიხედვით, მოხსიკე გაყოფილია იბერიას, სომხეთსა და კოლხეთს შორის (150, 125). ეს კი აუცილებლად გულისხმობს კლარჯეთის საერისთავოს გარკვეული ტერიტორიის კოლხეთის ფარგლებში ყოფნას, რასაც აღნიშნავს კიდევ ს. ჯანაშია (186, 215). ეს თვალსაზრისი დღეს განიარაღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში (42, 93-94; 168, 67-70).

„ქართლის ცხოვრების“, ანონიშური „სომხური გეოგრაფიისა“ და სტრაბონის მონაცემების შედარებით აშკარა ხდება, რომ არმაზელ მეფეთა ქართლის ანუ გოგარუნას შემადგენლობაში შედიოდა შავშეთი და საკუთრივ კლარჯეთი. კლარჯეთის საერისთავოს, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის დანარჩენ ნეგებს - ქოროსის აუზის ქვემო წელს კი ფლობდა კოლხეთი. ამგვარად, ის, რასაც სტრაბონი იბერიას უწოდებს, სინამდვილეში არის მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლი ანუ მცხეთელ მეფეთა სამფლობელო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორმეფობის ხანაში არმაზელს ეკუთვნოდა ჯავახეთი ფარავნის ტბიდან წუნდამდე, ხოლო წუნდის სამხრეთით, დანარჩენი



ჯაფანეთი და კოლა კი - მცხეთელს. ასევე არტაანიც ორადგან უნდა იყოფილიყო გაყოფილი. სომხური გეოგრაფია არტაანს მძლივსად გუგარქის საზღვრებში ათავსებს. ამის მიზეზად ჩვენ გვესახება ის, რომ, როგორც ვნახავთ, არტაანს სომხები ერთხანს მთლიანად იპყრობენ, ართმევენ მცხეთელ მეფეს, რაც აიხანა კადეც „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, სადაც ორმეფობის დასაწყისში მეორე მუწყვილე მეფის - ფარსმანის პერიოდში სომეხთა ქართლზე თავდასხმის ამბავია მოთხრობილი.

მემატიანე აღნიშნავს, რომ ფარსმან ქართლის მეფეს ეძღვარნენ სომხები და წაართვეს მას „წუნდა და არტანი მტკურამდე“ (145, 44). საქმე ისაა, რომ ისტორიული ჯაფანეთის ხაერისთავოს დანარჩენი ნაწილი სწორედ წუნდამდე და აგრეთვე მარჯვენა სანაპიროს არტაანი ამ დროისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხების ხელში იყო. მათ მიერ დაქვემდებარებული ქართლის (არმაზელი მეფეების - გუგარქის ბდეშვების ტერიტორია) შემადგენლობაში შედიოდა. ახლა კი, რადგან წუნდასთან ერთად სომხების მიერ არტაანის დაპყრობაზეა საუბარი, ამკარა ხდება, რომ სომხები ამჯერად უკვე მტკვრის მარცხენა სანაპიროს არტაანს ანუ მცხეთელ მეფეთა ტერიტორიას დაუფლებიან. ამას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ მოგვიანებით „ქართლის ცხოვრებისე“ მიხედვით უკვე ფარსმანის ძის - არსუკ-არსოკის მეფობაში, სომხები სამცხეშიც შექრილან და, როგორც ჩანს, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიის დაპყრობის განსამტკიცებლად დემოთეს ციხე აუგიათ (145, 47).

დემოთეს ციხე მდ. ქვაბისწყვისა და ლაშიდელეს წყლის შესაყარიდან 8 კმ-ში მდებარეობს (30, 662; 45, 225). თუ დავუკვირდებით იმ ტერიტორიას, რომელიც წაართვეს სომხებმა ქართლის მეფე ფარსმანს და შემდგომ მის ვაჟს არსუკს (არსოკს) - ვგულისხმობთ განსაკუთრებით, დემოთის ციხის მხარეს, დავინახავთ, რომ ეს „მტკვრის მარცხენა სანაპიროს მეფეების“ სამფლობელო იყო, „ქართლის ცხოვრება“ კი გვეუბნება, რომ ტერიტორია წაართვეს ფარსმან არმაზელს.

„მოქცევაჲს“ ქრონიკისა და „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი აღვნიშნავთ ურთიერთ შედარებაში დაგვარწმუნა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ არმაზელი და მცხეთელი მეფეები არეულია: არმაზელი მეფეები მცხეთელებად არიან მიჩნეული და პირიქით. „მოქცევაჲს“ ნუსხაში ვკითხულობთ: „და მეფობდა როკ, რომელმან რაითურთ მცხეთაჲ გაიშორა და მეფობაჲ ორად ვაიყო, ორნი მეფენა

დასხდნენ იმიერ და ამიერ. და შეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას ბრატმან.

და შეფობდა იმიერ ფარსმან	და ამიერ კაოზ
და შეფობდა იმიერ არსოკ	და ამიერ ამაზაერ
და შეფობდა იმიერ ამაზასმ	და ამიერ დერუკ
და შეფობდა იმიერ ფარსმან ქველ	და ამიერ ფარსმან ავაზ
და შეფობდა იმიერ როკ	და ამიერ მირდატ.

ამ ნუსხაში პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რომელი მხარეა შემატიანესთვის ამიერი და რომელი იმიერი, ანუ თვითონ სად წის წერის დროს, თავს რომელ მხარეს მიაკუთვნებს. თუ ტუქსტს ჩაუკვირდებით, მივხვდებით, რომ ამიერი ის მხარეა, სადაც ამაზაერი ანუ არმაზელი შეფობდა. აქედან გამოვძინარე, ექვს გარეშეა, რომ მთელ სიაში ამიერებად არმაზელი შეფეები ივულისხმებიან, ხოლო იმიერებად კი - მცხეთელები. „ქართლის ცხოვრების“ შეცდომაც გასაგები ხდება: ქრონიკა, საიდანაც როგორც „მოქცევაჲ“, ისე „ქართლის ცხოვრება“ სარგებლობდა, როგორც ვნახეთ, ჯერ ამბობს — გამოეფდნენ იმიერ და ამიერო, შემდეგ წერს, რომ ქარძამი გამოეფდა არმაზს და ბრატმანი მცხეთას. ამიტომ „ქართლის ცხოვრების“ პირველმა შემდგენელმა შემატიანეჲმაც არმაზელები იმიერებად, ხოლო მცხეთელები ამიერებად გაიაზრა, მით უფრო, რომ თვითონ, როგორც ჩანს, მცხეთის მხარეს იჯდა და მისთვის მტკვრის მარჯვენა სანაპირო იმიერი იყო. „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელ შემატიანესაც „მოქცევაჲს“ მსგავსად რომ თავის წყაროში „იმიერებად“ მცხეთელი შეფეები ეძლეოდა, ანუ „იმიერი“ „ზემო ქვეყნად“, „ზენა სოფლად“ გაიაზრებოდა, კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ ტუქსტის ერთი ადგილიდან, სადაც ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოქრის ამბავია გადმოცემული: „და დადგა მცხეთას და დაუდგინა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ და თვით დადგა ქსანსა ზედა“. ამგვარად, იმიერი „ზემოა“, ამიერი კი „ქვემო“. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი-შემატიანე აშკარად მცხეთაში იჯდა. ამგვარად, მან „ამიერი შეფეები“ მცხეთელებად მიიჩნია და ყურადღება კი აღარ მიაქცია იმ ფაქტს, რომ შეფე არმაზელი მცხეთაში გამოუყვდა. რადგან მან მცხეთელი შეფეები არმაზელებად გაიაზრა, შემდგომ მათ ასეც უწოდებს: „ფარსმან არმაზელი“ და ა. შ. თუმცა ჩვენ ხომ ვიცით, თუნდაც რომაული წყაროებიდან, რომ მაგ. ან. წ. I ს-ში ქართლის შეფეები მითრიდატე და მისი ვაჟი ფარსმანი იბერიელები ანუ მცხეთელები იყვნენ. ამ დაკვირვების შემდეგ, შევვიძლია მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ: „ქართლის ცხოვრების“, ისევე





როგორც „მოქცევაის“ შემადგინებლის თხრობის ამ ნაწილში წყაროდ ყოფილა გამოყენებული უცნობი ავტორის არმაზში შესრულებული ქრონიკა, რომელიც მოკლედ აგვიწერდა მოვლენებს ფარნაჯაზიდან მოყოლებული ახ. წ. III ს-ის 20-იან წლებამდე (იხ. ქვემოთ). სამწუხაროდ, „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა ამ ქრონიკის თავის თხზულებაში ჩართვის დროს არია მხარეები - იმიერი და ამიერი, შესაბამისად, მთელი თხრობა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შებრუნებულია. ის რომ „მოქცევაის“ ავტორიც ძველი არმაზული ქრონიკის „იმიერს“ ანუ „ზენა სოფელს“ უკვე მტკვრის სამხრეთით მდებარე მხარედ გაიაზრებს, კარგად ჩანს აღნიშნული ქრონიკის ერთი ადგილიდან: „და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძე თრდატიის და მთავარეპისკოპოსი იყო ულია. და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისს და იმიერ ვანვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის“ (125, 92).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ვიზიარებთ და ჩვენის მხრივ ახალი არგუმენტებით ვამაგრებთ დ. აბაშიძის თვალსაზრისს არმაზელი მეფეებისა და გუგარქელი ბდეშხების იგივეობის შესახებ<sup>6</sup>, მაგრამ მას ვერ დავეთანხმებით ამ მოვლენის (ქართლის ორად გაყოფისა და შესაბამისად, სომეხთა მიერ არმაზელი მეფეების თავიანთ ქვეშევრდომობაში მოქცევის) დათარიღებაში - ძვ. წ. II ს-ის შუა წლები (3, 143) ამ შემთხვევაში მკვლევარი ეყრდნობა გ. მელიქიშვილის მიერ ბოლო ხანებში შემოთავაზებულ ქართლის უძველეს მეფეთა ახალ ქრონოლოგიას (121, 54). თ. დუნდუა ორმეფობის ქრონოლოგიურ ფარგლებად ძვ. წ. 136-89 წწ-ს ვეთავაზობს. ორმეფობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად მას შემწონის ცნობა მიაჩნია, საიდანაც სრულიად აშკარაა, რომ იბერიაში ძვ.წ. I ს-ის დასაწყისში მხოლოდ ერთი მეფე იყო (80, 177). აღნიშნულ ცნობას ჩვენც ზუსტად ასევე ვავიანებთ, ოღონდ საქმე ისაა, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ცნობა ორმეფობის მხოლოდ ქვედა ზღვრად გამოდგება. უფრო ზუსტად, ორმეფობა დაიწყო ძვ. წ. I ს. 60-იანი წლების მიწურულს ქართლის მეფის არტოკ II-ის მეფობის შემდეგ. ესაა პომპეუსთან ბრძოლაში დამარცხებული არტოკი, რომელსაც

<sup>6</sup> ეს ეხება მხოლოდ ორმეფობის ხანას და შემდგომ პერიოდს. რაც შეეხება უფრო ადრეულ ეპოქას, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, „გუგარელითა“ და „ივერთა პიტიახში“ - მაგ. მოსე ხორენელიან - ეს იგივე ქართლის მეფეა. მოსესგან განსხვავებით, სებოსთან ის „დიდ ნახარარად“ (ანუ ერისთავად, ცხადია, სომხეთის) მოიხსენიება.

ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ აღწერითან და „მოქცევაჲს“ რეკონს ვაივივებთ.

დღესდღეობით, როგორც ცნობილია, ასტორიოგრაფიაში არსებობს ქართლის ძველ მეფეთა ორი განსხვავებული ქრონოლოგია: პირველი, ტრადიციული, რომელიც მეფე არიკ//არტავს პომპეუსის ხანის არტიოთან აივივებს და, შესაბამისად, მის ზეობას ძვ. წ. 65 წ-ზე დებს. ამ ქრონოლოგიას მისდევს კ. თუმანოვიც (250, 1-33; 251; 252) და მეორე, ვ. მელიქიშვილის ახალი ქრონოლოგია, რომელიც არტავის მეფობას ძვ. წ. III-II სს-ის მიჯნაზე ათავსებს (121, 59-61). ამ თვალსაზრისს გარკვეული კორექტივებით იზიარებს თ. დუნდუაძე (80, 176-177). ვ. მელიქიშვილი თავისი ახალი ქრონოლოგიისათვის ძირითად არგუმენტად იყენებს „მოქცევაჲ ქართლისას“ ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ არსებულ ერთ ბასაჟს, ხადაც ვასპურაკანელი შთაგარი აღნიშნავს, რომ 503 წელია გასული ებრაელთა მოსვლიდან და ქართლში დამკვიდრებიდან: „რამეთუ არიან წელნი ვინაგან მამანი თქვენნი აქა მოვიდეს ფე“. ამას მოსდევს ტექსტში აბათარის გამონათქვამი, რომ: „დღეისითგან ქრისტესამდე არიან წელნი სამას ოცდაათისმეტ...“ (125, 102-103). ამის გათვალისწინებით ვ. მელიქიშვილი მარტივი გამომანგარიშების საფუძველზე 334-503 = ძვ. წ. 169 მიდის დასკვნამდე, რომ ებრაელები ქართლში უნდა დამკვიდრებულიყვნენ ძვ. წ. 169 წ. და, მაშასადამე, ამავე დროს უნდა ემეფათ ბარტამს და ქართამს. ჩვენის აზრით, ეს არ შეიძლება არგუმენტად გამოდგეს. აღნიშნული ფრაზა უნდა მიუთითებდეს უფრო „ნინოს ცხოვრების“ იმ ვარიანტის შემქმნელი შემატიანის მოღვაწეობის ხანაზე (V ს.), რომლითაც ხარუებლობს უკვე „მოქცევაჲ ქართლისას“ ავტორი, ვიდრე ბარტამ-ქართამის მეფობის პერიოდზე. ეს მეფეები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სრულიად ცალსახად მეფობდნენ ძვ. წ. 50-40-იან წლებში. როგორც ჩანს, „ნინოს ცხოვრების“ შემატიანე აბათარის აღნიშნულ თარიღს: „დღეისითგან ქრისტესამდე არიან წელნი სამას ოცდაათისმეტი“ ანგარიშობს აბათარის პოზიციიდან, ხოლო ებრაელთა მოსვლის თარიღს კი საკუთარი ჩანსიდან (V ს. შუა წლები).

არანაკლებად სავარაუდოა, შემატიანეს უბრალოდ შეცდომა დაეშვა წლების მიმატება-გამოკლების დროს. სამაგიეროდ, ბევრად უფრო საფუძვლიანი და ანგარიშგასაწევა იმავე „მოქცევაჲ ქართლისას“ ქრონიკის ცნობა, რომ: იყო „ესე ოცდარვა მეფენი ქართლსა მინა წარმართნი“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველაზე მარტივი ჩანაწერები, ე. წ. „პირველადი ქრონიკები“ უკვე შეიცავდნენ მეფეთა რიგს მათი ზეობის წლების მითითებით. ამ ნუსხებში გადამწერითა



უყურადღებობისა, თუ ხელნაწერის დაზიანების შედეგად შეიძლება ამოფარდნილიყო ნუსხიდან ერთი-ორი სახელი, რაც, სხვათა შორის, ისევე და ისევე ჯამურ რიცხვთან დამთხვევის მიღწევის მიზნით ივსებოდა ხოლმე უკვე ჩამოწერილ მეფეთა სახელების გაორმაგებით (ამ შემთხვევაზე ქვემოთ სპეციალურად შევნიშნავთ). ამგვარად, მემატთანეს შეიძლება შეშლოდა ერთი-ორი ციფრი, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, მეფეთა ჯამური ოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი სრულიად ჰაერიდან იყოს მოტანილი. ამგვარად, ჩვენი აზრით, ქართლის წარმართ მეფეთა ზემოთ მოყვანილი ორივე ქრონოლოგია არაზუსტია. პირველის მიღების შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ, რომ ქართლის ძველ მეფეთა სია ფარნავაზიდან არტოკამდე ფრიად ნაკლებად გამოიყურება (სულ ხუთი მეფე ორსაუკუნეანაჲეარზე), ხოლო მეორის შემთხვევაში, პირიქით, მეფეთა ოდენობა უზევულოდ მრავალრიცხოვანია.

შეცდომის მიზეზი ქრონოლოგიაში და, საერთოდ, ქართლის უძველესი ისტორიის გააზრებაში მომდინარეობს უპირველეს ყოვლისა მეთოდოლოგიურად სრულიად დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი დამოკიდებულებიდან „ქართლის ცხოვრების“ იმ ინფორმაციისადმი, რომელიც აღნიშნულ ხანას ეხება. არადა, სწორედ ამ ნაწილში „ქართლის ცხოვრება“, როგორც ვნახეთ, პირველხარისხოვან ქრონიკას ეყრდნობა (არმაზული ქრონიკა) და მთელი რიგი აღრევებისდა მიუხედავად, რაც გვიანდელი მემატთანის მიერ მის ხელთ არსებული ტექსტის არასწორი გაგებიდან მომდინარეობს, „ქართლის ცხოვრება“ უაღრესად სანდო ინფორმაციას შეიცავს წარმართ მეფეთა რიგის, ნათესაური კავშირების, ქართლის სამეფოზე ამა თუ იმ მეფის ზეობის ხანაში მუშობელ სახელმწიფოთა (ირანის, სომხეთის, ეგრისის) მძლავრობის, სომეხთა მხრივ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის დაპყრობის, მცხეთელ მეფეთა ქართლის გამთლიანებისთვის ბრძოლისა, თუ სხვ. შესახებ. ოღონდ საქირთა სწორი მიდგომა მემატთანის მონათხრობის გასაგებად. ქვემოთ ვნახავთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაცია, რიგ შემთხვევებში უფრო ზუსტია მოსე ხორენელთან შედარებით.

გადავხედოთ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილს და ვავარკვიოთ, რას გვეუბნება ტექსტი სომეხთა ქართლზე პირველი მძლავრობის შესახებ. ქართლის მეოთხე მეფე ფარნაჯომზე საუბრისას მემატთანე აღნიშნავს, რომ მას განუდგენ: „ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „... მოგუეც ძე შენი არმაკ, რომელსა უნის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა... და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებე-

ლი ახლისა სჯულისა... მაშინ სთნდა სომეხთა მეფესა განზრახვა ესე, გაგზავნა მოციქული მათი პასუხითა კეთილითა და რქუა: „...თქვენი ყოველთა ერისთავთა მომეცით მე მძევალი და მიგცე მე ჩემი მეფედ თქუენდა... მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მძევლები და განაცხადეს განდგომა ფარნაჯომისი. მაშინ სომეხთა მეფე ყოვლითა ძალითა მისითა წარმოემართა ქართლს, ხოლო ფარნაჯომ მეფემან მოუწოდა სპარსთა და მოიყვანა სპარსნი ძლიერნი და რომელნიმე დარჩომოდეს შემოკრიბნა ქართველნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი მიეგებნეს სომეხთა მეფეს ტაშირს და მუნ შეკრბა სიმრავლე სომეხთა და ქართველთა. ხოლო ფარნაჯომ მიეგება მუნვე ტაშირს“ (14წ, 29).

ბრძოლაში ფარნაჯომს ჰკლავენ და შეყვება სომეხთის მეფის ძე არშაკი/არსუკი. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყოველივე ზემოთ მოთხრობილი მხოლოდ ქართლის ერისთავთა ნების და ფარნაჯომის „სპარსთ მოყვარუბის“ შედეგი ყოფილიყო. ჩვენი აზრით, ქართლის ტახტზე მესუთე მეფე რომ სომეხთა მეფის ძეა (თუმცა მეუღლე ფარნაჯაზიანი ჰყავს, იგივე ფარნაჯომის და), ეს ფაქტი სომეხთა მიერ ქართლის ბირველ დამორჩილებას უნდა ვუღიანებოდეს და კარგად უდგება 190 წ. მაგნეზიასთან სელეუკიდების დამარცხების შემდეგ სომეხთის ორი სამეფოს წარმოქმნას და არტაშეს I-ის მეფობის ხანას. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა სებუოსის ცნობა, რომელიც სომეხთის ბირველი მეფის არტაშესის (სებუოსთან არშაკ უმცროსი) გამეფებას აგვიდწერს. შემატთან ადინშნავს: „ამ დროს არშაკმა (იგულისხმება ბართის მეფე) გაამეფა თავისი ძმა არშაკი მეტსახელად უმცროსი სომეხზე ქალაქ ნისიბინში და მისცა მას ... ჩრდილოეთით დიდ მთა კაგკასიონამდე ... გაგზავნა ის ნისიბინიდან დასავლეთით დიდი ჯარით ... გამოვიდა მის შესახვედრად ბაგარატ ფარნაჯაზიანი<sup>7</sup>. არშენის ძეთაგანი, დიდი ნახარარი ჯარით. მიართვა მას საჩუქრები ოქრო და ვერცხლი ... დაადო მას თავზე შამისეული გვირგვინი, დასვა ტახტზე ... და მისცა მას ცოლად თავისი ასული“ (231, 5; 25წ, 54). „ქართლის

<sup>7</sup> სებუოსთან ამ აღვიღას წერია ბაგარატ ფარაზიანი, მაგრამ ცოტათი უფრო ადრე ის აღინშნავს, რომ „ფარნაჯაზმა შუა ბაგამი და ბაგარატი“ (25წ, 51), საიდანაც სრულიად აშკარაა, რომ ფარაზიანი გადაშწერის შეცდომაა. ამიტომაც აღვადგენთ „ბაგარატ ფარნაჯაზიანს“. საინტერესოა, რომ თვით სომხური ტექსტის გამომცემელი გ. აბგარიანი, ტექსტისადმი მიძღვნილ კომენტარებში (კომენტარებს კი წიგნის ორი მესამედი უქირავს), თუმცა ბუერს მსჯელობს თვით სახელ ბაგარატზე და ბიურატზე (25წ, 199, კომენტ. 34), ვერ ამჩნევს ხელნაწერის ამ აშკარა შეცდომას.



ცხოვრება“ კი, რომელიც, როგორც ზემოთ ვხანეთ, ქართლის ფეოდალურ-სოციალური რეაქციის მეფობაში სომხეთის უფლისწულის არშაკის (არსაკის) მოსვლას მოგვითხრობს, მის ფარნავაზთან შეუღლებს მირვანის ასულად მიიწვევს: „ამას-ზე მიიცვალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს და მას უამსა შინა მეფე იქმნა სომხითს, რომელსა ერქუა არშაკ (შეადარეთ სებეოსის არშაკ უმცროსი). უზრახა მირვან არშაკს და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისსა არშაკს. და მოკვდა მირვან და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნავაზომ“ (145, 28). თუ „ქართლის ცხოვრების“ ზემოთმოყვანილ ცნობებს სებეოსის მონათხრობს შევუდარებთ, მივხვდებით, რომ ისინი ერთიდაიგივე ამბავს გადმოგვცემენ და ერთი წყაროდან მომდინარეობენ, ოღონდ სებეოსთან ამ ფარნავაზთანად ბაგარატი, ბაგრატიუნთა წინაპარია გამოცხადებული რაც, რა თქმა უნდა, უკვე ხსენებული ავტორის ეპოქაში (VII ს.) ქართლში და სომხეთში ბაგრატიუნთა ფარნავაზთანობის შესახებ გავრცელებული თვალსაზრისიდან მომდინარეობს. ამგვარად, სებეოსთან წყაროში მოცემული ინფორმაციის პირველ გადაკეთება-ჩანაცვლებასთან ვვაქვს საქმე. იგივე წყაროს ფლობდა მოსე ხორენელიც, რომელიც ამ გადაკეთება-ჩანაცვლებაში უფრო შორს მიდის, აი, როგორ უღერს აღნიშნული ადგილი მოსე ხორენელთან: „არშაკმა (იგულისხმება პართიის მეფე) იმ ხანებში სომეხთა ქვეყანაში თავისი ძმა ვალარშაკი (შეადარეთ, სებეოსთან არშაკ მცირე მ. ს.) გაამეფა. და მისცა მას საბრძანებლად ჩრდილოეთი და დასავლეთი (აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსე ხორენელი, ისევე როგორც სებეოსი სარგებლობს წყაროთი, რომელსაც დასავლეთი განსხვავებულად ესმის. მაგ. კასპიის ზღვა მისთვის „დასავლეთის დიდი ზღვა“ მ. ს.)... (ვალარშაკმა) ღვაწლი დაუფასა შამბატ ბაგარატს; უფლება მიანიჭა მას... ყოფილიყვნენ არშაკუნთა გვირგვინდამდამრქმულნი. ბაგარატის სახელის მიხედვით მისი შთამომავალნი ბაგრატიუნებად უნდა წოდებულიყვნენ. ამჟამად მათ დიდი სანახარარო აქვთ ჩვენს ქვეყანაში. რადგან ბაგარატი თავისი ნებით დათანხმდა ვალარშაკის სამსახურზე, ჟერ კიდევ მაკედონელთა წინააღმდეგ არშაკის ომებამდე, იგი [მიღებულ იქნა] სამეფო კარზე. [ვალარშაკმა] ერისთავად, ათასეულთა და ბევრეულთა მთავრად დანიშნა იგი [ქვეყნის] დასავლეთ ნაწილში, რომლის იქით სომხურად აღარ ლაპარაკობენ“ (160, 102). საქმე ისაა, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ ძველ წყაროში, საიდანაც მოსე არტაშეს I-ის (ამ შემთხვევაში იგივე ვალარშაკი) მიერ ქართლის დაქვემდებარების ამბავს იღებს და თავისებურად ვარდაქმნის, „დასავლეთი“ სულაც არ ნიშნავდა მოსეს გავებით დასავლეთს და შესაბამისად, არ უდრიდა მის

პერიოდში არსებულ ბაგრატუნთა სამფლობელო მხარეს. ფრაზაც „რომლის იქით სომხურად აღარ ღაბარაკობენ“, ასევე მოსე ხორენელის გააზრება-გადაკეთების შედეგი უნდა იყოს. თუ სებუოსის და „ქართლის ცხოვრების“ შემთხვევით მოყვანილ ადგილებს მოსეს ამ ინფორმაციას შევადარებთ, მივხვდებით, რომ აღნიშნულ ტექსტში მოთხრობილია „წრიდლოეთის“ და „დასავლეთის“ გამგებელი სუვერენი ხელმწიფის არტაშეს I-ისადმი დაქვემდებარების ამბავი, იმ შემთხვევაში, რომლის ქვეყანაში სომხურად არ ღაბარაკობდნენ. ყოველივე ამას უფრო გვიან ბაგრატის გვირგვინდამრქმელობა და მისი დასავლეთის მხარეში ნახარაოდ დანიშვის ამბავი ჩაენაცვლა. შეცდომის მიზეზი, შესაძლოა, სწორედ ძველი წყაროსა და უფრო გვიანდელი ხანის „დასავლეთის“ ცნების განსხვავებული გაგება ვადა. ფაქტია, მოსესთვის, ისევე როგორც სებუოსისთვის სომხეთის „დასავლეთი“ ნაწილი ის მხარე იყო, სადაც მათ ხანაში ბაგრატუნთა საგვარეულო მამული მდებარეობდა. იმ ანონიმურ ქრონიკაში, რომლითაც სარგებლობდა სებუოსი თავისი თხზულების დასაწყისი ნაწილის წერისას, პირველი გადაკეთება უკვე მომხდარი ფაქტია: მირვან-მირდატი ბაგრატითაა (ბაგრატი ფარნავაზიანი) შეცვლილი. მოსესთან ინფორმაციამ გადაკეთების შემდეგი ეტაპი გაიარა და ფარნავაზიანი ბაგრატი უკვე შამბატ ბაგრატად იქცა. რა გვამოკვებს ამის თქმის უფლებას? საქმე ისაა, რომ წყაროში იმ ადგილას სადაც „ვალარშაკის“ მიერ „დასავლეთის“ დაპყრობაზე იყო საუბარი, ვალარშაკისადმი (სებუოსთან არშაკ მცირე) დაქვემდებარებაში შესულ „ნახარაოდ“ მოსესაც ბაგრატი ფარნავაზიანი ეძლეოდა. მაგრამ ის უკვე იცნობდა ღუგუნდას ბაგრატუნთა უბრაულო წარმოშობის შესახებ. მოსე ხორენელმა „ვალარშაკისადმი“ (ხინამდვილეში არტაშეს I) დაქვემდებარებაში შესული „დასავლეთის“ დიდი „ნახარარი“ მირვან (მირდატი) ფარნავაზიანი, რომელიც მას უკვე ბაგრატი ფარნავაზიანად გადაკეთებული დახვდა, სომხეთის ბაგრატუნების საგვარეულოსთან და სანახარაროსთან გააიგივა (ფაქტია, ასეთ გააზრებას მანამდეც აქონდა ადგილი, ამიტომაც მოხდა

მ. ს. ხორენელი

მოსე ხორენელი ამ ინფორმაციას თავისებურად ვარდაქმნის: მას ხომ ეს „წრიდლოეთისა“ და „დასავლეთის“ გამგებელი-ნახარარი ბაგრატუნია პეტია, შესაბამისად, არ ესმის რა, რატომ არ უნდა ეღაბარაკოთ მის დროინდელ ბაგრატუნთა სამფლობელოში სომხურად, საკუთარი გააზრებიდან გამომდინარე ოდნავ ცულის ინფორმაციას. ამგვარად, „რომლის სამფლობელოში სომხურად არ ღაბარაკობენ“-ის ნაცვლად ვიღებთ ფრაზის შეცვლილ ვარიანტს: „რომლის იქით სომხურად აღარ ღაბარაკობენ“.



მირვან//მინდატის ბავარატით ჩანაცვლება), მაგრამ ბავრატუნა რნავაზიანობა აღარ დაიჯერა: მათი უცხო. ებრაული წარმოშობა უფრო საპატიოდ მიიჩნია. აი, რას ამბობს მოსე თავისი გადაწყვეტილებისა და არჩევანის თაობაზე: „ზოგიერთი, ნაკლებად ხანტო ადაშიანი თვითნებურად, ქვეშარიტების უგულუბელყოფით ამბობს, რომ ბავრატუნების — გვარი ჰაიკის ნაშიერია. ამის თაობაზე უნდა გითხრა: ამგვარ უგუნურ ხმებს ნუ ირწმუნებ, რამეთუ ისინი უსაფუძვლოა.“ (171, 87). საქმე ისაა, რომ ფარნავაზი მოხსენებულა მოსე ხორენელის მიერ ძველ სომეხ მეფეთა ჩამონათვალში, რომლებიც სათავეს სწორედ ჰაიკიდან იღებენ. ასე რომ, მოსე ხორენელის კონცეფციით, ფარნავაზი ჰაიკიანია. ამგვარად, ბავრატუნთა ებრაული წარმოშობის შესახებ თავისი თვალსაზრისის საპირისპიროდ, მას წყაროში ეძლეოდა ინფორმაცია ბავარატის ჰაიკიანობის ანუ ფარნავაზიანობის შესახებ, რაც შემოგვინახა კიდევ სებუოსმა.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესო უფრო ისაა, რომ სამივე წყარო, რომელთა შორის ქართული ამ შემთხვევაში უფრო ძველი და ზუსტი ინფორმაციის შემცველია, ზემოთმოთხრობილ ამბებს არტაშეს I-ის ეპოქას (ძვ. წ. 189-161 წწ.) უკავშირებს. ამგვარად, ძვ. წ. 189-161 წწ.-ში, ჩვენი თვალსაზრისით კი უფრო ძვ. წ. 170-იან წწ.-ში ქართლში საფუძველი ჩაეყარა ფარნავაზიანთა სომხურ შტოს, რომელსაც ჩვენ პირობითად არტაშესიან-ფარნავაზიანთა შტოს ვუწოდებთ. „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲს“ მიხედვით, არშაკის (არსუკის) შემდეგ მეფობს მისი ვაჟი არტაგი//არიკი და შემდგომ მისი ვაჟი ბრატმანი//ბარტომი. ბრატმანის მეფობას ჩვენ დაახლ. ძვ. წ. 140-130-იანი წლებით ვათარილებთ. ამ პერიოდში ფრიად მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე: ბრატმანს, როგორც მატთანე მოგვითხრობს, არ ჰყავს ვაჟი და ჰყავს მხოლოდ ასული. ტანტის გასაგრძელებლად ის მოიყვანს ეგრისის მეფის ვაჟს ქართამს.

მართლაც, წყაროები გვიდასტურებენ, რომ ძვ. წ. II-ს-ში ეგრისის სამეფო ფრიად გაძლიერებულია. ამას მოწმობს ძველი ბერძენი ისტორიკოსის პოლიბიოსის ერთი ცნობა, სადაც ფარნავაზის მიერ თავის მოწინააღმდეგეებთან დადებული ხელშეკრულების გარანტიად სომეხთა მეფე არტაქსთან (არტაშეს I) ერთად დასახელებულია აკუსილახი (130, 35), რომელსაც მკვლევარები კოლხეთის (ეგრისის) მეფედ მიიჩნევენ და აიგივებენ კოლხეთის მეფე აკუ//აკოსთან, რომლის სახელი ამოტვიფრულია ოქროს მონეტაზე (225, 40-42; 231, 41-43).

ძვ. წ. II ს-ის 40-30-იან წწ-ში. აქვს უახლოესი შემკვიდრების დროს ეგრისის სამეფო ქართლზე მძლავრობს და მას კლარჯეთის ერთ ნაწილს ართმევს. ამის საუკუთესო დასტურია ჩვენს მიერ სტრაბონის უკვე ზემოთ განხილული ცნობა „მოსხიკეს“ ქვეყნის ერთი ნაწილის კოლხეთის შემადგენლობაში ყოფნის შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მომხდარიყო მითრიდატე ევპატორის მიერ უკვე კოლხეთის დამორჩილების შემდეგ. უფრო მეტიც, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ჩვენ ვგაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრატმან//ბარტომის მოკვლის შემდგომ ქართლის ტახტზე ასული მეფის მირვან//მირვანის ვაჟმა და შემკვიდრემ არსუკმა (არშაკი) „კასხი შეიბყრა და უფლისციხე განაგო“. ეს ინფორმაცია ძველი ქრონიკისა, სამწუნაროდ, „ქართლის ცხოვრების“ მემატთანეს შემდეგნაირად გაუგია: „ამან არშაკ... ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა“ რაც, რა თქმა უნდა, არა სწორია. „კასხის შებყრობა“, ანუ აღება და უფლისციხეზე მართვა-გამგეობის დამყარება - „განგება“ სულაც არ გულისხმობს იქ აღმშენებლობითი სამუშაოების ჩატარებას. ფაქტია, „ქართლის ცხოვრების“ მემატანისთვის ძნელი გასაგები იყო, თუ ვისგან უნდა აეღო, ანუ „შეებყრო“ ქართლის მეფეს კასხი და უფლისციხე. ჩვენი აზრით, სწორედ ბრატმანის დროს, როდესაც ქართამი//ქარძამი ბრატმანს „ჩაესიძე-ბა“, ეგრისი ეუფლება კასხს და უფლისციხეს. „ზენა სოფლის“ ამ ნაწილს ქართლი მხოლოდ მეფე არსუკის დროს იბრუნებს. ამგვარად, ძვ. წ. II ს-ის 50-40-იან წწ-ში ეგრისი მძლავრობს ქართლზე და თავის პრეტენდენტს ამზადებს ქართლის ტახტზე. ასეთ ვითარებაში ნებროთიან-ფარნავაზიანთა შტოს წარმომადგენელი (ასე ვუწოდებთ ჩვენ ბირობითად ფარნავაზიანთა ძირითად შტოს, რომელიც სათავეს იღებს საურმაგთან ჩასიჭებული მირდატ I-დან), პართიაში გაზრდილი ფარნავაზომის ვაჟი მირდატი („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მირვანი, „ქართლის ცხოვრების“ მირვანი) პართელთა მუშევრობით იბრუნებს ტახტს. ბრძოლაში იღუპებიან ეგრისელი უფლისწული ქართამი//ქარძამი და ქართლის მეფე არტაშესიან-ფარნავაზიანთა შტოს წარმომადგენელი ბრატმანი. მეფობას იბყრობს მირვანი-მირდატ II. ამ მოვლენებს ჩვენ დაახლ. 130-125 წწ-ით ვათარიღებთ. ეს ყოველივე ქართლის სომხეთისა და ეგრისის მიმართ გარკვეული ვასალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას მოასწავებდა. რაც, როგორც ვნახეთ, დასრულდა უკვე მირვანის ვაჟის - არსუკის დროს, როდესაც ქართლმა ეგრისის მიერ წართმეული ტერიტორიაც დაიბრუნა „ზენა სოფელში“, იგულისხმება კასხი და უფლისციხე.





ტახტის განსამტკიცებლად და სომეხთა დასამოქმედებლად მირეან-მირდატ II-ს ცოლად მოჰყავს ბრატმანის ცოლი, სომეხთა მეფის ასული, რომელიც ჩვენ მოხე სორენელის მიერ არტაშეს I-ის ასულად და „ქართველთა დიდი ბიტიანში მირდატის“ ცოლად დასახელებული არტაშაშა მივგანსია. მირდატ-მირეანი ვაჟსაც არსუკს (არშაკი ამ სახელის უფრო გვიანდელი ფორმა) არქმევს. ამით მირდატ II ფაქტიურად თავს ქართლის მეფეთა არტაშესიან-ფარნავაზიანთა შტოს გამგრძელებლადაც წარმოაჩენს. „მირეანი“ აღნიშნული მეფის „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ფორმაა. ამ მეფის სახელი უფრო ზუსტად შემოგვიანხა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ - მირეანი. ამას ვგაუიქრებინებს ის, რომ მოხე სორენელთან იგი მიძრდატის სახელითაა წარმოდგენილი. მიძრდატი კი კომპოზიტია და შედგება ორი ირანული სიტყვისაგან მიძრ (მითრა, იგივე მირა მირეანი) და დატ (მცემა). ამ კომპოზიტს მერვე სიტყვა შეიძლება მოცილდეს და დაგვრჩება მხოლოდ მიძრი, მირიანი. ამგვარად, მირდატი (მისი ბერძნული ვარიანტი მითრიდატე) და მირა, მიძრი, მირიანი ერთი რიგის სახელებია მირეანი კი მირიბანი-მითრაბანა და გარეგნული მსგავსებისდა მოუხედავად მიძრდატ-მირიანიდან განსხვავებული სახელია (ჩხ. 478, 481, 483). მოხე სორენელი მიძრდატთან დაკავშირებით აღნიშნავს: „[არტაშესმა] თავისი ასული მიათხოვა ვინმე მიძრდატს, ქართველთა დიდ ბიტიანში“ (171, 111). საქმე ისაა, რომ მოხე სორენელის მიხედვით არტაშესის ვაჟია ტიგრან II, (რაც ძნელი წარმოსადგენია: არტაშეს I გარდაიცვალა 161 წ. ტიგრან II კი ტახტზე აღის ძვ. წ. 95 წ.), ამიტომ მოხე არტაშაშას ტიგრან II-ის დად და მითრიდატე ბონტოელის ცოლად მიიჩნევს, უფრო სწორედ, მას, როგორც ჩანს, ქრონოლოგიურად ახლოს მდგომი ქართლის მეფე მირიან/მიძრდატი, იგივე მითრიდატე და ბონტოს მეფე მითრიდატე VI ერთმანეთში ერევა. მით უფრო, რომ ბონტოს მეფეს ცოლად ჰყავდა უკვე ტიგრან II-ის და, მაგრამ ის, ჩვენი აზრით, არ იყო არტაშესის ასული არტაშაშა. გ. მელიქიშვილი თვლის, რომ მოხე სორენელის აღნიშნული ცნობა იბერთა ბიტიანშითა სახლიდან მომდინარეობს (123. 443). აქედან აშკარაა, რომ მკვლევარს სორენელისეული „ქართველთა დიდი ბიტიანში“ გვიანდელი „ქართლის ბიტიანში“ ჰგონია ანუ ქვემო ქართლის ხელისუფალი. სინამდვილეში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, მოხე სორენელი თავისი თხზულების უძველესი ისტორიისადმი მიძღვნილ ნაწილში ტერმინებს „ქართველთა დიდი ბიტიანში“ და „გუგარელთა ბიტიანში“ ქართლის მეფეთა აღსანიშნავად ხმარობს. ამით სომეხ ისტორიკოსს სურს ხაზი გაუსვას

ქართლის მმართველ-მეფეთა სომეხთა მეფეებზე დამოკიდებულების ფაქტს. სხვათაშორის ასევე იქცევა ქართველი მემატიანეც: სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ეგრისის მმართველთა ქართლის მეფეებზე დამოკიდებულების აღსანიშნავად ის ეგრისის (კოლხეთის, ლაზიკის) მეფეებს ქართლის მეფეთა ერისთავებად აცნადებს, რაც უშუალოდ შემთხვევაში როდი შეეფერება რეალობას.

„ქართლის ცხოვრების“ მინედვით ქართლის მეფე ბრატ-მანს//ბარტომს მართლაც ჰყავდა ცოლად სომეხთის მეფის ასული. ეს ქალი მირეანის მიერ ბრატმანის მოკვლის დროისთვის ახაკოვანი ყოფილა, - მას უკვე გათხოვილი ქალიშვილი ჰყოლია. ამავ დროს ის ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა იყო იმისთვის, რომ შვილი გაეჩინა (არსუკი). მისი ქალიშვილიც „ქართლის ცხოვრების“ მინედვით ორსულად ყოფილა და ადერკი უკვე სომეხთში (სადაც მან თავი შეაფარა ქმრისა და მამის დაღუპვის შემდეგ) გასწეწია. „ქართლის ცხოვრებისე“ მინედვით, მირეანმა ბრატმანის ცოლი, სომეხთის მეფის ასული, ძალით გამოიყვანა სამშვილდის ცხინიდან და ცოლად შეირთო. ქრონოლოგიურად და ასაკობრივად ეს ქალი მართლაც შეიძლება ყოფილიყო არტაშეს I-ის ასული, რომელიც არტაშესს სიცოცხლის ბოლოს შექენია, დაახლ. ძვ. წ. 165/62 წწ-ში. მირიანის და არტაშაშას ძეს არსუკს//არშაკს ქართლში უნდა ემეფა დაახლ. ძვ. წ. II - I სს-ის მიჯნაზე. სწორედ ის უნდა იყოს მეშნონის მიერ მითრიდატეს მეგობრად დასახელებული იბერიის მეფე: „[მითრიდატემ] მოკავშირეებად შეიამხანაგა ბართები, მიდიელები, ტივრანე არმენიელი, ფრიგიელი მეფეები და იბერი [მეფე]“ (124, 26). უფრო მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მითრიდატე პონტოელისა და არსუკ იბერიელის „მეგობრული“ კავშირი სწორედ კოლხეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ისინი ერთად მოქმედებდნენ: მითრიდატეს მიერ კოლხეთის დამპყრობის პარალელურად არსუკი იბრუნებს ადრე კოლხეთის მიერ დაკავებულ კასპს და უფლისციხეს. ვ. მამულაია, განიხილავს რა პლუტარქეს ცნობას იმის თაობაზე, თუ როგორ ცდილობდნენ იბერები პომპეუსზე გამარჯვებას მითრიდატე პონტოელის საამებლად, მიიჩნევენ, რომ ეს ინფორმაცია პლუტარქეს მიერ პომპეუსის განსაზღვრებად მოგონილი. მისი აზრით, იბერიის სამეფო ხელისუფლების ინტერესებში პონტოს სამეფოს დამარცხება შედიოდა და არა პირიქით, ვინაიდან მითრიდატეს კოლხეთი ჰქონდა დამპყრობილი, კოლხეთს კი ქართლის მეფეები თავის მიწაწყლად თვლიდნენ (113, 109). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ნათელი უნდა იყოს, რომ ამ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, როდესაც კოლხეთს ეყრა იბერიის მიწა-წყლის დიდი ნაწილი,



ქართლი და პონტოს სამეფო ერთმანეთის ბუნებრივ მოკავშირეებს  
 წარმოადგენდნენ.

არსუკი მირეანის ძე მეფობდა დაახლ. ძვ. წ. 108-90 წწ. ამდენად, მისი ნახევარდის შვილი, ქართამის ძე ადურკი ძვ. წ. 90-იან წწ-ში უნდა გამეფებულიყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მეორედ (პირველად მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა, როგორც ზემოთ უკვე ვხანხეთ, ქართლში სომეხი უფლისწულის არსუკ (არშაკ) I-ის გამეფების დროს), სომხეთის ჯარზე დაყრდნობით ფარნავაზიანთა ეგრულ-სომხური შტოს წარმომადგენელი, სომხეთში გაზრდილი ადურკი ადის ტახტზე. თუ პირველ შემთხვევაში სომხეთის მმლავრობა ემთხვეოდა ქრონოლოგიურად არტაშეს I-ის მეფობას, ადურკის გამეფება ემთხვევა სომხეთში ტიგრან II-ის მეფობის დასაწყის ხანას. ამ მხრივ ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის მოსე ხორენელი: „იმ ხანებში დაუქვდა ტიგრანი ქაბუკი მიპრდატის მიმართ, თითქოს იგი არ უნდა ყოფილიყო მისი დისწული; ამის გამო აღარ მისცა მას არც თავისი სამფლობელოს ნაწილი და არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა (171, 116). ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ არტაშამა იყო ჯერ ქართლის მეფე ბრატმანის და შემდგომ ფარნავაზის ვაჟის მირვან//მირეანის მეუღლე. ეს ის მირეანია, რომელსაც მოსე ხორენელი მირდატად და „ქართველთა დიდ ბიტიანშად“ მოიხსენიებს, და ზოგ შემთხვევებში ურევს და აიგივებს მითრიდატე VI პონტოელთან. ქართლის მეფე მირეანს ამ ქალისაგან, ქართული წყაროების მიხედვით, ჰყავდა არსუკი. აი, ამ არსუკს მოსე ხორენელი არტაშამას ქაბუკ ვაჟ მიპრდატად მოიხსენიებს, როგორც ჩანს, მოსე ურევს მის სახელს მისი მამის სახელთან. ჩვენთვის საინტერესოა მოსე ხორენელის ცნობა იმ თვალსაზრისით, რომ ის პირდაპირ გვეუბნება: ტიგრანმა ქართლის ტახტი წაართვა არტაშამასა და მირვან//მირდატის ვაჟს. სხვა საქმეა, რომ მოსეს მისი სახელი მამამისის ანალოგიით მირდატი ჰგონია. საინტერესოა თვით მიზეზი ტახტის წართმევისა, მოსეს ინფორმაციით ტიგრანი დაუქვებულა იმაში, იყო თუ არა არსუკი ნამდვილად მისი სისწლით ნათესავი. საქმე ისაა, რომ, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მირვან//მირეანის მიერ არტაშამას ძალით

\* შესაძლოა ამ აღრევის მიზეზი იყოს ისიც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსე რიგ შემთხვევებში ერთმანეთთან აიგივებს ქართლის მეფე მირეან-მირდატ II და მითრიდატე VI პონტოელს. შესაბამისად, მითრიდატე პონტოელის ერთ-ერთი ვაჟის სახელი მირდატი (მითრიდატე) მას შექანიკურად გადააქვს ქართლის მეფის მირდატის ვაჟზე.

სამშვილდის ციხიდან გამოყვანისა და ცოლად შერთვის მომენტი-  
თვის არტაშაშა ასაკოვანი ქალი იყო - შვილიშვილს ელოდებოდა.  
აი, ეს მისი ასაკი გამოიყენა მიზეზად, როგორც ჩანს, ტიგრანმა და  
არსუკი თავის ნათესავად არ ცნო. სინამდვილეში, ეს, რა თქმა უნდა,  
მარჯვე ფანდი იყო. ტიგრანს უბრალოდ ქართლის სამეფო ტახტზე  
მის კარზე აღწრდილი და მასზე ყველანაირად დამოკიდებული  
ადერკი/არდოკი ერჩინა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ადერკის ადგილას წერია მეფე  
როკი. ამის საფუძველზე ბ. ინგოროყვამ შემოგვთავაზა მისეული  
აღდგენა სახელისა - ადეროკი, რაც დაედო კიდეც საფუძვლად  
მეფეთა ქრონოლოგიის არასწორად გააზრებას. იმისთვის, რომ  
სწორად გავიგოთ, თუ რომელი სახელი იფარება „ადერკის“ ქვეშ,  
უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ქართლის სამეფოში ისევე,  
როგორც სხვა ქვეყნებში დინასტიური სახელები შეორდება და ბაბის  
ან შაშის სახელმა აუცილებლად სადმე უნდა იჩინოს თავი.  
დავიწყოთ არტაშესიან-ფარნავაზიანთა შტოს პირველი წარმომად-  
გენლის სახელით - არსუკ/არშაკით. ის, როგორც ცნობილია, არა-  
ერთხელ შეორდება. „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲში“  
დაცულია ამ სახელის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი: არშაკი//  
არსუკი/არშოკი (აზოროკი „რ“ ფონემის გადაჯდომით მიღებული  
ფორმა). არსუკ-არშაკის ვაჟი იყო არტაგი/არტოკი/არიკი. ეს  
სახელი თითქოსდა არცერთხელ არ შეორდება. სინამდვილეში ეს  
ასე როდია. გადაგვედოთ არტაშესიან-ფარნავაზიანთა შტოს:

---

ჩვენთვის ცნობილია, რომ არშოკი ირანულ სამყაროში დამოუკიდებელი  
სახელია (ნ, 429, 432), ტექსტში შეცდომის წყაროდ სწორედ ასეთი  
სახელის არსებობაც გვესახება. საერთოდ, როგორც ჩანს, გადამწერები  
უსებუნ შეცდომას დაზიანებულ ხელნაწერში „ს“ და „ზ“ ფონემების  
აღრევის შედეგად ან სხვა რაიმე მიზეზით. არშოკ სახელით „ქართლის  
ცხოვრებაში“ დასახელებული არმაზელის მეწყვილე ქართლის მეფე რომ  
ნამდვილად არსოკია, ამაზე მეტყველებს „მოქცევაჲს“ ქრონიკა, აგრეთვე ის,  
რომ მისი ბაბის სახელიც არსუკია („ქართლის ცხოვრების“ არშაკი).



აკე (აკესილანტიონის)  
ევრისის მეფე

↓

აკეს ვაჟი

სინამდვილეში რა უნდა რქმეოდა ბრატმანის ასულისა და ქართამის ძეს? ცხადია, ან ბრატმანი, ან არტოვი. ახლა ვნახოთ, რა ფონეტიკური ვარიანტები გვეძლევა ჩვენ სახელ ადერკთან დაკავშირებით. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებს შორის ყველაზე ადრეულ ნუსხას ეყრდნობა, ეს სახელი მოცემულია ადრიკ ფორმით (აქედან უკვე ვასაგებია, თუ რატომ გვაქვს „მოქცევაის“ ტექსტში მეფე არტავის ადგილას ა(დ)რიკ). ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში გვაქვს ფორმები ადორკ-ი, ადრეკ-ი, არდეკ-ი.

ჩვენი აზრით, პირველადი ფორმა სახელისა იყო: არტაკ//არტოკ//არტუკ//არტიკ შემდეგი პარალელური ფორმებით: არდაკ//არდოკ//არდეკ//არდიკ. თავდაპირველად თანხმოვნებმა „რ“-მ და „დ“-მ იცვალეს ადგილები, რის შედეგად მივიღეთ: ადრეკ//ადრიკ//ადროკ. ამ ფორმამ შემდგომ კვლავ განიცადა სახეცვლილება: ა(დ)რიკ, (ა)დროკ, (ა)დეროკ და საბოლოოდ, იმავე ადრეკ ფორმიდან მივიღეთ ადერკი. მთელი ამ მსჯელობიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ძვ. წ. 90-იან წლებში ტიგრან II-ის მეშვეობით ქართლში გაშეფებული ადერკი იყო არტავ//არტოკ I-ის შვილთაშვილი არდოკ//არტოკ II. ეს არტოკ II დახვდა პომპეუსს ქართლში.

ადერკის არტოკად გასწორების შემთხვევაში ვასაგებია ხდება თვით ორმეფობის აღმოცენების მიზეზები. პომპეუსის ლაშქრობის შედეგად სომხეთის დასუსტებით და არტოკ II-ის დამარ-

ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია, გავიხსენით, თუნდაც სახელი არსოკ//არსუკ//არსოკ და მთორადი ფორმა ნაწარმოები „რ“-ს გადაჯდომის შედეგად - აზორკ; აგრეთვე არტომანი//ათრომანი//ითრუჯანი, თოვორმა//თორგომი, ასფარუკ//ასფავური, მუხსნარი//მუხსრანი, ფანავარი//ფარავანი და სხვ.

ცხებით ისარგებლა ნებროთიან-ფარნავაზიანთა შტომ და მცხეთაში მუფობა აღიდგინა. ჩვენი აზრით, ბრატმანის (ბარტლომი) არის მინვანის/ მირუანის (მირდატ II) შვილიშვილი, არსუკის ძე და არა ადურკ// არტოკის მეორე ვაჟი, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებას“ ჰგონია. უფრო სწორად, შვილებს შორის მეფის მიერ ქვეყნის გაყოფის მოთხრობა, როგორც შემოთავაზებულია ადვინაშნეთ, ორმეფობის მიზეზის პრიმიტიულ ახსნას წარმოადგენს. ბრატმანის სახით მცხეთაში რომ სწორედ ნებროთიან-ფარნავაზიანთა შტოს წარმომადგენლები მუფდებოდნენ, კარგად ჩანს შემდგომ ამ დინასტიაში გავრცელებული სახელეუბიდან, რაზეც უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი. გარდა ამისა „მოქცევაჲს“ ქრონიკა პირდაპირ ამბობს: „და მეფობდა როკ (როგორც ვნახეთ ეს იგივე არდოკია), რომელმან რაითურთ მცხეთაი გაიმორა და მეფობაჲ ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“. ამგვარად, ამკარაა, რომ მას გაიმორა მცხეთა, შესაბამისად, როკ// არდოკის შემკვიდრეები ვერ ისხდებოდნენ მცხეთაში. მცხეთაში ტახტი აღიდგინა ქართლის მეფის მირუან//მირდატ II-ის ძისწულმა, ტიგრან II-ის მიერ ქართლიდან გაძევებული არსუკის ვაჟმა ბრატმანმა.

ქართლის ორად გაყოფას რომ ამავვე არდოკ//ადნოკ//ადნოკის დამარცხების შემდეგ ჰქონდა ადგილი, ეს კარგად ჩანს შემდეგი ვითარებიდან: პომპეუსის ქართლში შემოსვლისას ქართლი ჯერ ერთიანია, მას ერთი მეფე ჰყავს და დედაქალაქი ამკარად არმაზია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. როცა დიონ კასიუსი ქართლში პომპეუსის შემოსვლაზე მოგვითხრობს, აღნიშნავს: „ცხოვრობენ ისინი (იბერები) კინოსის ორივე ნაპირზე და ემეზობლებიან ერთი მხრით ალბანელებს და მეორე მხრით არმენიელებს“; „პომპეუსი პირველი შეიქრა მის (იბერიელი არტოკეს) ქვეყანაში, მანამ ის შესძლებდა მომზადებას ... მოასწრო გამოსვლა ქალაქამდე, რომელსაც აკროპოლისი ეწოდებოდა ... (არტოკე) გადავიდა მდინარეზე, დასწვა ხედი ... პომპეუსმა ამგვარად იგდო ხელთ ვიწრობები, ჩააყენა შიგ დარაჯები, დაიძრა იქიდან და დაამყრო მდინარის გამოღმა მდებარე მთელი მხარე...“ (77, 59-60). უფრო ადრე, როდესაც პომპეუსი შეიქრება ნოტუნეში, რომელიც დიონ კასიუსის ცნობით, იმჟამად არმენიის საზღვრებში გაიზრებოდა, იქ მას ხვდებიან „ნოტუნები და იბერები, რომლებიც მას ისრებით და შურდულებით აბრკოლებდნენ“ (იქვე). პომპეუსი ამარცხებს მათ და გადადის მდინარე აფსაროსზე. ამგვარად, როგორც ვხედავთ, დიონ კასიუსის მიხედვით არტოკეს დროს იბერია გადაჭიმულია მტკვრის ორსავე ნაპირზე და სომხეთთან მისი გამყოფი ქორონის ნეობის შემო წელია. სტრაბონის ხანაში კი ქართლსა და



სომხეთის შორის საზღვარი მტკვარზეა. როდესაც სტრაბონი აღნიშნავს თუ რა ნაწილები ჩამოთქრეს სომხებმა იბერებს, ამბობს: „პართიის კალითები, ხორზენე და გოგარენ, რომელიც მტკვრის გადაღმა არის“ (150, 189)\*. იბერიის აღწერისას სტრაბონი კიდევ უფრო აზუსტებს იბერიისა და არმენიის მისკამინდელ საზღვარს: „არმენიიდან შემოსასვლელი (იგულისხმება იბერიაში შემოსასვლელი) არის მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის ეს მდინარეები, იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით: მტკვარზე მდებარეობს პარმონიკე, ხოლო მეორეზე სევსამორა. ამ შემოსასვლელით ბირეგლად ისარგებლა პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო ამის შემდეგ კანიდოუსმა.“ (150, 129). როგორც ვხედავთ, იბერიის მეფეთა ხელში სტრაბონის პერიოდისთვის, მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროა, მტკვრის გადაღმა კი უკვე სომხეთის ხელში მყოფი გოგარენე/გორგანი ანუ სომხეთის ხელში მყოფი ქართლია და სომხეთიდან ქართლში შესასვლელი გზა არმაზის ვიწროებზე გადის. სტრაბონი, რა თქმა უნდა ცდებდა როდესაც ამბობს, რომ არმაზის ვიწროებით შემოვდა პომპეუსი არმენიიდან იბერიაში. როგორც დიონ კასიუსის ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან გამოჩნდა, ეს ვიწროები პომპეუსის ხანაში იბერიის მეფის არტოკეს ხელში იყო, ის მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაც ფლობდა და არმაზში ჰქონდა დედაქალაქი. მტკვრის აღნიშნული ვიწროები სწორედ პომპეუსმა წაართვა არტოკეს და აქედან შეიჭრა ის უკვე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლში. მაგრამ სტრაბონის მის დროს არსებული სიტუაცია შექანიკურად გადააქვს პომპეუსის და არტოკეს პერიოდზე. რაც შეეხება პუბლიუს კანიდოუს კრასუსის ლაშქრობის პერიოდს, ძვ. წ. 36 წ., იმხანად მტკვრის მარჯვენა სანაპირო უკვე სომხების ხელშია და,

\* აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართლის ისტორიის რიგ საკითხებში არეგდარევა სწორედ სტრაბონის ზემოთაღნიშნული ცნობის არასწორი გაგებიდან მომდინარეობს. სტრაბონის ეს ცნობა იწყება იმით, რომ ისტორიკოსი გვაუწყებს სომხების მიერ სამეფოს შექმნას და მათ გაძლიერებას მათი მეფეების არტაქსიას და ზარიადრის დროს. შემდეგ კი მოდის ინფორმაცია, რომ სომხებმა შეზობლებს, მათ შორის ქართველებს წაართვეს ტერიტორიები. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, ეს ინფორმაცია ისე გაეცოთ, თიქოს სომხეთის მთელი ეს ტერიტორიული მატება სწორედ დასახელებული მეფების ხანაში მოხდა. ეს ხდებოდა თანდათანობით. საკუთრივ გოგარენა/გორგანი სომხეთმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მხოლოდ ქართლის ორად გაყოფის (ძვ. წ. 60 წლის ახლო ხანებში) შემდეგ ჩაიგდო ხელში.

შესაბამისად, ეს ვიწროები მის დროს მართლაც იყო არმენიად ქართლში შესასვლელი.

ქართლის ორად გაყოფის შემდეგ ქართლის ჩრდილოეთ მხარეში მუჟე ბრატმანმა//ბარტომმა, რომელიც ჩვენ არსუკ მირეანის ძის და, შესაბამისად, ფარნავაზიანთა ძირითადი შტოს ანუ ნებროთიან-ფარნავაზიანთა შტოს წარმომადგენლად გვესახება, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლში დამოუკიდებლობა მეტ-ნაკლებად აღიდგინა. მტკვრის სამხრეთი კი არტოკ II-ის შემკვიდრის ქართამის//ქარძამის ხელში დარჩა და სომხეთის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. ისმის კითხვა, რატომ აქვს „ქართლის ცხოვრების“ შემატყინეს ადერკის (არტოკ II) მეფობა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე გადმოტანილი? საქმე ისაა, რომ, როგორც ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, არც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ნუსხა და არც „ქართლის ცხოვრება“ თავდაპირველად მუჟე ადერკს ძველი და ახალი ერების მიჯნაზე არ გაიანზრებდნენ. უფრო მეტიც, „ნინოს ცხოვრების“ ის ვარიანტი, რომელიც „მოქცევაჲს“ ქრონიკას ერთვის და, შესაბამისად, ამ ხანით თუ IX ს-ზე უწინარეს არა, უფრო გვიან ვერ შეიქმნებოდა, უფრო ძველ საისტორიო ტრადიციას ეყრდნობა, ვიდრე „ქართლის ცხოვრებაში“ ჩასმული (და XI ს-ში გადაკეთებული?) „ნინოს ცხოვრება“. ეს თხზულება კი ძველი და ახალი ერების მიჯნაზე არმასხელის მეფობას გულისხმობს. კვართის მოტანისა და ქრისტეს შობის თანადროულ მეფედ მეფე ადერკის (არტოკი) გამოცხადება, როგორც ჩანს, თუ საკუთრივ ლეონტი მროველიდან არა, მის ეპოქასთან ახლო მდგომი შემატყინიდან მომდინარეობს. თავისთავად ადერკ//არტოკ II-ის მეფობის ჩამოტანა

\* ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი სტატია: „ქართლის ცხოვრების“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ურთიერთმიმართების საკითხისათვის კვართის სიუჟეტის მიხედვით“, იბეჭდება „მაცნეში“. აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ „მოქცევაჲს“ ქრონიკაში როკის მეფობის ხანისთვის კვართის მოტანის ამბავი არაა მოთხრობილი. არ იყო ეს სიუჟეტი არც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში. შემატყინე ბირდაპირ ამბობს ადერკის ამბების თხრობისას, რომ ეს ამბავი, ანუ კვართის მოტანის სიუჟეტი, მას აღებუელი აქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მოქცევაჲს“ ქრონიკაში კვართის სიუჟეტის ამბავი საერთოდ არაა მოთხრობილი, ქრონიკაში ჩართულ გაქრისტიანების ამბის მოკლე თხრობაში სიუჟეტი მოთხრობილია. მაგრამ მეფის სახელი დასახელებული არაა, „მოქცევაჲს“ ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ კი ამ ამბებთან დაკავშირებით ფიგურირებს „დიდი მეფე ამაზაერი (არმასხელი). მაშ რომელი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გულისხმობს





ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე გამოიწვია ისტორიოგრაფიაში არტაშეს II-ის მეფობის ბოლო პერიოდის დაკავშირებამ რომის იმპერატორების დომიციანეს და ნერვას ეპოქასთან. ქართველმა მემატიანემ, შესაბამისად, ბრძოლა, რომელსაც ადვილი ჰქონდა არტაშეს II-ის ეპოქაში არმაზელსა და სომხებს შორის, ამავე პერიოდში გააზნრა და არმაზელი დომიციანეს ხანას დაუკავშირა. სწავთა შორის, თვით მოსე ხორენელთან, ან მის წყაროში, არტაშეს II-ის მეფობის ბოლო პერიოდის დაკავშირება დომიციანესთან და ნერვასთან, როგორც ჩანს, ვანაპირობა ძვ. წ. 38 წ. მცირე აზიაში რომის კონსულ ნერვას გააზრებამ შეცდომით იმპერატორ ნერვად (ახ. წ. 96-98 წწ.). ასევე ურევს მოსე ხორენელი „ვინმე დომეტის“ იმპერატორ დომიციანეში. მემატიანე თვითონ ამბობს: „... გადმოცემებში აღნიშნულია, რომ მოვიდა ვინმე დომეტე, რომელიც იგივე დომიციანოს კეისარია“ (171, 145). თვით სომხურ ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ მოსე ხორენელი აქ დომიციანეში შესაძლოა, ურევდეს დომიციუს კორბულონს და ამ უკანასკნელის ლაშქრობას სომხეთში (255, 735).


ამგვარად, ადრიკ/არდოკ II-ის მეფობის პერიოდის ქვემოთ ჩამოტანა და, შესაბამისად, არმაზელის მეფობის დომიციანეს ეპოქასთან დაკავშირება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეონტი მროველის ან მის ეპოქასთან ახლო მდგომი მემატიანის საკუთარი კვლევის შედეგად: მემატიანემ მის ხელთ არსებული სომხური წყაროების საფუძველზე (მოსე ხორენელი, ან მისი წყარო) ქართლის მეფეთა ქრონოლოგია „შეასწორა“. ამან ფაქტურად დაარღვია ძველი „არმაზელი ქრონიკის“ მთელი ქრონოლოგიური ღერძი და VI მეფე არტაგსა და პირველ მეფე ფარსმან-ფარნავაზს შორის ორი საუკუნის მანძილზე მხოლოდ ოთხი მეფე დარჩა. ამგვარად, თუ ადრეკს (არტოკ II) ძველი და ახალი ერების მიჯნაზე მოვითავსებთ, მაშინ არტაგი (არტაგ I) ძვ. წ. 80-70-იან წლებში გამოგვივა. ამ დროს ახ. წ. პირველი საუკუნეების იბერიის მეფეები ჩვენთვის ცნობილია რომაული წყაროების მეშვეობით და არც მათი სახელები და არც მათი ცხოვრების ფაქტები არ ემთხვევა „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს.

მემატიანე? რა თქმა უნდა, საკუთრივ „ქართლის ცხოვრებაში“ ჩასულ „მოქცევაჲ ქართლისას“ ანუ „ნინოს ცხოვრებას“, როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მას ვუწოდებთ სიმოკლისათვის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ქვემოთ ვნახათ, არმაზელის (ქარძამ II) შემდგომ, არმაზში კიდევ მეფობდა უკანასკნელი არმაზელი მეფე, ფარსმანის II-ის მამის მითრიდატე იბერიელის მეწყვილე დურუკი, იგივე არდოკ III. ეს ვითარება აგრეთვე შესაძლებელია, გამსდარიყო მთელი ამ ადრეკის მიწეწი.

არმაზელის ძველი და ახალი ერების მიჯნაზე გააზრების შემოსევაში კი მშვენივრად ეთანხმება ერთმანეთს წყაროთა მონაცემები. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვაქნება საუბარი. კიდევ ერთი ფაქტი, რის გამოც, შესაძლოა, ეს აღრევა მომხდარიყო შემოდინების მისეზებთან ერთად: არმაზელის (ქარძამ II) შემდგომ მტკვრის სამხრეთ ქართლში მეფობს მისი ძე არდოკ III, „მოქცევაჲს“ დერუკი, იგივე (ა)დეროკი-ადერკი, რომელიც ახ. წ. I საუკუნის I მესამედში მეფობს და წარმოადგენს მითრიდატე III-ის (დაახლ. I ს-ის 20-30იანი წწ.) მუწევილეს და თანამედროვეს. საქმე ისაა, რომ კვართი ახ. წ. 33 წ-ს უნდა მოეტანათ. ამ დროს კი არმაზში მეფობდა მითრიდატეს მუწევილე და ბოლო არმაზელი მეფეის ქარძამ II არმაზელის ვაჟი არდოკ III ანუ დერუკ-ადერკი.

მას შემდეგ რაც გავარკვეით სახელი ადერკის თავდაპირველი ფორმა არტაგი/არტოკი და ამ მეფის ზეობის დაახლოებითი წლები - ძვ. წ. 90-60, შევეცდებით დავადგინოთ მისი შემდგომი, ორმეფობის ხანის მეფეთა ქრონოლოგია და მათი დინასტიური კუთვნილება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ „ქართლის ცხოვრებაში“ ამიერ მეფეები ანუ არმაზელი მეფეები (გორგან/გორგარენას ბიტიანშები) შეცდომით მცნეთელებად არიან მიჩნეული და პირიქით. „მოქცევაჲსა“ და მისი წყაროს - ძველი არმაზელი ქრონიკის მიხედვით კი ამიერ ანუ არმაზელ და იმიერ ანუ მცნეთელ მეფეთა (იბერიის მეფეები) შემდეგი თანმიმდევრობა გვაქვს:



თუ არმაზელთა რიგს ჩაგუკვირდებით, დავინახავთ, რომ ქართლში იყო. მაშინ ვახაგები ვახდებთ სახელი კაოზი, რომელშიც, ჩვენ აზრით, ეგრისის მეფისა და, შესაბამისად, ეგრისული დინასტიისთვის დამახასიათებელი სახელი აკე უნდა დავინახოთ ოს-ოს ბერძული სუფიქსით. რაც შეეხება არმაზელს, აშკარაა, ამ შემთხვევაში მისი საკუთარი სახელი დაკარგულია, მაგრამ რომელი სახელია სავარაუდებელი? ფაქტია, ან პაპის სახელი ქართლში (ქარძამი), ან დიდი პაპის არტოკი. არტოკი, როგორც ვხედავთ, არმაზელის შვილს ჰქვია (დერუკ), მაშ არმაზელს, სავარაუდოდ, ქართლში//ქარძამი უნდა რქმეოდ. მართლაც, მოსე ხორენელის ტექსტშიც ამტკიცებს იმას, რომ არმაზელის სახელი ქართლში-ქარძამი იყო. მოსე ხორენელი და „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობენ იდენტურ ამბავს ქართველთა და სომეხთა ომისა, რომელსაც სწორედ არტაშეს II-ის ეპოქაში (ძვ. წ. 34-21 წწ.) ჰქონდა ადგილი და რომელშიც ქართველთა მხრიდან მეფე ქარძამია მოხსენიებული. გ. მამულაია თავის ერთ-ერთ ადრეულ

\* საურმაგ კაკაბაძე აღნიშნულ ომს არტაშეს I-ის ხანას უკავშირებს. ამ თვალსაზრისს იზიარებენ გ. მელიქიშვილი (121, 54) და გ. მამულაია (113, 120-121). ს. კაკაბაძე თავის თვალსაზრისს შემდეგ არგუმენტზე აფუძნებს: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: „ქართლში კი იყო... ძისწული ქუჯისი... რომელსა შესდგმოდა ფარნავაზიანობა, ფარნავაზის დისა ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა საურმაგის ასულის ქუჯის ძის ცოლისაგან“. აქედან გამომდინარე შევლევარი ასკენის, რომ ქართლში იყო ქუჯის შვილიშვილი და, შესაბამისად, არტაშეს I-ის თანამედროვე (203, 122-125). ტექსტის აღნიშნული ადგილი, ჩვენი აზრით, გვეუბნება მხოლოდ იმას, რომ ქართლში ფარნავაზიანი იყო როგორც მამის, ისე დედის ხაზით. ანალოგიური ინფორმაცია გვაქვს, როგორც წიგნის შესავალში უკვე აღვნიშნეთ, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, როდესაც მემართიანე ვახტანგ გორგასლის სიტყვებს საკუთარ კომენტარს უკეთებს: „*სწითელ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაა ჩემი ხუარანძე შეითოს მირიან, რომელი ყველდა ვახტანგ მამის ძის წულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა*“ (145, 151). ამგვარად, მირიანი ვახტანგის მამის ძისწულია იმიტომ, რომ შათი „მამები“ - წინაპრები ბაკური და რუვი ძმები იყვნენ. ანალოგიური შემთხვევასთან გვაქვს საქმე აქაც: ქართლში ქუჯის „ძის წულია“, რაც ნიშნავს, რომ ქართლში ქუჯის მემკვიდრეა მამაკაცის ხაზით, ეს ხაზი დანათესავებულია ფარნავაზთან ქალის ხაზით (ფარნავაზის და), მაგრამ დედაი, ანუ ქალის ხაზითაც ის ქუჯის ძისა და საურმაგის ასულის მემკვიდრეა. ხაერთოდ, არ შეიძლება, წყაროს მიუვღვტო ასე „ამოვლევით“: საურმაგის ერთი ასული მირვანის ცოლი იყო, მეორე კი ქუჯის ვაჟის ცოლი. შესაბამისად, მირვან ქართლის მეფესა და ქუჯის ძეს დაახლოებით ერთ

წერილში მარკვარტზე დაყრდნობით, სომეხ-ქართველთა ტივრან II-ის ხანით ათარიღებს და მოსე ხორენელითან დასახელებულ ქართლის მეფე ქარძამს ადერკის შემდგომ მეფე ქარძამთან აიგივეებს (117, 147-163). ხაქმე ისაა, რომ სომხურ წყაროში მოხსენიებული ქარძამი არ შეიძლება ადერკ//არდოკის შვილად და ქარძამ I-ად მივიჩნიოთ. ამას ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები. „ქართლის ცხოვრება“ ინფორმაციას გვაწვდის ქართველ-სომეხთა ომის დაწყების მიზეზზეც. მკმატთანე გვიყვება, რომ ქართლის მეფეები არმაზელი და არსოკი//არზოკი იმიტომ დასხმიან თავს სომხებს, რომ მანამდე სომხები დასხმიან თავს ქართველებს და მეფე ფარსმანისთვის, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ დაურწმუნდით მცხეთელი ანუ იბერიის მეფე იყო, ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე წაურთმევიათ. მეფე ფარსმანი და მისი მეწვეილე კაოსი (როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, კაოსი არმაზელი მეფეა, ანუ გოგარუნას პიტიანში, ფარნაგაზიანთა ეგრულ-სომხური შტოს წარმომადგენელი) ისე გარდაიცვალნენ, რომ ფარსმანს თავისი ტერიტორია ვერ დაუბრუნებია. ამიტომ შემდგომმა მეფეებმა მცხეთელმა არსოკმა//არზოკმა და არმაზელმა, რომელსაც ჩვენ ქარძამ II-დ მივიჩნევთ, ოსებს მოუხმეს და სომხეთის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობა მოაწვეს. ეს მცხეთელი მეფე ფარსმანი მოიხსენიება მოსე ხორენელთანაც. აღნიშნულ ფარსმანს, რომელსაც ჩვენი ქრონოლოგიით დაახლ. ძვ. წ. 40/38-25 წწ-ში უნდა ეძეფა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში შეცდომით

ბერიოდში უნდა ეცხოვრათ, ერთი თაობის ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. მირვანსა და ქართამს შორის კი იმეფეს ფარნაჯომმა, არსოკმა, არტაგმა, და ბრატმანმა. ქართამი ბრატმანის ასულის ქმარი იყო. შესაბამისად, იგი მირვანის და საურმაგის შემდგომ მეხუთე თაობას წარმოადგენდა. ამგვარად, ის ქუჯის ძის წული კი არა, ხულ მცირე მისი ძის შვილიშვილის წული უნდა ყოფილიყო. ანგარაში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ მოსე ხორენელი სომეხ-ქართველთა ომს არტაშეს II ხანაში გულისხმობს და მოუხედავად იმისა, რომ ის არტაშეს II-ის გამეფების ამბებს ურევს არტაშეს I გამეფების ბერიბეტიებში (ერვანდიანებთან ომი), ძირითადად ის მშვენივრად ანსვავებს არტაშეს I-ის და არტაშეს II-ის მეფობებს და მათ შორის ტივრან II-ის მუფობასაც ათავსებს. ყოველივე ეს კი კარგად შეესაბამება „ქართლის ცხოვრების“ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოჩენილ ქრონოლოგიას.

ადერკი//არტოგ II დაახლ. ძვ. წ. 95-60; შემდეგ მცხეთას ბრატმანი და არმაზს ქარძამ I დაახლ ძვ. წ. 60-40/38; მცხეთას ფარსმან//ფარნაბაზი და არმაზს კაოსი//აკეოსი დაახლ. ძვ. წ. 40/38-25; მცხეთას არზოკი//არსუკი და არმაზს არმაზელი//ქარძამ II დაახლ. ძვ. წ. 25 - ახ. წ. 5/10; მცხეთას მირდატი//



მიიჩნევენ რომაულ წყაროების ახ. წ. I ს-ის ფარსმანად, ხოლო ფარსმან II-ს კი ახ. წ. II ს-ის I ნახევრის მეფე ფარსმან III-თან აიგივებენ. ყოველივე ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისეთი დიდი ეპოქა იბერიის სამეფოს ისტორიაში, როგორც ახ. წ. I საუკუნეა, ფაქტიურად არაა „ქართლის ცხოვრებაში“ ასახული, რაც „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის და იქ მოცემულ მეფეთა ქრონოლოგიის არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს.

დავუბრუნდეთ ისევ მოსე ხორენელთან მოხსენიებულ მეფე ფარსმანს. ეს ფარსმანი ქარძამის (ანუ იმ მეფის, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ქართველთა და სომეხთა ომს) წინა მეფეა. ასევეა ეს „ქართლის ცხოვრებაშიც“: არმაზელი, რომლის დროსაც წდება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აღნიშნული ომი, მოხდევს ფარსმანს. ამდენად, ქარძამ I ამ შემთხვევაში გამოირიცხულია. მოსე ხორენელთან ზუსტდება კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. ფარსმანი სომეხთა მხარეზე მონაწილეობს არტაშეს II-ის გამეფების პერიპეტეობთან დაკავშირებულ ამბებში. ეს კი დაახლ. ძვ. წ. 34 წელია. ზუსტად ამ დროს უწევს ჩვენი ქრონოლოგიითაც ფარსმან I-ს მეფობა (ეს ფარსმანი მეწყვილე - მცნეთელი მეფეა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ბაბა უნდა იყოს ახ. წ. I ს-ის შუა წლებში მოღვაწე ფარსმანისა ანუ ფარსმან II-ის). მაგრამ ძვ. წ. 36 წლისათვის რომაული წყარო (დიონ კასიუსი) იბერიაში მეფედ ასახელებს ფარნაბაზს (77, 74). ამგვარად, მოსე ხორენელი და ქართული მატეიანეები („მოქცევაჲ ქართლისა“ და „ქართლის ცხოვრება“) ძვ. წ. 30-იანი წლებისთვის გულისხმობენ ქართლში მეფე ფარსმანს, ხოლო რომაული წყარო კი - ფარნაბაზს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ იმ ძველ ქართულ-სკვითურ-კიმერიულ საზოგადოებაში „ფარნაბაზა“ აპურამაზდა-არმაზის ერთ-ერთ სახელთაგანი იყო და, შესაბამისად, ქართლის მეფეების (რომლებსაც თავიანთი საგვარეულო მისგან გამოჰყავდათ) რელიგიურ ზედწოდებას წარმოადგენდა. ამგვარად, რომაელმა წყარომ შემოგვინახა არა ფარსმანის საკუთარი სახელი, არამედ მისი რელიგიური წოდება-სახელი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის, რომ ფარსმან-ფარნაბაზ I-ის შემდეგ მეორეჯერ გვხვდება სახელი ფარნაბაზი და ისევ სახელ ფარსმანს უკავშირდება. ამ საკითხთან მიმართებაში არ შეიძლება არ გავიხსენოთ წყვილი: მეფე ფარსმანი და სპასპეტი ფარნაბაზი, რომლებიც ერთად ომობენ და „გოლიათობის“ თითქმის ერთნაირ ოდენობას წოცავენ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ

მითრიდატე III, ფარსმან II-ის მამა და არმაზს დერუკ/არდოკ III დაახლ. ახ. წ. 5/10 წლიდან.



გვიანდელმა მემატრიანემ, როგორც ჩანს ფარსმანის რელიგიური სახელი ფარნაბაზა-ფარნავაზი (რომელიც მას პარალელურ ქრონიკაში ეძლეოდა) ვერ მიხვდა, ვის ეკუთვნოდა (მეფის სახელი ხომ ფარსმანი იყო!) და ის ფარსმანის სპასპეტის სახელად გაიზნა. საერთოდ ირანულ სამყაროში ორ-ორი სახელის ხმარება ჩვეულებრივი იყო (როგორც მიდიურ და აქემენიდურ პერიოდში, ისე სასანურ ხანაშიც). წყაროები გვინფენებენ, რომ ორ-ორი სახელის ხმარების ტრადიცია როგორც ქართლში, ისე სომხეთშიც შექმონა ქრისტიანობის მიღების შემდგომაც. ამის მაგალითად გამოდგება „პეტრე იბერის ცხოვრება“: „მისი ღვიძლი ძმა არწილიოსი მეფობდა იბერიაში ბუზმირთან, იმ პეტრეს მამასთან ერთად, რომელსაც ნაბარსუცი ერქვა“ (129, 84). ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავისენოთ ჯვრის ტაძრის წარწერაც, სადაც მოხსენიებულია ადარნასეს ძე პატარა ქობულ-სტეფანოზი ორი სახელით (156, 162, 165); ასევე შუშანიკის ორი სახელი ვარდან-შუშანიკი და სხვ. ამგვარად, ჩვენი აზრით, ძვ. წ. 36 წ. დიონ კასიუსთან მოხსენიებული ფარნაბაზა ქართულ-სომხური წყაროების მცხეთელი მეფე და არმაზელი მეფის კოსის //აკოსის მეწყვილე ფარსმან I უნდა იყოს<sup>6</sup>.

დავუბრუნდეთ არტაშეს II-ის ხანას და ქართულ-სომხურ ურთიერთობებს. ქართლის მეფის ფარსმანის წინააღმდეგ სომეხთა აგრესია შემთხვევითი არ ყოფილა. თუ „ქართლის ცხოვრებისა“ და მოსე ხორენელის ინფორმაციას ერთმანეთს შევუჯერებთ, დავინახავთ, რომ ფარსმანისთვის სომეხებს დასახმარებლად მოუხმიათ არტაშეს II-ის გამეფების პერიოდში. როდესაც არტაშესი მოსეც ცნობით ვითომდა ერვანდს ებრძოდა, ცნობილია, რომ მოსე ხორენელი არტაშეს II-ის გამეფების ამბებს ურევს არტაშეს I-ის ეპოქაში ერვანდიანებთან ბრძოლის ამბებში. მაგრამ ერთი რამ სრულიად ცნაღია: ბრძოლა ხდება არტაშეს II გამეფების ხანაში ან მისი მეფობის საწყის ეტაპზე. არტაშეს II მოწინააღმდეგე ამ ბრძოლაში რომი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ ბრძოლაში სომეხებთან ერთად იბრძვის ქართლის მეფე ფარსმან I (იგივე დიონ კასიუსთან დასახელებული ფარნაბაზა). ქართლის მეფეს, უნდა ვიფიქროთ, დიდი ერთგულება სომეხებისა ვერ ექნებოდა იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელთა ხელში იყო ნახევარი ქართლი - არმაზელის წილი ანუ გოგარენას საბიტიანო. ამიტომაც გასაკვირი

<sup>6</sup> ამ ფარსმანს ჩვენ I-ს ვუწოდებთ, ვინაიდან ვუწევთ ანგარიშს ტრადიციას და ქართლის ბირველ მეფეს ფარნაბაზა-ფარსმანს ჩვეულებისამებრ ფარნავაზის სახელით მოვიხსენიებთ.

არაა, რომ ფარსმანი გულში სომეხთა დამარცხების მოსურნე ყოფილიყო. მართლაც, ფარსმანს მოსე ხორენელის მიხედვით, მოულოდნელად თავისი ლაშქარი ბრძოლის ველიდან მოუხსნია და უკან გაბრუნებულა: „მართალია, ქართველთა ჯარი თავის მეფესთან ფარსმანთან ერთად გაიქრა წინ – გვიყვება სომეხი მემატიანე – და კადნიერად შეუტია მოწინააღმდეგეს, მუსრს ავლებდა მას, მაგრამ უცებ პირი იბრუნა და მეორე მხარეს გაიქცა“ (171, 137-138). ამის შემდეგ სომხებს მძიმე სიტუაცია შექმნათ და სუბბატ ბივრიტაინის პირადი გემორობა რომ არა, ისინი სასტიკად დამარცხდებოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვახაგები ხდება, რომ, როდესაც არტაშეს II პართელთა მეფეობით მყარად დაიმკვიდრა ტახტი (ეს კი მან ძვ. წ. 31 წლისთვის მოახერხა და რომაელთა დამოკიდებულებიდანაც კი განთავისუფლდა), უპირველეს ყოვლისა ქართლის მეფეს „ღალატი“ გაუხსენა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ქართლის წინააღმდეგ სომეხთა ამ ლაშქრობას შესაბამისად ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. 31-29 წწ-ში. იმჟამად სომხებმა მცნეთელ ანუ იბერიის მეფე ფარსმან I-ს (ბრატმანის ძეს) ქალაქი წუნდა და არტაანი წაართვეს.

ამის შემდეგ ქართლის მეფე ფარსმან/ფარნაბაზი მალევე უნდა ვარდაცვლილიყო. სომხების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში უდგება მისი ვაჟი არსუკი („მოქცევაში“ და „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია, როგორც ცნობილია, ამ სახელის შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები: არსოკ, ახორკ და არსუკ). არსუკმა კავშირი შეკრა არმაზელ მეფესთან ქარძამ/ქართამ II-სთან (მოსე ხორენელის ქარძამი, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, იგივე ქართული წყაროების მეფე არმაზელი, ქართამ II-ა, ქართამ I-ის შვილიშვილი). აი, რას მოგვითხრობს მოსე ხორენელი ამ ამბებთან დაკავშირებით: „ზარეპი (არტაშეს II-ის ერთ-ერთი ვაჟი) იყო ბატონოყვარე კაცი - ხოლო ომში მსდალი - იგი გამოცდილი ჰყავდა ქართველთა მეფეს, ვინმე ქარძამს, რომელმაც აუჯანყა ქვეყანა, შეიპყრა და კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა“ (171, 145). უფრო ადრე იგივე ამბავთან დაკავშირებით მოსე ხორენელი აღნიშნავს: „იმ ხანებში აღანები შეუთანხმდნენ ყველა მთიელებს, მიიმხრეს ქართველთა ნახევარი ქვეყანაც და დიდძალი ლაშქრით მოეფინენ ჩვენს მიწა-წყალს“ (171, 141). „ქართლის ცხოვრება“ ამ ომს რამდენიმე ეტაპად ჰყოფს. ომის სწავდასწვა ეტაპზე არ მალავს ქართველთა დამარცხების ფაქტებსაც. მთლიანად თხრობა საოცრად ზუსტია და დეტალიზირებული. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა მემატიანის ხელთ არსებული სანდო ქრონიკიდან მომდინარეობს. უფრო მეტიც, მოსე ხორენელი ამავე ამბების





თხრობისას სწორედ ქართულ წყაროს უყრდნობა. სხვათაგან  
 ქარძამს ქართლის მეფეს (ვრაც თავაგორ) არ უწოდებდა, ვინაიდან  
 ქარძამი მხოლოდ ქართული წყაროსთვის შეიძლება იყოს ქართლის  
 მეფე (არმაზელის წილი ქართლი). სომხური და რომაული  
 წყაროებისთვისაც კი ის იქნებოდა ვოგარენას ბიტაინში (ბდემში).  
 ქართლის, როგორც იბერიის ვაკეებით, მეფეები კი იყვნენ ამ  
 პერიოდში არსუკ//არზოკი და ცოტა უფრო ადრე კი ფარსმან I  
 (ფარნაბაზა) . აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მემატიანე  
 იყენებს სომხურ წყაროსაც. ეს მას სჭირდება სომეხთა მეფისა და  
 მისი ვაჟების სახელების დასადგენად და ქრონოლოგიის დასაზუს-  
 ტებლად. მაგ. ინფორმაცია ერვანდიანებთან არტაშესის ბრძოლის  
 შესახებ, რა თქმა უნდა, სომხური წყაროს შეცდომიდან მომდინა-  
 რეობს. არაა გამორიცხული, რომ სომხური წყაროდან ეს ინფორმა-  
 ციული შევსება სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ქართველმა  
 მემატიანემ არმაზელის მეფობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხე  
 ზორენელზე თუ მის წყაროზე დაყრდნობით ქრონოლოგიურად  
 „გამართა“ და დომიციანოსის ეპოქას დაუკავშირა.

ქართველ-სომეხთა ომის ბოლო ეტაპი ქართველთა და მათ  
 მოკავშირეთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ დაამარცხეს და  
 შეიპყრეს სომეხთა უფლისწული ზარეპი. სომეხები იძულებულნი  
 გახდნენ, უფლისწულის გამოსხნის სანაცვლოდ მნიშვნელოვან  
 დათმობებზე წასულიყვნენ: ისინი მტკვრის მარცხენა ნაპირის ანუ  
 მცხეთელ მეფეს არსუკს//არზოკს უბრუნებენ წართმეულ ტერიტორი-  
 იას, „ქარლის ცხოვრების“ მიხედვით ესაა დემოთეს ციხე. წუნდა,  
 ჯავახეთი და არტანი. ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრება“ აქ არ  
 უნდა იყოს მიღად ზუსტი: ფაქტია, სომეხებს უნდა დაებრუნებინათ  
 ის ტერიტორია, რომელიც მანამდე წაართვეს ჯერ ფარსმან I, სო-  
 ლო შემდეგ დამატებით მის ვაჟს - არსუკს//არზოკს, დემოთეს ციხე.  
 წუნდა და არტანი მტკვრამდე და არა მთელი ჯავახეთი. ვინაიდან,  
 როგორც ზემოთ უკვე დავრწმუნდით, წუნდიდან ფარავნამდე  
 ჯავახეთი ანუ ზემო ჯავახეთი არმაზელთა წილი იყო, არმაზელია  
 მეფე კი მცხეთელის მოკავშირედ გამოდიოდა ამ ომში და გაუგება-  
 რია, მისთვის ტერიტორია რატომ უნდა წაერთმია არსუკს//არზოკს.  
 ფრიად საინტერესოა თვით ზავის პირობები: „უკეთუ ვინ აღდგეს  
 მტერი თქუენ ზედა - აღუთქვამენ ქართველი მეფეები სომეხებს - და  
 მოღმართ გებრძოდის, ჩუენ ორნივე მეფენი თავითა ჩვენითა და  
 სბითა ჩუენითა თანავიდგეთ და გიშუელოთ; და უკუეთუ კუაღად  
 ვისმე მოღმართ პბრძოდით, ათას-ათასითა მხედრითა ქურვილითა

„შეგეწოდით“ და ესეცა აღუთქმევს ქართუელთა ვითარმედ: „ქალაქსა ამას ჩუენსა დრამა არტაშან მეფისა ხატითა დავსცეთო“.

გვიანი ხანის მემატიანე კარგად ვერ გაერკვა ძველ ქრონიკათა მონათხრობში და, ჩვენი აზრით, შეცდომა დაუშვა. ფაქტია, მცნეთელმა ანუ იბერიის მეფე არსუკმა ტერიტორია დაიბრუნა. სომხებმა დემოთეს ციხე და წუნდა დაცალეს. ასეთ ვითარებაში გაუგებარია, რატომ უნდა აელო მას თავის თავზე სამხედრო ბეგარა. თუ მატიანის ტექსტს ჩაუუკვირდებით, მივხვდებით, რომ ფულის მოქირა არტაშან მეფის გამოსახულებით ევალება მართო ერთ ქალაქს - ცხადია, არმაზს - და არა მცხეთას. „ქალაქსა ამას ჩუენსა“, ამბობს ქრონიკა. აქ რომ მცხეთაც იგულისხმებოდეს, მაშინ სიტყვა „ქალაქი“ მრავლობითის ფორმით იქნებოდა ნახმარი. ასევე უნდა იყოს სამხედრო ბეგარის შემთხვევაშიც. 2000 კაცის გამოყვანა სომეხთა სასარგებლოდ, ჩვენი აზრით, უნდა დაფალუბოდა არმაზელს და არა ათას-ათასი ორივეს, როგორც ეს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეს ჰგონია. არტაშეს I ხანაში ქართლის მეფეთა, სომხური თვალსაზრისით იგივე გოგარენა/გორგანის ბიტიანშების სომხეთის მეფის მიმართ სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა, გავიხსენოთ ძველი სომხური სამეფო დოკუმენტი - „სამხედრო განაწესი“, სადაც სომხეთზე დაქვემდებარებულ ოთხ ბდეშს შორის ჩრდილოეთის, ანუ გუგარქ/გოგარენას, იგივე ქართლის ბდეშთა (მეფეთა) სამხედრო ვალდებულება 4500 კაცით განისაზღვრება (189, 251). თუ აღნიშნული დოკუმენტის მონაცემებს „ქართლის ცხოვრების“ შემოთადინიშნულ ცნობას შეუვადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ ჯერზე არმაზელთა სამხედრო ვალდებულება შემოთმოყვანილი ციფრის ნახევარია. იმიტომ, რომ ამჟამად სომხეთის მიმართ სამხედრო ბეგარა ეკისრება მხოლოდ ქართლის ნახევარს ანუ არმაზელ მეფეებს - გუგარქ/გოგარენას „მცირე ბიტიანშებს“. მეორე ნახევრის ქართლის მეფეები კი ანუ სომხური წყაროს ტერმინოლოგიით გუგარქის/იბერიის „დიდი ბიტიანშები“ ამ ვალდებულებისაგან განთავისუფლდნენ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ ომს სომეხთა და ქართუელთა შორის, რომელიც ეტაბობრივად მიმდინარეობდა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლისგან შედგებოდა, ჩვენ ძვ. წ. 31-20 წლებით ვათარილებთ. ის დაიწყო, როგორც შემოთაც აღვნიშნეთ, იბერიის მეფის (მცხეთელი მეფე) ფარნაბაზა-ფარსმანის დროს და დასრულდა მცხეთაში მიბი ვაჟის არსუკის/არზოკის, ხოლო არმაზში კაოსის/აკეოსი ძის არმაზელის, იგივე ქარძამ II-ის მეფე-



ბის ხანაში. ძვ. წ. 20 წ. სომეხთა მეფე არტაშეს II იღუპება. შესაბამისად, ეს თარიღი ამ ომის ზემო ზღვრად უნდა იყოს მიჩნეული.

ქართლის მეფეების არზოკის//არსუკის და ქარამამ II არმაზულის მეფობას კი დაახლ. ძვ. წ. 25-ახ. წ. 5/10 წწ-ით ვათარილებთ.

## თავი V

### ფარსმან II და მისი ხანა

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ფარსმან II-ის მეფობის ხანას, რომელსაც ჩვენ ახ. წ. I ს-ის დაახლ. 40-68 წწ-ით განესაზღვრავთ, რადგან მას ვაივივებით ბერძნულ-რომაული წყაროების აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე ფარსმან იბერიელთან.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით „ქართლის ცხოვრებაში“ ერთმანეთში არეულია, უფრო სწორედ ერთმანეთთან შერწყმულია ფარსმან I და ფარსმან II ქველის მეფობასთან დაკავშირებული ამბები. სინამდვილეში ეს ასე არაა. ასეთი თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული ამბებისა და მეფეთა რივის ქრონოლოგიის არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს. აქამდე ბრატმანის ვაჟსა და კაოსის (აკეს) მეწყვილე ფარსმანს, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, დიონ კასიუსთან ძვ. წ. 36 წ-ის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული ფარნაბაზაა, ახ. წ. შუა წლების რომაულ წყაროებში მოხსენიებულ ფარსმან ივერიელთან აიგივებდნენ. ეს კი თავისთავად მომდინარეობდა იქიდან, რომ არტაგ I-ს ძვ. წ. 65 წ. ქართლში პომპეუსის ლაშქრობის დროს რომაულ წყაროებში დასახელებულ არტოკად მიიჩნევდნენ. ერთი სიტყვით, მკორდებოდა იგივე შეცდომა, რაც თავის დროზე დაუშვა „ქართლის ცხოვრების“ მემატინემ, როცა მან „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე მუშაობისას სომხურ და ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით „გამართა“ მატეანის ქრონოლოგია: არმაზელი ასწია დომიციანეს კეისრობის ხანამდე და, შესაბამისად, ადერკი, რომელშიც მან ვერ გამოიცნო პირველადი ფორმა ამ სახელისა - არტოკ - ახალი და ძველი ერების შესაყარზე მოათავსა.

დავაკვირდეთ ვინაა მოხსენიებული ფარსმან II-თან დაკავშირებით „მოქცევაში“, „ქართლის ცხოვრებასა“ და ბერძნულ-რომაულ წყაროებში.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ფარსმანი მცხეთელი ანუ იბერიელი მეფეა (ის „ქართლის ცხოვრებაში“ არმაზელად, როგორც უკვე ვნახეთ, მატიანის მიერ არმაზელ და მცხეთელ მეფეთა აღრევის შედეგად იქნა გააზრებული). სახელი ფარსმანი და წოდება ფარნაბაზა-ფარნაუზი მხოლოდ მცხეთელ მეფეთა კუთვნილებაა. მხოლოდ მათივე საგვარეულოში ვხვდებით სახელ შირვან-შირდატს. ეს სახელი აჩვენებს მათ წარმომავლობას, შტოს დამაარსებელი აქემენიდური საგვარეულოს წარმომადგენელი (ნებროთიანი) საურმაგის სიძე შირვან (შირდატ) I-დან. ამ უკანასკნელის წარმოშობას კი ალექსანდრე მაკედონელის მიერ სომხეთის სატრაპად დანიშნული მითრანეიდან (იხ. ზემოთ).

პირიქით, სახელები ქართამი/ქარძამი, არდოკ/ადროკ//როკ//ადრიკ/ადრიკ/ადერკ/დეროკ და კაოს/აკეოს კი არმაზელ მეფეთა სახელებია და კარგად გვიჩვენებს, ერთი მხრივ, მათ კავშირს ვერულ (სახელები ქარძამ, აკეოს) და მეორე მხრივ, სომხურ (სახელი არტაკ/არდოკი) დინასტიებთან. ერთადერთი შემთხვევა როკ//არტოკ სახელის მცხეთურ შტოში ხმარებისა არის ფარსმან II-ის შემდგომ დასახელებული დეროკი, რომლის მეწყვილე შირდატია. მაგრამ ეს, როგორც ვნახავთ, „მოქცევაჲს“ შეცდომაა. ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრება“ უფრო ზუსტია, როცა გვეუბნება, რომ ორმეფობა თავდება ფარსმან II ქველზე. მაშ ვინ არიან „მოქცევაჲს“ როკ და შირდატ? შირდატი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მართლაც მეფობს ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ, ოღონდ შემატანიეს ის შეცდომით მისი მეწყვილე-მოწინააღმდეგე შირდატი ჰგონია, რომელიც ვითომდა ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ეუფლება ქართლის ტახტს. სინამდვილეში, ფარსმან II-ის შემდეგ მეფობს არა ქართლში დაბრუნებული მისი ძმა და მეტოქე შირდატი, არამედ მისი ძე მეორე ცოლის, სომეხი ქალის ამაზასპუისაგან – შირდატი/შითრიდატი, როგორც ამას გვაუწყებს მცხეთის ცნობილი წარწერა. რაც შეეხება როკს (დეროკ/არდოკ), ის, არმაზელი მეფის რანგში (ეს სახელი მხოლოდ ამ საგვარეულოში გვხვდება), როგორც ჩანს, მართლაც იყო მეწყვილე შირდატ იბერიელის (მცხეთელი), ოღონდ არა ფარსმან II-ის შემდეგ, არამედ მის წინ. რომაული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ფარსმან II-ის მამა იყო შირდატი და არა ამაზასპი. როგორც „მოქცევაჲს“, ისე „ქართლის ცხოვრება“ შეცდომით ახანულებს ამაზასპს ფარსმან იბერიელის მამად. ამ შეცდომის მიზეზი, როგორც ჩანს, გახდა ის, რომ გვიანდელმა შემატანიემ ვერ გაიგო



ძველი ქრონიკიდან, თუ ვინ იყო ფარსმანთან მიმართებაში ამაზახსაბი. მუშატიანეს, აშკარაა, „ფარსმან ქველის ცხოვრების სწავლასზეა ნუსხები ჰქონდა ხელთ. ერთგან ფარსმანის უფროსი ვაჟის სახელად ეწერა ადამი, სხვანაირად ლადამი. ლადამი მან ლადანად და ფარსმანის ცოლის სახელად ვაიაზრა, ადამი კი ფარსმანის ვაჟის (ლადამი-რადამი-რადამისტი) სახელად მიიხნია, ფარსმანის ცოლის სახელი ამაზახსაბი კი შესაბამისად, ფარსმანის მამის სახელად იქცა. ასეთ ვაიაზრებს, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმანაც, რომ ქრონიკაში აღნიშნული სახელი „უში“ სუფიქსის გარეშე იყო მოცემული, რაც მისი კაცის სახელად გაგებასა და მიხედავას უწყობდა ხელს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელ ახლო წარსულშიც მეცნიერებს ფრიად გაუქირდათ იმის დადგენა, თუ რა მიმართებაში იყვნენ მცხეთის ცნობილი წარწერის ფარსმანი და ამაზახსაბი ერთმანეთთან და ამის მიზეზი იგივე „უში“ სუფიქსის ვერ ამოკითხვა იყო. ამჟამად გარკვეულია, რომ წარწერაში მეფე მითრიდატეს (მირდატ IV) გვერდით მოხსენიებულნი არიან მისი მამა ფარსმანი (ფარსმან II) და დედა ამაზახსაბუში ( 235, 49-57).

გ. წერეთელმა ამოკითხა რა ზემოთ აღნიშნული წარწერის სახელ ამაზახსაბუში სუფიქსი „უში“, აღნიშნა, რომ ის სომხურში ფრიად გავრცელებული ქალის სახელების მწარმოებელი სუფიქსია. მართლაც, ფარსმან II-ის მეორე ცოლი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით სომეხი უფლისწული იყო. ახლა ფარსმან II-ის წინ მამის ადგილას თუ მითრიდატე-მირდატს აღვადგენთ, მივხედვით, რომ თრჯერ მეორდება წყვილი მითრიდატე-მირდატ დერუკი-როკი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მოქცევაჲს“ შეცდომაა: ქრონიკამ წყვილი მირდატ-დერუკი/როკი ფარსმანის წინა ბოწიციდან გადმოხვა და მოთავსა მის შემდეგ. ეს აღრევები არაა ვახაკვირი. ვარდა ამაზახსაბის ბიროვნების გარკვევის სირთულისა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ასევე დიდი სიმრავლე იყო მირდატებისა: ფარსმანის მამა მირდატი, მამა მირდატი და უმცროსი ძე, ქართლის მეფე ფარსმანის შემდეგ აგრეთვე მირდატი. მირდატის სახელის მქონე ბიროვნებების ამ შეჯგუფებამ გამოიწვია კიდევ აღნიშნული შეცდომა.

რომა და ბართიას შორის წმ წ. დადებული ზავის შემდეგ, სომხეთის შეფუებად იყვნენ უკვე ბართული უფლისწულები, ბართიის შეფების უმცროსი ძმები, მაგრამ ამაზახსაბუში ფარსმანის ცოლი უფრო ადრე ვახდა, ასე რომ ის სწორედ ადგილობრივი სომხური დინასტიიდან წარმოსდგებოდა.

ამგვარად, ბოლო მეფე არმაზული დინასტიისა დეროკი/როკი/არდოკი, რომელიც ქართამ//ქარტამ II არმაზელის ძე უნდა იყოს, ფარსმანის მამამ მირდატ II, იგივე მითრიდატე იბერიელმა, როგორც ჩანს, გააძევა ან მოკლა და ქართლი გააერთიანა. მითრიდატეს გარდაცვალების შემდეგ ფარსმანი, მისი უფროსი ვაჟი ხდება ქართლის მეფე, ხოლო მითრიდატე, მისი უმცროსი ძმა კი იკავებს გოგარენა//გურგანის ანუ არმაზულ მეფეთა//ბიტიანშია ტახტს. შესაბამისად, მითრიდატე ფარსმანის ძმად, იმავედროულად ქართლის ბიტიანში და არა მისი მეწყვილე მეფე, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებას“ ჰგონია მათ შორის წარმოებულ იმის გამო. საბოლოოდ, ფარსმანი თავის ძმას იცილებს არმაზიდან და რომაელთა დახმარებით მას სომხეთში ამეფებს. მაგრამ მათ შორის წინააღმდეგობა, როგორც ჩანს, ამის შემდეგაც არ ცხრება: უნდა ვიფიქროთ, მირდატი ანლა ბრეტენშიას აცხადებს გოგარენაზე უკვე სომხეთის მეფის ბოზიციებიდან. სხვათა შორის „ქართლის ცხოვრება“ იმასაც გვიყვება, რომ თავდაპირველად მირდატსა და ფარსმანს შორის კარგი ურთიერთობა სუფევდა, მაგრამ შემდგომში ისინი მტრებად გადაჰქიფებიან ერთმანეთს. ამას ტაციტუსის ცნობაც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც რომაელებს მირდატის ანუ მითრიდატეს სომხეთში გამეფების წინ ძმები შეურიგებიათ (142, 55). რადგან რომაელები გამოდიან ძმებს შორის შეპრიგებლებად, ცხადია, აქ უბრალო წყენასთან არ გვექნებოდა საქმე და ისინი ერთმანეთს სერიოზულად წაკიდებულები უნდა ყოფილიყვნენ, რასაც აგვიწერს კიდევ „ქართლის ცხოვრება“.

„ქართლის ცხოვრების“ ადამი, ფარსმან II-ის ვაჟი, იგივე „მოქცევაის“ დადამი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაციტუსთან მოხსენიებული რადამი ანუ რადამისტია (142, 27; 123, 65მ; 255, 716). შემატიანემ იცის, რომ ის მცირე ხნით - 3 წლის განმავლობაში მეფობდა და მას ფარსმანის შემდეგ ამეფებს ქართლში. სინამდვილეში, დადამი//რადამი, როგორც ვიცით, მართლაც მეფობდა სწორედ სამი წლით, ოღონდ არა ქართლში, არამედ სომხეთში.

ამგვარად, ბერძნული და ქართული წყაროების საფუძველზე 1. ქართლის მეფის მირდატ III-ის, მისი ვაჟის და შემდგომი მეფის ფარსმან II-ის (იგივე ფარსმან ქველის), ფარსმანის ძმის მირდატის (მითრიდატე იბერიელი), 2. ფარსმანის II-ის უფროსი ვაჟის დადამი//რადამის, ამ უკანასკნელის მეუღლის



ზენობიას<sup>9</sup> და მათი ვაჟის<sup>10</sup>), პ. ფარსმანის მეორე მეუღლის სომხური უფლისწულის ამაზასპუპის და მათი ვაჟის მირდატის (მითრიდატე) ცნოვრება-მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები უნდა აღდგეს შემდეგი თანმიმდევრობით: ლადამი-რადამი თავის ბიძის მითრიდატის და მისი მეუღლის, საკუთარი დის მოკვლის შემდეგ 51 წ. ეუფლება სომხეთის ტახტს. აქ ის დაახლ. სამი წელი მეფობს. 54 წ. აჯანყებულმა სომხებმა მის სასახლეს ალყა შემოარტყეს. რადამი გამოირბინ ქართლში თავის ორსულ მეუღლე ზენობიასთან ერთად. როგორც ტაციტუსის მოთხრობიდან არის ცნობილია, მტერს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა, რადამი, მისივე თხოვნით, ხანჯალს დასცემს ცოლს და არაქსში ჩააგდებს. აქ ზენობიას მწყემსები გადაარჩენენ. საბოლოოდ ის აღმოჩნდება სომხეთის ქალაქ არტაქსატაში ბართიის მეფის ვოლოგეზეს ძმა ტირიდატისთან. ფაქტია, 55 წლისთვის უნდა გაჩენილიყო რადამის შვილი, ფარსმან ქველის შვილიშვილი, რომელიც ფარსმანის გარდაცვალებისთვის (დაახლ. 68 წ.) 13 წლის იქნებოდა. საკუთრივ რადამი//რადამისტი შემდგომშიც იბრძვის სომხეთის ტახტისთვის. დაახლ. 58-60 წწ. ფარსმანმა, როგორც ჩანს მეორე ცოლის გავლენით რადამს ღალატი დასწამა და სიცოცხლეს გამოასალმა. დაახლ. 68-69 წლებში უნდა ვარდაცვლილიყო თვით ფარსმანი. რამდენიმე წლით ადრე, სამოციანი წლების დასაწყისში მან მიიღო რომისაგან ოფიციალური აღიარება სომხეთის მიერ ადრე დაპყრობილი ქართლის სამეფოს იმ ნაწილის (მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლი, არმაზის ქვეყანა) ფლობისა, რომელიც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ფაქტიურად უკვე იყო მისი მამის მითრიდატე იბერიელის ხანიდან. ამის საბუთად გამოდგება ტაციტუსის ცნობა იმის შესახებ, რომ, როდესაც რომაელებმა ტირიდატე არშენიდან გააძევეს და სომხეთში ტიგრანი გააძევეს, „ტიგრანს, რომ უფრო ადვილად შეენარჩუნებინა ახლად მიღებული სამეფო ტახტი, ნაბრძანები იყო, არშენიის გარკვეული ნაწილები დამორჩილებოდნენ ფარსმანს, პალემონს, არისტობულუსს და ანტიოქუსს იმის მიხედვით, თუ ვის სამფლობელოს ესაზღვრებოდნენ“ (142, 99). ამგვარად, სიცოცხლის ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშ

<sup>9</sup> ზენობია რადამის ბიძაშვილი, ფარსმანის ძმის მირდატის ასული იყო.

<sup>10</sup> ჩვენი აზრით, რადამის და ზენობიას ვაჟი უნდა იყოს მცხეთაში აღმოჩენილი თასის წარწერის ფლაგიუს დადესი, ის. ქვემოთ.

ნეთ, ფარსმანმა გოგარენა//გორგანის უკვე დიდი ხნის წინ ქართლთან ფაქტობრივი შეერთება რომსაც აღიარებინა.

აქვე გვინდა საგანგებოდ შევეხეთ ფარსმან II-ის ბრძოლებს ბართელებთან, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაში“ სპარსელებად არიან წოდებულნი. ქართული წყარო აღნიშნავს, რომ იყო ორი ბრძოლა, ერთი გადაიხადა ფარსმანმა რკინის ხევის ვიწროებში, ხოლო მეორე შემთხვევაში ის უბრძვის მტერს გამაგრებულია რა საკუთრივ მცხეთაში. ტაციტუსის მიხედვითაც ბართელები ორჯერ შემოიჭრენ ქართლში. პირველად შემოიჭრა უფლისწული ოროდი, ხოლო მეორედ თვით პართიის შაჰი არტაბანნი. ორივე წყარო აღნიშნავს, რომ ფარსმანს ეხმარებიან სომხები და რომაელები („ქართლის ცხოვრების“ „ბერძნები“). პირველ ბრძოლაში ფარსმანი ორთაბრძოლაში ამარცხებს ბართელ უფლისწულ ოროდს, „ქართლის ცხოვრებაში“ ოროდი ჯუმბურის სახელით ფიგურირებს, რაც ჩვენი აზრით, ირანული ებოსის გავლენით გვიანდელი გადაკეთების შედეგია. როგორც ტაციტუსთან, ისე „ქართლის ცხოვრებაში“ ფარსმანი ომის წინ ერთი შინაარსის მქონე სიტყვებით მიმართავს თავის ლაშქარს: „ქართლის ცხოვრება“: „აჰა, ლომონო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყვილნი“; ტაციტუსი: „აქ ვაუკაცებია, იქ კი ნადავლი“. ამ ფრაზების მსგავსებას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ პ. ინგოროყვამ, მაგრამ, რატომღაც, მას „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ეს სიტყვები ხალხური ებოსისა და ზეპირსიტყვიერების გზით შემოსულად მიაჩნია (90, 261-262).

ასევე სრულიად ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“ ფარსმანის ბართელებთან გადახდილი მეორე ბრძოლის შესახებ. როგორც ტაციტუსი, ისე ქართული მატრიანე ერთხმად აღნიშნავენ, რომ მეორედ მოსვლისას ბართული ლაშქარი განუწმლად მეტი იყო პირველ ბრძოლასთან შედარებით. „ქართლის ცხოვრება“ კიდევ უფრო აზუსტებს ბრძოლის დეტალებს: ბართელები იმდენად მრავალრიცხოვანი ჯარით მოსულან, რომ ფარსმანს მათთან პირდაპირ შეებმა არამიზანშეწონილად ჩაუთვლია და მცხეთაში გამაგრებულია, საიდანაც აწარმოებდა გახვლით ოპერაციებს და გამუდმებით თავს ესხმოდა ბართელებს.

როგორც ვხედავთ, მთელი პერსონალიები, ამბები, დეტალები ამკარას ხდიან, რომ ფარსმან II-ის ცხოვრების აღწერისას „ქართლის ცხოვრება“ ფრიადს ხანდო ქრონიკით სარგებლობდა. ეს ქრონიკა, ჩვენი აზრით, იყო ბერძნულად დაწერილი „ცხოვრება“. (არაა გამორიცხული, რომ არსებობდა ბარაღელეღური არამეული ტექსტიც), რა თქმა უნდა, ქართული დამწერლობის წარმოქმნის





კვალობაზე ტექსტი ქართულად ითარგმნა. თარგმნისას დამატებითი იქნა მთელი რიგი უზუსტობებისა. სამწუხაროდ, შეცდომები უფრო გამრავლდა, გვიანდელი მემატიანის (VII-VIII სს.) ხელში. ძველი ისტორიკოსი ზოგ შემთხვევებში ურევს და სწორად ვერ იკებს ქრონიკის მონაცემებს მაგ. თუ ვინ ვის მხარეზე ომობს: მირდატი აღნიშნულ ბრძოლებში სპარსთა მხარეზე მებრძოლად მიაჩნია იმ დროს როდესაც ის ტაციტუსის ცნობით ამჯერად ფარსმანის მხარეზე ომობდა და სხვა მსგავსი. არაა გამორიცხული მემატიანის აღნიშნული შეცდომები მომდინარეობდეს უხარისხო თარგმანიდანაც. ის რომ ტექსტი სწორედ ბერძნულენოვანი თხზულების თარგმანს წარმოადგენს, სრულიად აშკარა ხდება ერთი ადგილიდან: „მაშინ ამან მირდატ ქართველმან მოიყვანა ცოლი სპარსი“... გეამცნობს მემატიანე. თუ ჩვენ ტექსტს ჩავუკვირდებით, უცნაურად მოგვეჩვენება მემატიანის გამონათქვამი „მირდატ ქართველი“. გასაგებია, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „არმაზელ“ და „მცხეთელ“ მეფეთა აღრევის გამო მემატიანე „მცხეთელ“ მეფე ფარსმანს არმაზელს უწოდებს, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „მირდატ ქართველი“. მირდატი ხომ „ქართლის ცხოვრებით“ ფარსმანის მეწყვილე, და მცხეთელი მეფეა. რატომ დასჭირდა მემატიანეს მისი ქართველობის ხაზგასმა. საქმე ისაა, რომ „მირდატ ქართველი“ აქ, რა თქმა უნდა, ბერძნული გამოთქმის „მირდატ იბერიელის“ ქართული თარგმანია. ძველ ქართულ მწერლობაში (XVIII ს-მდე) არ იმარებოდა ტერმინები „იბერია“, „იბერიელი“ და მას „ქართველით“ თარგმნიდნენ. მაგ. პეტრე ქართველი, ილარიონ ქართველი და სხვ.

„ქართლის ცხოვრება“ ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტისთვის ბრძოლის სრულიად რეალურ სურათს გვიხატავს, რაც აშკარად შეტყვევებს არმაზელი ქრონიკის თანამედროვეის მიერ შედგენაზე. სამწუხაროდ, გვიანდელი მემატიანე „ქართლის ცხოვრების“ ბირველი შემდგენელი (VII-VIII სს.) ამ „ცხოვრებით“ ხარვებლობისას ტახტისთვის ბრძოლის პერიპეტეების აღწერისას, როგორც ქვემოთ ვნახავთ, კვლავაც ერთმანეთში ურევს „ამიერს“ და „ამიერს“ და, შესაბამისად, ფაქტებსაც ბირუკუ ვადმოვცევს. მიუხედავად ამისა, მცხეთური წარწერისა და რომაული წყაროების შეპირისპირებით ძნელი არაა „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციას „სწორი“ დალაგება.

<sup>1</sup> როგორც ვნახეთ, მემატიანე აქ ცდება და მირდატი მცხეთელი მეფის, იმ ხანად კი ორივე ქართლის გაშაერთიანებული მეფის ფარსმანის ძმაა.

ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ბრძოლა ტახტისთვის მიმდინარეობს არა ერთი მხრივ ფარსმანის მეწყვილე შირდატსა (მითრიდატე) და მეორე მხრივ ფარსმანის მეორე მეუღლე ღადანას, მის ძე ადამსა და შვილიშვილ ფარსმანს შორის; არამედ ფარსმანის მეორე მეუღლე ამაზასპუსს (სომხეთის უფლისწული), მის ვაჟს, მცირეწლოვან შირდატს და გარდაცვლილი რადამ//ღადამის ვაჟსა და ამ უკანასკნელის მომხრეებს შორის. შესაბამისად, შირდატს კი არ ემხრობიან პართელები, არამედ ზენობიასა და მის ვაჟს. შირდატი და ამაზასპუსი კი ამ ბრძოლის გარკვეულ მონაკვეთზე გარბიან სომხეთში. მცირე ხნით (69-75 წწ) ქართლის ტახტს ეუფლება ღადამ//რადამის ვაჟი. „ქართლის ცხოვრებაში“ ის გაავიწყვტია ფარსმანის მოსახლე მტერსა და მეწყვილე (სინამდვილეში მის ძმა) მითრიდატესთან. შესაძლოა იმიტომ, რომ შემატიანეს ფარსმანის ვაჟისა და მომდევნო მეფის მითრიდატეს სახელი გადმოაქვს მასზე. სავარაუდოა აგრეთვე ისიც, რომ ღადამისა და ზენობიას ვაჟსაც მითრიდატე ერქვა. ეს ადვილი წარმოსადგენია თუ გავისხეწებით, რომ მისი ბაბა დედის მხრივ (ზენობიას მამა) და მამის ბიძა მითრიდატეა (ფარსმანის ძმა), ასევე მითრიდატეა მისი დიდი ბაბა მამის მხრივ (ფარსმანის მამა). ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ მეფეს ვუკავშირებთ თახის წარწერიდან ცნობილ სახელს ფლავეუს დადეს. ამჟამად ჩვენს ისტორიოგრაფიაში წარწერას II-III სს-ებს შიდაკუთვნიებენ (151, 265-266) დათარიღების ერთადერთი საფუძველია ის, რომ თახი აღმოჩენილია სამარხში, რომელიც იქვე ნაპოვნი მონეტების მეშვეობით უცილობლად დათარიღდება III ს-ის II ნახევრით (არა უადრეს 251 წლისა). ჩვენი აზრით, სამარხის თარიღი საკუთრივ თახისა და მისი წარწერის დასათარიღებლად დიდ ვერაფერ საბუთად გამოდგება. რაც შეეხება პალეოგრაფიულ ნიშნებს, როგორც ჩანს, მისი გადმოქრით II-III სს-ით დათარიღებისთვის რაიმე საბუთი არ არსებობს. თ. ყაუხჩიშვილი მიმოიხილაგვს რა წარწერის პალეოგრაფიულ თავისებურებებს, აღნიშნავს: „წ-ს ვხვდებით ამ მონაწილეობისას I ს-ში, ასევე უნდა ითქვას სხვა ასოების მიმართაც. ამ ნიშნების მიხედვით წარწერა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებით უნდა დათარიღდეს“ (151, 265-266). ამგვარად, თუ პალეოგრაფიული ნიშნები ასეთი დათარიღების უფლებას იძლევიან, სხვა მხრივ წარწერის 69-75 წწ-ით დათარიღება სრულებით ბუნებრივი უნდა იყოს. უპირველეს

იდეა ჩვენს მიერ ქართლის ტახტზე 69-75 წწ-ში ნაგვარად დადამის ვაჟთან ფლავეუს დადეს შესაძლო დაკავშირების შემახებ მოგვაწვია ი. გაგოშიძემ, როსთეიხაც მადლობას მოვახსენებთ.



ყოვლისა იმიტომ, რომ ფლაგიუსების დინასტია აღნიშნულ პერიოდში იმპერატორობს (69-92 წწ.) და მეორეც, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია: ამ წლებში (69-75) ქართლში მცირე ხნით უნდა ექმნებოდა ლადამის ვაჟს, რომლის საგარაუდო სახელი მითრიდატე// მირდატია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარწერის პირველი გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი წარწერას I ს-ით ათარიღებს. რაც შეეხება საკუთრივ სახელს „ფლაგიუს დადეს“, ის ბოლოსართ „ეს“-ს სახელის ბერძნულ დაბოლოებად, ხოლო „ფლაგიუს დად“-ს კი თრდატ-ის, მირ-დატ-ის და სხვა მგავსი სახელების ანალოგიით შექმნილად მიიჩნევს (154, 170-171). პ. ინგოროყვამ წარწერა 70- 96 წწ-ით დაათარიღა, ხოლო ამ მეფის ნამდვილ ქართულ სახელად ქარძამი მიიჩნია (88, 411-427; 89, 289-291), რაც სრულიად გამორიცხვლია. როგორც უკვე ვნახეთ, „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲში“ დასახელებული ქარძამ//ქართამი ძვ. წ. 50-40-იან წწ-ში მეფობდა. ჩვენ დამაჯერებლად გვეჩვენება ს. ყაუხჩიშვილის ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისი აღნიშნული სახელის „მირდატის“ მსგავს კომპოზიტად მიჩნევისა. 69-75 წწ-ში ქართლში გამეფებულ ლადამის ვაჟს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ალბათობაა მირდატი რქმეოდა. „მირდატი“ კი ირანული კომპოზიტია და მითრას მიერ მოცემულს ბოძებულს ნიშნავს, სადაც მითრა ღმერთის ღვთაების სახელია. ფლაგიუს დადესის შემთხვევაში, შესაძლოა, მითრას როგორც ღვთაებას ჩაენაცვლა ფლაგიუსის სახელი ანუ რომის იმპერატორი იქნა გააზრებული მფარველ, მბოძებულ ღმერთად. თუ ეს ასეა, მაშინ ქართლის მეფე აღნიშნული სახელით ნაზს უსვამდა რომის განსაკუთრებულ დამსახურებას მისი გამეფების საქმეში. როგორც ჩანს, მან რომის ასეთი კეთილგანწყობილება დიდხანს ვერ შეინარჩუნა. შესაძლოა, ახალგაზრდა მეფე თავისი სახელგანთქმული ბაბის ფარსმან II-ის მსგავსად დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას შეეცადა. ყოველ შემთხვევაში მან ფლაგიუსების მფარველობა აშკარად დაკარგა და რომი უკვე მის მოწინააღმდეგეს უქერს მხარს ტახტისთვის ბრძოლაში. საბოლოოდ, სომხების, და რომაელების დახმარებით, რომლებიც, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ეგრისელებსაც იყენებენ დამხმარე ძალად, ამაზასპუპი და მირდატი მდ. ლიანხეზე, რეხასთან გადააწყვეტ ბრძოლაში ამარცხებენ ლადამ//ლადამის ძეს (ფლაგიუს დადეს) და მის მომხრე პართელებს. მირდატი იმკვიდრებს იბერიის ტახტს, რომაელები მითრიდატეს მეფობის განსამტკიცებლად არმარში მის დამხმარედ თავის გარნიზონს და გარნიზონის უფროსს - „ერისთავს“ აყენებენ. „ქართ



ლის ცხოვრება“ არმაზის მხარის ქართლის დაქვერას სპარსეთს მიაწერს (145, 53), რაც დაბირისპირებულ მხარეთა აღრევიდან მომდინარეობს, ვგულისხმობთ იმას, რომ შემატანეს სპარსელები მირდატის მომხრეები ჰგონია. სხვა მხრივ ინფორმაცია სწორია: არმაზს ეუფლება მირდატის დამხმარე მხარე. ამავე მიზნით ხდება არმაზის ვიწროების და საფორტიფიკაციო ნაგებობების გაშაგება, რაც აისახა კიდევ მცხეთის ცნობილ წარწერაში: „იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტუსმა... და იმპერატორმა ტიტუ კეისარმა ავგუსტუსის ძემ... და დომიციანე კეისარმა ავგუსტუსის ძემ... იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და ამაზასპუჰის ძეს, კეისრის მოყვარულს და რომაელთა მეგობარს და ხალხს, ეს კედლები განუშტკიცეს“ (235, 19.). წარწერიდანვე ჩანს, რომ 75 წლისთვის ანუ წარწერის შედგენის ხანისთვის მითრიდატე ჯერ არასრულწლოვანია. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა წარწერაში ამაზასპუჰის მოხსენიება. მითრიდატე ფარსმანის ძე უკვე სრულწლოვანია და დამოუკიდებელი გამგებელი არმაზულ მონოლინგვაში: „მე მიპრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმან მეფისა დიდისა...“ (163, 42). აქ, როგორც ვხედავთ, ის უკვე დედის გარეშეა მოხსენიებული.

ამ მირდატ/მითრიდატის, ფარსმანისა და ამაზასპუჰის ძის ძმად მიგვაჩნია ჩვენ რომში აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერიდან ცნობილი ქართლის უფლისწული ამაზასპი, იბერიის მეფის მითრიდატეს ძმა, რომელიც 114 წ. უნდა დაღუპულიყო. ეს წარწერა გვამცნობს: „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჰესთან, იბერი, იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც აავთ ნიკატორმა მიგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა, წინამძღოლი მეუფისა მოსული ბართელებთან საბრძოლველად. გარდაიცვალა უწინ, ვიდრე გაისვრიდა ხელს (ვაი, რომ ძლიერ ხელს). მტრის სისხლში შუბს, მშვიდდესა და მახვილის პირზე. იყო ქვეითიც და მხედარიც, თვით მორცხვი ქალწულების მსგავსი“. (151. 237). თ. ყაუხჩიშვილი თვლის, რომ ამ წარწერის ამაზასპი შეიძლება შემოადინებული იბერიის მეფის მითრიდატე-მირდატ IV-ის ძმად ჩაგვეთვალა, რომ არა ერთი გარეშეობა. მკვლევარს სიტყვები: „მორცხვი ქალწულების მსგავსი“ აფიქრებინებს, რომ წარწერაში უფრო ყმაწვილი კაცი უნდა იგულისხმებოდეს, ვიდრე ასაკოვანი მამაკაცი. ამასვე უნდა ფიქრობდეს გ. მელიქიშვილიც, როდესაც ამ ამაზასპის ძმად



კიდევ ვილაც ჩვენთვის უცნობ მითრიდატეს<sup>6</sup> მიიჩნევს. აზრით, აღნიშნული ფრაზა ახალი მეფის საგარაუდოდ საკმარისი საფუძველი არ არის. მით უფრო, რომ მითრიდატე IV ახ. წ. 75 წლისთვის, მცირეწლოვანია. ამგვარად საკუთრივ მითრიდატე IV წლისთვის 50-54 წლის თუ იქნებოდა. ერთი-ორი წლით უმცროსი უნდა ყოფილიყო მასზე მისი ძმა ამაზასხი. თუ ზემოთ აღნიშნულ წარწერას ჩავუკვირდებით, ძნელი წარმოსადგენია, ის უწვერულვამო ყმაწვილს ეხებოდეს. წარწერა ამკარად სახელგანთქმული მეომრის პატივსაცემადაა აღმართული, რომელიც მისი თანამედროვეკოათვის ცნობილი იყო როგორც „ძლიერი ხელის“ მქონე და ერთნაირად კარვად მეომარი როგორც ქვეითად ისე ცხენზე. ვარდა ამისა, ამაზასხის სახელი მომდინარეობს მისი დედიდან - ამაზასხუში. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელი ფარნავაზიანთა დინასტიაში მხოლოდ ამ ქალის შემდეგ იმკვიდრებს ადვილს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახ. წ. 75 ახლო ხანებისთვის ანუ მცხეთის ცნობილი წარწერის შედგენის დროისთვის მითრიდატე IV ფარსმანის ძე მცირეწლოვანია, იმიტომაცაა წარწერაში დასახელებული მისი დედა. როგორც ჩანს, ფაქტიურად ეს ქალი მმართველობდა იმკამად. ფარსმანის მეორე ცოლის მეფობის ფაქტს მოწმობს „ქართლის ცხოვრებაც“: „...ვიდრე აღიზრდებოდა ყრმა იგი, მეფობდა დედა ადამისი, ცოლი ფარსმან ქველისა, რომელსა სახელი ერქუა ღადანა“ (145, 54). ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ქალბატონი ღადანა კი არა, ამაზასხუშია. ღადანა კი რადამ//ღადამის დამახინჯებაა. დამახინჯებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ასეთი სახელი - ღადანა, რაც ირანულად ძროხის მოცემულს ნიშნავს (15, 508), მართლაც არსებობდა. არაა გამორიცხული, ღადანა რადამ//რადამის დედის და, შესაბამისად, ფარსმანის პირველი ცოლის სახელი ყოფილიყო. ამგვარად ფარსმანის გარდაცვალების შემდგომ ხანას ჩვენ სამ პერიოდად ვყოფთ: ფარსმანის შვილიშვილის, რადამ//რადამის ძის მირდატ IV იგივე ფლავიუს დადეს მმართველობის ხანა, დაახლ. 69-74; ფარსმანის მეორე მეუღლის - ამაზასხუშის რეგენტობის თუ მეფობის პერიოდი, დაახლ. 75-76 წწ. და ფარსმან II-ის უმცროსი ძის მირდატ//მითრიდატეს IV-ის დამოუკიდებელი მეფობის პერიოდი დაახლ 76-125 წწ. შემდგომ მეფობს მითრიდატეს IV-ის ვაჟი ფარსმან III.

<sup>6</sup> გ. მელიქიშვილი ამ უცნობ მითრიდატეს მითრიდატე III მიიჩნევს, იმიტომ, რომ მითრიდატეოთ ათვლას ფარსმან II-ის მამით ანუ მითრიდატე III-ით იწყებს, რომელსაც ის მითრიდატე I-ად თვლის.

*ქალი მითრიდატე*

ქართლის წარმართი მეფეები  
ამაზასპიდან ასფაგურაჲდ

ფარსმან III-თან მიმართებაში „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს: „და მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა“. მისი მეფობის დაახლოებითი წლები (125-165/170) ჩვენთვის უკვე რომაული წყაროებითაა ცნობილი. დაახ. 230-265 წლებში კი მეფობდა ამაზასპი ფარსმანის ძე. ამგვარად, 170-230 წწ-ში ჩვენ გვაქვს ხარვეზი. შესაბამისად, კარგად ჩანს, თუ სად თავდებოდა პირველი ქრონიკა, რომელსაც ჩვენ პირობითად „არმაზულს“ ვუწოდებთ და სად იწყება მეორე, „მცხეთური“ ქრონიკა. ძველი არმაზული ქრონიკა შეიცავდა მოთხრობას ფარნავაზიანთა მეფობის შესახებ „ყოველსა ქართლსა ზედა“ ქართლის პირველი მეფე-ფარნავაზიან მოყოლებული ადრიკ//არდოკ II-მდე, ამის შემდგომ იგი მოგვითხრობდა ქართლის გაყოფასა და ორმეფობაზე. „ფარსმან ქველის ცხოვრების“ შემდგენელმა მემატიანემ ამ ქრონიკას მიამატა უკვე „ფარსმანის ცხოვრება“, რომელშიც ის დაწვრილებით აღწერდა ფარსმან II-ის (მირდატ/მითრიდატე III-ის ძის) მეფობის ამბებს, იხსენიებდა მისი ვაჟის ლადამ//რადამის 3 წლიან მეფობას, დაწვრილებით აგვიწერდა, ერთი მხრივ, ლადამ//რადამის ვაჟის და მეორე მხრივ ფარსმანის მეორე ცოლისა და ამ უკანასკნელისაგან მისი ვაჟის მითრიდატეს ტახტისთვის ბრძოლას. თხრობა თავდებოდა ფარსმანის II-ის შვილი-შვილის ფარსმან III-ის (მითრიდატეს IV-ის ძე) მეფობის ფაქტის აღნიშვნით. გვიანდელმა მემატიანემ ამ ქრონიკას გადააბა მეორე ქრონიკა, რომელსაც პირობითად „მცხეთურს“ ვუწოდებთ. ეს ქრონიკა იწყებოდა ამაზასპი ფარსმანის ძის ცხოვრების თხრობით და 370-იან წლებამდე მეფე ასფაგურის მეფობის ხანამდე მოდიოდა (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ვინაიდან ამაზასპიც ფარსმანის ძე იყო, მემატიანემ მისი შამა ფარსმანი, ფარსმან III-თან გააივივა. ამგვარად, ისტორიის თხრობიდან ამოვარდა რამდენიმე მეფე. აქედან ერთი ქსეფარსუგია, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მოყვანილ არმაზის ზილინგვის ტექსტში მოხსენებულია როგორც ფარსმან III-ის შემდგომი მეფე (164, 48; 151, 251). ამგვარად, მშვენივრად ჩანს ორი ქრონიკის გადაბმის ადგილი და კარგად იხსენება ის



ფაქტიც, თუ რატომ არ არიან მოხსენიებული „ქართლის ცხოვრების“  
ში“ ქსეფარნუგი და ამაზასპის მამა ფარსმან IV (?).

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანეს ჰქონდა წარმართი მეფეების ზუსტი რიცხვი - 28. ეს ციფრი აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ამის დაცვა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქრონიკის შემდგენელი მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლის 32 მეფეს, ტექსტის ბოლოს დასკვნაში მაინც აღნიშნავს: „ესე ოც და რვა მეფენი ქართლსა შინა წარმართნი“. სწორედ ეს რიცხვი ეძლეოდა მას ჯუშლად იმ ქრონიკაში, საიდანაც აღნიშნულ მეფეთა რიცხს იწერდა. შესაბამისად, ამ ჯამური რიცხვის შეცვლა, იმის მიუხედავად, რომ არანაირად ამ რიცხვს არ იღებდა, ინფორმაციის თვითნებური შეცვლა იქნებოდა და ეს კი დაუშვებლად მიიჩნია. რა სიტუაცია ვვაქვს ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრებაში“? „ქართლის ცხოვრებაში“ აზო მეფეთა სათვალავში არაა ჩათვლილი და თვლა იწყება ფარნავაზით. შესაბამისად, აღრუკ//არდეკ//არდოკი რიგით მკათე მეფე გამოდის. შემდეგ მოდის ხუთი წვეილი მეფე, ანუ მეფეთა რიცხვი ხდება ოცი. ამას ემატება მეფეები დადამ//რადამიდან მოყოლებული ასფაგურის ჩათვლით, სულ 28. ამგვარად, როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრებაც“ ფლობს ამ ინფორმაციას 28 მეფის შესახებ. ახლა შევეცდებით დავთვალოთ ქართლის მეფეთა საერთო ოდენობა იმ შესწორებების გათვალისწინებით, რაც ჩვენ შევიტანეთ მეფეთა ნუსხაში ბერძნულ-რომაულ წყაროთა თუ ეპიგრაფიკული მასალის მონაცემების საფუძველზე.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პირველ მეფედ აზოს ასახელებს. მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო სწორი უნდა იყოს „ქართლის ცხოვრება“. როდესაც წარმართ მეფეთა რიცხვის - 28 - ათვლას ფარნავაზიდან იწყებს. როგორც უკვე ვნახეთ, აზო ორი საუკუნენახევრით წინ უსწრებდა ფარსმან-ფარნაბაზას და ისინი სულ სხვადასხვა ეპოქებსა და საგვარეულოებს ეკუთვნოდნენ. ფარნავაზი „უფლოსის წილის“ ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს საგვარეულოს წარმომადგენელია, ხოლო მემატიანის ხელთ არსებული ქრონიკები სწორედ ამ დი-

\* საქმე ისაა, რომ „მოქცევაჲს“ ქრონიკის შემდგენელი არითმეტიკულ ჩიხში ექცევა: წარმართ მეფეთა რიცხვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას გამოსდის 32, თუ ამ მეფეებს ცალ-ცალკე ვიანგარიშებთ ან 27, თუ ორმეფობის ხანის მეფეებს წყვილ-წყვილად დავთვლით. წყვილ-წყვილად დათვლის ხერხს იყენებს როგორც „მოქცევაჲს“ ქრონიკის ავტორი, ისე „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეც, რაც სრულიად გაუპართლებელია, ვინაიდან ორი მეფე, თუნდაც წყვილად დათვალო, მაინც ორი სხვადასხვა მეფეა.



ნასტიის ანუ ფარნავაზიანთა მეფობის აღნუსხვას ისახავდნენ მიწნად შესაბამისად, ამ საგვარეულოს მეფეებს უნდა ეხებოდეს რიცხვი 28.

ფარნავაზის ჩათვლით ქართლის სამეფოს ერთიანობის ხანაში ანუ ორმეფობის დასაწყისამდე (დაახლ. ძვ. წ. 60 წ.), „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ათ მეფეს გვისახელებს, აქედან ორ საუკუნეზე (დაახლ. ძვ. წ. 260-იანი წლებიდან, ანუ ფარნავაზის მეფობის გამოკლებით, ძვ. წ. 60/58 წლამდე) ცნრა მეფის ზეობა თავსდება, რაც სრულიად ნორმალურია.

ქართლის ორ სამეფოდ გაყოფა დაახლოებით 80-90 წელი გრძელდებოდა. ამ პერიოდში ორივე მხარეს მეფობდნენ: ბარტომ//ბრატმან - ქართამ//ქარძამ; ფარსმან//ფარნაბაზი - კაოსი(აკეოსი); არზოკ//არსუკი (არშაკი) - არმაზელ//ამაზაერ (ქარძამ II). ამაზასს, რომელიც შეცდომით ფარსმანის შამადაა გამოყვანილი (სინამდვილეში, როგორც უკვე ვნახეთ, ის მისი ცოლი იყო და მის შემდეგ მეფობდა მცირეწლოვან მითრიდატესთან ერთად), ვცვლით მირდატ//მითრიდატეთი, ანუ აღვადგენთ ფარსმანის შამის სახელს და ადგილს ნუსხაში. მისი მუწყვილე მეფე ყოფილა დერუკ (არდოკ III), რომელიც არმაზელი ქარძამ II-ის ვაჟი და იმავდროულად არდოკ II-ის (ადერკის) ჩამომავალი იყო. აქ ორმეფობა ფაქტიურად თავდება. ფარსმან II-ის მუწყვილედ დასახელებული მირდატ//მითრიდატე, სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფარსმანის ძმა იყო და არა მუწყვილე, მირდატ//მითრიდატე მეფობდა სომხეთში ისევე, როგორც ფარსმანის უფროსი ვაჟი ლაღამი//რაღამი//აღამი. მიუხედავად ამისა, ისინი მეფეთა ნუსხაში მაინც შეიყვანეს. ეს არცაა გასაკვირი: მთავარი ის კი არ იყო, ფარნავაზიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი სად მეფობდა, არამედ იმის აღნუსხვა, თუ საგვარეულოდან ვინ იმეფა და რამდენ ხანს გრძელდებოდა მისი მეფობა. ამის შემდგომ მეფობდნენ ლაღამის ვაჟი (მირდატი ?), ჩვენს მიერ ფლავიუს-დადესთან გაიგივებული, ფარსმან II-ის და ამაზასპუპის ვაჟი მითრიდატე//მირდატი და ამ უკანასკნელის ძე ფარსმან III. ამგვარად, მეფეთა რიცხვი გამოდის 24. გარდა ამისა ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე ქსეფარნუკი, სავარაუდოა ამაზასპის შამა ფარსმანიც, თვით ამაზასპი და რევი . როგორც ვხედავთ, წარმართ მეფეთა რიცხვი ხდება 28. ამგვარად, რევის ჩათვლით ვიღებთ ზუსტად 28 მეფეს. რაღა ვუყოთ დანარჩენ ოთხ წარმართ მეფეს: ვაჩეს, ბაკურს, მირდატს და ასფაგურს? საქმე ისაა, რომ არც ერთი მათგანი არ იყო წარმართი, ისინი ქრისტიანი მეფეებია! „მოქცევაჲს“ ქრონიკის ავტორი ქსეფარნუკის, ამაზასპის შამის (ფარსმან IV-ის ?) და ერთი





მითრიდატეს ამოვარდნის შედეგად, იღებს ვაცილებით ნაკლებ მითრიდატეს როგორც შემთ ვინაჲთ, მაგ. „ქართლის ცხოვრება“ ანუ ფარსმან II-ის ძმასა და, ასე ვთქვათ, „მეწყვილე“ მითრიდატეს, ფარსმან II-ის ვაჟსა და, შესაბამისად, ფარსმანის შემდგომ მეფე მითრიდატესთან; „მოქცევათაში“ კი ამოვარდნილია ფარსმანის ძამა მირდატი და წინაა ვადამჯდარი მისი შეუღლე ამაზასპუსი. ვინაიდან შემატინანემ წარმართ მეფეთა რიცხვი ოცდარვაზე ნაკლები მიიღო, კიდევ გააგრძელა მეფეთა რიგი და ვერ შეაშინია, რომ ერთიდაიგივე მეფეები ორჯერ გაიმეორა. ამაზასპის შემდეგი მეფეებია: რევი, ვაჩე, ბაკური, მირდატი, ასფაგური, ასფაგურის შემდეგ კი „მოქცევათ ქართლისაჲ“ აღნიშნავს: „ღუვი მამაჲ მირიანისი“. მის შემდეგ კი ჩამოთვლის მეფეებს: მირიანი, ბაკური, მირდატი, ვარაზბაკური. თუ ჩვენ მეფეთა პირველ და მეორე რიგს შევადარებთ, აშკარა ვახდება შემატინანის შეცდომა. ჩვენთვის ზომ ნათელია, რომ ღუვი იგივე რევი; ვარაზ-ბაკური კი ხაერთოდ სულ სხვა პიროვნებაა. აქ საკმა-

ეს სახელი VI ს-ის შუა წლების ქართლის ბილიო მეფის ბაკურის სახელად გვეხახება. ვარაზ-ბაკური კომპოზიცია და მძღაურ-ბაკურს (უფრო ზუსტად ტახ-ბაკურს) ნიშნავს. „ვარაზით“ ნაწარმოები სახელები იხმარებოდა აგრეთვე „ვარაზის“ გარეშე. მაგ. ვარაზ-გრიგოლი ან გრიგოლი; ვარაზ-თრდატი ან თრდატი. ეს შედხართავად ქვეული სიტყვა ნებისმიერ სახელს შეიძლება დართოდა წინ. ამგვარად, ვარაზ-ბაკური და ბაკური ეს ერთიდაიგივე სახელია. ჯერ მოხდა, როგორც ჩანს, ერთმანეთთან აღრევა სახელების „დიდი ბაკურის“ და ვარაზ-ბაკურის. რაც შეეხება ასფაგურის ვარაზ-ბაკურთა ჩანაცვლებას, ეს ამ სახელების ფონეტიკური ვლენადობის სიახლოვის ვამიუნდა მომხდარიყო. ასფაგურ-ვარაზბაკურის ხანის ირანის მძღაერობის ამქების მოთხრობაც ნაწავია IV ს-ის სმ-70-იანი წლების მოვლენების ამხახველი ქრონიკის და ქართლის ბილიო მეფის ბაკურის პერიოდის ამქების: „მოქცევათაჲს“ ქრონიკაში ვარაზ-ბაკურთან დაკავშირებული ირანთან ურთიერთობის ამხახველი მთელი პახაჲი ჩამოტანილია VI ს-ის შუა წლებიდან IV ს-ის შუა წლებში, სწორედ ამან განპირობა აქ თბილისის მოხსენიებაც. შეცდომის მიზეზად ირანის ქართლზე მძღაერობისა და ამასთან დაკავშირებით ისტორიული სიტუაციების მსგავსება გვეხახება. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს ვარაზ-ბაკურის ცოლებიხა და შვილების შესახებ, ეს უკვე ბაკურ მირიანის ძის ცოლები და შვილებია. ამის თქმის უფლებას მათი „ცხოვრებების“ შედარება ვვაძლევს. ბრძოლა ხალომქუსთან სწორედ ბაკურ მირიანის ძეს მქონდა და არა ასფაგურ/ვარაზ-ბაკურს. ვარაზ-ბაკური, როგორც უკვე აღვნიშნეთ, IV ს-ის II ნახევარში ხაერთოდ არ ყოფილა. ასფაგურის შვილი კი ულტრა იყო. „პეტრე იბურის ცხოვრების“ ქართული ვერსიისთვის შეცდომის მიზეზი „ქართლის ცხოვრებაჲ“; აუტორის წყაროში



რისია აღენიშნოთ, რომ ამიანე მარცვლინი 366 წლისთვის ქართლში შეყვდ ასახელებს ასფაგურს (14, 125, 130), რომლის იდენტურობაშიაჩნიათ ისტორიოგრაფიაში ვარაზ-ბაკური, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიკოსები თვლიან, რომ ვარაზ-ბაკური იგივე ამიანე მარცვლინის ასფაგურია. მაშინ ასეც დავწეროთ:

რევი, ვაჩუ, ბაკური, მირდატი, ასფაგური.  
 რ(ლ)ევი, მირიანი, ბაკური, მირდატი, ასფაგური  
 (ვარაზბაკური)

თვალში ხაცემი ხდება ამ ორი რივის იდენტურობა, მით უფრო, თუ გავიაზრებთ, რომ „ვაჩუ“, რომელიც მირიანის ნაცვლად წერია, ირანული სიტყვაა და ნიშნავს - ყმაწვილს, ბავშვს, პატარას (15, 466-467), როგორც იყო კიდევ მირიანი ტახტზე ასვლისას (7 წლის). ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ ვაჩუ იგივე მირიანია და შესაბამისად, უკვე ქრისტიანი მეფე. ამიტომაც ვიღებთ რევის ჩათვლით სწორედ 28 წარმართ მეფეს.

ამიანე მარცვლინი 366 წლისთვის ასფაგურს იხსენიებს იბერიის მეფედ, ხოლო მის წინ 361/2 წლებსთვის მირიანს ასახელებს, რომელსაც ისტორიოგრაფიაში მკვლევართა ნაწილი მირიანთან აიგივებს. როგორც უკვე ვნახეთ, ის ვერ იქნება მირიანი და უნდა იყოს ასფაგურის („ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაში“ შეცდომით ვარაზ-ბაკურად მოხსენიებული მეფის) წინა მეფე მირდატი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ მირდატი//მიპრი//მირიანი და მირიბანი//მირვანი სხვადასხვა სახელებია და ამაზე წესით უკვე გვქონდა კიდევ საუბარი, მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების“ მირვანებად წოდებული ქართლის მეფეები მოსე ხორენელთან მირდატებად მოიხსენიებიან, ხოლო ამანესთან მირიბანად (იგივე მირვანია) მოხსენიებული მეფე კი ქართულ წყაროებში მირდატად იწოდება. ამიანესთან მირიბანად (მირვანი) წოდებული ქართლის მეფე რომ უფრო მირდატი უნდა ყოფილიყო, ამაზე მიგვითითებს პეტრე იბერიის ასურული „ცხოვრებაც“, რომლის მიხედვით პეტრეს ბაბა მაშის მხრიდან ქართლის მეფე ბუზშირია (ბუზშიროსი). ბუზშირი კი იგივე დიდი მიპრია ან უბრალოდ მიპრი და მირდატია. ამგვარად, ჩვენი აზრით, პეტრე იბერიის ბაბა მაშის ხაზით უნდა ყოფილიყო სწორედ ასფაგურის წინა მეფე მირიანის ვაჟის რევის ძე მირდატ/ბუზშირი, იგივე მირიანი, რომელიც ამიანე მარ-

დიდი ბაკური ეძლეოდა და მან ის უკვე „ქართლის ცხოვრების“ გათვალისწინებით ვარაზ-ბაკურად გადაიაზრა.



ცვლინისთან მირიბანად იწოდება (არაა გამორიცხული, რომელიც  
 ორივე სახელი რქმეოდა: ბუზმიპრ/მირდატი, იგივე მიპრი/მირიანი/მი-  
 თრა და მირიბან/მირიანი, იგივე მითრაბანა). ამგვარად, ჩვენ შეგვიძ-  
 ლია გავმართოთ ქართლის მეფეთა ქრონოლოგია ამაზასპიდან მოყო-  
 ლებული (დაახლ. 230 წ.) ასფაგურის მეფობამდე (დაახლ. 368 წ.):

ამაზასპი დაახლ. 230-265 წწ.

რევი (იგივე რევ მართალი) დაახლ. 265-280 წწ.

მირიანი/ვაჩე დაახლ. 280-330-იანი წწ.

ბაკური, მისი ძე დაახლ. 330-იანი-350-იანი წწ.

მირიბან//მირდატ რევის ძე დაახლ. 355-365/367

ასფაგური 368 წლიდან.

აქ ჩამოთვლილი მეფეებიდან მხოლოდ ამაზასპი და რევია  
 წარმართი მეფეები.

ამაზასპი მნიშვნელოვანი ფიგურაა წინაქრისტიანული ქართ-  
 ლის ისტორიაში. „ქართლის ცხოვრება“ საკმაოდ ვრცლად აგვიწერს  
 მის ცხოვრებას. ამ, პირობითად ჩვენს მიერ „მცხეთურად“ წოდებულ  
 ქრონიკაში მშვენივრად ჩანს გადაბმის კვალი. ქრონიკა იწყებოდა  
 ამაზასპის ცხოვრების აღწერით და ამბის თხრობა გრძელდებოდა ას-  
 ფაგურამდე. გვიანდელმა შემატიანემ, ვინაიდან ვერ გაივლო ქრონიკის  
 ქრონოლოგიური საზღვრები, თავი ფარსმან შესამეს მიაბა, ბოლო  
 სამი მეფე კი, თავისდა უნებურად, გააორმაგა. მას ასე გამოუვიდა  
 იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, მას ხელთ ჰქონდა აღნიშული ქრონიკის  
 ის ნუსხაც, სადაც მირიანი „ვაჩედ“ (ყმაწვილად) მოიხსენიებოდა, ას-  
 ფაგური კი უკვე ვარაზ-ბაკურით იყო ჩანაცვლებული. ამიტომაცაა,  
 რომ შემატიანე ინფორმაციას გვაწვდის მირიანის, ბაკურისა და მირ-  
 დატის (მირიბანი) მეფობაზე; ვაჩეს, ბაკურის და მირდატის მეფობაზე  
 კი ვერაფერს გვეუბნება, გარდა მათი მეფობის ფაქტის აღნიშვნისა:  
 „და შემდგომად ამისა მეფობდა ძე მისი ვაჩე; და შემდგომად  
 ვაჩესსა მეფობდა ძე ვაჩესი ბაკურ; და შემდგომად ბაკურისა მეფობ-  
 და ძე ბაკურისი მირდატ“ (145, 58-59). ეს ვასაგებიცაა: მართალია, ეს  
 სამი მეფე მან მეფეთა სიაში ორჯერ მოგვცა და მეფეთა ოდენობა  
 გააორმაგა, მაგრამ მათ „ცხოვრებასაც“ ხომ ორჯერ არ მოყვებოდა!

ასლა ისევ დაუბრუნდეთ ამაზასპის მეფობის ხანას. ამ ბოლო  
 ხანებში ბაგენეთში აღმოჩენილი ორი ეპიგრაფიკული წარწერა მნიშ-  
 ვნელოვანი ინფორმაციით ავსებს მის ბიოგრაფიას. წარწერების მი-  
 ხედვით აშკარა ხდება, რომ ამაზასპის ცოლი ყოფილა სომხეთის მე-  
 ფის ვოლოგეზეს (ვალარშის) ასული დრაკონტისი. სწორია, ქვემოთ  
 მოყვანილი ორი წარწერა სხვადასხვა წლებში (1993, 1996) აღმოჩნდა,  
 მაგრამ აშკარაა, რომ ისინი ერთ ბიროვნებას უკავშირდებიან.

I. წარწერა: „მეფის...მამამძუქემ და ეზოსმოძღვარმა გააკეთებინა ბინა თავისი საზრდულით (ან სახსრით) მიწისქვეშა გაყვანილობა (ან წყალსადენი და აბანო, ან წყალსადენი აბანოსთვის) და შესწირა დრაკონტის დედოფალს“

II. წარწერა: „(ქალის სახელი მიცემით ბრუნვაში) არმენიის მეფის ვოლოგეზეს ასულს, ხოლო იბერთა მეფის ამაზასპის მეუღლეს, ანაგრანესმა, მამამძუქემ და ეზოსმოძღვარმა საკუთარი სახსრით (გაკეთებული) აბანო შესწირა“ (152, 35).

სომხურ ისტორიოგრაფიაში ვალარშ (ვოლოგეზე) II-ის ზეობა ზუსტად ვერ თარიღდება, მაგრამ მის მეფობას 198 წ-ზე გვიან არ ვარაუდობენ. მოსე ხორენელთან ვალარშ II 216 წ-მდე ცოცხალია და მისი ძე და უშუალო მემკვიდრეა თრდატის მამა ხოსრო. ზემომოყვანილი წარწერისა და ზოროასტრი ქააბას მონაცემების გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ მოსე ხორენელი სწორი უნდა იყოს, როცა ვალარშ II-ის გარდაცვალებას 216 წ-ით ათარიღებს. ამაზასპი, რომელიც 260-იან წლებში ქართლის მეფეა და თანაც ისეთ ასაკში, რომ თავის ბოლო ბრძოლაში (დაახლ. 265 წ.) თვითონ იბრძვის ბრძოლის ველზე, სადაც იღუბება კიდევ („ამაზასპის ცხოვრება“), ძნელად წარმოსადგენია, ყოფილიყო ქმარი ქალისა, რომლის მამა 198 წ. გარდაიცვალა.

„ამაზასპის ცხოვრებაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართლზე „ოგსთა“ თავდასხმების აღწერას, რაც მშვენივრად ჯდება III ს-ის შუა წლების საერთო ვითარებაში. ალანთა მომთაბარე ტომების თავდასხმები სამხრეთ კავკასიაზე III ს-ში განსაკუთრებით მძაფრ ხასიათს იღებს. ვინაიდან, ალანები თვითონ განიცდიან მოწოდებასა და შევიწროვებას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრავ ჰუნთა მიერ. ამ სიტუაციის გათვალისწინებით, სრულიად რეალური ინფორმაციის შემცველია „ქართლის ცხოვრება“, როდესაც ამაზასპის მეფობის პირველ პერიოდში „ოგსთა“ მიერ ქართლზე თავდასხმის შესახებ გვიყვება. მთელი მოთხრობა იმდენად მასშტაბურ ბრძოლებს გვინატყვას, რომ ამჟამად, ამ შემთხვევაში ალანთა ტომების მასიურ შემოსევასთან გვექონდა საქმე და არა რაღაც ლოკალურ, მძარცველურ ლაშქრობასთან. ამ შემოსევის მოგერიებაში „ქართლის ცხოვრება“ წამყვან როლს ქართლის სამეფოსა და მის მეფე ამაზასპს აკუთვნებს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ბრძოლაში ოგსთა (ალანთა) წინააღმდეგ ქართლის ლაშქარს ეხმარებოდნენ სომხები. ალანებთან იმავე ბრძოლებს უნდა ასახავდეს მოსე ხორენელიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სომეხი ისტორიკოსი სომხებს დამხმარე ძალად კი არა, მთავარ მოქმედ მხარედ წარმოაჩენს: „ვალარშის

დროს შეიკრიბნენ ჩრდილოელთა ბრბოები, ვგულისხმობ ხაზარებს და ბასილებს და გადმოლახეს ქორას კარი. მათი წინამძღოლი და მეთუე იყო ვინმე ვნახუბ სურჰაბი: მათ გადმოლახეს მდინარე მტკვარი. ვალარში დიდძალი ლაშქრით, მამაცია მეომრებით შეებრძოლა მათ... მერმე დიდხანს ხდია მტერს და განვლო ქორის ხეობა. იქ მტერებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი და... მათმა მამაცმა მშვილდოსნებმა შეძლეს მოეკლათ ვალარში. სამეფო ტახტი დაიკავა ვალარშის ვაჟმა, ხოსროვმა, სპარსთა მეფის არტაგანის შესამე წელს. მან მაშინვე შეჰყარა სომეხთა ჯარი და გადაიარა დიდი შთა, რათა შური ეძია მამის მკვლელებზე. [ხოსროვმა] მახვილითა და შუბით შემუსრა იქაური ძლიერი ტომები და ყოველი ასი გამოხადევი [აღამიანდან] ერთი მძევლად წაიყვანა. თავისი ხელისუფლების დამყარების ნიშნად მან იმ მხარეში სვეტი აღმართა ბერძნული წარწერით. ამით იხიც აჩვენა, რომ იგი რომაელებს ემორჩილებოდა“ (171, 154).

„ქართლის ცხოვრება“, ჩვენი აზრით, იმავე თმის ბოლოს შემდეგნაირად აღწერს: მას შემდეგ რაც, ამაზახბს, რომელიც მცხეთის მისადგომებს იცავდა, შემოუერთდნენ სომეხები და ეგრისელები, მოკავშირეთა ლაშქარმა „განიწრახეს დახსნა ოგსთა და განვიდა (იგულისხმება ამაზახბი) და დაესხა ოგსთა, განთიადისა უამსა, მხედრითა და ქვეითითა ყოვლითა, ხდლია და აოტა ბანაკი მათი და მოკლა მეთუე ოგსთა და მოსრა ყოველი ხიმრავლე მათი. და წელსა მუორესა მთართო ძალი სომხითთ და შეკრიბნა სპანი თვისნი ყოველნი და გარდავიდა ოგსთს და ვერვინ წინააღუდვა და მოტყუენა ოგსეთი და მოვიდა შინა ვამარჯვებული“ (145, 56-57). თუ აღანთა თავდასხმას და მთელ აქ მოთხრობილ ამბებს ადგილი ჰქონდა 216-217 წწ-ში, ვალარშისა და ხოსრო I-ის დროს, როგორც ამას მოხე ხორენელი მოგვითხრობს, მაშინ ეს ვერ იქნებოდა თრდატის მამა ხოსრო. შესაძლოა, მოხემ ერთ მოთხრობად გააერთიანა უფრო ადრე მომხდარი აღანთა თავდასხმა და ხოსრო II-ის და ამაზახბის პერიოდში მომხდარი აღანთა შემოსევა, რომელიც, ჩვენი აზრით, 243 წლის ანლო ხანებში უნდა მომხდარიყო და ამისთვის ბიძგის მიმცემი იყო 243 წ. ქ. მესიხასთან შაბურთან ბრძოლაში რომაელთა სასტიკი მარცხი.

\* აქ ხაზარებისა და ბასილების მოხსენიება აშკარად მიუთითებს აღნიშნული ინფორმაციის გვიან რედაქციაზე - VII-VIII საუკუნეებზე.

\*\* იგულისხმება დარუბანდი, შეადარეთ „შუშანიკის წამების“ ჩორო.

\*\*\* არტაბან V (213-224). არშაკიდთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელია. არტაბანის გამეფების შესამე წელი 216 წელია. ამგვარად, მოსეს ცნობით ხოსრო გამეფებულა 216.

ჩვენთვის საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაცია თუ როგორი ერისთავები შემოკრბნენ უბირველეს ყოვლისა ამაზნასპის მოწოდებაზე: „მაშინ ამაზნასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი სუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრბეს მსკდარნი სპასპეტისანი და ვიდრე მოსვლამდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოვსნი ჩრდილოთ კერძოთა ქალაქისათა, რომელ არს მუხნარი“ (145, 55).

როგორც ვხედავთ, აქ დასავლეთის მხოლოდ ერთი ერისთავია დასახელებული, მაგრამ უფრო ქვემოთ ვგვხვდებით, რომ „დასავლეთის ერისთავები“ არიან სუთნი: „ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრნისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (145, 57). III ს-ის 40-50-იან წლებში დასავლეთ საქართველო არ შეიძლება ამაზნასპის ქვეშევრდომი ყოფილიყო. ეგრისის (ღაზთა) მეფეები ამ დროს საკმაოდ ძლიერები არიან და რომის დაქვემდებარებაში იმყოფებიან. „ამაზნასპის ცხოვრების“ ტექსტში ვამოთქმა „ორნი ერისთავნი ეგრისისანი“ ჩვენი აზრით, წარმოსდგა იქიდან, რომ აღნიშნული ქრონიკის მონაცემები „ქართლის ცხოვრების“ შემატანიებ (VII-VIII სს.) უკვე ვახტანგ გორგასლის მეფობის გარკვეულ პერიოდში არსებული სიტუაციის ანალოგიით გადააკეთა და ამაზნასპის ხანაზე შექანიკურად გადმოიტანა. მაგრამ აღნიშნული ცნობა ჩვენთვის უფრო სხვა მხრივაცაა საინტერესო. ქრონიკაზე დაკვირვება, გვაფიქრებინებს, რომ წუნდის, ოძრნისა და კლარჯეთის ერისთავები ამ ხანისთვის უშუალოდ ამაზნასპის მონაწილეებაში არ უნდა ყოფილიყვნენ. სხვა მხრივ ვაგუგებარია მათი „დაგვიანება“. თუ კახეთის, სამშვილდის და სუნანის ერისთავებმა მთადწიეს, რატომ ვერ უნდა მოსულიყო დროულად ოძრნის და მით უფრო წუნდის ერისთავი? უფრო ქვემოთაც ეს „სუთი ერისთავი“ ასევე ერთად უბირისხირდება ამაზნასპს და მის წინააღმდეგ სომხეთის მეფეს მიმართავს დანშარებისათვის: „მაშინ ვანდგნენ ერისთავნი სუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრნისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა და ესრახნენ ესე სომეხთა მეფესა და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზნასპისი. მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარემართა ქართლიად და მთართო ძალა საბერძნეთითცა და ესრახნენ ოვსთაცა. ხოლო ოვსნი სიხარულით წარმოვიდეს, რამეთუ მესისსლე იყო ამაზნასპ მათი და გარდმოვლეს გზა თაკურისა და მოვიდნეს ერისთავთა თანა ეგრისათა“ (145, 57).

ამ ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მივიღით იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ხანისთვის ამაზნასპს არ ექვემდებარ-



რებოდა ოძრხე, კლარჯეთი და, შესაძლოა, ისტორიული საქონისთავოს ნაწილი, ალბათ კოლა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს არტაანი. ისინი იმჟამად (III ს-ის შუა წლები) ეგრისის (ლაზთა) მეფეების უზენაესობას აღიარებდნენ. ეს საკითხი ამ მიმართულებით შემდეგ კვლევას მოითხოვს.

ახლა ისევ გვინდა მივუბრუნდეთ აღანუბთან (ოგსნი) ბრძოლის პერიპეტეებს. „ამაზასპის ცხოვრების“ მიხედვით აღანთა (ოგსთა) დიდი ლაშქარი („სპანი დიდნი“) დვალეთის გზით გადმოსულა და მდ. ლიანხუზე დაბანაკებულა. მათ მარბიელიც კი არ დაუგზავნიათ, ვინაიდან უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონათ, ვიდრე უბრალოდ მოსახლეობის გამარცხვაა. მემატიანის ცნობით, მათი მიზანი „ქალაქისა მცხეთისა შემუსრვა“ ყოფილა. ამაზასპის ირგვლივ შეკრებილა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უბირველეს ყოვლისა მის დაქვემდებარებაში მყოფი ერისთავები: კახეთის, ხუნანისა და სამშვილდის. აქვე იყო, რა თქმა უნდა, ქართლის სპასპეტი, შესაბამისად, „ზენა სოფლის“ ლაშქარი. ამაზასპის ლაშქარი 30 ათასი ქვეითისა და 10 ათასი მხედრისაგან შედგებოდა. ამიტომ მას დამხმარე ძალის ლოდინში - ეგრისის სამეფო (დასავლეთის ხუთი ერისთავი) და სომხეთი - მტერზე თავდასხმა ვერ გაუბედიდა და ქალაქი გაუსაგრებია, მით უფრო, რომ აღანუბი (ოგსნი) ამასობაში უკვე მუხნარამდე მოსულან. ამაზასპს განსაკუთრებით გაუმაგრებია არაგვის შემოსასვლელები. თვითონ კი, ამ 10 ათასი მხედრით საფურცვლეს დამდგარა ისე, რომ მცხეთა ზურგით მოუქცევია. ასე იცავდა ის ქალაქსაც და ქვეით ლაშქარსაც უცაბედი თავდასხმიდან. ქართლის მეფემ აღნიშნული გზით შეძლო მომხვდურთა ორი დღით შეყოვნება. ამასობაში მას მოუვიდა დამხმარე ძალა ეგრისიდან (დასავლეთის 5 ერისთავი) და, როგორც ჩანს, სომხეთიდანაც (ეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სომხეთის მეფე ხოსრო II უნდა ყოფილიყო თავისი ლაშქრით). მაშინ უკვე ამაზასპი დაესხა თავს დაბანაკებულ აღანუბს (ოგსებს), დაამარცხა ისინი და განდევნა. საინტერესოა, რომ მოსე ხორენელი ასახელებს აღანთა (მისი ტერმინოლოგიით ხაზართა) მეფეს - ვნასეპ სურმაპი. „ქართლის ცხოვრება“ ამ მეფის სახელს არ იხსენიებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ბრძოლაში დაიღუპა ოგსთა მეფე. მოსე ხორენელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აერთიანებს აღანთა ორ სხვადასხვა პერიოდის შემოსევას: ერთს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვალარშის ცხოვრების ბოლო წლებში, როდესაც ის დარუბანდის ვიწროებში მოწინააღმდეგვის მიერ ნატყორცნი ისრის მსვერბელი გამხდარა და აღანუბთან ომს უკვე ხოსრო II-ის პერიოდში, როდესაც ამაზასპსა და ხოსროს, როგორც ჩანს, ერთად გადაუღახავთ



დარუბანდი და ალანები დაუმარცხებიათ მათსავე ტერიტორიებზე მოთხრობას, როგორც ვხედავთ, ხალხური ზეპირსიტყვიერების არავითარი კვალი არ ემჩნევა. მემატიანე ამაზახსპის ლაშქრის სრულიად რეალურ ციფრს გვისახელებს და საქმის მცოდნე კაცის თვალთ აგვიწერს ომის მთელ მსვლელობას. ამაზახსპის მხარდამხარ ალანთა შინააღმდეგ ომში აღნიშნავს ეგრისის და სომხეთის ლაშქრის მონაწილეობის ფაქტს (თუმცა მას ეგრისის მეფე და მის დაქვემდებარებაში მყოფი ერისთავები ბევრად უფრო გვიანი ანალოგიის შესაბამისად ამაზახსპის ერისთავებად წარმოუდგენია) აშკარაა, რომ ომის ქრონიკა თვითმხილველისა და მონაწილის მიერაა დაწერილი. სრულიად სწორ ინფორმაციას გვაწვდის „ამაზახსპის ცხოვრება“, როდესაც ამაზახსპის ირანისადმი დაქვემდებარების ფაქტს აღნიშნავს მისი მეფობის ვარკვეულ პერიოდში: „მტერ ექმნა იგი სომეხთა და შეიფყარნა სპარსნი“. ქართლის სამეფოსა და მისი მეფის ამაზახსპის შაბურ I-ის ხელისუფლებისადმი ვასალურ დამოკიდებულებას მოწმობს ზორთასტრი ქააბას ცნობილი წარწერაც. მაგრამ გვიანდელი მემატიანე, „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი, როგორც ჩანს, ვერ გაერკვა ამაზახსპის მოკვლის პერიოტიკებში. ის ამაზახსპის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციას პრორომაულად მიიჩნევს. ვინაიდან კოალიციას სომხეთის მეფე ედგა სათავეში, მემატიანეს ამაზახსპის მოკვლა ირანის წინააღმდეგ მიმართულ აქტად წარმოუდგენია. ამით მას, როგორც ქრისტიან და პრობერძნულად განწყობილ ბიროვნებას, როგორც ჩანს, სურს, იდეოლოგიური გამართლება მოუნახოს ქართლის მეფის წინააღმდეგ მისივე ერისთავების სრულიად გაუმართლებელ საქციელს (მას ხომ „დასავლეთის ხუთი ერისთავი“ ქართლზე დაქვემდებარებულ ერისთავებად წარმოუდგენია). ყოველივე ამის შედეგად, სამწუხაროდ, ძველი ქრონიკის მონაცემები „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი მემატიანის ხელში, შესაძლოა, მისდა უნებურადაც კი დამახინჯდა და სრულიად საწინააღმდეგო შინაარსი შეიძინა. ჩვენ რომ სწორად გავიგოთ, თუ რა ხდებოდა ქართლში 260-იანი წლების შუა წანებში, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: 243 წ. რომის იმპერატორმა გორდიანუსმა მესობოტამიის ქალაქ მესინასთან სასტიკი მარცხი განიცადა შაბურთან ბრძოლაში და ბრძოლის ველზე დაიღუპა. 246 წ. დაიწყო ახალი ომი რომსა და ირანს შორის, რომელიც 254/55 წ-ს ბარბალისასთან რომის სასტიკი მარცხით დამთავრდა. ამ ომის ერთ-ერთი ეტაპი იყო სომხეთის მეფის ხოსროს დაღუპვა 253 წ. ამის შემდგომ შაბურ I სომხეთს ეუფლება. რის შედეგადაც 283 წ-მდე, რომში გაქცეული ხოსროს ვაჟის თრდატის გამეფებამდე, სომხეთის





სამეფო ტახტის სასანიანი უფლისწულები იკავებენ. 272-73 წლებში ანუ შაჰის ტახტზე ასვლამდე „სომხეთის დიდი მეფის“ ტიტულს ატარებს და სომხეთში მეფობს შაბურის უფროსი ვაჟი ჰორმიზდ-არდაშირი, ხოლო ჰორმიზდის ტახტზე ასვლის შემდეგ - მისი ძმა ნერსე. ამავე პერიოდში ათავსებს ირანის მიერ სომხეთის დაპყრობას მომხენიც. ნ. ლომოურის აზრით, 256 წ. რომი იძულებული იყო ეღიარებინა არშენის გადასვლა ირანელთა ქვეშევრდომობაში (210, მ. 17; 211, 35; 107, 35; 224, 387).

ამგვარად, ერთადერთი სომხეთის მეფე, ვისაც შეიძლება ცოლად გაჰყოლოდა ამაზასპის და, რომლის ვაჟი, რევი იკავებს ამაზასპის მოკვლის შემდეგ ქართლის ტახტს არის ირანელი უფლისწული და ირანის ტახტის მემკვიდრე ჰორმიზდ-არდაშირი. ამით იხსნება ის საბატო ადგილი, რომელიც ამაზასპს უკავია ზორო-ასტრი ქაბახს წარწერაში. შემოთქმულის სახარებლოდ შეტყვევლებს კიდევ ერთი ფაქტი: აღნიშნულ წარწერაში შაბურის ვაჟებთან ერთად ფიგურირებენ მათი სასანიანი მეუღლეები. მხოლოდ ორი უფლისწულის მეუღლე არაა დასახელებული, რაც ვ. ლუკონინს მათ არასახანურ წარმოშობას აფიქრებინებს, ერთ-ერთი ამ ორი უფლისწულიდან სწორედ ჰორმიზდ-არდაშირია. სხვათა შორის, ზოროასტრი ქაბახს წარწერაში დასახელებულია აგრეთვე ჰორმიზდ-არდაშირის ვაჟი ჰორმიზდაკი, რომელიც შემდგომ ხანებში აღარხად ჩანს.

ჰორმიზდ-არდაშირს დიდხანს არ მოუწია შაჰინ-შაჰობა. ის მალევე გარდაიცვალა. შემდგომ შაჰინ-შაჰის ტახტის მემკვიდრეობა გრძელდება მისი ძმების და მათი მემკვიდრეების ხაზით: ვარახრან I (274-276 წწ.), მისი ძე ვარახრან II (276-293 წწ.) და შემდეგ ნერსე (293-302 წწ.). ტახტის მემკვიდრეობა მომავალში ნერსეს ხაზით გრძელდება, ხოლო ჰორმიზდ-არდაშირის შთამომავლობა საერთოდ ქრება ირანის პოლიტიკური არენიდან (211, 103, 105 სქელით)

„ქართლის ცხოვრების“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ზოროასტრი ქაბახს წარწერის მონაცემების ურთიერთ შეჯერების შედეგად

გავისხენით „ქართლის ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ, რომ შირიანის მამა იყო „ქასრე ანუ შირვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალანიანი, რომელი იცნობების არდაშირობით“. ხვდა ხაქმეა, რომ გვიანდელი შემატანე ერთ პიროვნებად აერთიანებს სამ სასანიან შაჰს: ბირველ სასანიან შაჰს არდაშირ პაპაკის ძეს, რომელმაც მართლაც „მოსრნა მეფენი აჟღალანიანი“ ანუ პართული არშაკიდთა დინასტია, სასანური ირანის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ შაჰს „ქასრე“-ხოლო ანუ შირვანსა და შაბურის მომდევნო შაჰს, მისხავე ვაჟს ჰორმიზდ-არდაშირს.



სრულიად აშკარა ხდება, რომ ამაზახსების მოკვლის შემდეგ, სწორედ ირანის მიერ მიხედვით ინსპირირებული, ქართლის ტახტზე ადის სასახური შტო: კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ „სომხეთის უფლისწული“, ამაზახსების დისშვილი, რომელსაც ქართული წყაროები რევის სახელით იცნობენ, სინამდვილეში არის ირანის შაჰის პორმიზდა-არდამირის შვილი, შესაძლოა, იგივე პორმიზდაკი. საგარეოდ, რომ სწორედ ამიტომ აღარ ჩანს ის მამის გარდაცვალებას შემდეგ სასახიანთა სასახლის კარზე. პორმიზდაკი/რევი, როგორც ჩანს, მისი დედის არასახიანური წარმოშობის გამო, ჩამოაცილებს ირანის ტახტს და საუფლისწულოდ სასახური ირანის „წრიდლოეთის პროვინცია“ მისცეს. „ქართლის ცხოვრება“ სწორად გადმოგვცემს მისი საგამგებლო ტერიტორიის მოცულობას (თუმცა ერთმანეთში ურევს რევისა და მისი ვაჟის მირიანის ბიოგრაფიის ფაქტებს) აქ ჩამოთვლილია ქართლი, სომხეთი, რანი, მოვაკანი და პერეთი. შესაბამისად, სულ სხვა უღურადობას იძენს მირიანის ბიოგრაფიის ფაქტები (მისი გათვალისწინებით, რომ მასში შერწყმულია მისი მამის რევისა და საკუთრივ მირიანის „ცხოვრების“ ინფორმაცია.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ამაზახსების შემდგომი მეფე ქართლში არის რევი, ამავე დროს მანას მოწადის მარ ამოს მიმოსვლების ამღწერი ძველირანული ტექსტის ერთ-ერთი ფრაგმენტიდან ვგებულობთ, რომ გარუჩანის ქვეყნის (იბერიის) მეფე 272 წლისათვის არის HBZA (236, 6), რომელსაც მ. წოდებულია სრულიად გაუმართლებლად აიგივებს ამაზახსთან. საქმე ისაა რომ მანას ცხოვრება ანუ მანიქვეულობა წარმოადგენს ერთ-ერთ ადრე-ქრისტიანულ - ბაბტის-

\* უნდა აღვნიშნოთ, რომ პერცველდი, არმაზისხევეში ნაბოენი თახის წარწერის მიხედვით, საღაც მოხსენებულია ბატიანში ბაბაკი, ფიქრობდა, რომ ეს ბაბაკი შაბურ I-ის ვაჟი და ქართლის მეფე მირიანი შეიძლება ყოფილიყო, რომელსაც ვითომდა იცნობდნენ დედის გვართი - მირიანი (245, 155-156). ამ ბოლო ხანებში წარწერა, რომელიც იკითხებოდა: „ბაბაკ ბიტიანში ღვთაებრივი არდამირისა“ (235, 49-57), გასწორდა და წაკითხულ იქნა როგორც „ბაბაკ ბიტიანში, ძე არდამირისა“ (210, 63), რაც უკვე გამოირჩევა საკითხის პერცველდისეულ ინტერპრეტაციას.

\*\* გავიხსენოთ „მირიანის ცხოვრების“ ცნობა, თუ როგორ წამოიძახებს მირიანს მისი ირანელი ძმა, რომ მირიანის დედა ვითომდა მხეველი ქალი იყო. სინამდვილეში, წყაროში ხაზგასმული უნდა ყოფილიყო, აღბათ მისი მღაბით წარმოშობა სასახური საგვარეულოს ქალებთან შედარებით, რაც უკვე გვიანდელი შემატანისთვის ამ ქალის მხეველად გააზრების საფუძველი გახდა.

ტურ სექტას. ის მქიდროდ უკავშირდებოდა სხვა მსგავს იუდაურ-ქრისტიანულ გნოსტიკურ სექტებს. მარ ამოს წარწერის ფრაგ-მენტიდან აშკარაა, რომ ზემონსუნებული ქართლის მეფე მისი მოძღვრების გამზიარებელი და მისი მიმდევარი გამხდარა. ამაზახსპის შესახებ ჩვენ არავითარი მსგავსი ცნობა არ მოგვეპოვება ქართულ წყაროებში. სამაგიეროდ, მისი მომდევნო მეფის რეგის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს: „ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ქირვეულთა: რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე საზარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი. და ამან მეფობასა შინა მისსა არღარა-ვის უტევა ქართლსა შინა ყრმათა კლევა, რომელსა-ივი ამისსა უწინარეს და პირველ კერპთა მიმართ შესწირვიდეს მსხვერპლად ყრმათა; და ვიდრე ივი იყო მეფედ, არღარა-ვინ კვლიდა ყრმათა კერპბათვის, არამედ ცხურისა და ზრონისა შეწირვა განუწევა. ამისთვის ეწოდა მას რევ მართალი“ (14წ, 58). ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, აშკარა უნდა იყოს, თუ ქართლის რომელ მეფესთან მოსულა მარ ამო და ვისთვის უქადაგია თავისი მოძღვრება. აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. მ. ანდრონიკაშვილი, როდესაც სახელ „რევს“ განიხილა, აღნიშნავს, რომ ის უნდა იყოს შემოკლებული ფორმა კომპოზიციისა „რევ ნიზ“, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც სიცრუის დამამხობელი (რევ ირანული სიტყვაა და ცრუს, ვერაგს ნიშნავს ნ. 490-491). მკვლევარი აქვე აღნიშნავს, რომ ქართული „მართალი“ ამ „რევნიზის“ თარგმანი უნდა იყოს: მაშ, რევი (ისევე, როგორც ქართული შესატყვისი „მართალი“) აღნიშნული მეფის ზედსახელია, როგორც „ვაჩე“ მირიანისთვის. მისი ოფიციალური სახელი კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჰორმიზდაკი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა სწორედ ამაზე მეტყველებს წარწერის HBZA-ა, სადაც „ბაზა“ ქართლში ფარნა-ვაზიანთა დინასტიის მეფეების რელიგიური ზედწოდების „ფარნა-ბაზა“-ს მეორე შემადგენელი სიტვაა, რაც შეეხება „H(a/o)“-ს, ის არ არის გამორიცხული, სახელი „ჰორმიზდის“ წინა ახოს აღნიშნავდეს.

ერთი რამ სრულიად ცხადია, მარ ამოს ქართლში მოხლას ხანისთვის - 272 წ. ქართლში მეფობს ქართლის მეფის ამაზახსპის დისწული, „სომხეთის მეფისა“ და ირანის შაჰის ჰორმიზდ-არდა-შირის ვაჟი, შესაძლოა ჰორმიზდაკი, რომელიც უკვე მის მიერ მანი-ქველური მოძღვრების შეწყყნარებისა და ქვეშევრდომების მიმართ გამოჩენილი ღმობიერება-სამართლიანობის გამო, ქართულ წყაროებში ცნობილია მეტსახელით რევ(ნიზ) ანუ „მართალი“. შესაბამისად, 260-იანი წლების ბოლოს ქართლში მკვიდრდება სასანიანთა შტო.



„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არდაშინის ძედ მირიანის გამოყვანილი და არა რევი, თუმცა „მოქცევაჲს“ გათვალისწინებით აშკარაა, რომ მირიანის მამა რევი. ეს უნებლიე შეცდომა მომდინარეობს მემატიანის იმ მთავარი შეცდომიდან, როცა მან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ორი პარალელური ქრონიკის იდენტურობა ვერ შეამჩნია და სამი მეფე გააორმაგა. მემატიანეს ჰქონდა ინფორმაცია სასანიანთა (ხოსროიანთა) ქართლში დამკვიდრებისა და მირიანის სასანიანობის შესახებ, მაგრამ, ვინაიდან დაეკარგა უშუალო კავშირი მირიანსა და მის მამა რევს შორის, პირველ სასანიანად მირიანი წარმოიდგინა. ასე შეერწყა ერთმანეთს „რევის ცხოვრებისა“ და „მირიანის ცხოვრების“ ინფორმაცია.

ამგვარად, ვინაიდან მარ ამოს რეგ-მართალი უკვე დახვდა ქართლის მეფედ, ის უნდა გამეფებულიყო არა უგვიანეს 260-იანი წლების ბოლოსი. ჩვენი ვარაუდით კი - უფრო 263-65 წწ-ში. ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს: ამაზასპი, მართალია, დაჰყოლია იმ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებას და შაბურის მბრძანებლობა უღიარებია (ეს კავშირი იბერიისა ირანთან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქორწინების გზითაც განმტკიცდა - ამაზასპის და დაქორწინდა შაბურის ვაჟზე ჰორმიზდ-არდაშინზე), მაგრამ რეალურად ის მაინც რომის მომხრედ რჩებოდა. ამაზასპის ამგვარი, ირანის თვალსაზრისით „ორქოფული“, ბოზიცია აშკარად გამოვლინდა შაბურის მიერ რომის იმპერატორის ვალერიანეს დატყვევებისას. ვალერიანეს ბიოგრაფის ცნობით შაბურ 1-ს ამ ფაქტთან დაკავშირებით წერილები გაუგზავნია სხვადასხვა ქვეყნების მმართველებისთვის და იბერებს აშკარა ურჩობა გამოუჩენიათ ირანის მბრძანებლის მიმართ: „ხოლო ბაქტრიელებმა, იბერებმა, აღბანელებმა და ტავროსკვითებმა არ მიიღეს საბორის წერილები, არამედ მისწერეს რომაელ მხედართმთავრებს და შეჰმირდნენ დამხმარე ჯარის გამოგზავნას ვალერიანეს ტყვეობიდან დასახსნელად“ (107, 40-41). იმპერატორ ვალერიანეს დატყვევება უშუალოდ უსწრებდა წინ ზოროასტრი ქაბაბას წარწერას. ამდენად, მიუხედავად წარწერაში ამაზასპის მიერ დაკავებული საპატიო ადგილისა (ის ხომ ირანის ტახტის მემკვიდრის ცოლის ძმა იყო), შაბურმა მას „ღალატით“ არ აპატია. ჩვენი აზრით, ამ წარწერის შემდგომ ამაზასპს დიდხანს აღარ უნდა ემეფა. შაბურის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე, იშაჰად სომხეთის მეფე ჰორმიზდ-არდაშირი შაბურის ბრძანებით შეიქრა ქართლში, ბრძოლაში მოკლა ქართლის მეფე ამაზასპი და ტახტზე თავისი ვაჟი რევი (ჰორმიზდაკი) აიყვანა.



ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამაზახსში ვახდა არა რომისკობის მისი მოკავშირეების, არამედ, პირიქით, ირანისა და იმუჰამად ირანის დაქვემდებარებაში მყოფი ხანელმწიფოების (ეგრისი, სომხეთი) ერთიანი სამხედრო ოპერაციის მსხვერპლი. ამაზახსს რომ სწორედ ირანი და მისი მომხრე (ან მასზე დამოკიდებული) ძალები უპირისპირდებოდნენ, ეს კარგად ჩანს ამ კოალიციაში აღიანების (ოვსნი) მონაწილეობით. გავისხენოთ, მოსე ხორენელის მიხედვით, სომხეთის მეფე ხოსრომ აღიანთა (მოსეს მიხედვით ხაზართა) მათივე ტერიტორიაზე დამარცხების შემდეგ, აღმართა წარწერა იმის ნიშნად, რომ ის რომის ქვეშევრდომობას აღიარებდა (171. 154). აღიანები აღნიშნულ პერიოდში მოქმედებენ როგორც პროირანულად გაწყობილი ძალა. ირანის მხრიდანვე უნდა ყოფილიყო ინსპირირებული აღიანების ზემოთ აღწერილი თავდასხმაც ქართლზე, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, ამაზახსში სომხეთის მეფისა და ეგრისის დახმარებით მოიგურია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „მირიანის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ფაქტი ვითომდა მირიანის კამათისა ნახევარძმასთან ირანის შაჰის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე სინამდვილეში რევის, იგივე ჰორმიზდაკის კამათია ბიძებთან უკვე ჰორმიზდ-არდაშირის გარდაცვალების შემდეგ, ანუ 274/75 წწ-ში. ქართლის მეფედ დადგენილ (დაახლ. 265 წლიდან) ჰორმიზდაკს, როგორც არასასანიანთა საგვარეულოდან გამოსული დედის შვილს, უარი ეთქვა სასანიანთა ტახტის მემკვიდრეობაზე და მას და მის შთამომავლობას საუფლისწულოდ გამოეყო ქართლი და მიმდებარე ქვეყნები. ფაქტია, რევი (ჰორმიზდაკი) შედარებით ახალგაზრდა ასაკში უნდა გარდაცვლილიყო, რადგან მისი ვაჟი მირიანი ტახტზე ავიდა ყმაწვილი-ვაჩე - შვიდი წლის.

მირიანს ტახტის განსამტკიცებლად შერთეს ქართლის წინამეფის ამაზახსის (და არა ასფაგურის, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, დაახლ. 338 წლიდან მეფობდა) ქალი აბეშურა, რომელიც მანამდე, რევის ქართლში მმართველობის ხანაში სამშვილდეში იზრდებოდა და მირიანს მამის ბიძაშვილად ერუებოდა. აბეშურას ასფაგურის ასულად გამოცხადება ისევ და ისევ შემაბთანის იმ მთავარი შეცდომიდან მოდის, რომ მან მირიანისა და ვახეს სწვადასწვა პიროვნებებად გააზრების გამო მეფეთა რიგი გააღორძაგა და უშუალოდ მირიანისა და მისი მამის რევის წინამორბედ მეფედ ამაზახსის ნაცვლად ასფაგური მიიღო.

შესაბამისად, მირიანი მონაწილეობას მიიღებდა ნისიბინის ბრძოლაში. ირანის შაჰი ნერსე ხომ მისი ახლო ნათესავი იყო და



თავად მირიანც ირანის ერთიანი სახელმწიფოს ერთ-ერთი ჩრდილოეთის პროვინცია-საფეოდალურ სფეროში მმართველ მფეედ აღიქმებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ახალ უღერადობას იძენს „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მირიანს სასანური ქონების გაყოფისას წილის სახით გადაეცა ჯაზირეთი (შუამდინარეთი), შამის ნახევარი (სირიის ნახევარი) და ადარბადაგანი. თავისთავად არაფერია საოცარი იმაში, რომ რეკ-პორმიზდაკისათვის და მისი მემკვიდრეებისთვის მათი ირანის ტახტიდან ჩამოცილებისა და ქართლისა და მიმდებარე ქვეყნების საფეოდალურად გამოყოფასთან ერთად, გარკვეული კომპენსაციის სახით გადაეცათ შუამდინარეთიდან, სირიასა და ადარბადაგანიდან მომდინარე საერთო სასანური შემოსავლის ნაწილი.

დასასრულ, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციის აქ წარმოდგენილი ახლებური ვაზნების ფონზე სრულიად ახალი პერსპექტივა იხსნება III ს-ის არა მარტო ქართლის, არამედ ეგრისისა და საერთოდ სამხრეთკავკასიის ისტორიის შესწავლა-დამუშავების თვალსაზრისით.

## თავი VII

### „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა და პირველი შედგენილი მემბტიანის მოღვაწეობის პერიოდი

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის საკითხი ახალ ქრილში წარმოიხდება.

ამკარაა, რომ სრულიად უმიზეზოდ იყო აქამდე უგულებელყოფილი „ქართლის ცხოვრების“ ანდერძ-მინაწერი, რომელიც გვაუწყებს, რომ: „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგსამდე აღიწერებოდა უამით-უამად“. მართლაც, როგორც დავრწმუნდით, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ გორგასლამდელი ნაწილი შედგება ცალკეული ქრონიკებისა და „ცხოვრებებისაგან“, რომლებიც უქვევლია, სხვადასხვა დროს დაიწერა, სხვადასხვა ავტორთა მიერ.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმ ქრონიკების შესახებ, რომლებიც ეხებოდა ქართლის სამეფოს წინაქრისტიანულ პერიოდს. „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილში ამკარად გამოიყოფა ქრონიკები და „ცხოვ-



რებები“, რომლებიც გარკვეულ პერიოდამდე არსებობდა და მოკლე ვადებში კიდებლად და „ქართლის ცხოვრების“ პირველი შემდგენელი მუშა-ტიანის მიერ მოხდა მათი გადაბეჭვა და გადაკეთება ამ უკანასკნელის ისტორიული კონცეფციის გათვალისწინებით. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ამბავი“ ნაბუქოდონოსორისა და ქალდეველთაგან (მიდიის მეფე ყიადსარი) დევნილ „ჰონთა“, იგივე „იბერთა“// „ქართ-ველთა“ მ, 18, 28 სახლის ქართლში მოსვლისა და დასახლებისა. ეს მოთხრობა, რომელიც სინამდვილეში აზოსა და არმენის მეთაურობით სკვითურ-ინდოევროპული ხალხების სამხრეთ კავკასიაში მოსვლას გადმოგვცემდა, როგორც ჩანს, არამეულად (შესაძლოა ბერძნულ თარგმანშიც) არსებობდა, საკუთრივ ქართული და სომხური დამწერ-ლობის წარმოქმნამდე ან დამოუკიდებელი სახით, ან როგორც შემა-დგენელი ნაწილი აქემენიდური, თუ პართიული ხანის არამეულად და-წერილი მატეანისა. (გაგინხენოთ თუნდაც მარ აბასი და მისი თხზუ-ლება, რომელსაც მოსე ხორენელი სომხეთის ისტორიის უძველესი პერიოდის აღწერისას იყენებს და ეყრდნობა). სწორედ ეს ზემოთხ-სენებული მოთხრობა სხვადასხვა ეროვნულ-კონცეპტუალურ პრიზმაში გატარებული ვარიაციების სახით დაედო საფუძვლად როგორც ქართ-ულ, ისე სომხურ ისტორიოგრაფიაში ამ ხალხების უძველესი პერიოდის ისტორიის გააზრებას.

შემდგომი მონაკვეთი ესაა პირობითად „გამოსვლა ხაზართას“ სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული მოთხრობები, რომლებიც ძეგლობამდელი ქართლის ისტორიას ასახავს. ეს თავი ფაქტიურად წარმოადგენს ამბავთა კრებულს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ინფორმაციას სხვადასხვა ვარიაციებში. ესენია: 1. ა.) „ხაზართა“ ანუ სკვითურ-კიმერიული ტომების ჩრდილოეთიდან შემოქრისა და მათ მიერ ქართლის დაპყრობა-დახარკვის ამბავი; 2.) „თურქთა“ და „ჰურიათა“ ქართლში მოსვლის ამბავი, რაც თავისთავად, როგორც ზემოთ ვნახეთ, სკვითების ანუ „ჰონთა“ უკვე სამხრეთ-დასავლეთიდან ქართლში მოსვლის მოთხრობის სხვადასხვა ეპოქებში შექმნილი

\* ბერძნულ მწერლობაში აღნიშნული ინფორმაციის ვარიაცია - ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვე იბერთა პირინეის ნახევარკუნძულიდან ბონტოსპირეთში გადმოსახლება - ადგილობრივი მოსახლეობისაგან ზემბრისიტყვიერი გზით შეთვისებული ინფორმაციის უკვე ბერძნულ ნიადაგზე შექმნილი გადაშუ-შავებაა: ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილ „ჰონთა“// „იბერთა“ ქართლში მოსვლა მათ პირინეის ნახევარკუნძულიდან იბერთა გადმოსახლებად მიინიხეს, ვინაიდან იქ ეგულებოდათ კიდევ ერთი იბერია.



ვარიაციებია; \*\* II. ე. წ. „სპარსული ციკლი“: სპარსთა მიერ რამდენიმეჯერმე ქართლის დაპყრობისა და „ქართლოსიანთა“ სხვა კავკასიელებთან ერთად რამდენიმეჯგზის სპარსელებზე გამარჯვებისა და სპარსთა მორჩილებისაგან განთავისუფლების ამბავი. ეს „სპარსული ციკლი“, ჩვენი აზრით, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სპარსელებთან გადახდილი სამი მნიშვნელოვანი ბრძოლის ეპიზოდების მრავალგზისი ვარიაციებია. ამ ბრძოლათაგან პირველს ადგილი ჰქონდა აქ მოსულ „სკვით-ქართველებსა“ (რა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად) და მიდიის ლაშქარს შორის. ეს ბრძოლა მოხდა ადარბადაგანს (ცხადია, აღნიშნული გეოგრაფიული სახელი იმ უამად არ არსებობდა, მაგრამ ის უფრო გვიანდელი სახელწოდებაა იმ ტერიტორიის (ჩრდილო მიდია, მცირე მიდია), სადაც მოხდა ეს ბრძოლა და კავკასიელთა (თარგამოსიანთა) ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული სიუჟეტი თარგამოსიანთა ნებროთთან ომისა, ხალხური ზეპირსიტყვიერების წიაღში წარმოქმნილი ამ ბრძოლის მონათხრობის წიგნიერ ვარიაციას წარმოადგენს (ოდნავ განსხვავებული ვარიცია შემოგვინახა მოსე ხორენელმა ჰაიკის „მოდემის“ ბელთან ბრძოლის სახით). მეორე ომს ირანსა და „ქართლოსიანთა“ შორის ადგილი ჰქონდა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დაახლ. ძვ. წ. V ს-ის ბოლოს. ეს ბრძოლა აქემენიდების გამარჯვებით დასრულდა, რასაც აქემენიდთა მხრივ „სკვითთა“ ნაწილობრივ ქართლიდან განდევნა და აქ აქემენიდთა საკმაოდ ნაზგრძლივი ბატონობა მოჰყვა (ერისთავი არდამის და კიდევ ოთხი ერისთავის მმართველობის პერიოდი) და საბოლოოდ მესამე ომი, რომელსაც უკვე ფარსმან-ფარნავაზის პერიოდში დაახლ. ძვ. წ. 20-იანი წლების დასაწყისში უნდა ჰქონოდა ადგილი და ქართლის ირანისაგან განთავისუფლებით დასრულდა. აქ ჩამოთვლილი სამი ომიდან თითოეული მათგანი რომ რამდენიმე ვარიაციად გვეძლევა, ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნულ მონაკვეთში ამოვიღებთ ირანის მეფეთა სახელებს და მთელ მთხრობას შემატანის მიერ მოცემული კონკრეტულის გარეშე გადმოვცემთ. რაც შეეხება ირანის მეფეთა სახელებს, ჩვენ ისინი პირველი შემდგენელი შემატანის მიერ ჩაწერილ-ჩამატებულად გვესახება. მან რომ ეს იგივეობრივი ინფორმაცია ერთმანეთის შემდეგ

\*\* საკუთრივ პურიათა ანუ ებრაელთა ქართლში მოსვლის შესახებ ინფორმაცია კი, როგორც უკვე სათანადო ადგილას იყო განხილული, ბრატმან-ქარამის მეფობის ხანას და, შესაბამისად, ძვ. წ. 50-იან წლებს განეკუთვნება.





განაღობა და, შესაბამისად, როგორც განსხვავებული გარემოებები გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცა. აქ თვალსაჩინოობს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების მიხედვით „სპარსულ ციკლში“ ახასხულ ირანელთა მხოლოდ ბოლო ორი შემოსევის იდენტიფიკაციაზე ვსაუბრობთ, ვინაიდან ისინი ერთმანეთთან უფრო ახლო მდგომარეობაში არიან:

I. „შემდგომად ამისა რაოდენთაჲმე წელსწადთა კუალად გამოვჩაგნა (სპარსთა მეფემან) ძე მისი ... სპითა დიდითა სომქსთა და ქართველთა ზედა. ხოლო შეკრბეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მიეგებნეს და დაეწყვნეს ადარბადაგანს და აოტეს და მოსრეს სპა მისი. შემდგომად ამისა მცირედთა წელთა კუალად გამოვჩაგნა აშანვე (სპარსთა მეფემ) ძისწული მისი ... [ძისა] რომელ მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხივრებისა. წარმოემართა ესე ძე ... ვერ წინაღუდგეს მას სომქსნი და ქართველნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი. მოვლით ყოველი სომქსითა და ქართლით, მოტყუენა ყოველივე ... და დაუტყვნა ერისთავნი და აღაშენა ადარბადაგანს სახლი ხალოცაჲი სჯულისა მათისა და წარვიდა. და შემდგომად ამისა რაოდენთაჲმე წელსწადთა უცალით აქნა ... მეფე [სპარსთა] და იწყო ბრძოლად თურქთა, ეძიებდა სისხლსა მამისა მათისა და ბოვეს უამი სომქსთა და ქართველთა და განთავისუფლდნენ“ (145, 14-15).

II. „შემდგომად ამისა რაოდენთაჲმე წელსწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ... ვოლიათი იგი სახელთგანი. ხოლო ვერ წინააღუდგეს სომქსნი და ქართველნი, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი და მოელოდეს მოსვლასა მისსა. ხოლო მოვიდა რა იგი ადარბადაგანს, ეწია აშაგვი სპარსთა, რამეთუ მოკლეს მამის მამა მისი თურქთა და შემოვიდეს თურქნი სპარსეთად. მაშინ დაუტყვეა მან ბრძოლა სომქსთა და ქართველთა, შეიქცა თურქთა ზედა ძებნად სისხლსა მამის მამისა მისისა და განთავისუფლდნენ სომქსნი და ქართველნი“ (145, 16).

ერთიდაიგივე ინფორმაციის ვარიაციებს წარმოადგენენ „ქართლის ცხოვრების“ ამგვე ნაწილში დაცული ცნობა ქართლში ენათა სიმრავლისა და ამ ენათა შერწყმის შედეგად ქართულის წარმოქმნის შესახებ:

I. „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრავიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტყვეს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესავთგან შეიქმნა ენა ქართული“.

II. „და იყენეს ქართლსა შინა ესრეთ აღრუელ ესე ყოველნი ნათესავნი და ისრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხურნი, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა მამათა და დედათა“.

ამგვარად, ჯერ კიდევ ქართული დამწერლობის წარმოქმნამდე, ქართლის სამეფოში არსებობდა ქრონიკები, რომლებიც აერთიანებდა წიგნიერი (ბერძნული, ირანული მწერლობა) თუ წებინსიტყვიერი ვხით მოღწეულ ინფორმაციულ ნაკადს, რომელიც მოგვიტრნობდა ქართლში მეფობამდელ ხანაში მომხდარ ისტორიულ ფაქტებზე და მოვლენებზე. ეს ქრონიკები არსებობდა სხვადასხვა ვარიაციებში. „ქართლის ცხოვრების“ პირველი შემდგენელი-მემატიანე ვერ ამჩნევს რა მთელ რიგ შემთხვევებში ამგვარი ინფორმაციის იგივეობას, ცდილობს მოგვაწოდოს ეს ინფორმაცია საკუთარი კონცეფციისა და შესაბამისად ერთგვარად სახეშეცვლილი და ერთმანეთის შემდეგ გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული სახით.

ქრონიკების ვარიაციული ინფორმაციის ასეთი გადაბმის ტიპური და ნათელი მაგალითია „ქართლის ცხოვრების“ პირველ შემდგენელ მემატიანეზე ბევრად უფრო გვიან, XI ს-ში შექმნილი სუმბატ დავითის ძის თხზულება, სადაც ბიბლიური წიგნებიდან აღაძმოდან მოყოლებული სოლომონამდე გუნეალოციის გადმოწერის შემდეგ (აღამ შვა სეთ, სეთ შვა ენონ ... დან შვა სოლომონ, სოლომონ შვა შვიდნი ძმანი, რომელნი იგი მოსცნა ღმერთმან ტყვეობასა შინა) ტექსტში ერთმანეთს მოსდევს „შვიდი ძმის“ სომხეთსა და ქართლში მოსვლისა და დამკვიდრების ორი ვარიანტი, რომელიც, რა თქმა უნდა, ერთი ამბის, ერთი მოთხრობის ვარიაციებს წარმოადგენს და პარალელური ქრონიკებიდან არის ამოღებული:

I. „და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი სოლომონისანი, წარმოვიდეს ქვეყანით ფილისტიმით, ტყვეობით წარმოსულნი ჰურიანი, და მოიწივნეს ეკლესს წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელი იღეს. და დაშთეს იგინი ქუქყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს.“

და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატიონნი შვილის შვილნი არიან და ნათესავნი არიან მის გუარამისნი.

ხოლო ძმა მისი, სახელით საპაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა



სპასალარი და დაიბყრეს კამბეჩანი და დახსდეს ივინი მუნ რებად ზორნაბუჯს და ამა უამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა .... და მას უამსა კათალიკოსი იყო მცხეთას სამოელ“ (145, 373).

II. „და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამთარნიეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან, მოწვენილი ძმთა მისთა თანა, ასამს და ვარაზგარდს, რომელნი იგი ზემოთ ვახსენეთ. ესენი წარმოვიდეს ეკლესიით, რომელნი მონათლნა რაქაელ დედოფალმან, ძმანი შვიდნი ჰურიანი, ტყვეობით მოსრულნი ქუეყანით ფილისტიმით და ნათელ იღეს ეკლესს ზელითა რაქაელ დედოფლისათა, რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი: რამეთუ ერთსა სახელ სდგა მუშელ და ერთსა ბაგრატი, რომელ არს მამა ბაგრატიონთა, ერთსა აბგაგარ; ერთი შემოიყვანა სიძედ და ორნი მათგანი ამჴახნა სომხითის მეფეთა.

ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლოს, ვითა ზემოთ ვახსენეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად. და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან ბატონად კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას. და ამან დადგა საფუძველი ჯუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთას.

ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საპაკ დაემჴახა ბაკურის ძესა ნერსეს, ხოლო ასამ და ვარაზგარდ წარმოვიდეს კამბეჩონს და გარდაუქციეს ერი ვეყანს, ერისთავსა ბაპრამ წუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიბყრეს მათ კამბეჩონი. და იყო მას უამსა მცხეთას კათალიკოსი სამოელ“ (145, 374).

რა წყაროებით სარგებლობს მემატიანე, როდესაც ის ფარნავაზისა და წარმართ მეფეთა ისტორიას გვიყვება?

ქართლის ისტორიის აღნიშნული პერიოდის აღწერისათვის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მას ხელთ ჰქონდა „არმაზული ქრონიკა“, რომელიც ფარნავაზიანთა ანუ ქართლის სამეფო საგვარეულოს ისტორიას აღნუსხავდა მისი დამაარსებლიდან ფარსმან-ფარნავაზიდან (ფარნა-ბაზა) მოყოლებული ახ. წ. II ს-ის 20-იან წლებამდე და ფარსმან III-ის გამეფების აღნიშვნით თავდებოდა. ასეთი სახით გავცნო მას, ყოველ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების“ შემქმნელი მემატიანე.

\* ამ მეფეს, როგორც სამეფოს დამაარსებელსა და დინასტიის ფუძემდებელს ჩვენ ნუმერაციის გარეშე ვტოვებთ და ფარსმან I-ად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დაახლ. ძვ. წ. 40-30/25 წწ-ში მოღვაწე ფარსმან-ფარნაბაზას მივიჩნევთ. ანგარიშს ვუწვევთ აგრეთვე ტრადიციას, რომლის მიხედვით ქართლის ბირველი მეფის სახელი ფარნავაზს უკავშირდება, სახელწოდებას, რომლის ქართულ თარგმანს ხელ-მწიფე წარმოადგენს და რომელიც, როგორც უკვე ვაჩვენეთ, არმაზ-აპურამაზდას ერთ-ერთი სახელითაგანი იყო.



საკუთრივ „არმაზული ქრონიკაც“ არ იყო უკვე „ქართლის ცხოვრების“ შემატანიის ხანისათვის (VII-VIII სს.) ერთგვაროვანი: ის უნაწილისაგან შედგებოდა: 1. „ფარნავაზის ცხოვრება“, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს გარკვეულ შენაწავს „არმაზულ ქრონიკაში“ დაცული ცნობებისა ფარსმან-ფარნავაზის შესახებ და მეორე მხრივ, ქართლის პირველ ხელმწიფე-ფარნაბაზას შესახებ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიადაგზე აღმოცენებული გადმოცემების ადრევე მწიგნობრულად დამუშავებული ვერსიებისა. 2. საკუთრივ „არმაზული ქრონიკა“ და 3. „ფარსმან ქველის ცხოვრება“, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულად უნდა ყოფილიყო დარწმუნებული (გამოყენებულია გამოთქმა მითრიდატე ქართული, რაც მითრიდატე იბერიელის ქართული თარგმანია). აღნიშნული ქრონიკა ფარსმან III-ის (მითრიდატე V ფარსმანის ძის ვაჟის და, შესაბამისად, ფარსმან II-ის შვილიშვილის) მეფობის აღნიშვნით თავდებოდა. ფაქტია, მისი მეფობა-მოდერაწეობის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელს რაიმე ინფორმაცია ან ქრონიკის, ან „ცხოვრების“ სახით აღარ ჰქონდა. ამიტომაც მხოლოდ ზოგადი ფრაზით შემოიფარგლა: „ხოლო მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა“. სამაგიეროდ შემატანიის ხელთ იყო ჩვენს მიერ პირობითად „მცხოვრად“ წოდებული მატიანე. ეს მატიანე შედგებოდა ამაზასა ფარსმანის (IV ?) ძის „ცხოვრებისა“ და მასზე მამატებული ამაზასპის შემდგომი დროის მეფეების ცხოვრების მოკლე აღწერისაგან, რევიდან - ასფაგურამდე; ანუ იგი მოიცავდა დაახლ. 230-370-ანი წლების პერიოდს. ამ ორი ქრონიკის გადაბმის ადგილას შემატიანე უშეუბნებლად შეცდომას: მან ამაზასპი (რომელიც, შესაძლოა, ჩვენთვის ჯერ უცნობი ფარსმან IV-ის ძე იყო), ფარსმან III-ის ძედ და შემკვიდრედ გაიანზრა, ამიტომ პირდაპირ გადააბა ეს ორი ქრონიკა. ამის გამო ამოვარდა დაახლოებით 60-70 წლიანი პერიოდი. ამ შუალედში უშუალოდ ფარსმან III-ის შემდეგ არმაზის ბილინგვიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ მეფობდა ქსეფარნუგი (163; 125). აგრეთვე ვარაუდის სახით შეგვიძლია დავუშვათ ამაზასპის მამისა და მისი წინამორბედი მეფის ფარსმან IV-ის არსებობაც. აღნიშნული ხარვეზი შემატანიისთვის შეუძნეველი დარჩა, ვინაიდან მან რევის შემდგომი ხაში მეფე - მირიანი (ვაჩე), ბაკური და მირდატი გააორმაგა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქრონიკა თუ „ცხოვრება“, სამწუხაროდ, პირვანდელი სახით არაა ჩვენამდე მოღწეული. როგორც წიგნის სათანადო ადგილებში მათი ინფორმაციის განხილვისას ვაჩვენეთ, ამ თხზულებებმა განიცადეს გარკვეული დეფორმაცია.



უბირველეს ყოვლისა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი თუ „ცხოვრება“ დაიწერა წინაქრისტიანულ ხანაში, ქართულ-სლავურლობის შექმნამდე. შესაბამისად, ბერძნულად და არამეულად. ამგვარად, ბირველი დამახინჯება ინფორმაციამ უკვე მათი ქართულად თარგმნისას განიცადა. ბერძნულიდან და არამეულიდან თარგმნის შედეგია შეფეთა სახელების ფონეტიკური ვარიაციების სიმრავლე. მაგ.: ქართამი//ქარძამი. მ/თ ვარიაცია სწორედ არამეულიდან თარგმნის შედეგად უნდა წარმოქმნილიყო. სახელი „ქარძამ“ არამეული დამწერლობით მოგვცემდა „ქართამს“. ასევე ს/შ თანხმოვნების მონაცვლეობაც ქრონიკებში (მაგ. არსუკ/არმაკ) აგრეთვე ბერძნული დამწერლობიდან გადმოქართოლების შედეგი შეიძლება იყოს. არამეული ტექსტიდან მომდინარეობაზე მიუთითებს შეფეთა საკუთარი სახელების ვახშოვანებისას მიღებული ვარიაციები: ბარტომ/ბრატმან; ა(დ)რიკ//დერუკ//ადერკ/არტაჟ// არტოკ; არზოკ//არსუკ// არშაკ; კაოს// (ა)კოს.

ამგვარად, აღნიშნულ ქრონიკებსა და „ცხოვრებებს“ ბირველი დამახინჯება ქართულად თარგმნის პროცესში უნდა ვაჩვენებდეთ: შემდეგი ეტაპი დეფორმაციისა მათ მოგვიანებით გაიარეს „ქართლის ცხოვრების“ ბირველი შემდგენელი მემატიანის ხელში. ძირითადი შეცდომა, რომელსაც ჩვენი მემატიანე უშვებს, ესაა რიგ შემთხვევებში უნებლიედ თუ შეგნებით ქართლის შეფეთა მომხრე და მოწინააღმდეგე ძალების ერთმანეთში არევა. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ერთი მხრივ ფარსმან ქველის ცოლის ამაზახსუნისა და მისი ვაჟის მითრიდატეს და მეორე მხრივ, მათი მოწინააღმდეგის ადამ//ლადაშის ძის, სავარაუდოდ, აგრეთვე მითრიდატის (ფლავიუს დადესის ?) ტახტისთვის ბრძოლის ამბების თხრობისას. ასევე შეცდომაა „ამაზახსის ცხოვრებაში“, როდესაც სასანიანთა მიერ მოკლული ამაზახსი „სპარსთმოყვარეობისთვის“ მოკლულად გამოცხადდა.

ასეთ შემთხვევებში, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს მემატიანის მტკიცე მსოფლალქმასთან, რაც მისი ქრისტიანული და განსაუთრებით პრობერძნული ბოზიციიდან გამომდინარეობს. ამ კონცეფციის მიხედვით ბერძენთ მომხრეობა (ბერძენებთან კი ვაივივებულობა რომი) კარგია, სპარსთმომხრეობა - ცუდი, იმდენად ცუდი, რომ ამით შეფის მოკვლის გამართლებაც კი შეიძლება. არ უნდა დაგვაგონოვდეს ისიც, რომ მემატიანე თავისი დროის (VIII ს-ის დასაწყისი) გადასახედთან უყურებს ძველ ქრონიკათა ინფორმაციას. შესაბამისად, ეგრისის მეფე და მისი ერისთავები ქართლის ერისთავებად მიაჩნია; ამაზახსის პერიოდში სომხეთის მეფე რომ ირანელი უფლისწული იყო, მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, სამაგიეროდ დარწმუნებული იყო, რომ, თუ

სომხეთი და „დასავლეთის ხუთი ერისთავი“ ედგა სათავეში ამასხანის მმართველს წინააღმდეგ კოალიციას, მაშ, ეს კოალიცია ბრორომაულ//ბერძნული და ანტიბრორომაული უნდა ყოფილიყო და სხვ. მსგავსი.

აღნიშნულ წიგნში ჩვენს მიზანს არ შეადგენს „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთის განხილვა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასფაგურიდან ვახტანგ გორგასლამდე. მაგრამ, „ქართლის ცხოვრების“ საერთო სტრუქტურის მიმოხილვის თვალსაზრისით, მაინც აღვნიშნავთ, რომ ეს მონაკვეთი, როგორც ჩანს, მწყობრივი ქრონიკის სახეს არ ატარებდა. ცალ-ცალკე არსებობდა შეფუების მოკლე „ცხოვრებები“, რომელთა გადაბმვაში დაშვებულია ბევრი შეცდომა და უზუსტობა. მათ შორის მთვარი შეცდომა, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ესაა ვარაზ-ბაკურის ჩამოყვანა VI ს-დან IV-ს-ის 70-იან წლებში. ამიტომაც მოხდა, რომ, ვინაიდან ვარაზ-ბაკურისა ანუ ქართლის ბოლო მეფის ბაკურის ამბები ასფაგურის აღვიდას მოგვითხრო, შემატთანეს არაფერი დარჩა სათქმელი საკუთრივ ბოლო მეფე ბაკურზე და ეს ხარვეზი უკვე მუშანიკისა და ვარსკენის ამბების თხრობით შეავსო. მცდარად მიგვაჩნია აგრეთვე შემატთანის ცნობა 360-იანი წლების მირდატ//მირიბანის ბაკურის ძეობის შესახებ. ჩვენი აზრით, ბაკურ მირიანის ძის ვაჟები და ქართლის მეფეებია „ქართლის ცხოვრების“ შემატთანის მიერ ვარაზ-ბაკურის ძეობად მიჩნეული ფარსმანი, თრდატი და მირდატი, 360-იანი წლების მირდატ//მირიბანი კი, რომელიც ჩვენ ბეტრე იბერის ბაბად მიგვაჩნია მამის სახით, იყო რევ მირიანის ძის ვაჟი და არა ბაკურისა. ეს შეცდომაც და სხვა მსგავსიც შემატთანეს მოხდის იმის გამო, რომ მას ყოველი შემდგომი მეფე მისი ეპოქის გადასახედიდან წინა მეფის შვილი ჰგონია. სინამდვილეში, IV ს-ში და უფრო ადრე ქართლში მეფობა გადადიოდა არა მამიდან შვილზე, არამედ სამეფო ოჯახის უფროს წევრზე (150, 129-130; 129, 81; 178, 222).

ვახტანგ გორგასლის ეპოქის აღწერისთვის შემატთანეს ხელოვნურად აჯანყებდა აჯანყებულ მირიანის თხრობებს. აჯანყებულ აჯანყებულს, როგორც ცნობილია, მიეწერება „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნაწილის ავტორობა. ამის შესახებ ჩვენ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ანდერძ-მინაწერი: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა უამითი-უამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა აჯანყებულ აჯანყებულს, მამისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავსმან რევისმან, მირიანის ძისამან...“ (145, 246).

საქართველოს ისტორიაში ერთი წმინდა არჩილია ცნობილი — სტეფანოს III-ის (710-738 წწ.) ძე და ქართლის და ეგრისის



ერისმთავარი (738-761/62 წწ.) (140, 15-23). მიუხედავად ამისა, როგორაფიაში დღემდე არაა დადგენილი ჯუანშერის ბიოგრაფია და მისი მოღვაწეობის ხანა.

რაც შეეხება ჯუანშერს როგორც ისტორიკოსს, აქაც პრობლემის წინაშე ვდგავართ. ზოგი ავტორი მას მხოლოდ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერად მიიჩნევს; მეორენი კი ჯუანშერს „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ იმ მონაკვეთის ავტორად თვლიან, რომელიც ვახტანგ გორგასლის ვაჟის დაჩის ქრონიკით იწყება და „მატიანე ქართლისამდე“ მოდის (92, 241); მესამენი კი „ქართლის ცხოვრების“ ნაწილს მეფე დაჩიდან (დარჩილი/არჩილი) მოყოლებული ქართლის ერისმთავარ არჩილის წაშებამდე, ბირიქით, ფსევდო ჯუანშერიეულად მიიჩნევენ (199, 45; 176, 64).

თვალსაზრისთა ასეთი მრავალფეროვნების მიზეზია ის, რომ ჩვენ არ შემოგვრჩია აღნიშნული ბიოგრაფიასთან დაკავშირებით ერთიანი ისტორიული ტრადიცია. ჯერ კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილი ჯუანშერს ვახტანგ გორგასლის სპასპეტ ჯუანშერთან აიგივებდა და, შესაბამისად, მას ვახტანგ გორგასლის თანამედროვედ და V ს-ის მოღვაწედ მიიჩნევდა. ამ შემთხვევაში მას უნდა დაეწერა მხოლოდ ვახტანგ გორგასლის ცხოვრება (31, 33). ამავე თვალსაზრისს იზიარებს ვახტანგ ვილაძე (64, 42).

ივ. ჯავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა ვინაობისა და მათი მოღვაწეობის პერიოდის კვლევისას არ ირწმუნა ანდერძ-მინაწერის ინფორმაცია და ტექსტში არსებული ანაქრონიზმების საფუძველზე თხზულება XI ს-ში დაწერილად, მისი ავტორი კი, შესაბამისად, ამავე ეპოქის მოღვაწედ მიიჩნია (180, 189). ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა სანდოდ ჩათვალა ანდერძის ინფორმაცია და ჯუანშერის მოღვაწეობა VIII ს. მიაკუთვნა (17, 184; 136; 98).

ამჯერად ჩვენი მიზანია, განვიხილოთ ის ცნობები, რაც მოცემულია „ქართლის ცხოვრებაში“ ჯუანშერ ჯუანშერიანთან დაკავშირებით, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია მისი მოღვაწეობის ხანის დასადგენად, თანაც ის ამ კუთხით ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ არ განხილულა.

რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“ ჯუანშერ ჯუანშერიანის შესახებ? როგორც ზემოთ მოყვანილი ანდერძ-მინაწერიდან ირკვევა, ჯუანშერ ჯუანშერიანი ყოფილა არჩილის (წმინდა არჩილის) ძმის შირის ასულის ქმარი. ვარდა ამისა „ქართლის ცხოვრებაზე“ გვეუბნება, რომ, როდესაც არჩილმა ვითომდა გაუყო თავის ძმისწულთა ქმრებს ქართლის სამეფოს ტერიტორია, მის ერთ-ერთ სიძეს ჯუანშერ ჯუანშერიანს „რომელ იგი იყო ნათესავისაგან

მირიან მეფისა, შვილთაგან რევინათა... მისცა ჯუარი და სერკი ფოველი მთიულეთი, მანგლისის სევი და ტფილისი“.

აშკარაა, რომ ანდერძ-მინაწერის ჯუანშერ ჯუანშერიანი და ეს არჩილის სიძეთა ჩამონათვალში დასახელებული ჯუანშერ ჯუანშერიანი ერთი და იგივე პიროვნებაა. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ფაქტმა - მისი სამფლობელო ტერიტორიის ჩამონათვალმა. ჩვენ უცნაურად გვეჩვენა ის, რომ მისი სამფლობელო ამ ჩამონათვალის მიხედვით შედგება სერკის, მანგლისის სევის და, რაც მთავარია, ქ. თბილისისაგან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სიძე-ერისთავების საკითხს სპეციალურად შეეხო გ. მამულია. მისი აზრით, აღნიშნული პასაჟი ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, ანუ იქ ჩამოთვლილი „სიძეები“ მართლაც იყვნენ წმინდა არჩილის ძმის მირის ასულთა მეუღლეები (114, 123).

„ქართლის ცხოვრებაში“ მთელ რიგ შემთხვევებში, როგორც წიგნში არაერთხელ აღვნიშნეთ, „მამობით“, „შვილობით“, „ძმობით“, „ღობით“ და „სიძეობით“ ნათესაური კავშირების გარდა, რომლებსაც ეს ცნებები აღნიშნავდნენ, გადმოცემულია პოლიტიკურ ერთეულებს შორის ვასალობის (შვილი), სიუზერენობის (მამა), ან თანაბარი სტატუსის მქონე (ძმა) და ა. შ. დამოკიდებულებანი.

„ქართლის სამეფოს“ გაყოფა ორად ადერკის-არტოკის ხანაში გადმოცემულია, როგორც ზემოთ ვნახეთ, მამის მიერ ორ შვილს შორის ქვეყნის განაწილების მოთხოვნის სახით. „სიძეების“ ამბავიც აქ შემატყობის მიერ მოხმობილია იმისათვის, რათა აჩვენოს ქართლის სამეფოში ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სამთავროების თანაბარი სტატუსი და თანაბარი უფლებები საერისმთავრო ტახტის მიმართ. თუმცა ისიც აშკარაა, რომ თითოეული სამთავრო სახლი გარდა სისხლით ნათესაობისა მრავალგზის ქორწინებით იყო დაკავშირებული ფარნავაზიანთა საგვარეულოსთან, რაც მათ აძლევდა კიდევ ასეთი პრეტენზიის ლეგიტიმურ უფლებას.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე დაკვირვებამ ჩვენთვის აშკარა გახადა, რომ ჩამონათვალში მოცემული „სიძეები“ სრულფასოვან არ არიან ერთი ისტორიული ეპოქის წარმომადგენლები. მაგ. მესხეთე სიძე ვარაზმანი „სპარსთა ერისთავის ბარდაველის ნათესავი“ რანის მიპრანიდ მთავართა საგვარეულოდან, რომელმაც მიიღო მწითვად ტერიტორია კოტმანიდან ქურდის სევამდე, ცხოვრობდა VII ს-ის II ნახევარში და, ფაქტია, ვერ იქნებოდა წმინდა არჩილის სიძე, თუმცა ის ქორწინების გზით მართლაც იყო დანათესავებული ფარნავაზიანთა სახლთან (140, 22).



ჯუანშერ ჯუანშერიანის სამფლობელო ანუ ტერიტორია რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მას გადაეცა მწიფის ხანით, აშკარად მიგვითითებს, რომ ჯუანშერი არის ქართლის ერისმთავარი: ის ფლობს ქართლის დედაქალაქ - თბილისს.

თბილისთან ერთად მის მწიფეში დასახლებულია ზერკი და მანგლისის ზევი. საინტერესოა, რომ იგივე ტერიტორია დასახლებულია არაბულ წყაროებში, რომლებიც არაბების მიერ ქართლის დამორჩილებასა და ამასთან დაკავშირებით გაცემულ „დაცვის სიგელის“ ტექსტს გადმოგვცემს. ამ სიგელში, როგორც ცნობილია, დასახლებულია „კირმიზი ქართლის“ (წითელი ქართლი), მანგლისისა და თბილისის „ხალხი“. ამჟამად უკვე გარკვეულია, რომ „კირმიზის ქართლი“, იგივე არმაზის ქართლია, თუმცა დღემდე დაუდგენელია რატომ ასახელებს სიგელი ცალ-ცალკე ამ სამი თემის ხალხს (არმაზი, თბილისი, მანგლისი) მაშინ, როდესაც თითქოს ქართლის პატრიარქოსს და მისი სამფლობელოს მოსახლეობას ერთიანად უნდა მიეღო ეს სიგელი.

ს. ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს სიგელი „გაცემულია თბილისში დაბანაკებული ჰაბიბის მიერ ტფილისის მცხოვრებლებისა და „წითელი ქართლიდან“, მანგლისიდან თავმოყრილებისადმი. პირველი წრე ალბათ გულისხმობს შიდა ქართლს, რომლის სათავეში დგას პატრიარქოსი საჯდომით ტფილისში, ხოლო მეორე - ალბათ „ქართველთა საბიტიანშოს“, ე. ი. „გუგარეთს“, რომლის სათავეში ბიტიანში დგას რეზიდენციით მანგლისში“ (185\*, 364).

ეს თვალსაზრისი ვაიწიარა დ. მუსხელიშვილმა, რომელიც აგრეთვე მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მანგლისი ფიგურირებს როგორც ცალკე ერთეული და საბიტიანშოს ცენტრი (126, 28).

ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენ განსწავებული თვალსაზრისი ვგაქვს. თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისი, არმაზი და მანგლისი (იგივე თბილისი, მანგლისი და ზერკი) ფიგურირებენ როგორც „დაცვის სიგელში“, ისე „ქართლის ცხოვრებაში“ ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ მწიფეში მიღებული სამფლობელოს ხანით, აშკარად მიგვითითებს, რომ ეს ორი განსწავებული წარმოშობის წყარო რაღაც ორგანულად დაკავშირებულ ერთიან მფლობელობას აღნიშნავს.

ჩვენთვის სრულიად აშკარაა, რომ წმინდა არჩილის ხიძეთა ჩამონათვალში მოხსენიებული ფარნავაზიანთა რევიანთა შტოს წარმომადგენელი ჯუანშერ ჯუანშერიანი ქართლის ერისმთავარია. სწვანაირად ის არ შეიძლება ფლობდეს თბილისს. თუ როდის იყო ის ქართლის ერისმთავარი ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა მისი სამფლობელო ტერიტორია. როგორც



უკვე აღვნიშნეთ, ჯუანშერი თბილისთან ერთად ფლობს სერკს და მანგლისს, აგრეთვე „ყოველ მთიულეთს“. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უნიკალური ცნობა იმის შესახებ, თუ რა ტერიტორია იყო ქართლის ერისმთავართა უშუალო მფლობელობაში. გარდა მთიულეთისა, რომელიც ჩვენ რევიანთა საგვარეულო სამფლობელოდ გვესახება, როგორც ქართლის ერისმთავრის რანგში ჯუანშერი ფლობდა სერკს, მანგლისის ხევს და ქართლის დედაქალაქ თბილისს. ეს სამი გეოგრაფიული პუნქტი აღნიშნავდა ერთიან ქვეყანას, რომელსაც უშუალოდ ფლობდა და განაგებდა ის, ვინც ქართლის ერისმთავრის ტიტულს ატარებდა (თავის საგვარეულო სამფლობელოსთან ერთად - ამ შემთხვევაში „ყოველი მთიულეთი“). ამიტომაც არიან ისინი ერთად ჯუანშერის მფლობელობაში, ამიტომ ფიგურირებს ეს სამი პუნქტი ერთად არაბთა მიერ გაცემულ „დაცვის სიგელში“.

თბილისის ირგვლივ ქართლის ერისმთავართა უშუალო საგამგებლო ტერიტორია, რა თქმა უნდა, ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც თბილისი გადაედაქალაქდა და ჯერ ქართლის მეფეთა, ხოლო შემდგომ VI ს-ის 70-იანი წლებიდან ქართლის ერისმთავართა სატახტო ქალაქად იქცა. არმაზი-ხერკი და მანგლისის ხევი იყო ის სტრატეგიული პუნქტები, რომელთა ფლობა თბილისის მკვიდრად ფლობას გულისხმობდა და დედაქალაქისკენ სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მიმავალ გზებს კეტავდა.

ახლა განვიხილოთ საკითხი, თუ როდის შეიძლება ყოფილიყო ქართლის ერისმთავრად ჯუანშერ ჯუანშერიანი. „ქართლის ცხოვრება“ ამ სახელით მხოლოდ ერთ ქართლის ერისმთავარს იცნობს - წმინდა არჩილის ძეს, რომელიც ერისმთავრობდა VIII ს-ის 60-იან წლებში, დაახლოებით 762/763 წლიდან.

აშკარაა, რომ იგი არაა რევიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი, თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ჯუანშერი არჩილის ძეა. ჩვენთვის საინტერესო ჯუანშერის მამის სახელი კი ჯუანშერია.

დღემდე ჩვენამდე მოაღწია სასანური მონეტის მინაბამმა წარწერით „ᲘᲘ“ (ჯო). უკანასკნელ ხანებში ეს მონეტა სპეციალურად შეისწავლა გ. დუნდუამ და მივიდა სრულიად სწორ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ მონეტაზე ქართლის უცნობი ერისმთავრის სახელი ჯუანშერ//ჯონბერ უნდა იყოს დაქარაგმებული. ის აგრეთვე აღნიშნავს, რომ ეს პიროვნება ფრიად ხანშოკლე პერიოდის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ქართლის ერისმთავარი გურგენ//გუარამხა და სტეფანოზ I-ს შორის 90-91 წწ-ში (80\*, 45-46). ჩვენი აზრით, ჯუანშერს დაახ. 586-591 წწ-ში უნდა ეერისმთავრა.



„ქართლის ცხოვრებაში“ ბირდაბირი ინფორმაცია გურგენისა და სტეფანოს I შორის მცირე ხნით ჯუანშერის ერისმთავრობის შესახებ არ მოგვეპოვება. ითვლებოდა, რომ ეს ინფორმაცია მხოლოდ მონეტამ შემოგვინახა. სინამდვილეში ეს ასე არაა. თუ დაკვირვებით განვიხილავთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ჯუანშერ ჯუანშერიანის შესახებ, მივხვდებით, რომ სწორედ ეს ბიროვნება უნდა ყოფილიყო ქართლის ის ერისმთავარი, რომლის არსებობა უცილობელია ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე. მაინც რატომ ამოვარდა ის ერისმთავართა ჩამონათვალიდან და აღმოჩნდა წმინდა არჩილის „სიძეთა“ ნუსხაში, ანუ ქართლის მსხვილ საგვარეულოთა მიერ ქვეყნის სამეპკვიდრეო-სამფლობელოებად დანაწილების ამსახველ მოთხრობაში? ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: ჯუანშერი მართლაც მცირე ხნით ერისმთავრობდა, სულ რამდენიმე წელი. იგი იყო ერთადერთი წარმომადგენელი რევიანთა შტოდან, მისი შთამომავლები ერისმთავრები აღარ ყოფილან; მემატიანემ, როგორც ჩანს, ქრონიკებში მოხსენიებული მისი სახელი გააიგივა ქართლის ერისმთავარ ჯუანშერ II-სთან, წმინდა არჩილის ძესთან. ვარდა ამისა, მემატიანე, რომელიც ცდილობდა მის ხელთ არსებული ქრონიკების საფუძველზე აღედგინა მისგან რამდენიმე საუკუნით დაშორებული ეპოქა, ვერ გაერკვა წყაროთა მონაცემებში. ვითარება კი, ჩვენი აზრით, დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის მიერ ჯუანშერის გაერისმთავრება ბიზანტიისა და ქართლში ამ უკანასკნელის საყრდენი საგვარეულოს გორგასლიანთა კლარჯული შტოს - გურგენი, სტეფანოზი - წინააღმდეგ იყო მიმართული. 591 წ. ხოსრო II-ის მიერ ბიზანტიის კეისარ მაურიკიოსთან დადებული ზავის შემდეგ, როცა თვით ირანის შაჰი დაქორწინდა ქრისტიან დედოფალზე და ქართლი ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ გადავიდა, რევიანთა შტოს ერისმთავრობას ირანის სახით საყრდენი და მფარველი გამოეცალა და, ცხადია, ბიზანტიის მფარველობაში აღმოჩენილ ქართლში პრობიზანტიური საგვარეულოს გორგასლიანთა კლარჯული შტოს ერისმთავრობა აღდგა - სტეფანოს I.

ჯუანშერის გაერისმთავრებით უკმაყოფილონი დარჩნენ ქართლის დიდებული საგვარეულოები, მაგრამ ირანის შიშით აშკარად ამ უკმაყოფილების გამოხატვას მოერიდნენ. განსაკუთრებით კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკმაყოფილო იყო გორგასლიანთა კლარჯული შტო, ვინაიდან სწორედ მისი წარმომადგენლის გურგენ//გუარამის ვარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰმა ჰორმიზდმა ერისმთავრობა მის ძეს აღარ მისცა და რევიანთა საგვარეულოს



წარმომადგენელს ჯუანშერ ჯუანშერიანს გადასცა. ქართლის გამთავრებულ საგვარეულოთა წარმომადგენლები, როგორც ჩანს, მაინდამაინც ჯუანშერის „უფროსობას“ ვერ გუობდნენ და პროტესტის ნიშნად თავ-თავიანთ მამულებში ჩაიკეტნენ. ამ ვითარებას აღწერს ფაქტიურად „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი ფრაზა: „ვითარ იხილეს, რამეთუ ჯუანშერს უმეტესი ნაწილი მისცა, დაუძმძმდა მცირედ რამე სხუთა მათ“. სხვახაზიად მემატიანის ეს გამონათქვამი სრულიად გაუგებარია: რომ გადავაგლოთ თვალი სხვა „სიძეთა“ მფლობელობას, მივხვდებით, რომ არც ერთს საწყენი ტერიტორიის თვალსაზრისით არა ჰქონდა რა და ჯუანშერს სხვებზე მეტი ტერიტორია სულაც არ რგებია, უფრო პირიქით ითქმის. ამგვარად, მამულის მოცულობა არაფერ შუაშია, საქმე სწორედ ერისმთავრობაში იყო. ეს პატივი შეშურდათ დანარჩენებს. მაგრამ მემატიანის შეცდომის წყარო ჩვენ მაინც სხვა გარემოებაში გვესახება. მას, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ქრონიკიდან ეძლეოდა ინფორმაცია, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანი იყო არჩილ მეფის ძმის მირის ასულის ქმარი. მან კი ეს მეფე არჩილი წმინდა არჩილთან გააიგივა. იმიტომ, რომ სხვა არჩილი არ ეგულებოდა. ამიტომ გაჩნდა ანდერძ-მინაწერში განმარტება, რომ ჯუანშერი იყო ვითომდა „წმინდა“ არჩილის ძმისწულის ქმარი. ამგვარად, ბიროვნება, რომელიც მოღვაწეობდა VI ს-ის II ნახევარში და ერისმთავრობდა ქართლში VI ს-ის 80-იან წლებში გადატანილ იქნა VIII ს. 30-50-იან წლებში.

სინამდვილეში, ინფორმაცია ზუსტია, თუ ჩვენ მას სიტყვა „წმინდას“ მოვაცილებთ და მის ნაცვლად „მეფეს“ აღვადგენთ: „აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანს, ძმისწულის ქმარს (მეფისა) არჩილისაჲს, ნათესავსაჲს რევისსაჲს მირიანის ძისაჲს“. როგორც ვხვდავთ, აღნიშნული ინფორმაცია მშვენივრად ესადაგება VI ს-ის II ნახევარში მოღვაწე ბიროვნებას: ჯუანშერ ჯუანშერიანი რევიანთა შტოს წარმომადგენელი, თბილისის, ზერკისა და მანგლისის მფლობელი, ანუ ქართლის ერისმთავარი VI ს-ის 80-იან წლებში იყო ვახტანგ გორგასლის ვაჟის მეფე არჩილის (დაჩი) ძმის მირდატის, იგივე მირის ასულის ქმარი. მთელი ეს აღრევა წარმოშვა იმან, რომ მემატიანე ვერ მიხვდა სახელების დაჩი/არჩილი, მირი/მირდატი იგივეობას და ჯუანშერი, არჩილ მეფის ძმის მირდატის (მირის) სიძე, VIII ს-ის შუა წლებში მოღვაწე ქართლის ერისმთავრის წმინდა არჩილის ძმის მირის სიძედ მიიჩნია. ასეთ ვითარებაში სულ სხვა ელფერს იღებს ინფორმაცია, რომელიც ჯუანშერს ვახტანგ გორგასლის ცხოვრების დაწერას მიაწერს.



ბიროვნებას, რომელიც ვახტანგ გორგასლის შვილიშვილის ქმრად გვევლინება, VI ს. 50-60-იან წლებში ქართლის სამეფოს გაუქმებისა და ქართული სახელმწიფოს ირანის მიერ დაპყრობის ხანაში (137) ქართველთა სულის მორალურად გამაგრებისთვის მართლაც შექმლო დაეწერა თხზულება, რომელიც მისი მეუღლის დიდი პაპისა და ქართლის ფაქტიურად უკანასკნელი ძლიერი მეფის ცხოვრების აღწერას ეძღვნებოდა. მაგრამ მას არ უნდა ეკუთვნოდეს ვახტანგ გორგასლის შემდგომი პერიოდის ამსახველი მატთანე. ყოველ შემთხვევაში, ქართლის ბოლო მეფის ბაკურის შემდგომ პერიოდს ანუ ერისმთავრობის ხანას არაბობამდე და მით უფრო წმინდა არჩილამდე ის უკვე ფიზიკურად ვეღარ აღწერდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერი საკმაოდ დაშორებულია ვახტანგის ეპოქას (დაახლ. 70-80 წწ.) და, ასე ვთქვათ, ვახტანგის შემდგომ მესამე, შვილიშვილთა თაობის წარმომადგენელია, ის, რა თქმა უნდა, ფლობდა მნიშვნელოვან პირველწყაროებს: თანამედროვეთა მოგონებებს, მონათხრობებსა და ჩანაწერებს, დოკუმენტურ მასალას, საოჯახო არქივს, რომელზედაც მას, როგორც სახლიკაცს ხელი მიუწვევებოდა. ამდენად „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ძირითადად სანდო ინფორმაციის შემცველია. სამწუხაროდ, საუკუნეთა განმავლობაში თხზულებამ განიცადა მნიშვნელოვანი გადაკეთება. ამ თვალსაზრისით ჩვენ გამოეყოფთ ორ ძირითად ეტაპს: I. VIII ს. I ნახევარი, როდესაც ჩვენთვის უცნობმა მემატთანემ პირველად გააერთიანა მის ხელთ არსებული ქართლის მეფეთა (ვახტანგ გორგასლამდე პერიოდის) ქრონიკები ანუ ის, რაც „იწერებოდა უამითი უამად“, მიუმატა მას ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რა თქმა უნდა, საკუთრივ მის მიერ გადაშუშავებული, წაუშმღვარა მას ქართველთა განსახლებისა და წარმოშობისადმი მიძღვნილი ისტორიულ-გეოგრაფიული შესავალი, რითაც, ფაქტიურად მოგვცა თავისი ეპოქის (VII-VIII ს-ის I ნახევარი) კავკასიის პოლიტიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა (138, 100-112) და საბოლოოდ მოიყვანა თხრობა VII ს-ის დასაწყისამდე ანუ აღწერა პერიოდი მეფე არჩილ II (დაჩი) ვახტანგის ძიდან სტეფანოზ I-ის ჩათვლით (იხილ. ქვემოთ). ამით, შეიძლება ითქვას, დასრულდა „ქართლის ცხოვრების“ შექმნის პირველი ეტაპი.

II. უკვე XI ს-ის მემატთანემ (შესაძლოა, ლეონტი მროველმა) ხელახლა გადაამუშავა უკვე არსებული „ქართლის ცხოვრება“. ანტიკური და სომხური ისტორიოგრაფიის მონაცემების საკუთარი გააზრების შედეგად, შეცვალა, როგორც უკვე ვნახეთ, თხზულების ძირითადი ქრონოლოგიური ღერძი, სტეფანოზ I-ის ერისმთავ-



რობის პერიოდში შეცდომით ჩასვა (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ შემთხვევაში მან გაიძეორა „მოქცევაჲს“ ქრონიკის ან მისი წყაროს (შეცდომა) ქართლში ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ლაშქრობის ამსახველი მოთხრობა. ამის შემდეგ ერთ ბიროვნებად გააერთიანა სტეფანოზ II ადარნასეს ძე და სტეფანოს III ნერსეს ძე და ამ სტეფანოზ II-სთან გაიგივებულ სტეფანოზ III-ს გადააბა მისი ოჯახის: მირის, არჩილის, ჯუანშერისა და მისი დის ცხოვრების თუ მათი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების ამსახველი ქრონიკები, რის შედეგადაც ამოუვარდა დაახლ. 70 წლის ისტორია; ასევე, ვერ შეამჩნია რა მათ შორის სხვაობა, ერთ მოთხრობად შეკრა VIII ს-ის I ნახევრის არაბი ამირების - მურვან იბნ მუშაშედის (მურვან ყრუ) და მასლამა იბნ აბდ ალ მალიქის შემოსევების ამსახველი ქრონიკები და საბოლოოდ თხრობა მოიყვანა საკუთარ ეპოქამდე („მატიანე ქართლისა“). ამავე დროს „ქართლის ცხოვრების“ მთლიან ტექსტთან ერთად გარკვეული ვადაამუშავება განიცადა „ვანტანგ გორგასლის ცხოვრებამაც“ (136, 103-104).

ახლა ისევ გვინდა მივუბრუნდეთ „ქართლის ცხოვრების შემქმნელ-შემდგენელი შემატიანის მოღვაწეობის ხანას. ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა ქრონიკებსა და „ცხოვრებებზე“: ბირობითად „არმა-ზულად“ და „მცხეთურად“ წოდებული ქრონიკები, ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება ვანტანგ გორგასლისა“, „ნინოს ცხოვრება“, ანუ „მოქცევაჲ ქართლისას“ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ვარიანტი, „ფარნავაზის ცხოვრება“, „მირიანის ცხოვრება“, „ამაზასპის ცხოვრება“, „ფარსმან ქველის ცხოვრება“, რომელთაც „ქართლის ცხოვრების“ ბირველმა შემქმნელმა შემატიანემ თავი მოუყარა და ერთიანი ისტორიის სახე მისცა. მთავარი შემკვერელი ამ თხზულებისა, რა თქმა უნდა, მისი შესავალი ნაწილია, რომელშიც ავტორი ჯერ თარგამოსიანთა, ხოლო შემდეგ ქართლოსისა და მის შვილთა და შვილი-შვილთა აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში განსახლების შესახებ მოგვითხრობს. თხზულების სწორედ ეს ნაწილი ავლენს, თუ რომელ ეპოქას განეკუთვნება თვით ავტორი.

„თარგამოსის“ ანუ „თარგამოსის სახლის“ კავკასიაში მოსვლის მოთხრობის წარმომავლობასა და შინაარსზე უკვე ვქონდა საუბარი, ამჟამად კი ვეცდებით წარმოვჩინოთ, თუ რა პრინციპით უდგება ავტორი თითოეული „ძმის“ წილხვედრი ქვეყნის საზღვრების განსაზღვრას.

„ქართლის ცხოვრების“ ამ შესავალ ნაწილში თავდაპირველად საუბარია კავკასიის მოსახლეობის საერთო წარმომავლობაზე, ხოლო შემდეგ მოცემულია მისი განსახლების სქემა ეთნარქების

მიხედვით. ასეთი თანმიმდევრობა ერთი შეხედვით იმის შთაბეჭედებას ქმნის, რომ ავტორს ამოსავლად აღებული აქვს კავკასიის მოსახლეობის ეთნო-გენეტიკური დაყოფის პრინციპი. სწორედ ამ ჭრილში გაიაზრებს აღნიშნულ სქემას ქართული ისტორიოგრაფია. სინამდვილეში, ჩვენ თუ „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილს ჩაუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ აქ კავკასიის ხალხთა დაყოფის სულ სხვა პრინციპია აღებული.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კავკასიელთა წინაპარს - თარგამოსს (თარგამოსი კი არის იგივე თოგორმა, გომერი და კიმირი, ანუ აქ საუბარია კიმირიულ-სკვითურ ტომებზე) წილად ხვდა ქვეყანა შექმდე საზღვრებში: „აღმოსავლეთით ზღუა გურგენისა, დასავლეთით ზღუა პონტოსი და სამხრით ზღუა ორეთისა და ჩრდილოთ მთა კავკასია ... განუყო თარგამოს ქვეყანა და ნათესავი თვისი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქვეყანისა მისისა მისცა ჰაოსს .... ზოლო ჰაოს დაემკვიდრა საყოფელსა მამისა თვისისა თარგამოსისათა და დაიბყრა ქვეყანა ჩრდილოთ, ვითა დამიწერია: სამხრით მითით ორეთითგან აღმოსავლეთით ვიდრე ზღუამდე გურგანისა და დასავლეთ ვიდრე ზღუამდე პონტოსა“ (145, 4). გურგანის ზღვა, კასპიის ზღვაა. ეს გეოგრაფიული სახელი პირკანის ზღვის გვიანი ფონეტიკური ვარიანტია. ის კი ჯერ კიდევ ჰეკატე მილეთელთანაა დამოწმებული. სახელწოდება კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე მდებარე პირკანის ქვეყნიდან მომდინარეობს. „გურგანი“ არაბებმა შეითვისეს „ჯურჯანის“ ფორმით. ამ სახელწოდების პარალელურად არაბულ სამყაროში კასპიის ზღვის აღსანიშნავად იხმარებოდა სახელწოდება „ხაზართა ზღვა“. „ქართლის ცხოვრების“ შემათიანე სახელწოდება „გურგანის ზღვას“ მხოლოდ კასპიის ზღვის სამხრეთ მონაკვეთის აღსანიშნავად ხმარობს, ზოლო მის ჩრდილოეთ ნაწილს „დარუბანდის ზღვას“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ, საერთოდ, კასპიის ზღვის სხვადასხვა სახელწოდებით მოხსენიება ფართოდ იყო გავრცელებული (200, 65; 193, 367; 227, 15)

დღემდე დაუდგენლი იყო გეოგრაფიული სახელების „ორეთის ზღვისა“ და „ორეთის მთის“ მნიშვნელობა. ივ. ჯავახიშვილი ამ სახელს „თერის ზღვით“ ასწორებს, თუმცა მისთვის ვაურკვეველი რჩება ასეთი ტბის ადგილმდებარეობა (179, 22-23). კ. ხარაძემ „ორეთის ზღვა“ როგორც ტერმინი აგრეთვე გადამწერთა შეცდომად მიიჩნია, ორეთის მთა კი აღმოსავლეთ სომხეთის ტაგროსთან გააიგივა (169, 20). ჩვენ დავადგინეთ, რომ „ორეთი“ სომხური ანალოგიური გამოთქმის „მიჯნეკირ“ (შუა ხმელეთი) იდენტური ცნებაა და მცირე აზიას აღნიშნავს. ორეთი - ორ ზღვას შუა მყოფი ხმელეთია. ორეთის



ზღვა, შესაბამისად, მცირე აზიის ზღვა, იგივე ხმელთაშუა ზღვაა. ორეთის მთა კი ტავროსის ქედია, რომელიც მცირე აზიას - ორეთს - სამხრეთ აღმოსავლეთიდან ემიჯნება და ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს (138, 102).

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ნაწილის მიხედვით შაოსის წილს ანუ სომხეთის ტერიტორიას დასავლეთიდან საზღვრავდა პონტოს, იგივე შავი ზღვა, სამხრეთიდან - ორეთის მთა და ზღვა, ანუ ტავროსის ქედი და ხმელთაშუა ზღვა; აღმოსავლეთიდან გურგენის ზღვა ანუ კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო და ჩრდილოეთიდან ქართლოსის წილი, ანუ ქართლის სამეფო. იბადება კითხვა, თუ რა საფუძველი უდევს სომხეთის აღნიშნულ საზღვრებში წარმოჩენას და როდის შეიძლებოდა ასეთი წარმოდგენა შექმნილიყო. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ავტორისთვის ამოსავალია არა სომხების ეთნიკური განსახლება, არამედ ის ტერიტორიუ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც არმენიის სახელწოდებით არსებობდა, როგორც ბიზანტიაში („არმენიკის თემი“. იმ საზღვრებში, რა საზღვრებშიც ის ჩვენ „ქართლის ცხოვრებაში“ გვეძლევა, აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეული VII-VIII სს-ის სინამდვილეა), ისე სასაზურ ირანსა თუ არაბთა სახალიფოში.

ეთნიკური დაყოფის პრინციპი არც ბარდოსისა და მოვაკანის წილის გადმოცემის დროსაა დაცული. ეს ასე რომ ყოფილიყო, „ქართლის ცხოვრებაში“ აღბანელებისთვის ერთი ეთნარქი იქნებოდა დასახელებული, ერთიანი აღბანური ტერიტორიით. მთავარი ქალაქის ბარდავის მიხედვით „ქართლის ცხოვრების“ შესავალში ცალკეა გამოყოფილი ბარდოსის წილი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს აღბანეთი: „მტკუარს სამხრით ბურდუჯის მდინართგან ვიდრე სადა შეკრებუიან მტკვარი და რანსი“ (145, 5). ზუსტად იმავე საზღვრებში - მდინარე ერაქსიდან ჰნარაკერტის სიმაგრემდე - ათავსებს რანს (სომხური აღვანი) მოსე კალანკატველი, რომელიც ამ შემთხვევაში იმეორებს მოსე ხორენელს (99, 26; 171, 106).

VI-VII სს-ში სამხრეთ აღბანეთი მიპრანიდების დინასტიის ხელქვეით ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა. ამას ბირველ რიგში მოწმობს მოსე კალანკატველის თხზულებაში დაცული პასაჟები, რომლებშიც გადმოცემულია აღვანთა მთავრის ჯუანშერის ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდები. თხზულებიდან ამკარაა, რომ ჯუანშერის სამთავრო არ მოიცავს მტკვრის მარცხენა სანაპიროს: „სწრაფად გავიდა თავის სამშობლოს საზღვრებიდან და გადავიდა მტკვრის იქითა მხარეს კაპიქანის ვაგარში“ (99, 91).





მიპრანიდების მფლობელობა რანში IX ს. დასაწყისში წყვეტს თავის არსებობას. ქალაქი ბარდავი V ს-ის II ნახევარში დაარსდა. ამდენად, ბარდოსის წილი რანი - დედაქალაქი ბარდავით, როგორც ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული ხუნანიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე ზოგადად, VI-VIII სს-ის რეალობაა. ისიც ცხადია, რომ ჩვენმა მემატიანემ არ იცის ბარდავის დაარსების დრო და ის უნსოვარ დროში დაარსებულად მიაჩნია. ის აგრეთვე არ იცნობს ქ. ვანჯახს, რომელიც ბარდავის ნაცვლად X ს. შუა წლებში ხდება რანის პოლიტიკური ცენტრი (194, 405), ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ გეოგრაფიული შესავლის ავტორი ბარდოსის წილში - რანში - მიპრანიდების სამფლობელოს გულისხმობს.

ისტორიული ალბანეთის ჩრდილოეთ მხარეს ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ალბანეთს კასპიის ზღვამდე მემატიანე მოვაკანს უწოდებს. ამ ქვეყნის სახელწოდება აღნიშნული ფორმით მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ძველმა ნაწილმა შემოგვინახა. X ს. არაბი ავტორი მასუდი, შირვანზე საუბრისას ახსენებს მუკანის სამეფოს, რომელიც X ს. დასაწყისისათვის შირვანის სამეფომ შეიერთა. ვ. მინორსკი სავსებით სამართლიანად თვლის, რომ ეს გეოგრაფიული სახელწოდება „ქართლის ცხოვრების“ მოვაკანს უნდა შეესაბამებოდეს. ამ დასკვნას მკვლევარი ისევე მასუდის თხზულების საფუძველზე აკეთებს. არაბი ისტორიკოსი ხაზვასმით აღნიშნავს, რომ „უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მისი პერიოდისთვის უკვე არარსეული, ადრე კავკასიის ძირში მდებარე მუკანია (რომელიც შირვანშაჰებმა დაიპყრეს), კარგად ცნობილი მუკანისაგან, რომელიც მდებარეობს ხაზართა ზღვის პირას“ (222, 191, 211). ამგვარად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში X ს-მდე მოვაკანის (მუკანის), როგორც პოლიტიკური ერთეულის არსებობა, არაბ ავტორთანაც დასტურდება.

მოვაკანის დასავლეთით ქართლოსის, ბარდოსისა და მოვაკანის წილხვედრ ტერიტორიებს შორის ჩვენი მემატიანე ჰეროსის ტერიტორიას ასახელებს: „...ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეებამდე, რომელსა აწ ჰქვია გულგულა“.

ჰერეთი, როგორც გეოგრაფიულ-პოლიტიკური ტერმინი მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე გვხვდება. ჰერეთი იმ ხაზღვრებში, რომელშიც ის „ქართლის ცხოვრების“ შესავალ გეოგრაფიულ ნაწილშია მოცემული, ბერძნულ-რომაული წყაროების კამბისენეს, სომხური წყაროების კამბიქს, იგივე ქართულ კამბეჩოვანს



შეესაბამება. „ვანტანგ ვორგასლის ცხოვრების“ მიხედვით პერეოვს ვანტანგის შეფობაში შევიდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. მაგრამ გადაჭრით იმის შტკიცება, რომ მომდევნო საუკუნეებში პერეოვი ყოველთვის ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, არ შეიძლება. სუმატ დავითის ძე VI-VII სს-ის მიჯნის ამბების თხრობისას აღნიშნავს: „და ოთხნი ძმანი მათნი (ივულისხმება ბაგრატიონთა საგვარეულო) მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ განაჩინეს ერისთავად ... ხოლო ძმა მისი, სახელით საჰაკ, წარმოვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს და სსუბანი იგი ძმანი ამათნი სახელად არამ და ვარაზგარდ წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სახალარი და დაიპყრეს კამბეჩანი და დასდეს ივინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს და ამაჟამადე შეილნი მათნი მთავრობენ მას შინა“ (145, 373). ეს ადვილი სუმატ დავითის ძესთანვე შორე ვარიანტში შემდეგნაირად უღერს: „ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საჰაკ დაემზახა ბაკურის ძესა ნერსეს, ხოლო ასამ და ვარაზგარდ წარვიდეს კამბეჩოანს და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“ (148, 281). ეს ცნობა მოსე კალანკატველთან ვაჰან და ვარაზ იოვანიანების კამბეჩოვანში მოსვლადასახლებების სახითაა გადმოცემული (99, 144). ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ, თუშტა სუმატ დავითის ძეს ეს ამბავი გუარამ კურაპალატის, ანუ 570-იან წლებში მომხდარად მიაჩნია, სინამდვილეში ამ ფაქტს ადვილი ჰქონდა, როგორც ტექსტიდანაც ჩანს, ნერსე ბაკურის ძის კახეთში მთავრობის ხანაში, VII ს-ის II ნახევარში. 670-იან წლებში კი ნერსე უკვე ქართლის ერისმთავარია (140, 17-20). ფაქტია, VI ს-ის II ნახევარში ვერავინ „გარდაუქცევდა ერს“ სპარსთა ერისთავს, ეს ამბავი, რა თქმა უნდა, VII ს-ის 60-იან წლებში მოხდა და უშუალო შედეგი იყო არაბთა შემოსევისა და მათ მიერ სასანური ირანის დამხობისა. ამგვარად, VII ს-ის 60-იანი წლებიდან პერეოვი (კამბეჩოვანი) დამოუკიდებელ სამთავროდ ყალიბდება. აქ დაშკიდრებული ძმები (იოვანიანები, თუ ბაგრატიონები ამას ამჟამად ჩვენთვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) VII ს-ის 60-იან წლებში კამბეჩოვანში თავისი ხელისუფლების გავრცელებისას, კახეთის მთავრისაგან - ნერსე ბაკურის ძე - იღებენ ფორმალურ უფლებას, მაგრამ უკვე VII-VIII სს-ის მიჯნაზე აღბანეთში - რანში ჰალიფა აბდ-ალ მალიქის მიერ ქალკედონური აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ისინი სხვა ალვან მთავრებთან ერთად მომავალში მონოფიზიტურ სარწმუნოებაში ყოფნის პირობას დებენ. VIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ლევონდი კამბეჩოვანს ალვანეთის (აღბანეთი) ნაწილად



მიიჩნევს (197, 92), ასევე იქცევა ანონიმური სომხური გეოგრაფია (227, 40). თუმცა მოსე კალანკატველის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ კამბეჩოვანი (კამბიჭი) ცალკე სამთავროა და ის უშუალოდ ალვანეთის საზღვრებში არ შექმნილი. ვავინსენოთ თუნდაც მოსე კალანკატველისეული განსაზღვრა ალვანეთის საზღვრებისა: მდინარე ერასხიდან (არაქსი) ჰნარაკერტის (ხუნანი) სიმაგრემდე. VIII ს-ის დასაწყისში, როგორც ჩანს, ჰერეთის სამთავრო ალვანთა სამთავროსადმი (რანი, ცენტრით ბარდავში) ვასალურ დამოკიდებულებაში იქცევა, რასაც არაბები უნდა უწყობდნენ ხელს. 703 წ-ს სწორედ არაბები აიძულებენ კამბეჩოვანის მთავრებს უარყონ დიოფიზიტობა და მონოფიზიტობას დაუბრუნდნენ. ამგვარად, „ქართლის ცხოვრებაში“ ასახული ჰეროსის წილი ანუ ჰერეთის (კამბეჩოვანის) სამთავრო ამჟამად VII-VIII სს-ის რეალობაა.

დასავლურ ქართული სახელმწიფო ეგრისი (კოლხეთი, ლაზიკა) მემატიანესთან მოცემულია ეგრისის წილის ხაზით: „ხოლო ეგრისს მისცა ქვეყანა ზღვისა ყურისა და უჩინა საზღვარი აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლინი, დასავლით ზღუა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადაც წარსწვდების წვერი კავკასისა“.

„ქვეყანა ზღვისა ყურისა“ ამჟამად აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთია. მდ. მცირე ხაზარეთისა მდ ყუბანია (138, 22). ძველი ავტორებიდან მემატიანე ერთადერთი ჩანს, რომელიც მდინარე ყუბანის სახელწოდებას ხაზარების სახელს უკავშირებს. თითქოს გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს X ს. არაბი გეოგრაფი მასუდი, რომელიც თავისი თხზულების ერთ ადგილას აღნიშნავს: „ხაზართა მდინარეს აქვს მეორე ტოტი, რომელიც ერთგის ნიტასის (პონტოს) ზღვას“ (222, 196). ამ შემთხვევაში არაბი გეოგრაფი, როგორც ჩანს, ხაზართა მდინარის ქვეშ სწორედ მდ. ყუბანს უნდა გულისხმობდეს და არა მდინარე ვოლგას, რომელსაც ჩვეულებრივ არაბები ამ სახელით მოიხსენიებენ.

დაღესტნის ანუ ლეკოსის წილის აღწერის დროს ქართველი მემატიანე ასახელებს დიდი ხაზარეთის მდინარეს, რომელშიც უეჭველად მდ. ვოლგა იგულისხმება. ცნობილია, რომ ეს მდინარე ხაზართა მდინარის სახელწოდებით IX-X სს-ის არაერთ არაბ ავტორს აქვს მოხსენიებული. ყუბანისა და ვოლგის „მცირე და დიდი ხაზარეთის მდინარეებად“ მოხსენიებით მემატიანე ზოგადად შემოხაზავს ხაზართა სამეფოს ტერიტორიას ვოლგისპირეთიდან აზოვის ზღვამდე და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთამდე.



ცნობილია, რომ ხაზართა სამეფო დაახლ. 651 წელს ჩამოყალიბდა. VII ს. 70-იან წწ-ში მის საზღვრებში უკვე შედიოდა აზოვისა და ვოლგისპირეთის ველები და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დიდი ნაწილი. IX ს-ის დასაწყისიდან ხაზართა სამეფო სუსტდება, თანდათან კარგავს თავის ტერიტორიას, ხოლო ამ საუკუნის 60-იან წწ-ში საბოლოოდ ეცემა (191, 171, 174; 67, 116-118).

ამგვარად, ჩვენი მემატრიანე ხაზართა სამეფოს მიჯნებად მდინარეების ვოლგისა და ყუბანის დასახელებისას უნდა ეყრდნობოდეს VII ს-ის II ნახ-VIII ს-ის მონაცემებს. ამასევე მიუთითებს ხაზართა უხსოვარი დროიდან კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე ერთადერთ ხალხად დასახვა (პაქანიკების მოხსენიება „ვანტანგ გორგასლის“ ცხოვრებაში აშკარად გვიანდელი ვლახაა - 136, 98-108).

„ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი მემატრიანე ეგრისის (ლაზთა) სამეფოს მდ. ყუბანის შესართავს, კავკასიონის ქედს, ლიხის ქედს და ლადოს (ფერსათის) ქედებს შორის ათავსებს. ძველი ბერძნული წყაროების თანახმად დასავლურ ქართულ სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაში ეკუთვნოდა. ამის მოწმობა უნდა იყოს კლავდიოს პტოლემეაიოსის თხზულებაში ამ რეგიონში მოხსენიებული „ტაძოსი“, რომელსაც მეცნიერები „ლაზოსად“ ასწორებენ და არიანესთან მოხსენიებულ ტობონიმს „ძველ ლაზიკას“ უკავშირებენ. არიანეს უცნობ, V ს-ის კომენტატორს მოცემული აქვს ამ ტობონიმის ახალი სახელწოდება - ნიკოფსისი. ნიკოფსისი მდებარეობდა დღევანდელი ტუაფსიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლ 40 კმ. დაშორებით და ზოგადად ძალზე ახლოა ჩვენს მემატრიანესთან მოცემულ ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის აღწერილობასთან (108, 39; 143, 53, 93; 207, 100-101).

ნიკოფსია ნაფსაის სახელწოდებით აფხაზეთის - დასავლეთ საქართველოს საზღვრებში აქვს მოხსენიებული 780-იან წწ-ში იოანე საბანისძეს (8, 59-60). საფიქრებელია, რომ ნიკოფსია აფხაზეთის შემადგენლობაში მაშინაც შედიოდა, როდესაც იგი ორი სამთავროს სახით ლაზიკის (ეგრისის) შეყვეს ემორჩილებოდა. იოანე საბანისძის თხზულება პირველი თარიღიანი ძეგლია, სადაც დას. საქართველოს აფხაზეთი ეწოდება. შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების“ გეოგრაფიული შესავალი, სადაც დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით ეგრისია მოცემული, ამ ხანაზე გვიან (VIII ს. 80-იან წწ.) ვერ შეიქმნებოდა.



„ეგრისის წილთან“ დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, მემატთანეს ისტორიული ზემო ქართლი ქართლმს სამეფოს განუყოფელ ნაწილად მიანნია. თუმცა, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ანტიკურ ხანასა და ადრე შუასაუკუნეების ბირველ საუკუნეში ეგრისის (კოლხიდა, ლაზიკა) შემადგენლობაში პერიოდულად შედიოდა ჭოროხის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის შესახებ ცნობები მოიპოვება სტრაბონთან, კლავდიოს პტოლემეა-იოსთან, ამიანე მარცელინისთან, ქართული წყაროებიდან უნდა დავასახელოთ „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულება „ამაზასის ცხოვრება“, რომლის მონაცემების ანალიზს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ აღნიშნულ დასკვნამდე მივყავართ.

ჭოროხის აუზი ეგრისის სამეფომ საბოლოოდ V ს. II ნახევარში ვახტანგ გორგასლის ხანაში დაკარვა. VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მიხედვით ზღვისპირეთი ჭოროხის სამხრეთით დაახლოებით რიზემდე მხოლოდ V-VI სს-ის მიჯნაზე ჩამოშორდა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს (131, 38) იმის მიუხედავად, რომ V ს-ის შემდეგ ზღვისპირეთში ჭოროხის სამხრეთით მდებარე ტერიტორია უკვე აღარ შედიოდა ეგრისის სამეფოს საზღვრებში, კლავდიოს პტოლემეაიოსის და ისტორიული ტრადიციის გავლენით ეს ტერიტორია მაინც ეგრისის სამეფოს საზღვრებში შეჰყავს VII ს-ის უცნობ სომეხ გეოგრაფს (227, 38-39). მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ მემატთანე ნაკლებადაა დამოკიდებული ისტორიულ ტრადიციასა თუ წერილობით წყაროებზე და მხოლოდ ავტორისდროინდელ ვითარებას ვადმოგვცემს. ამ შემთხვევაში მისი „ეგრისის წილი“ ყველაზე უფრო ახლოა VII ს.-VIII-ს-ის I ნახევრის ვითარებასთან.

დასასრულ, განვიხილოთ ქართლოსის წილი ანუ ქართლის სამეფოს საზღვრები, როგორც ამას შემოხანაგს ჩვენი მემატთანე: „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ზღვა პონტოსი; სამხრით მთა, რომელიც მიჰვების ბერდუჯის მდინარის თავსა და მთა, რომელიც მიჰვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი ვარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის და ჩრდილოთ საზღუარი ღადო. მთა მცირე, რომელ გამოვლის შტოდ კაკკასისაგან და მიჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქვიან ლისი და ამით შორის საზღუართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს“.

როგორც ჯერ კიდევ უამთააღმწერელს აქვს აღნიშნული, მდ. ბერდუჯი იგივე მდ. საგამია (146, 164) ანუ დღევანდელი ძეგამ-ჩაი

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ხოლო მთა, რომელიც იწყება ბერდუჯის ანუ ძეგამ-ჩაის სათავესთან და მოემართება შავ ზღვამდე, სინამდვილეში სამხრეთ კავკასიის ორ დიდ ქედს წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება ერთმანეთის გაგრძელებად იქნეს მიჩნეული, როგორც ამას ჩვენი მემატიანე გაიაზრებს. ამთავან აღმოსავლეთით მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფი ბამბაკ-ერეგნის ქედია, რომელსაც ჩვენი წინაპრები უბრალოდ მთას უწოდებდნენ. მეორე კი ტაოსა და კლარჯეთის, უფრო ზუსტად, მდ. ქოროხის ქვემო და ზემო ხეობების გამყოფი ქედია, რომლის გაგრძელებასაც პარხალის ქედი წარმოადგენს. მართალია, პარხალის ქედი უშუალოდ არ გადის ზღვამდე და ადგება პონტოს ანუ ლაზისტანის ქედს, მაგრამ არც აქ უშვებს ჩვენი ავტორი დიდ შეცდომას: როგორც ჩანს, ის პარხალის ქედის ზღვისპირა მონაკვეთად პონტოს ქედის იმ ტოტს გაიაზრებს, რომელიც დღევანდელი ფაზარის ანუ ათინას სამხრეთით დაახლოებით 12 კმ-ის დაშორებით უშუალოდ ადგება შავ ზღვას.

ღაღღს მთა იგივე ფუნსათის, დღევანდელი ტერმინოლოგიით მესხეთ-აჭარის ქედია. როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, ეს ქედი ქართლის ჩრდილო საზღვრად მიიჩნევა, რომელიც შემდგომ ლიხის ქედთან ერთად მიჯნავს ქართლის სამეფოს ეგრისისაგან. ნიშანდობლივია, რომ ღაღო მემატიანეს ქართლის ჩრდილოეთ მიჯნად მიაჩნია. ეს, პირველ ყოვლისა, იმ რეგიონზე მივითითებს, საიდანაც ის გეოგრაფიულ აღწერას აწარმოებს. მართლაც, ამ აღწერის წაკითხვის დროს ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მის ავტორს ხელში მსხვილმასშტაბიანი დაწვრილებითი რუკა უჭირავს და მას იყენებს მხარის გეოგრაფიული აღწერის დროს. „ქართლის ცხოვრების“ XIII ს. შუა წლების სომხური თარგმანის შესაბამისი ადგილი შემდეგნაირად უღერს: „მისცა ქართლოსს ჩრდილოეთის ქვეყანა: აღმოსავლეთით - ბერდუჯის მდინარე, დასავლით - პონტოს ზღვა, ჩრდილო მხრით - კავკასიის მთა; კლარჯეთი და ტაო ლიხამდის“ (147, ნ-7). „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, როგორც დავინახეთ, ტაო ქართლოსის წილშია ანუ ქართლის საზღვრებშია მოცემული, რაც იმის კარგი ილუსტრაციაა, თუ როგორ გავლენას ახდენს მისი დროინდელი ვითარება შუასაუკუნეების ისტორიკოსზე თუ მთარგმნელზე, რომელიც ძველ საისტორიო თხზულებას იყენებს.

ტაოს ქვეყანა, რომელიც ხანგრძლივად სომხეთის საზღვრებში იმყოფებოდა, VIII ს-ის ბოლოდან ისევ ქართლს დაუბრუნდა. ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც „ქართლის ცხოვრების“ გეოგრაფიული შესავალი ანუ მისი ძირითადი შემკვერელი ნაწილი VIII ს-ის შემდეგ ვერ შეიქმნებოდა. საფიქრებელია, რომ „ქართლის



ცხოვრების“ XI -ის შემსვებ-გამგრძელებელმა (შესაძლოა, ლეონტი მროველმა) აღნიშნული გეოგრაფიული შესავლის ძველი ტექსტი უცვლელად გადმოიტანა (ავტორი მხოლოდ მისი დროისთვის სახელ-შეცვლილ ტოპონიმებს განმარტავს), წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად ვაითვალისწინებდა მისდროინდელ პოლიტიკურ გეოგრაფიას და ტაოს ქართლოსის წილში შეიტანდა ისევე როგორც ამას „ქართლის ცხოვრების“ უცნობი სომეხი მთარგმნელი აკეთებს.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი შემატანე ასახელებს ლეკოსის და კავკასოსის წილს: „მისცა ლეკანს ზღვითგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომქეისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად და მისცა კავკასოს ლომქეის მდინართგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა დასავლით“.

მდ. ლომქეი მდ. თერგია. დარუბანდის ზღვა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კახეთის ზღვის ჩრდილო მონაკვეთია. ლეკოსის წილში კი კარგად ცნობილი მასკუტა (იგივე მასაგეტა) ქვეყანა უნდა იგულისხმებოდეს. მ. არტამონოვი VII ს-ში ამავე ტერიტორიაზე ხაზარების მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ბულგარულ-ჰუნურ სამთავროს ასახელებს (191, 184). აღსანიშნავია, რომ ასეთი ცვლილება ჩვენს შემატანიესაც აქვს დაფიქსირებული. „ხაზართა გამოსვლის“ მოთხრობაში ის აღნიშნავს: „მისცა მამის ძმისწულსა მისსა ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანის, აღმოსავლით ზღვითგან დარუბანდისით მდინარემდე ლომქეისა“ (145, 12).

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ შესავალში ეთნარქების წილის სახით სამხრეთი და ცენტრალური კავკასიის ძირითადი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებია შემოსაზღვრული. ამის შემდეგ შემატანე ასევე ქართლოსის შვილებისა და შვილიშვილების წილის სახით აღწერს უკვე საკუთრივ ქართლის სამეფოს ისტორიულ ქვეყნებს, რომლებიც შემატანიის ხანისათვის ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებს - საერისთავოებს - წარმოადგენდა. ამავე დროს თავს იჩენს უფრო ადრეული ხანის პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალიები (როგორც ჩანს, წყართა გავლენით), მაგ. მცხეთოსისა და მისი შვილების სახით, როგორც ზემოთ ვნახეთ, საქმე გვაქვს ორმეფობის ხანის მცხეთელ მეფეთა საგამგებლო ქვეყნის კონტურებთან. ამგვარად, კავკასიის აღწერას თხზულებაში მოსდევს საკუთრივ ქართლის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აღწერა.

„ქართლის ცხოვრების“ შესავალ გეოგრაფიულ ნაწილში მოცემული პოლიტიკურ-გეოგრაფიული სურათი არ გამოხატავს არც VII საუკუნემდე და არც VIII საუკუნის შემდგომ სამხრეთი და



ცენტრალური კავკასიის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ვითარებას და შეესაბამება VII-VIII სს-ის მიჯნას, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს VIII ს. I ნახევრისა. ამავე ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს „ქართლის ცხოვრების“ პირველი შემდგენელი მემატიაეც.

ავტორის აღნიშნული ეპოქისადმი კუთვნილებას ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტობრივი ანალიზიც.

ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ყველგან ირანის შაჰის სახელის - ხოსროს - ხმარების შემთხვევაში გვაქვს ამ სახელის ძველი არაბებამდელი ფორმა „ხუასრო“. ასევე იყო ეს, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ქრონიკებსა და „ცხოვრებებში“. ქართლის მეფეები მირიანის შემდეგ ხოსრო-იანებად იწოდებიან. პეროზის ნათლისღებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ნათელ იღო ფეროზ და ერმან მისმან. მოირთეს ძალი ზუასროთაგან და ეწყუნეს სომეხთა ჯავახეთს“ (145, 131). მემატიაე არ ცვლის ამ სახელის ფორმას თავის წყაროებში, მაგრამ თვითონ ყველგან „ქასრეს“ ხმარობს. მაგალითად, პირველ სასანიანზე არდაშირზე მემატიაე აღნიშნავს: „და ამის-ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარგან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალან-იანნი, რომელი იცნობების არდაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპართასა“ (145, 59); „ქასრედ“ იწოდება ირანის მეფე „მირიანის ცხოვრებაშიც“ და ვახტანგის შემდგომ მეფეთა ქრონიკაში, რაც უთუოდ ერთი მემატიაის სელს გულისხმობს. სად თავდება ამ მემატიაის თხრობა და სად იწყებს თავის თხზულებას უკვე ვვიანი (X-XI სს.) შემსვებ-გამგრძელებელი მემატიაე, არაა ძნელი შესაძინევი. პირველი მემატიაის თხრობა თავდება სტეფანოზ I-ის მოღვაწეობის ხანის აღწერით: „მას უამსა მანვე მეფემან ქასრე წარმოტყუენა იერუსალემი და წარიყვანა ძელი ცხოვრებისა; და შემდგომად ამისა აღიღო ღმერთმან ხელი წყალობისა ქასრესგან: შეიპყრა იგი ძემან თვისმან, შესუა იგი საპყრობილესა და მოკუდა სენითა ბოროტითა. ხოლო ამის სტეფანოზისზე მცნეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღონრდებოდა და კალა აშენდებოდა და ძმა სტეფანოზისი, სახელით დემეტრე, აღაშენებდა ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა, რამეთუ სენიცა იყო მის თანა ბოროტი და ვერ შემძლებელ იყო განშორებას კარსა ეკლესიისასა და სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა. და დაჯდა იგი ტფილისს და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა“ (145, 223).

აი, ამ შემაჯამებელი ფრაზებით ამთავრებდა მემატიაე თავის თხზულებას. რა გვაძლევს ამის მტკიცების საფუძველს?





მოყვანილი ციტატის შემდგომ იწყება ახალი მითხრობა, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის 223-228 გვერდებს მოიცავს და რომელსაც პირობითად, შეიძლება „ქართლში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების“ ამსახველი ქრონიკა ვუწოდოთ. მას კი მოსდევს სტეფანოზ III (710-738 წწ.) და მისი ვაჟების მირისა და არჩილის, აგრეთვე არჩილის ვაჟის ჯუანშერისა და მისი დის შუშანას ცხოვრების ამსახველი ქრონიკები. აქ „ქართლის ცხოვრების“ შემსგებ-გამგრძელბელი უშვებს უხეშ შეცდომებს: I. ჰერაკლე კეისრის მიერ თბილისის აღებისას ქართლის ერისმთავრად მიიჩნევს სტეფანოზ I-ს; ადარნასეს, სტეფანოზ I-ის ვაჟსა და მის შემდგომ ერისმთავარს კი ნერსე ბაკურის ძეში ურევს და კახური შტოს წარმომადგენლად წარმოაჩენს; სტეფანოზ III-სა და სტეფანოზ II-ს ერთ ბიროვნებად წარმოადგენს და აერთიანებს, რის შედეგადაც იკუმშება დაახლოები 70 წლიანი პერიოდი (140, 15-19). ასეთ შეცდომებს, რა თქმა უნდა, VIII ს-ის დასაწყისში, ან I ნახევარში მოღვაწე ისტორიკოსი ვერ დაუშვებდა. მაინც რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბირველი მემატიანის თხრობა ზემოთ აღნიშნულ ადგილას წყდება და ეს მთელი არეგ-დარევა მასვე არ ეკუთვნის? ჩვენი აზრით ასეთი ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბირველი მემატიანე საკუთარი თხრობისას ირანის შაჰის სახელს ხმარობს „ქასრე“ ფორმით, ამ, „ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობების“ ამსახველ ქრონიკაში კი „ხუასრო“ იხმარება. ისმის კითხვა, ხომ შეიძლება, ისევე, როგორც ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის“ ცხოვრებასა და „ქართლის ცხოვრებაში“ წყარობად გამოყენებულ ადრეულ ქრონიკებსა თუ „ცხოვრებებში“, ამ შემთხვევაშიც, მემატიანე უცვლელად ტოვებდეს თავის წყაროში „ხუასრო“ ფორმით ნახმარ ირანის შაჰის სახელს? ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც მემატიანეს ჰქონდა რა ხელთ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების ამსახველი ქრონიკა, ის შეცდომით ჩართო სტეფანოზ I-ის ერისმთავრობის ხანაში და ქრონიკაში მოცემული ირანის შაჰის სახელი „ხუასრო“, უცვლელად დატოვა? ვფიქრობთ, ამგვარი დაშვება გამორიცხულია შემდეგი მიზეზის გამო: „ქართლის ცხოვრების“ შემსგებ-გამგრძელბელი აღნიშნავს: „ხოლო ერეკლე მეფე შევიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო მეფე და შევიდა ბაღდადს და წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა“ (145, 227).

თუ ჩვენ ამ ადგილს „ქასრეს“ დაღუპვის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ბირველი მემატიანის ინფორმაციას შევადარებთ,



მივხედებით, რომ სოსრო II-ის სიკვდილის ეს ორი განსხვავებული გადმოცემა არ შეიძლება ერთსადაიმავე მემატიანეს ეკუთვნოდეს. სახელის „ქასრე“ ფორმისათვის უბირატესობის მიმნიჭებელი მემატიანე სწორ ინფორმაციას გვაწვდის სოსრო II-ის დაღუპვის შესახებ, „ხუასროს“ ვარდაცვალების ინფორმაციის მომწოდებელი კი ცდება. ამგვარად, ამჟამად, ხად თავდებოდა „ქართლის ცხოვრების“ I მემატიანის თხზულება და ხად იწყებს თავის მოღვაწეობას შემსუბუქამგრძელებელი. ჩვენს მიერ პირობითად „პერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობების“ ამსახველ თხზულებად წოდებული ქრონიკა საფუძვლად დაედო აღნიშნული მოვლენების აღწერას როგორც „ქართლის ცხოვრებაში“, ისე „მოქცევაჲი ქართლისაჲში“ (სწორედ აქ ვხვდებით ამ მცდარ ინფორმაციას: „წარვიდა პერაკლე და შემუსრა ბაღდადი და შეიპყრა ხუასრო მეფე“). ოღონდ როგორც „ქართლის ცხოვრების“ შემსუბუქ-გამგრძელებელი, ისე „მოქცევაჲი ქართლისაჲს“ შემდგენელი დამოუკიდებლად სარგებლობენ აღნიშნული ქრონიკით. რაც შეეხება ძირითად შეცდომას ვგულისხმობთ პერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობისა და ხაზარების მიერ თბილისის აღების ამბის სტეფანოს I-ის ხანასთან დაკავშირებას, ეს შეცდომა ორივე მემატიანეს წყაროში ეძლეოდათ და, შესაბამისად, მათაც ეს შეცდომა გაიმეორეს თავთავიანთ თხზულებებში.

დასახრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთ წიგნის სათანადო ადგილებში „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციების კვლევისას არაერთხელ დავრწმუნდით, „ქართლის ცხოვრება“ საოცრად მართალ და სწორ ინფორმაციას შეიცავს. ადრე შუახუკუნეების ქართველი მემატიანეები ყველანაირად ცდილობენ გაუყაღებელი ინფორმაცია მიაწოდონ შთამომავლობას. სხვა საქმეა, რომ ისინი ძველი ქრონიკების ინფორმაციას მათი ქრისტიანული ცოდნისა და წარმოდგენების პრისმაში ატარებენ. ვარდა ამისა ინფორმაციის ინტერპრეტაციისას მემატიანეზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მისი ეპოქის პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკური ცვლილებები. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში ქართლის სამეფოს მოკავშირეებსა და მოქიშპე-მოწინააღმდეგე სახელმწიფოებზე მსჯელობისას მემატიანე თავისი ეპოქისთვის დამახასიათებელი სიმპათია-ანტიპათიებით ხელმძღვანელობს, რის შედეგადაც რიგ შემთხვევებში მისდა უნებურად უშვებს შეცდომებს: მოკავშირეები მტრებად წარმოდგენია და პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მკვეთრად გამოხატული სუსტი ადგილი „ქართლის ცხოვრებისა“ და საერთოდ შუახუკუნეებრივი ქართული ქრონიკებისა, მათი აქილევსის ქუსლი ესაა ქრონოლოგია. ქართველი მემატიანეები, სწორად არა სწორად განაღა-

გებენ დროში მოვლენებს და ფაქტებს, რომლებსაც რეალურად პქონდათ წარსულში ადგილი, ამიტომაც მოვლენა, რომელიც მქონდა ერთი მეფის ან ერისმთავრის ზანაში, შეიძლება გადასმულ იქნას მისი ეპოქიდან წინ ან უკან ნახევარი, ერთი და ორი საუკუნითაც კი. ასეთი შეცდომებიდან არაა თავისუფალი ქრონოლოგიის ისეთი მოყვარული ისტორიკოსიც კი, როგორიც დავით სუმბატის ძეა. შეცდომების ძირითადი მიზეზი ქართლის მეფებსა და ერისმთავრებში წშირად განმეორებადი სახელებია. ამიტომ, როდესაც მემატიანეს თავისი ქრონიკა-წყარო ამა თუ იმ მოვლენაზე მოუთხრობს და ამ მოვლენასთან დაკავშირებით ასახელებს ქართლის რომელიმე მეფეს ან ერისმთავარს, მოთხრობილი ამბებიდან ეპოქალურად დაშორებული მემატიანე დიღემის წინაშე დგება, რომელი ადარნასეს, გუარამის, სტეფანოზის, ბაკურის, მირდატის და სხვათა დროს მომხდარად მიიჩნის აღნიშნული მოვლენა. ასეთ შემთხვევებში ის ყოველთვის როდი აკეთებს სწორ არჩევანს. განმეორებადი სახელების გარდა შეცდომების მიზეზი ხდება აგრეთვე ისტორიული სიტუაციის მსგავსებაც მაგ. ირანის მიერ ქართლზე განხორციელებული არაერთჯერადი მძლავრობით გამოწვეული სიტუაციების მსგავსება აბნევს მემატიანეს, რის გამოც ის ერთმანეთში ურევს ამაზასპის ცხოვრების ბოლო პერიოდის, ჰნწ წ-ის მეფე ასფაგურისა და ორი საუკუნით დაშორებული, 550-იან წლებში მოღვაწე ქართლის ბოლო მეფის ბაკურის (იგივე ვარაზ-ბაკურის) ცხოვრების ამსახველ ფაქტებს. სხვა მსგავსი მაგალითების მოყვანაც შეიძლება.

## SUMMARY

The book primarily explores the structure, sources and time of the oldest part of the Kartli Chronicles, (The so-called *pre-Kartli Annals*). As it happened, in Kartli, even before Georgian writing arose, collections of stories about Georgia from foreign sources were compiled by local scholars. It's natural that such information was not always accurate, for instance, the story of Alexander the Great invaded Georgia was taken from various Greek scribes. The reason for this is that in the original source the Caucasian Mountains and the Hindu-Kush Mountains were confused with each other.

It was a continual process gathering information from Greek and/or Iranian sources, so it was normal that these texts were full of personal names and geographical locations that were transcribed in the Persian manner. The same thing happened in the 6th-8th centuries when the Arabs took these names and locations and were further bastardized when transcribed back to the Georgian texts. For example, when Georgian scribes tried to report that the Huns were beaten back by the Chaldeians or that the Turks were defeated by the Persians, the mix-up of the transcribed names and events was clearly the fault of the misunderstood sources.

The first collector of the Kartli Chronicles compiled the various experts from the different sources, and when he got some additional information about a certain event, he denoted it according to the specific source. For instance, the information about Alexander the Great invading Georgia was obtained both by himself and by the author of "the conversion of Kartli", but here there is additional note saying that Alexander was the son of Niktaneb the Egyptian, and he points out that he has taken this information from as he calls it, "The Life of the Greeks" which has been revealed to be the "Alexanderiana" by Psevdo-Calistene. Thus he takes the different available sources, both local and foreign, created in different epochs, and sometimes he misinterprets one event, and duplicates it as if it were happening twice, at different times in history.

The typical examples is the story of Nebuchadnezzar II, the King of Babylon, and another King being Keorgh, King of Media pushing back



the Indo-European tribes of Skythians into Georgia, in Kherk (Armenian version). The story told by the author of "The Kartli Chronicles" is transformed here into three different historic events about the arrival of Kartlos and his brothers, then about the Jews being exiled by Nebuchadnezzar to Georgia, and finally some Turks chased by Kaikhosro that were then to settle in Georgia.

In my research I showed that this information was the basis for Moses Khorenatzis' story about Hike and Armen being the forefathers of Armenia, fleeing from Babilon. Also, the story of Jason invading the Caucasus which is just the result of Azo, the legendary forefather of Georgians and the Albans, transforming into Jason by the Greek sources. In the same way, the story of the Indo-European tribes settling in South Caucasia is mere variation of the story told in "the Conversion of Kartli" about Azo bringing Georgians (Iberians) to Kartli or then again the story told in "the Kartli Chronicles" about the twenty-eight tribes of the Turks settling in Georgia, and the widespread story found in the ancient Greek world about the "enslaved Iberians" taken from Spain by King Nebuchadnezzar, which were then settled eastward to the Ponto Kingdom.

Telling the history of Georgia from King Parnavaz time until the beginning of the second century AD, the author of "The Kartli Chronicles" references the book I call "The Armazi Chronicles" which described the story of the lineage of King Parnavaz which ruled from the 4th century BC until the 2nd century AD, and which was ended by Parsman III; but the storyteller, evidently situated in Mtskheta, misread the terms *amier-imier* (hither and thither) and by doing so, switched the locations to the exact opposite of where the kings of the double monarchy period reigned; therefore, the author of the "Armazi Chronicles" clearly had to have lived on the opposite bank of the river, in the town of Armazi (hence the conventional title). This then had linked to additional material (let's conventionally call it the "Mtskheta Chronicles") which begins from the 230's AD up to the 370's. Now by mechanically linking these two, some 60 to 70 years of history had been omitted. Thus, the gap in time was filled up by erroneously repeating and mixing-up the names of the kings. The same thing happened with the king Varaz-Bakur, who had been misplaced in history from the 6th century to the 4th, thus taking the place of the true reign of King Asphagur (who, according to Amianus Marcell actually reigned in the 470's AD.). This also was the cause of wrongly

mentioning Tbilisi in connection with the events taking place in the of the IV century.

We determined that the personality of Juansher Juansherian, who was the author of the “Life of King Gorgasali” was not a relative of St. Archil, who lived in the second half of the 8th century, but a relative of King Archil, son of Vakhtang Gorgasali, and lived in the second half of the 6th century.

All the above mentioned chronicles and “Lives” were gathered by one collector who then, using one concrete conception and chronology, created a complete work called “The Kartli Chronicles”. Up to now, it was considered to be Leonti Mroveli, a scribe who lived in the 11th century. Exploring the all available materials, I am trying to prove that in order to find the true author we must not pay attention to all these types of mistaken information which is a common occurrence in any western chronicles, but focus on the introductory geographical descriptions of the “Kartli Chronicles”. The mentioned kingdoms and their borders which are given according to biblical lineage show that these divisions could be made only in the 7th and 8th centuries, but not beyond the middle of the 8th century because then, the political map of the Caucasus would be radically changed. Thus, the author can be linked to this period of Georgian history.

So, another perspective on the oldest section of the “Chronicles” revealed a quite new angle on ancient Georgian history. For instance, it is now clear that the 10th king of Georgia mentioned in the Chronicles, Aderk (Adrik//Ardek) reigned not in the bridge between BC and AD, but somewhere in 95-60 BC, and it seems to be the same one by the name of Artok., who, in 65 BC, greeted the Roman marshal, Pompeus, in Kartli all of this gives us the opportunity to put all the pagan kings of Georgia in the correct time-line. We made these corrections exploring Greek, Roman and Armenian sources, using numismatic and epigraphic inscriptions. In the appendix, we give a chronological list of the Georgian kings including the main branches of their families, as far back as from the end of the 4th century BC up to 370 AD.

All this helped to determine and explore many interesting facts about Georgian and Armenian history. We uncovered the etymology of Gugarq/Gogaren. We proved that it's derived from Persian nomination of Kartli (Virkan/Gurgan) by transliterating the phoneme “R”. The same



thing happened in many other instances, such as Gorgan/Gogaran, Togorma/Torgomi, Mukhnari/Mukhrani, Phanavari /Pharavani, Asphgur/Aspharug etc.

We presented that beginning from the rule of Artashes I, when Kartli was somehow under the influence of Armenia, Georgian kings were referred to as The Pitiakhsh at that time in the Armenian sources and afterwards it has been adopted by them as a title.

We proved that Parnabaza, King of Iberia, mentioned by Dion Casius, is the same Pharsman of the Georgian and Armenian sources, and through that fact, we determined the beginning of the Georgia/Armenia War, which parallels with the reign of king Artashea II, that is, 31-20 BC.

We especially investigated the meaning of the name/title "Pharnabaza". In ancient Persian, it means "Radiant Hand", which, through translation, has been transformed into Georgian as Khelmtsipe, i.e. The King. It was the attributed name of the Armazi, a.k.a. Ahuramazda, the Mighty God, and the religious title of the Pharnavaz Dynasty of the kings of Georgia. From this point on, we investigated the Armazi bilingual inscription and showed that the Aramaic PRNWS means the same Ahuramazda/Armazi deity, and does not indicate any concrete political actor.

We also determined additional facts, one of which is exact dating of the Jews migrating to Georgia, which we fixed in time at 50-40 BC.

It is also shown that the follower of the Manna teaching, one of the kings of Kartli, was not King Amazasp, but the one that succeeded him - Rev the Righteous, who reigned in 265-280 AD.

We also established that the first representative of the Sasanid Dynasty in Georgia was not King Mirian, but his father, King Revi, the same one identified with Rev the Righteous of the "Kartli Chronicles", who actually was the grandson of Shah Shabur I of Iran.

Thus, I do hope, we have shined a light on some certain questionable points of the ancient history and chronologicalization of the region of the Caucasus.

## ლიტერატურა

1. აბაუჯი ვ., არმაზის ბილინგვის გარშემო - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოაბზე V, №9, 1944.
2. აბაშიძე დ., ქართლის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი - „მნათობი“, №9, 1987.
3. აბაშიძე დ., ორშეფობა ძველ ქართლში (ქართლისა და სომხეთის ურთიერთობიდან ძვ. წ. II-I სს.) - „ცისკარი“, 1988, №11.
4. აბაშიძე ე., „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტების შედარებითი შესწავლის საკითხისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა VII, თბ., 1987.
5. აბაშიძე ე., ქართლის ცხოვრების წარმოქმნისა და განვითარების საკითხები, თბ., 1993.
6. აბდლაძე აღ., „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს არქეოგრაფიული ტექნოლოგიის გაკებისათვის - მაცნე, ისტორიის სერია, 1987, №4.
7. აბდლაძე აღ., „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982.
8. აბულაძე ი., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963.
9. ალასანია გ., პერაკლე კეისარი ქართულ ზეპირ და წერილობით წყაროებში - რეკაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ., 1998.
10. ალასანია ვ., ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია) - ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბ., 2000.
11. ალექსიძე ზ., „ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა“- ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991.
12. ალექსიძე ზ., „ცხოვრება ფარნავაზის“ - მნათობი, 1984, №12.
13. უნტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომხთაგან სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.
14. ამიანე მარცელინი - გეოგრაფიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბ., 1961
15. ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
16. ანთელავა ი., „ქართლისიანთა“ წარმოშობის შესახებ - XI-XIV სს. ქართული წერილობითი წყაროები, თბ., 1988.
17. ანჩაბაძე გ., ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ - მაცნე, ისტორიის სერია, №4, 1987.
18. არახაშია გ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ - ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1991.
19. არახაშია გ., „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატეიანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები, სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, 1994.





20. არახშია ვ., „ქართლის ცხოვრების“ დახაწვის ნაწილის შედგენის შედეგად „ქართლის ცხოვრების“ მეთოდისათვის - მაცნე, ისტორიის სერია, 1987, №4.
21. არახშია ვ., „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი - მაცნე, ისტორ. სერია, 1989, №1.
22. არახშია ვ., „ქართლის ცხოვრების“ ბირველი მატაინის მოცულობის საკითხისათვის, - მაცნე, ისტორ. სერია, 1987, №2.
23. არიანე, „აღუქსანდრეს ანაბაზისი“ - ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, ძველ ბერძნულიდან თარგმანა, გამოკვლევა და სამიუბლები დაურთო თინათის ყაუხნიშვილმა, თბ., 1963.
24. არსენ ბერი, ცხოვრებაა და მოქალაქეობაა დედისა ჩვენისა ნინოსი - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, თბ., 1971.
25. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.
26. ახვლედიანი ვ., აუესტა, თანა მ, თარგმანი და კომენტარი, - „ლიტერატურული მიუზიკი“, II, 1944.
27. ახვლედიანი ვ., „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები, თბ., 1990.
28. ახვლედიანი ნ., სკვითები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „ქართლის ცხოვრების“ ცნობების მიხედვით - სტუე შრომები, ისტორიულ-ფილოლოგიური სერია, ტ. I, თბ., 1997.
29. ახვლედიანი ნ., რკინის ფართო პოვისების ხანის ძეგლები თბილისიდან (ორელის ნახანდარი და სამაროვანი), ავტორეფერატი, თბ., 1999.
30. ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხნიშვილის მიერ - ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
31. ბაგრატიონი თ., ისტორია დაწვებითგან ივერიისა, ე. თ. ვიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ქინილი საქართველოს მუათცამეტის მეფის ვიორგის ძის თეიმურაზისაგან, ს. ნ. ბ., 1848.
32. ბაგრატიონი სიანე, „კალმასობა“ საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხან, ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H - 2134 525 რ.ვ.
33. ბადრიძე შ., „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის ინტერპრეტაციის საკითხები - მაცნე, ისტორიის სერია, 1987, №4.
34. ბადრიძე შ., ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის - შინაობი, 1967, №7.
35. ბარამიძე ა., ისევ ლეონტი მროველის თხზულების ერთი ადგილის განმარტებისათვის - ქართული ისტორიოგრაფია, I თბ., 1968.
36. ბარამიძე ა., ლეონტი მროველის თხზულების ერთი ცნობის დაწესტებისათვის - ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1979, №4.
